ირაკლი
ბერიაშვილი

ოთხი არაბულები

(მოთხრობები)

თბილისი „მერანი" 1988

84 Гр 7 — 4
ბ 525

ირაკლი ბერიაშვილის მოთხრობები ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზეა, მის ავსა და კარგზე. გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან — გლეხები, მუშები, ინჟინრები, ჟურნალისტები. საწუხარი და სატკივარიც ჩვეულებრივი აქვთ — ებრძვიან მარტოობას, უსამართლობას, დროდადრო ვერც ერევიან სიძნელეებს, პასიურები ხდებიან, ისეთები, როგორებიც არ უნდა იყვნენ. თუმცა, სწორედ ამ პასიურობაში უფრო კარგად იკვეთება ავტორის პოზიცია — სიკეთისა და სამართლიანობისთვის ბოლომდე საჭიროა ბრძოლა.

4702017200 — 1
Б ——————— 26 — 88
М 604 (08) — 88

© გამომცემლობა „მერანი“, 1988

ᲓᲝᲚᲘ

უშველებელ მოედანს, მუქლურჯ ცაზე, ხელის ერთი მოსმით მოხატული თეთრი, თეთრი მთვარე დაჰყურებს. აღმოსავლის კიდე სულ ოდნავ გაიცრიცა. შეკრთნენ თეთრი მეფის მხლებელნი, ციმციმი შეწყვიტეს და რაღაცის მოლოდინში გაირინდნენ.

ჯერ არ გათენებულიყო.

თავლაში ფეხზე იდგნენ, ცხენებს დასტრიალებდნენ ბიჭები. რიგრიგობით აბამდნენ საბელით ხარიხაზე და წმენდნენ. ჯერ საურველით ჩამოფხეკდნენ, მიწაზე დაბერტყავდნენ მტვერს, მერე ჯაგრისით. კისრიდან ჩამოჰყვებოდნენ, ფერდებს გადაუწმენდდნენ, ფეხებზეც ჩამოუსვამდნენ. ცხენები იდგნენ დ ფრუტუნებდნენ.

მორჩნენ. სამ ცხენს ლაგამი ამოსდეს, თექები გაუწყვეს ფერდებზე, უნაგირები დაადგეს, გარსაკრავები მოუჭირეს და ერთი მეორის მიყოლებით გაიყვანეს გარეთ. დანარჩენები მოუსვენრად ატოკდნენ.

ნაბიჯით წაიყვანეს ატალახებულ ბილიკზე. მოედანზე გავიდნენ. მიწა აქაც დაბალი იყო. ფლოქვები უხმოდ, რბილად ეხებოდა მიწას. ნელ ჩორთზე გადავიდნენ. ასე შემოუარეს მთელ წრეს, მერე კიდევ, წინა მხედარი შემობრუნდა.

— ეყოფა მაგას.

ის, ვის მიმართაც იყო ნათქვამი, ბილიკზე შებრუნდა და თავლისაკენ გასწია. მალე უკან მობრუნდა სხვა ცხენით, თავისიანებს შეუერთდა.

კარგად არ გათენებულიყო.

წრეს წრეზე უვლიდნენ. ფლოქვებს ბაგაბუგი გაჰქონდათ. ცხენები გარბოდნენ, დაბერილ ნესტოებიდან ბღუჯა-ბღუჯა ორთქლს უშვებდნენ, ორთქლი ტანზედაც ასდიოდათ.

ახლა სხვა ცხენები გამოიყვანეს. ისინიც კარგა ხანს არბენინეს. ბოლოს მორჩნენ ვარჯიშს.

გათენდა კიდეც.

ამობრუნებულ ცარიელ ყუთს სამნი უსხედან და საუზმობენ.

დროდადრო ფრუტუნისა და ფლოქვის ცემის ხმა ისმის. თავლაში ცხენის ოფლის სუნი დგას.

რომელიღაცამ ძალუმად ააბაკუნა ფეხები, მერე ჭიხვინიც მიაყოლა.

— ადე, გეძახის. ულვაშიანმა გაიღიმა და კიდევ დაისხა ჩაი.

ბიჭი აქამდეც მოუსვენრად იჯდა, ახლა, თანხმობაც რომ მიიღო უფროსისაგან, აქა-იქ მოციცქნილი პურის ნაჭერი უკანვე დადო და წამოხტა.

— ხომ არ გვეთქვა? — ლურჯი ბატისტის ხალათიანი შეეკითხა ულვაშიანს.

— ჯერ არა, მე თვითონ ვეტყვი სტარტის წინ.

ბიჭი სადგომში შევიდა. ორი წლის ულაყმა თავი ასწია და კბილები გამოაჩინა. „რამი, რამუნი“ — მიესიყვარულა ბიჭი. ცხენი დიდი, სევდიანი თვალებით მიაჩერდა. ყურის ძირებზე შეავლო ხელი, მერე კისერზე ჩამოუსვა, ყბაზეც მოუთათუნა. ცხენმა დაიფრუტუნა. დრუნჩი მიადო მკერდზე.

ჯერ კიდევ კვიცი ჩააბარეს მოსავლელად. წმენდდა, აბანავებდა, აჭმევდა. თვითონვე ავარჯიშებდა მხოლოდ დოღის წინ კაზმავდა ულვაშიანი. სამჯერ ირბინა — სამჯერვე პირველი იყო. „რამი, რამუნი, დღეს ერთად ვირბენთ, დღესაც პირველი იქნები, ვიცი, არც დღეს გაუშვებ წინ არავის“. ბიჭი კისერზე მოეხვია. სხვაც ბევრი ებარა — არც ერთი არ უყვარდა ასე. შუბლზე ჩამოშლილი ფაფარი გადაუწია, ქლიავისფერ, ლამაზ თვალებში ჩახედა.

მზე ნელა, ძალზე ნელა მიიწევდა ზევით.

იპოდრომზე ზარს ჩამოჰკრეს. ბიჭი უკვე მზად იყო. გარეთ გამოვიდნენ. ერთ ხელში უნაგირი ეჭირა, მეორეთი ლაგამამოდებული ცხენი მოჰყავდა. ტრიბუნების მხრიდან გაბმული გუგუნი ისმოდა.

უნაგირიანად აწონეს. შეკაზმა ულაყი. ახლა სტარტზე გამოძახებას დაელოდა.

ულვაშიანს შეასწრო თვალი — ღიმილით უახლოვდებოდა. ავად გაკენწლა ვაღაცამ.

— ჩვენი ბიჭები აპირებენ თამაშს, როგორმე ისე უნდა მოვახერხოთ... — თვალი მოუჭუტა, — მოკლედ, პირველი არ უნდა მოხვიდე... არა უშავს რა, მაგაზე ნუ იდარდებ, კიდევ მოასწრებთ, — დააყოლა და მხარზე დაჰკრა ხელი.

— ჰო, წინ ნუ გახვალ, ეცადე კუდში მიჰყვე, თუ გზა თავისუფალი ნახა, მაგას ეშმაკიც ველარ შეაჩერებს, აბა, შენ იცი.

ზარს ჩამოჰკრეს.

სტარტზე გამწკრივდნენ. ჯერ თეთრი, მერე წითელი დროშა ერთი მეორის მიყოლებით დაიქნიეს. ცხენები ადგილს მოსწყდნენ.

„შენ ვერაფერს გეტყვიან, გამოუცდელობას დააბრალებენ, მე კი...“

აი, თურმე რატომ დასვეს! ბოლმა მოაწვა ყელზე. კიდევ უფრო წამოიწია უზანგებზე და სადავე მიუშვა. ერთი ცხენი ჩამოიტოვა, მეორე, მესამე... უკვე პირველი გარბოდა.

„მოკლედ, პირველი არ უნდა მოხვიდე... პირველი არ უნდა მოხვიდე!“

სულ უფრო ახლოვდებოდა ტრიბუნების გუგუნი.

უკან მიიხედა. ნესტოებდაბერილი და პირზე ქაფმომდგარი ცხენები ასდევნებოდნენ თქარათქურით. მიუშვას ბოლომდე? გადაუხვიოს მწვრთნელის სიტყვას? რა პასუხი გასცეს მერე. თქმა თუ იყო, იქვე უნდა ეთქვა სათქმელი, სტარტის წინ. გვიან არის ახლა, გვიან... ანდა, როგორ გაუმრუდოს სიტყვა უფროსს?!

ნელ-ნელა მოსწია სადავე, კიდევ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ცხენი არ დაემორჩილა. ისევ მოსწია. იგრძნო, როგორ დაებერა ხელებზე ძარღვები.

თითქოს მიუხვდა ცხენი — კისერი მოიდრიკა, ბიჭის ნებას გაჰყვა. კოხტად შეკრეჭილი ბუჩქები სულ უფრო ნელა გარბოდნენ. ვიღაც გაუსწორდათ, შემდეგ მეორე... კვალში ჩაუდგა. მაგრად ეჭირა სადავეები.

წინ გასულების დანახვაზე ცხენი ისევ გახელდა, დაიძაგრა.

„ცოტაც, სულ ცოტაც, რამუნი, შენი ჭირიმე“, — ეხვეწებოდა ბუტბუტით.

ულაყი ოფლში გაიღვარა, პერი მოადგა ლაშებზე, მთელი ტანით აძაგძაგდა. ბიჭს თვალები აუწყლიანდა, ცხენიანი მხედრები ბრჭყვიალა წრეებში გადნა, ვეღრაფერს ხედავდა, მხოლოდ სადავეები ეჭირა მაგრად.

ერთი მეორის მიყოლებით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. ძლივს დაიოკეს გახურებული ცხენები.

თავჩაქინდრული ულაყის ოფლიან კისერზე დაედო თავი პატარა ჟოკეის და ტიროდა.

— ესეც, შენი კვირადღე!

აღრიალებული მუთაქა ლოგინზე დადო ნიკამ და დოინჯი შემოიყარა.

— აღარ ჩაიკმინდავ ხმას?!

მუთაქამ ღრიალს უმატა, ბოლოკივით წამოუწითლდა სახე.

— დედაკაცი კი არა.: ბაზარი შენა და...

საათს გახედა.

„თხუთმეტი იქით, თხუთმეტი აქეთ, ხუთიც ბაზარში. საცაა, უნდა მოვიდეს“.

ორმტკაველნახევარ ფუთას დასწვდა და სიარულს მოჰყვა ოთახში. ცალი თვალი საათისაკენ ეჭირა. „რა სოსიაანთ სამგლესავით მიიზლაზნება ეს მამაცხონებული!“

მუთაქამ ოდნავ დაუკლო, ეს იყო და ეს. სალომე არ ჩანდა.

„დაწყდებიან ბიჭები ლოდინით. რა უნდა ვთქვა, ლეკვი მე მომიგდო დედაკაცმა, თვითონ სასეირნოდ წაპრაკუნდა-მეთქი?“

სუფრის თავში გაჯგიმული მიხა დალანდა თვალნათლივ. მერე გიგო, თედო, სოსია, მახარე... გახურებულ ქეიფში იყვნენ ბიჭები. შუაში ცარიელი სკამი ჩაედგათ, ნიკას ადგილი იყო...

— მალე მოვბრუნდებიო! მეც რომ თანდილაანთ შლუსავით დავუკარი თავი?!

„კარგი, ჯანდაბას, ოცი იქით, ოციც აქეთ, ათიც ბაზარში, მაინც რომ არა ჩანს?“

— რა ზურნასავით გააბი, შენ მაინც გაჩუმდი!

არ გაჩუმდა. გაჩუმდა კი არა, უფრო უმატა.

— ეგდე და იღრიალე. — გადაწყვიტა ბოლოს, ისევ ლოგინზე დააგდო და კარისკენ გაალაჯა.

საწყალობელი ტირილი გამოჰყვა ფეხდაფეხ.

შეჩერდა ნიკა. სახელურისაკენ გაწვდილი ხელი უილაჯოდ დაუშვა და ერთი მძიმედ ამოიოხრა.

იმ წუთას რაღაც ნაპერწკალიც გაუკრთა.

— როგორ ვერ მიხვდი!

ჯერ ვრდისფერი ჩვარი შემოაცალა, მერე მუხლებზე შემოხვეული ნაჭერი, ახლა თეთრი ჩვრები. გაჟიებული საფენიც რომ ამოუღო გაჩხინკული ფეხებიდან, ტირილი შეწყდა. პატარა მუთაქამ ფეხები აიშვირა, ხელები ააფათურა. მერე ციცქნა მუცელიც გამობურთა, გაიზმორა და ადამიანს დაემსგავსა.

საწოლის პირზე ჩამოჯდა ნიკა. ცოტათი მოეშვა გულზე. ერთხანს ასე უყურა, თანდათან უნელდებოდა ბრაზიც...

სამუშაოზე დილაადრიან მიდიოდა ხოლმე, სალომე ბავშვთან ტრიალებდა. მობრუნდებოდა და, ისევ ბავშვთან იყო. ჯერ თვისა გახდა, მერე — ორისა, სამისა... ნიკა მიდიოდა და მოდიოდა. დროდადრო დაუგურგულებდა. გაეთამაშებოდა კიდეც...

ფიქრი ბავშვის სლოკინმა გააწყვეტინა. პატარა კაცუნას დახედა ისევ. დამუშტულ თითებზე შეავლო ხელი, ცივი ეჩვენა. არ გაცივდესო, გაიფიქრა და ხელახლა შეფუთვა სცადა.

ჩვრები სხვადასხვა ზომისა იყო. ხან ასე დააწყო ხან — ისე, არაფერი გამოვიდა.

„უნდა დამეხსომებინა".

საწოლის თავზე ჩითის პერანგს მოჰკრა თვალი. ჩამოიღო, რის ვაივაგლახით შემოაცალა. მერე, ერთად გაფინა ლოგინზე ნაჭრები, ზედ დააწვინა ბავშვი. ტანის გასწვრივ დაუწყო ხელები. ჯერ ერთი მხარე გადმოაკრა, ფეხებიდან ამოუკეცა, ახლა — მეორე. მუთაქა ერთი გაიზნიქა და სლოკინს სლუკუნიც ააყოლა. ეტყობა, ვერ იგუა დაბორკვა.

ისევ გახსნა, ხელები გაუთავისუფლა და ისე შეახვია.

საათს გახედა ნიკამ. კარგა შორს წასულიყო გრძელი ისარი.

„რა დაემართა იმ დედაკაცს?

მუთაქა ერთხანს ჩუმად იყო, გაკვირვებული აცეცებდა თვალებს და დროდადრო ასლოკინებდა. კრუსუნიც შეურია მერე.

— რაღა გინდა მეტი. ძუძუს მე ვერ მოგცემ, და...

მუთაქას არაფერი უთქვამს. ეს იყო, მომეტებულად ააფათურა თათები, მერე ნიკაპიც მოპრუწა, ქვედა ტუჩი საბრალოდ გამობურცა და მსხვილი ცრემლები დაუგორდა მრგვალ ლოყებზე.

„რაღაცას მთხოვს". გული მოეწურა ნიკას. მერე ბიჭები გაახსენდა, მაგრამ ფიქრი აღარ გაუგრძელებია.

— დედაკაცო! ეს ერთი შეგრჩეს და მერე ვნახოთ! — ფრთხილად აიყვანა ბავშვი და მკლავზე დაიწვინა.

ორი თაფლისფერი ღილი ყურადღებით ათვალიერებდა ნიკას.

— რაო, რა მინდაო, — რაც შეიძლება რბილად სცადა.

რაღაცის თქმა დააპირა ჩვრებში გახვეულმა ციცქნა სახემ. ტუჩები შეატოკა, განზე გასწია და უკბილო პირი გამოაჩინა.

„იცინის, მგონი".

რაღაც გადაუბრუნდა შიგნით ნიკას.

ნება-ნება უთბებოდა ის ადგილი, სადაც თავი ედო პატარა მუ-თაქას.

— დედაშენს რა ვუთხარი, — თავისთვის ჩაიბურტყუნა და პირ-ველად გაეცინა დილას აქეთ.

როგორც ქვიშის საგუბრიდან

— არც დაუხედავს!

— კი მაგრამ რატომ.

— ექსპერიმენტებისთვის არა გვცალიაო, გეგმა გვაქვსო ყელში წაჭერილი.

გურამს პიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, ხაზგასმული სიმშვი-დით დააბიჯებდა ოთახში.

— მერე, არ უთხარი?

— როგორ არ ვუთხარი.

ლიამ ფანჯარა გამოაღო, მტვრიანი ჩვარი გადაბერტყა და ისევ მიხურა.

— მერე?

— ვინა გრჯიდაო, ჩვენ ხომ არ დაგვივალებიაო. იქნებ რამედაც-ღირდეს ეგ შენი მთელი წლის ნაფიქრიო, მაგრამ რამდენი ვინმეს მოეპრიანება, იმდენი ჩარხები მოვაცდინოთ, კარგი დახლი დაგვიდ-გებაო.

— შენ, ალბათ, ენა ჩაგივარდა მუცელში.

— არ ჩამივარდა! — გაავებული მიუბრუნდა ცოლს, — ნაანგარი-შევი მაქვს ყველფერი, დანაკარგს რამდენიმე თვეში ავანაზღაურებთ-მეთქი, აი, აქ-მეთქი, — ცხვირწინ გავუშალე ნახაზები. მორჩა, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მითხრა და თითები აარაკუნა მაგიდაზე. ერთთ-კი ვიფიქრე, თავზე გადავახევ-მეთქი... — გურამი გაჩუმდა, მერე სი-გარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— სამზარეულოში მოწიე, — ჩუმად თქვა ლიამ და ოთახის კუთხი-საკენ ანიშნა თავით, მაგიდას მისკუპებული ბიჭი არითმეტიკის წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

— ეს აქ თვალის საამებლად გიდგას! — საფერფლეზე გასრისა ახალმოკიდებული სიგარეტი. — და საერთოდ... შენ და შენმა-შვილმა...

— ჰო, თქვი... იმ შენ რქიან უფროსს ვერ მოერიე და ბავშვს ეცი ახლა... იმის მაგივრად, მიუჯდე, რაღაც ასწავლო...

— ასწავლო, თორემ ისეთი ბეჯითი გყავს... დედაილა! ვითომ წიგნს ვკითხულობო, ცალი ყურით კი ყველაფერს კრეფავს.

— ჰო, მიდი ახლა, კიდევ რას იტყვი.

— არაფერს. — სავარძელში ჩაჯდა და გაზეთებს წამოავლო ხელი. ატრიალა, ატრიალა და უკანვე დააწყო.

სადილზე მხოლოდ გიო ლაპარაკობდა. აბონიმენტები დაერიგებინათ იმ დღეს. ექვსჯერ წავალთო თოჯინების თეატრში. ათასი და კიდევ ათასი რამდენი იქნებაო, დედას ეკითხებოდა. ორი ათასი უფრომეტია თუ მილიონიო. დედის პასუხმა რომ დააეჭვა, მამას მიუბრუნდა.

დედას ჰკითხეო, გურამმა.

მაინც არ დაწყნარდა. ცხენები ჩამოატარესო დღეს სკოლასთან. მთელ ქუჩაზე გაჩერდნენო მანქანები. ხელებს იქნევდნენ შოფრები, რაღაცას უყვიროდნენო ქურთუკიან ბიჭებს. კახამ თქვა, ეშინიათო შოფრებს, ერთი რომ დასცხოს, სულ ჩაჭყლიტავსო მანქანას.

— მართლა ჩაჭყლიტავს, მამა?

— ...

— ერთმა კაცმა გვითხრა, იპოდრომზე მიჰყავთო, ხომ წამიყვან იპოდრომზე?

თავისას ფიქრობდა გურამი.

ნასადილევს ოთახში შებრუნდნენ. გიო მაგიდას მიუჯდა. წიგნები განზე გადააწყო, ფურცლების დასტა დაიდო წინ. გურამმა ერთხანს იტრიალა, ტელევიზორისაკენ წავიდა მერე.

— ნუ ჩართავ. — სთხოვა ლიამ.

— ფეხბურთია დღეს. — ტელევიზორი ჩართო, სავარძელში ჩაეშვა და სიგარეტს მოუკიდა.

ლიამ ერთი კი გამოხედა, მაგრამ აღარაფერი თქვა, მერე ფანჯარა გამოაღო და თვითონაც ჩამოჯდა.

გიოს ტუჩები მოეკუმა, რაღაც საგულდაგულოდ გამოჰყავდა ფურცლებზე.

ეკრანი გაბადრულმა სახემ გაავსო. ქათქათა საყელოებშუა მოქცეული ზოლიანი ჰალსტუხის ორმაგი კვანძი გამომწვევად გამობურთულიყო. ჰალსტუხიანი სახელმწიფოების ურთიერთგაგება-დაახლოების შესახებ ლაპარაკობდა. დინჯად და აუჩქარებლად. ფეხბურთის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო.

„დაეხედა მაინც, რაღაც ეთქვა, ეყვირა თუნდაც...“

— გურამ...

— .....

— მთავარ ინჟინერთან არ შესულხარ?

— ჯერ არა.

— გურამ...

— ჰო.

— ყველაფერში შენ გბაძავს, შენი სჯერა. იმ დღეს ვუთხარი, მამიკო სულ ხუთებზე სწავლობდა-მეთქი. არითმეტიკასაცო? მკითხა და დღიური ამოიღო ჩანთიდან. ხუთიანი მიეღო, რომ იცოდე, როგორ უბრწყინავდა თვალები... იქნებ ცოტაოდენი დრო...

— დრო! დრო! სად ჯანდაბაში მაქვს ეს დრო?! დაჯდეს და ტელევიზორს უყუროს. მაგოდენა რომ ვიყავი, ზღაპრებით მაძინებდა ხოლმე ბებიაჩემი.

— მეც მაგას გეუბნები...

— აღარ დაიწყებენ? — უკვე მეორე სიგარეტს ეწეოდა გურამი.

— მამიკო, მამიკო! — გიო ხვლიკივით ჩამოძვრა მაგიდასა და სკამს შუა, ფურცელს ხელი დაავლო და გამოიქცა.

ოკრბოკროდ ნაწერი ასოები და სიტყვები ძლივს დაალაგა გურამმა:

„იყო ერთი ლომი, სახელად ვიდიგი ერქვა. ერთ დღეს ვიდიგი ტყეში წავიდა. ტყეში მეორე ლომი შემოხვდა. უზარმაზარი თავი ჰქონდა. ვაი, რა მეშველება. თქვა ვიდიგმა. მე ერავა ვარ. დაიღრიალა მეორე ლომმა. მოდი, ვიჩხუბოთო. შეეჯახნენ და ერთმანეთი დაბოცეს.

ანდაზა. დღესაც მკვდრები არიან“.

გურამმა ფურცელს ზემოდან გახედა შვილს.

— არა უშავს რა, მაგრამ სახელები უნდა გამოუცვალო ლომებს. საიდან მოიგონე ეს ვიდიგი და ერავა. რამე ნორმალური დაარქვი, ლომა, წითური, თუნდაც ღრიალა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის სახელი გამოგეძებნა. — ფურცელი გაუწოდა და ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა.

ბიჭი ჩუმად გატრიალდა მაგიდისკენ.

სტაბლიზატორის გულისგამწყალებელმა ზუზუნმა თუ მოჰქანცა, წამდაუწუმ ეხუჭებოდა გურამს თვალები...

... ობობას ქსელივით დახლართული ქუჩები ნაცრისფერ შენობებს დაეღობათ. ,ქარის მაგივრად ნახვრეტები ჰქონდა დატანებული სახლებს. ამ ნახვრეტებიდან მალ-მალე გამორბოდნენ და შერბოდნენ წყალგაუმტარტანსაცმლიანი ადამიანები. ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ჰაერშიეე იჭერდნენ ხელიდან გავარდნილ ქაღალდებსა და მუყაოს კოლოფებს, უბეში მალავდნენ და ისევ აგრძელებდნენ გზას. შეშფოთე-

ბული, დაფიქრებული სახეები ჰქონდათ. ქუჩის კუთხეში სასწრაფო დახმარების მანქანა შენიშნა. მიუახლოვდა. მანქანაში შიშველი ბიჭუნა იწვა, ვარდისფერი ჭრილობა აჩნდა ძუძუსთავზე. ამაოდ ფაციფუცობდნენ თეთრხალათიანი ექიმები — როგორც ქვიშის საგუბარი, ისე იცლებოდა ბიჭი სისხლისგან. „როგორ მოხდა?“ ჰკითხა თეთრხალათიანს, „ვიღაც დაეჯახა. ფეხი დაუცურდა და პირწამახულ რკინაზე დაეცა“. გზა გააგრძელა. მერე რაღაც მოაგონდა და უკან მობრუნდა. ისევ შეიხედა ღია კარიდან. ბიჭის სახე ეცნაურა...

— გურამ!

ეკრანიდან ჰალსტუხიანის გაბადრულმა სახემ შეანათა. ცოლი გვერდით იდგა და რაღაც ფურცელს აჩეჩებდა ხელში.

— ბავშვი დაწვა?!.. ეს რა არის?..

ფურცელი გამოართვა და დახედა. ოკრობოკროდ ნაწერი მთელი „ზღაპარი“ ფანქრით დაეხაზათ, ის ადგილები, კი სადაც ადრე ლომების სახელები ვიდიგი და ერავა ეწერა, ისე გულმოდგინედ ეშალათ, რომ დაძენძილ ქაღალდს პირი დაეღო.

თავთავა

— ვაი, გვერდი!

— გვერდი შენა და...

— ერთი ამ უნდილს დამიხედეთ!

ბეღელზე მოპირქვავებული ტომრიდან ხრიალით მოდიოდა ხორბლის მარცვალი. ტომარა ვეება კაცს ეჭირა ხელში.

— ნელა, შე მუდრეგო!

— რას სჩადიხართ, ხალხო, ყველას გვეყოფა ადგილი!

თავთავაც წაიღო ამ მდინარემ და თვალის დახამხამებაში ბეღელში ამოაყოფინა თავი.

— ესეც ასე! ჯერ დაცარიელებული ტომარა დაბერტყა კაცმა, მერე ერთიც დახედა დაბინავებულ მარცვალს, ჩაიღიმა და კარისაკენ გააბოტა.

— ჩხლაკ! — გაიჩხლაკუნა ურდულმა და სიჩუმე ჩამოვარდა.

თანდათან ბეღელშიც იკლო აურზაურმა. ერთმანეთზე დახვავებულმა ხორბლის მარცვლებმა თავ-თავიანთი ადგილები მოძებნეს.

— უჰ! ძლივს არ მოვისვენე?! — ტკაცუნით გაშალა ხელები შოშიტამ და ერთი გემოზე დაამთქნარა.

— აბა, კაცო! არ გადაგვხრუკა იმ ვერანამ? ისე აჭერდა მთელ ზაფხულს, მე მიყურეთ და ჩემს ბიჭობასო. ერთი ადამიანურად არ ამომასუნთქა, — ბეღლის კუთხეში მიწოლილმა კენჭამ აუბა ამხანაგებს მხარი. სხვა მარცვლებს ზემოდან მოქცეოდა, დასვენება მჭირდება, დავიღალეო.

— ახლა ქარს აღარ იტყვი? — მეორე კუთხიდან დაიწრიპინა ვიღაცამ, — დაგვცემოდა დანდობილა, ის უპატრონო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გვიბერავდა. დაგვაწვენდა, მაგრამ რას დაგვაწვენდა! მეგონა, აი, ეხლა მოვწყდები-მეთქი და აი, ეხლა.

— ღმერთმა უშველოთ! დროზე გაგვაცალეს იქაურობას, — ისევ შოშიტამ წამოჰყო თავი, — ვინ იცის, რა დაგვემართებოდა, ბრიგადირი მიხა და ის კომბაინერი ბიჭი რომ არ გამოჩენილიყვნენ.

— რაც მართალია, მართალია, ძაან იყოჩაღეს, — კვერი დაუკრა მუცელამ, — ახლა აღარაფერი გვიჭირს, წვიმა არ ჩამოგვდის თავზე და მზე არ გვაცხუნებს. ნიავი რა არის, ნიავი ვერ მოგვაგნებს.

— გიყვარდა, მამავ, გუთანი, დაწექ და იგორავეო, — სადღაც ქვევიდან მოისმა ჩხირას გაგუდული ხმა.

— მიყვარდა და ვიგორავებ კიდეც, არ შემერგება თუ რა. — გვერდი იცვალა მუცელამ და ახლა მეორე ხელი ამოიდო თავქვეშ.

ის დღე ლაზღანდარობაში გაატარეს, მეორეც... თავთავა ერთხელაც არ ჩარეულა საუბარში.

დღეები დღეებს მისდევდა. საქმე არაფერი ჰქონდათ, არც არაფერი აწუხებდა. ამ მცონარობაშიც გალიეს მთელი შემოდგომა. დაიწყებდა ერთი, ახლა მეორე აჰყვებოდა, პირიდან აცლიდნენ ერთმანეთს სიტყვას. ეს ზაფხულიო, ეს ამოდენა უბედურებაო, განსაცდელიო, გვალვაო, ერთთავად მიხა ბრიგადირისა და იმ კომბაინერი ბიჭის ლოცვაში იყვნენ. ისიცა თქვეს, ალბათ, ღირსნი ვიყავით, ტყუილად რად გაირჯებოდნენო? ე რა კარგი ყოფილაო, მადლობა გამჩენს, აგრე მყუდროდ რომ მოგვაწყოო. ზამთრის პირზე უფრო გაუტკბათ მარცვლებს თბილი ბეღელი.

დრო თავისას შვრებოდა. შემოელიათ სალაპარაკო, მობეზრდათ ერთი და იგივეს ღეჭვა. აქა-იქღა თუ იტყოდა ვინმე რამეს, ისიც უგემურად და ზოზინით. მერე სულ გაჩუმდნენ.

გაჩუმებით კი გაჩუმდნენ, მაგრამ ფიქრი იცის უთქმელობამ და,

ახლა საფიქრალი მიეძალა პირთამდე სავსე ბეღელს. რა არ მოსდიოდათ თავში...

— როდემდე უნდა ვეყარნეთ ასე? — ერთ მშვენიერ დღეს მაინც დასცდა თავთავას პირზე მომდგარი სიტყვა.

ხმა არავინ გაიღო.

— არც თავს ვარგივართ, არც სხვას, — ის იყო, გულმოცემულმა განაგრძო, რომ კარი გაიღო.

თოვლის სუნი შემოჰყვა ვეება კაცს. ვეება ტომარა ეჭირა ხელში. მარცვლები შეფიქრიანებული იცქირებოდნენ ჭუჭრუტანებიდან — ხუმრობა ხომ არ იყო, ეს ამოდენა ტომარა...

მერე მძიმე, კოჟრიანი ხელი გამოჩნდა. ღრმად, ძალიან ღრმად ჩაეფლო ტომრის პირი ბეღელში. მერე იმავე მძიმე ხელებმა ასობით მარცვალი მოიგდეს და ღონივრდ მოუსვეს.

— ეხლა წისქვილში წაგიღებთ, დაგფქვავთ, მერე პურს დააკრავს ჩემი ქალი, მერე... — ხმადაბლა, დინჯად ლაპარაკობდა კაცი, — მერე დაგეხვევიან ბალღები და ცხელ-ცხელი ლავაშებით ჩაიკოკლოზინებენ პირს. მაშ რა გეგონათ, ტყუილად კი არ გივლიდით მთელ ზაფხულს.

ისევ გაიჭრიალა კარმა, ჩხლაკ! — გაადინა ურდულმა და მძიმე ნაბიჯების ხმაც დაიკარგა.

აფორიაქებული ბეღელი კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. ამოდენა თვისტომთა უგზო-უკვლოდ დაკარგვამ ძალზე დააღონა მარცვლები. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა.

ჩხირა და კენჭა ტომარაში მოყოლილიყვნენ. მიიხედ-მოიხედეს და... სხვაც ბევრი აკლდათ. შიშნაჭამ მუცელას სლოკინი ავარდნოდა, შოშიტა ციებიანივით ცახცახებდა.

— დაწყნარდით, ხალხო, რა დაგემართათ... განა ისეთი რა მოხდა, ცხვირპირი რომ ჩამოგტირით, — სვენებ-სვენებით, ბებრულად აჩლიფინდა ვიღაც.

ხმა სულ ძირიდან ისმოდა. ტიტე გამოდგა. შარშან ღრეჭოში გახირულიყო, ვერ შეემჩნიათ, მთელი წელიწადი შემორჩენოდა ბეღელს.

— სხვანაირად არ იქნება, ხალხო, მოსახდენი უნდა მოხდეს კიდევაც. მე მაინც შემომხედეთ, ბებერ ტიტეს, მეორე წელიწადია კუტივითა ვდევარ ერთ ადგილას. ისე დავბერდი, აქაურობას არ გავცილებივარ, მეც მეთქმის რაღა, ამქვეყნად ვიცხოვრე-მეთქი! ანდა, რა, თქვენი ყურით არ გაიგონეთ, ბალღები უნდა დავაპუროო?

ცოტა დაშოშმინდნენ მარცვლები. მართალია, ტომარაში მოსახვედრად მაინც არავის ემეტებოდა თავი, მაგრამ ვიშვიში და წუწუნი მაინც მოშალეს.

ისევ წაება ღრეები ერთმანეთს. გაზაფხულამდე ორჯერ თუ სამჯერ გამოჩნდა კაცი. შოშიტა და მუცელაც გაუდგნენ თავ-თავიანთ გზას.

კარგა დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს ტიტესაც უწია რიგმა...

განახევრდა ბეღელი, იკლო უსაშველოდ გრძელმა ღამემაც.

სწორედ მაშინ იყო, ლაფში ამოგანგლულ კაცს სამი სხვაც რომ შემოჰყვა. მიწის სუნი შემოიტანეს თან. ბეღელი დააცარიელეს, სავსე ტომრებს პირი მოუკრეს და მინდვრებისაკენ წაიღეს.

დილის სუსხი ტომრებშიც აღწევდა. ბეღლის სითბოს ნაჩვევი მარცვლები ერთმანეთს ეკვროდნენ. გარედან კი შეძახილები და უცნაური გრუხუნი ისმოდა.

ის ტომარა, სადაც თავთავიც იყო, რკინის ორმოში ჩაცალეს. მერე ყველაფერი აძიგძიგდა, არახრახდა და, გაბრუებული მარცვალი გონს რომ მოვიდა, ვეება ბელტები წამოფარვოდა ზედ. გარშემოც მიწა იყო. ბნელოდა.

ჯერ შეკრთა, მერე დაფიქრდა და, ყველაფერი გაახსენდა თავთავას. გაახსენდა, როგორ წოვდა ღეროდან მაცოცხლებელ წვენს, როგორ უნანავებდა ძილმორეულს ღამის ნიავი, როგორ ათბობდა ჭიატა მზე — გაახსენდა და ყველაფერს მიხვდა.

ისევ ნელა დაიძრა დრო. დღისით ყრუ გრუხუნი ისმოდა ზემოდან, ღამ-ღამობით უცნაური ხმები მოჰქონდა ნიავს.

მესამე ღამეს პირველი ჭრილობები დააჩნდა თავთავას. კიდევ ერთი კვირის შემდეგ ბუსუსებმა ამოჰყვეს თავი ნაჭრილობევიდან. ერთი ღონიერი ღერო ზემოთკენ დაიძრა, დანარჩენები დაიტოტნენ, დაიტოტნენ და მიწას ჩაეკვრნენ. შეუმჩნევლად გადიოდა დღეები მათზე ზრუნვაში შეუმჩნევლად, ნელ-ნელა აკლდებოდა ძალა თავთავას.

და, ის დილა იყო, მზის სინათლე რომ იხილა მისმა გაზრდილმა, — განმრავლდიო, — თქვა და სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ნიჟი

ჩუმად მოვიდა ამქვეყნად. არავინ იყო მისი მნახველი მრუმე ღამის მეტი.

ცისა და მიწის შვილი იყო უნებური. ბალახის ღეროზე დაკიდული, პატარა და გამჭვირვლე. იმდენად გამჭვირვალე, რომ იქნებ ვერც შეგემჩნიათ. ყელყელა ბალახი, რომელზედაც ბინა დაედო, ერთხელაც არ განძრეულა. ფრთხილობდა, არ მომწყდარიყო ახალშობილი. ნიჟი გრძნობდა ამას და მადლიერებით ევსებოდა გული.

პირველ გათენებას ელოდა. ბინდბუნდში ძლივს არჩევდა ჩამუქებულ არემარეს. თავზე ტყე წამოფარვოდა. გვერდით, სულ ახლოს, რაღაც შრიალებდა. გუმანით ხვდებოდა — ნაკადული უნდა ყოფილიყო, შორიახლოს ღამეზე უფრო შავი, უზარმაზარი ჩრდილი გაქვავებულიყო. კლდე იყო, ალბათ.

არეული ფიქრების დალაგებას ლამობდა ნიჟი. ბალახი ბინა იყო მისი, ტყე — საფარი, არც პირქუში კლდე და სიპ ქვებზე გაწოლილი ნაკადული უნდა ყოფილიყო მისი ავის მდომელი. სასიკეთოდ მოვიდა თვითონაც ამქვეყნად. ოღონდ, ეს იყო, წვიმას უფრთხოდა. არა, არც მას სთვლიდა მტრად, მაგრამ... ამოკვნესასაც ვერ მოასწრებს, ისე შეერევა წყალს. გაიტაცებს მერე ღვარი, ააქაფებს, აამღვრევს ღელეში ან ხევში გადაჩეხავს. დაიკარგება სამუდამოდ.

ნაცრისფერი დაედო ცას. მოახლოებული ცისკარი თუ იგრძნო — ნელა იძრა ტყე. პირველმა ფოთლიანმა შტომ წაიჩურჩულა — გაიღვიძეთ, მობრძანდებაო საცაა. მერე კეწეწნი აჰყვნენ, აშრიალდნენ ფოთლები, მძიმედ შეირხა შავად დალაქული წიფელი, მსხვილი ვარჯი გაშალა ტანდამშხალულმა თელამ. ნაკადულს არ სძინებოდა — საამოდ არაკრაკდა, ხმა შეუერთა ტყეს.

მზე... მზე... მზე... — გადაიჩურჩულა მიდამომ.

მზე!... ჟრუანტელის მომგვრელი საიდუმლო იმალებოდა ამ სიტყვაში

შეუფაკლდა აღმოსავლის პირი ცას, სირიკონმა გადაჰკრა.

მოდის, მოდისო! — ფოთოლი ეუბნებოდა რტოს, რტონი კეწეწთ. შრიალით გადასცემდნენ ერთმანეთს გვერდი-გვერდ მდგარი ხეები ამ ახალ ამბავს.

მზე ამოდიოდა...

ბალახზე მიკრული ნიჟი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა. გული საგულეს აღარ ჰქონდა, აღარაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ მის გამოჩენას ელოდა. თუ შემამჩნევსო ამდენ ხეებში, ყვავილებში, ბალახში დამალულს. ერთ პაწაწა სხივს თუ გაიმეტებსო ჩემთვის.

მეწამული გახდა ის მხარე, საითაც მოლოდინით სავსე თვალები ჰქონდა მიპყრობილი.

მძიმედ, დარბაისლურად ამოცურდა ცეცხლის ბურთი ქედის პირიდან, ცხელი ოქრომკედი დააბნია მთაველს. აღტაცების ხმა აღმოხდა ტყეს. წელში გასწორდნენ ხეები, გაიმართნენ. ღამით გათოშილი მკერდი გაიღეღა კლდემ, მზეს მიუფიცხა. უფრო მხიარულად აჩხრიალდა ნაკადული.

ამოდიოდა მზე — ძლიერი, თბილი, იმედიანი.

მონუსხულივით გაირინდა ნიჟი. პირისახეში შეანათა ცხელმა სხივებმა ბალახზე აკრულ ცისა და მიწის საიდუმლოთი შობილს. გულამდე ჩააღწია, ჩაანათა, ალმური მოსდო. დაინთო, მარგალიტივით აბრჭყვიალდა ნიჟი, მზის ნაზი ლაციცი იგრძნო სახეზე და გაბრუვდა, სულ მიენდო.

ის კი მაღლა და მაღლა მიიწევდა.

საამო ალერსი ცხელ ხვევნად იქცა, სული შეეხუთა გაბრუებულს. შექანდა. მოდი ჩემთანო, ორთავ ხელით გამოუწოდა ნაკადულმა, უბეში ჩამეკარ, ვეღარას დაგაკლებსო მზე.

უარის ნიშნად თავი გააქნია ნიჟმა და გაიღიმა.. მკლავები მოუსუსტდა. ხელი ჩამჭიდეო, უნდოდა ეთქვა ბალახისთვის, ხმა ვეღარ ამოიღო. დაილია ნელ-ნელა, დაილია და მერე სულ გაჰქრა.

გაიგე, ბიჭო?!

სახედატეტკილი მოხუცი ჯავახი გამოდგა.

ათიოდე წლის ბიჭი მოჰყავდა თან. ცემში ამოვიდნენ. ჯერ ბიჭი, მერე მოხუცი. უხმაუროდ შემოემატნენ ავტობუსს. უკანა ადგილები ცარიელი იყო და იქ დასხდნენ.

მერეღა — როცა თხილამურებისა და ტურისტებისაგანაც დაიცალა ავტობუსი, შოფერმაც, ამაღამ ვეღარ გადავალთო ახალქალაქში — გავიგე, აქალქალაქისკენ მიდიოდნენ ისინიც. მოხუცი მოიღუშა, არც მე მეუბაშნიკა მთელი ღამის ტურბაზაში გათენება, მაგრამ ტყუილად არ ფრთხილობდა შოფერი, კარგა ბარაქიანად დაედო და თოვდა ისევ.

ვერც ის შევნიშნე წეღან, ბნელში, ახვეული ჰქონდა ბიჭს თავი. ეტყობა სტკიოდა კიდეც, მაგრამ არ იმჩნევდა — იჯდა თავისთვის და ტუჩებმოკუმული იცქირებოდა ფანჯარაში.

ადმინისტრატორმა ხელები გაშალა. რა გიყოთო, ერთი ადგილიც არა მაქვს თავისუფალიო. შეწუხება ვერ შევატყე მოხუცს, თუმცა საგანგაშოც არაფერი იყო — საკმაოდ თბილოდა მოსაცდელში.

მოზრდილი დარბაზი იყო. კედლების გასწვრივ კოხტა, მსუბუქი სკამები იდგა, ადმინისტრატორის ჯიხურის გვერდით მწვანეგადაკრული გრძელი სავარძელიც. იმ სავარძელზე ჩამოსხდნენ, იქვე დავდე ჩემი სამგზავრო ჩანთაც.

სპორტულკოსტიუმიანი ახალგაზრდები არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეზე. ჭყეტელა ფერები კიდევ უფრო ამხიარულებდა მზემოკიდებულ სახეებს.

ჩემს ნაცნობებს გადავხედე. ტურისტები ალბათ არასდროს აკლდა ამ მხარეს, მაინც სტუმარივით ეჭირა მოხუცს თავი. შავი ტყაპუჭი და მძიმე ჩექმებიც მოჟამულ ლაქასავით ედო მთელ დარბაზს.

კლუბში ავედი. რომ მოვბრუნდი — თორმეტი იქნებოდა უკვე — ტყაპუჭში გახვეულ ბიჭს გარდიგარდმო ეძინა სავარძელში. მოხუცი იქვე იჯდა.

ჯავახი გამოდგა. ოდნავ კეხიანი ცხვირი, დატეტკილი კანი და ჩაფერფლილ-ჩანაღვლიანებული გამოხედვა ჰქონდა. ბიჭი შვილიშვილი იყო მისი. ყურისძირში ტკივილი ასჩემებოდა, ვერაფერი გაეგოთ ახალქალაქში, მშობლებს პაპასთან გამოეგზავნათ ცემში, ბორჯომის ექიმებს აჩვენეო.

დასაწოლი ადგილი მაინც არსად იყო, ვისხედით მარტონი იმოდენა დარბაზში და ძილი რომ არ მოგვრეოდა, ხან რას ვამბობდით, ხან რას.

— პირველი ომის დროს გადმოვედით აქეთ, სამუშაოს ეძებდა მამაჩემი... რკინიგზა გაჰყავდათ მაშინ. დავრჩით და დავრჩით... აქვე დავოჯახდი. ვერ იქნა და ვერ შევეგუე. ნაჩვევი მიწა მაინც სხვაა. სულ ვაპირებდი, ვაპირებდი...

მძიმე-მძიმედ, რაღაცნაირი ჯავრით ლაპარაკობდა მოხუცი.

— ერთი მაინც მოვახერხე, შვილები დავაბრუნე უკან. აუტეხია ეხლა უფროსს, ამის მამას, — ბიჭისკენ გააქნია თავი მოხუცმა. თბილისში უნდა გადავიდეო, გზაზე უნდა დავაყენო ბავშვებიო. განა ტყუის, მაგრამ... იმას აღარ ფიქრობს, რად ვუტოვებო, ვის ვუტოვებო მამაპაპის სახლ-კარს. წავა და, უპატრონოდ დაგდებულმა თაფლმა ბუზი იცის. მერე როგორი, საცა ერთი უხეირო იქნება, იქ მოგროვდება. ძაანაც მოინდომო, აღარ გაგაკარებს მერე. შენაო? მეუბნება ჩემი უფროსი ვაჟი, შენ თვითონო?.. მე რა, შვილო, ჩემი დრო მოჭმულია-მეთქი, ან კი რიღას მაქნისი ვარ, გინდა ვყოფილვარ, გინდა არა. შევცდით... მეცა და მამაჩემიც... გაჭირვებამ შეაცდინა საცოდავი. არ უნდა შემცდარიყო, მაგრამ ვიღა არ შეცდა მაშინ... ყოფილხარ ჯავახეთში? — უცბად მომიბრუნდა.

თავი გავაქნიე.

მოხუცმა რაღაცის თქმა დააპირა, გადაიფიქრა თუ რა, გაჩუმდა და მერე:

— მე, ჯავახეთს, რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითო... — აღარ დაამთავრა. — ეს მაინც გექნება გაგონილი.

გაგონილი მქონდა.

— თუმცა, რას ვიქაფებ ამ პირს, სხვისა ჭირიო... იქნება სხვისაც არ იყოს, მაგრამ მაინც. ხალხი ცვლისო დროს, ხომ ამბობენ, პირიქით კი არის.

ტყაპუჭში გახვეული ბიჭი ჩუმად კრუსუნებდა ძილში.

ვიღაც მწითური კაცი გამოფრატუნდა გვერდით ოთახიდან. კედლის საათს გახედა, მერე ტურბაზაში შემოსასვლელი კარი ჩაკეტა და მთქნარებით ჩამოჯდა იქვე. ერთხანს გაშტერებული შემოგვცქეროდა, ნამთვრალევი თუ იყო და ვერ მიმხვდარიყო, ვინ ვიყავით, ან რას ვაკეთებდით. კარგა ხანს ეძიძგილავა ფიქრებს, მობეზრდა მერე, მოშლილ სამართავ თოჯინასავით ააკანტურა თავი. მოეღრიცებოდა, მოეღრიცებოდა და სკამის საზურგეს დაურახუნებდა. ისევ გასწორდებოდა, ძალიძალად დაჭყეტილი თვალებით გადმოგვხედავდა და ისევ მოჰყვებოდა კანტურს.

— ეგე, ბედნერი კაცი. მიდი ეხლა და იძახე, რა მიშავდაო. მაგას ეხლაც არაფერი უშავს.

რაღაც გამოცანებით ამბობდა ჯავახი.

— ახალქალაქში რისთვის მიდიხარ, შვილო?

— პრაქტიკაზე. მათემატიკის მასწავლებლად გამანაწილეს ორი წლით.

— კარგი ხელობაა. — თავი დააქნია მოხუცმა.

— სკოლა ერთი უნდა იყოს ახალქალაქში.

— იმოდენა ქალაქს ერთი რას ეყოფა, ოთხია, მაგრამ შენ ალბათ ქართული გაინტერესებს. ერთია. — მიპასუხა და მერე სულ გაჩუმდა.

ტყაპუჭში გახვეული ბიჭი ისევ კრუსუნებდა ძილში.

დილით რამდენიმე კაციც დაგვემატა და ახალქალაქის გადასასვლელისაკენ აუყვა გზას ჩვენი ავტობუსი.

უკანა სკამებზე ვსხედვართ. ავტობუსში ათი კაცი ძლივს იქნება, პაპა-შვილიშვილი მაინც ყველაზე უვარგის ადგილებზე დაბარგდა. ვატყობ, ბიჭსაც აწუხებს ჯაყჯაყი, ერთ-ორჯერ პაპასაც ახედა, მაგრამ არც ადგილი გამოუცვლია და არც რამე უთქვამს.

წუხანდელი გაფერადებული დარბაზი მაგონდება, კუთხეში სტუმარივით მიმჯდარი პაპა-შვილიშვილი, ჭყეტელა ფერები და მოჟამული ტყაპუჭი.

სანამ ბაკურიანს კარგა არ გავცდით, გზაზე კიდევ გვხვდებოდნენ ტურისტები.

— გართობა და დროსტარება იცოცხლე, კარგია, როცა გემხიარუ-

ლება, — ჩაილაპარაკა მოხუცმა, როცა ერთ მოზრდილ ჯგუფს ჩავუარეთ.

ეტყობა, ძალზე გაღიზიანებული იყო შვილის ქცევით. ეგეთებზე სიბერის დროს უფრო ფიქრობს ხოლმე კაცი. ახლა, თვითონაც რომ წილი ედო ამ საქმეში?

გაუთავებელი აღმართები დაიწყო. ხმა სულ ჩაეხლიჩა ავტობუსს, წვალებ-წვალებით მიუყვებოდა ზევიდან ჩამოგდებულ გზას.

მოხუცი საგუშაგოსთან უნდა ჩამოსულიყო. ახალქალაქში არ აპირებდა, მაგრამ თუ გამატარეს, ჩავაკითხავ, სალაპარაკო მაქვს ჩემს ბიჭთანაო.

ვუახლოვდებოდით გადასასვლელს და მოხუცსაც მოუსვენრობა დაეტყო, ალბათ, მართლა კარგა სალაპარაკო ჰქონდა შვილთან.

როგორც იქნა, აილია ავტობუსში აღმართი, მერე ცოტაც გაგორდა და შედგა.

ორი ქურქიანი ჯარისკაცი მოგვიახლოვდა. ერთი გარეთ დარჩა, მეორე ავტობუსში ამოვიდა.

— პასპორტები!

ხმაც ბავშვური ჰქონდა სერჟანტს.

ეგ არის, ეშველა-მეთქი მოხუცს, ვიფიქრე.

სერჟანტი აუჩქარებლად სინჯავდა საბუთებს.

— თქვენი?

მოხუცმა ერთი კი ახედა და, არ ვიცი, რა წაიკითხა ისეთი ამ ჯერ კიდევ შეუღინღლავ სახეზე, რომ წამოდგა და კარისაკენ წავიდა. იქიდან კიდევ გამოგვხედა, ჭკვიანად იყავით, ბიჭს გამოსძახა და ჩავიდა.

სერჟანტიც მორჩა შემოწმებას. შოფერმა კარი მოხურა და ძრავა ჩართო. მოხუცი ჯავახი თოვლზე იდგა.

ავტობუსი ნელა დაიძრა. ახლაღა გაახსენდა თუ წელან არა თქვა, ეს კი იყო, ისე აიქნია მოხუცმა ხელი, რაღაცის თქმას აპირებსო.

— გაიგე, ბიჭო?! — ძლივსღა ისმოდა ბებრული ხმა, — მამაშენს გადაეცი... — ბოლო სიტყვები ქარმა და ძრავის ხმაურმა ჩაყლაპა.

ბიჭი კარგა ხანს ფანჯარაზე იყო აკრული, თოვლზე შავ ლაქასავით დარჩენილ პაპას გასცქეროდა...

„აბა, თუ ერთი გაიცინოს!“

გაკუშტებული მზერა მოაცილა სალომემ ავტობუსის ფანჯარაში სურათივით ჩადგმულ რძლის სახეს, ხილაბანდის ბოლო შეისწორა და მტვრიან შარას გახედა.

„ის კაცი სადღა დაიკარგა, მოგეწევითო, ეგრე მიეწიოს მამაჩემს!“

პატარა ავტობუსს ალალბედზე აკრეფილი მგზავრები გამოხუნებულ უბეში ჩაესხა და ციებიანივით ცახცახებდა.

— ჰა, სალომე, რა იქნა შენი კაცი, გვაგვიანდება! — გადმოსძახა გზის პირას გაქვავებულ დედაკაცს შოფერმა და ძრავა გამორთო, — ეგრე ამაღამაც ვერ ჩავალთ ქალაქში.

— ვერ ჩავალთო? — აროხროხდა სულ ბოლო სკამზე გაჯგიმული კაცი და ლაჯებქვეშ ამოდებულ შენოტივებულ ტიკს წაუტყაპუნა ხელი, — ვერ ჩავალთ და... ეს ავტობუსი ხომ ჩვენია, შოფერიც ჩვენებური, ვეღარსად მივაყენეთ?!

ხილაბანდიანმა დედაკაცმა ისევ შვილსა და რძალს დაადგა თვალი.

„აბა, თუ გაიცინოს!“

ცეცხლი უტრიალებდა სალომეს.

„რათ უნდა, რა! ოქროსავით ბიჭი ჩაიგდო ხელში. გაჩენაზე არ დადგომია ძალა და გაზრდაზე. ქალაქში ჩაიყვანს და იქ გამართავს ტაშფანდურას. უიი, მეხი კი დაგაყარე მაგ ცხვირპირზე!“

ქალ-ვაჟი წინა სკამზე იჯდა. ბიჭი სოფლიდან მომავალ შარას გასცქეროდა. გოგო პატარა ჩანთას აწვალებდა და ვერც ბიჭისკენ ბედავდა გახედვას, ვერც გზის პირას გაჩერებულ დედამთილისაკენ.

„არ მოვეწონე, ალბათ“.

სულ მოეღუშა ისედაც გამშრალი სახე.

— ღრრრ! — შოფერმა ძრავა ჩართო.

— გადმოადგი ფეხი, კაცო! რას ალოდინებ ამ ხალხს.

თუშურქუდიანი კაცი დინჯად მოუახლოვდა ავტობუსს.

— სად დაიკარგე. ეგ არის, ეხლავე მოგეწევითო, აგრემც მიეწიე მამაჩემს?! — შეკავებული ჯავრი ქმარზე იყარა სალომემ.

— რა იყო. ქალო, დაიქცა ქვეყანა? ძაან შეგაგვიანე, მიხო? — ახლა შოფერს მიუბრუნდა, მერე გამარჯობა უთხრა მგზავრებს და ათუხთუხებული ავტობუსის საფეხურზე შედგა ფეხი.

შვილი და რძალი გადაკოცნა, რაღაც ამოაწყო აქეთ-იქითა ჯიბიდან, გოგოს ჩაუწყო კალთაში. აბა, ჭკვიანად იყავითო, ჰა, რაღას უყურებ, გაუჯავრდიო, შოფერსაც გასძახა და ძირს ჩამოვიდა.

ახლალა მოატრიალა გოგომ გზისაკენ სახე. ჭინკები უხტოდა თაფლისფერ თვალებში.

— დახე! დახე! მაგ უგბილს! განგებ მიშვრება, გულზე მხეთქავს ეხლა! — მუჭით იკავებდა სალომე პირზე მომდგარ ბოლმას.

ავტობუსმა ერთი ამოიხვნეშა, დაიძაგრა და ბუქში გაახვია გზის პირას მდგომი ცოლ-ქმარი.

— იმისგან რა მინდა, ჩემი უნდილის ბრალია ყველაფერი, საცა ერთი უხეიროა...

— რას ატყდი, ქალო, აღარ დააყენებ მაგ სამგლე პირს?!

— მაინც სად მონახა? — არ ცხრებოდა სალომე, — ლაპარაკი მაგან არ იცის და...

რაღაც გაახსენდა მერე.

— ჰო, ვაჟბატონო, — მიუტრიალდა ქმარს, — რას ეკურკურებოდი იმ შენ რძალს? ჰა, თქვი, რას გაჩუმებულხარ?

— ნეტა, რა ეშმაკი შეგიძვრა დღეს? რა უნდა მეთქვა, ჭკვიანად ყავი-მეთქი.

— ჯიბეში, ჯიბეში რაღა გეწყო?

— არაფერი, ორი ბროწეული ამოვუტანე ბაღიდან, დილითვე შევატყე, მოეწონა.

— ბროწეულიო? ორი რაღა იყო... — თავისთვის ბუტბუტებდა სალომე და მტვრიან გზაზე მისდევდა ქმარს.

ფესვები

მრავალი წლის შემდეგ, დიდი პაპის საფლავს რომ აჩვენებს შვილს, ეს დღე გაახსენდება.

* * *

— გიო სულ ჩვენთან იქნება, პაპა?

— ჩვენთან, მაშ!

ორთვალა სიპ ქვებზე არახრახდა და ყვავიანთ წყაროს გაუსწორდა.

— დილა მშვიდობისა!

— იცოცხლე, გიორგი! — წყალთან შეგროვილმა დედაკაცებმა თვალი გააყოლეს კოფოზე შემომსხდარ პაპასა და შვილიშვილს.

ფერდებგახუნებულმა ცხენმა წყაროსკენ მიღრეცილი თავი ისევ ძირს დახარა და მტვრიან შარაზე წაიღო ორთვალა.

— კბილები მართლა ამოუვა?
— ამოუვა, მაშ!
— თმაც?
— თმაც.

ნაცრისფერი ლეღვები გაჯგიმულან ორღობის პირას, ეზოებიდან ინდაურების კავკავი ისმის.

— იმ თავკომბალამ როგორ უნდა ისწავლოს ლაპარაკი! — დანდობილად წამოიძახა და პაპას ახედა ბიჭმა.

„თავკომბალა“ ამ გაზაფხულზე მოიყვანეს შინ. ვის მოუყვანეს, რისთვის — ვერ მიმხვდარიყო ბიჭი, სათამაშო სხვაც ბევრი ჰქონდა.

— ეგ ვინღა გითხრა?
— ბებომ. გამოჭრილი თავკომბალა პაპამისიაო.
— კიდევ რაო! — ყასიდად იწყინა ბერიკაცმა.
— ბებია ენაცვალოსო, სამი თვისა გახდა დღესო. ჩემო სიცოცხლეო, ჩემო თვალის ჩინოო... — თავი ჩაღუნა და უფრო ახლოს მიიწია პაპისაკენ.
— შენც უნდა მოეფერო, შვილო. აწვალებსო, დედაშენმა მითხრა, ხან მუჯლუგუნს წაჰკრავსო, ხან თავზე მოუჭერსო ხელს. პატარაა, რბილი ძვალი აქვს, მოსტეხავ რამეს.

გადასახვევამდე ხმა აღარ ამოუღია ბიჭს.

აკი მოეფერა კიდეც, კოცნაც დაუპირა. აკოცნინა, რო? ჰყავდეთ თავიანთი თავკომბალა, ეფერონ და ეფერონ...

თქმაც არ დასჭირებია, ვენახებისკენ დაუხვია ცხენმა.

დილის სიგრილე ნელ-ნელა აორთქლა ჭიატმა მზემ. ოღროჩოღრო შარა ლეღვისფერი გახდა. დაცხა.

ტიტლიკანა ბიჭები გაწოლილიყვნენ არხის პირზე, რაღაცას იღეჭებოდნენ.

უბეში ჩაიყო ხელი, ჩურჩხელა ეგულებოდა იქ. ისევ ისე უჩუმრად ამოედო ბებოს ბალიშქვეშ.

— ჩურჩხელას... — გაუბედავად დაიწყო, — ჩურჩხელას გიოსაც აძლევს ბებო?
— არა, შვილო, ძუძუსა წოვს ჯერ.
— რატომ, პაპა?
— ჭამა ხომ უნდა, შვილო.

ბოლო მოაკვნიტა ბიჭმა ჩურჩხელას, მერე ბაწარი შუათითზე დახვია და „საგზალი“ კოფოზე აარახუნა.

— დედაშენიც ეგრე წოვდა, მამაშენიც.
იცოდა, ხუმრობდა პაპა.
— შენცა? — ჭინკები გაუხტა ბიჭს თვალებში.

— ჰო. — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა პაპამ და სადავე დაატყლაშუნა.

სიცხისა თუ გზის ერთფეროვნებისაგან გალაქებულმა ცხენმა ნაბიჯს უმატა.

— გახსოვს, ბოთორა რომ მოგიყვანე, თეფშიდან რომ ახვრეპინებდი რძეს, ტახტის ქვეშ რომ იწვენდი?

— მახსოვს, პაპა.

— ისა, ღრიალი რომ მორთე, გარეთ ნუ გააგდებთო?

— ისიცა.

— ამასწინებზე კანჭებში რომ გწვდა, ლეკვებთან რომ არ მიგიშვა?

— ᲐᲐᲛᲔᲪ.

— ახლა თვითონ აწოვებდა, შვილო...

ბიჭი გაჩუმდა. მერე ბოლომოკვნეტილი ჩურჩხელა უბეშივე შეინახა და ვენახებისკენ ოკრობოკროდ დაგდებულ ნაცრისფერ შარას დააცქერდა...

• • •

ჯერ კი ხუთიოდე წელიწადი გავიდა... ქარბორბალასავით ჩაიარა დიდმა ომმა. ჩაიარა და უმამოდ დარჩა ბიჭი. პატარა გიო რაღაც უცნაურმა ავადმყოფობამ წაიყვანა. დედა გათხოვდა. ბებო ძლივსღა დაფაჩუნობს ეზოში.

• • •

— სარაოდ მოგირთავს ეს ბიჭი, დასანიშნად კი არ მიმყავს!

— ამოდი, შვილო, ამოდი. ეგ რომ ვირზე შეჯდება, მთელი სოფელი დაადგეს, ვეღარ გადაათქმევინებს. ამოდი, გაიხადე.

„გაატიტვლებს ეხლა მაგ ბიჭს, ხელფეხდასხეპილს ამოიყვანს, იქნებ ლოგინშიც უკრას თავი, — უკვე თავისთვის დუდღუნებს დედაკაცი. — ეს ეშმაკის კერძიც რომ აეკრობა და აღარ მოსცილდება?! ან კი რას ვქაქანებ, მაგის ჯილაგისა არ არის ეგეც? ეხლავე ეტყობა, რაც გამოვა!“

პაპა-შვილიშვილი კი გზას ადგას უკვე.

მზე გახურდა, ისე გახურდა, რომ ხეშეში ძურწა ჭინჭარივით ისუსხება. მეოთხე რიგიც რომ ამოათავეს, შევისვენოთო, პაპამ, რუში ამოიბანეს ხელები.

ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲐᲡ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ.

მორჩენილი კიტრი და პამიდორი გვერდზე მიაწყო ბერიკაცმა, ფეხები გაშალა. ცარიელი აბგა ამოიდო თავქვეშ.

— მართლა დალოცვილი ხეა.

— რაზე ამბობ, პაპა?

— კაკალზე, შვილო. ნაყოფი ხომ კარგი აქვს და ჩრდილს ნუღარ იტყვი, ერთსაც ვერ ამოუყენებ გვერდით.

— ეგეთი რა არის, რო?

— ბუზს არ იკარებს, შვილო. არა, ერთი ძირი რომ დარგო და უთხრა, გამირეკეო, ვერ გარეკავს, მაგრამ შემოავლე გარშემო ეზო იქნება თუ ბაღი და ნახავ. იმიტომაც უყვარდათ ძველებს.

— ეხლა, რა...

— ბევრს დაავიწყდა, შვილო. თითო ოროლასღა ახსოვს. ერთალია მიადგნენ ეს მამაცხონებულები, აქაო და, ლამაზი ავეჯი იცისო, ჭრეს და ჭრეს. ღმერთი რომ კაცს დასჯის, ჭკუას წაართმევს ხოლმე. რა კარგად უთქვამთ?!

— ვენახების პირზე სულ კაკლები არა დგას?

— დგას, როგორ არა დგას, — მოხუცი ერთხანს გაჩუმდა, — კახში გადავიდოდით ხოლმე ტახზე. აი, კაკალი იქ იცის, ეეჰ...

ნელ-ნელა ილევა დღე.

ხელ-ფეხი მართლა დაისხიპა ბიჭმა, ალესილ დანასავით ისერება ეს ოხერი ალაფა! აკი ვამბობდი, აკი ვამბობდიო! შეიცხადებს ბებო და სალაპარაკოდაც ეყოფა დაღამებამდე.

შინისკენ მიუყვებიან გზას პაპა და შვილიშვილი. მოხუცი ხელცარიელი მიდის. პამიდვრით, ვაშლითა და კიტრით სავსე აბგა ბიჭს ჰკიდია მხარზე.

— აღარ მივალთ? — უფრო და უფრო ემძიმება ბიჭს ტვირთი.

— მივალთ, შვილო, მივალთ. — ბანზე უგდებს სიტყვას ბერიკაცი.

* *

ეს დღეც გაახსენდება წლების მერე. ერთ უბრალოდ ამობურცულ მიწასთან იდგება მამა-შვილი. ჩრდილოეთით, ხის ჯვარი ექნება ბორცვს — სამხრეთისკენ პირშექცეული დაუსაფლავებიათ დიდი პაპა. გაკვირვება და წყენა დაეტყობა ბიჭს სახეზე — სულ სხვანაირად წარმოედგინა ყველაფერი...

ჩაშავებულ-ჩაჭიანებული ორი ბრტყელი ჯოხი და პატარა ბორცვი. გარშემოც ასეთივე ბორცვები, ბალახმოდებული მიწა, სიჩუმე და ეთერი პეპლები.

„აბა, სად არისო გიორგი პაპა“, სწორედ ასე იკითხავს ბიჭუნა.

გაუძნელდება თქმა. მაგრამ წლების მერე იქნება ეს.

* *

ბერიკაცი ღუმელთან, გვედოზე ზის და წალდით ჩორკნის პირმრუ-დე ფიცარს. დროდადრო გაჩერდება, თან ფიცარს ათვალიერებს და, თან შეშის ტკაცატკუცს უგდებს ყურს.

შორიახლოს, ძველებურ ტახტზე ათიოდე წლის ბიჭი პირქვე გა-წოლილია, იღლიებში მუთაქა ამოუდვია, ზედ ნიკაპითაც დაჰყრდნო-ბია და წიგნს ჩაჰკირკიტებს.

თოვს ფანჯრებს იქით.

— ბარონი მიუნჰაუზენი თუ გაგიგონია, პაპა?

მოხუცმა ფიცარს თავი ანება და შემობრუნდა.

— როგორა თქვი? ბარონი მაუნ...

— მიუნჰაუზენი, პაპა.

— რაო, ვინ არი, რა მოხელეა.

— დიდი მოგზაური, პაპა. მთელი მსოფლიო შემოუვლია.

— ნადირზე თუ უვლია, შვილო. — კითხულობს პაპა და ჩორკნას აგრძელებს.

— უვლია რომელია. ჩვენსავით თითო-ოროლა კურდღელს კი არ დასდევდა ბალახაანთ სერებზე! ერთხელ ლომების ჩხუბს შესწრებია. თვალის დახამხამებაში შეუსანსლავთ ერთმანეთი, კუდებიღა დარჩე-ნილა მარტო.

მოხუცს დაფანჩული წარბები უტოკდება. თავს აქნევს და ეღი-მება.

— ომში თუ ყოფილა ეგ შენი...

— მიუნჰაუზენი, პაპა.

— ჰო, როგორც არის. თოფი თუ უსვრია.

— უსვრია და მეტი არა? ზღვაში ჩაუძირავს მთელი ფლოტი, ცა-რიელზე დაუსვამს სულთანი.

ბერიკაცს ისევ ეღიმება.

წიგნი განზე გადადო ბიჭმა, ტახტიდან ჩამოცურდა და პაპასთან მოკალათდა.

ღუმელს ტკაცატკუცი გაუდის, ალბათ ისევ თოვს ფანჯრებს იქით.

— შენც ხომ გიომნია, პაპა.

— ცხრაასთოთხმეტში, შვილო, მაგრამ...

— რა ბაგრამ? შენ არ მითხარი, ჟამმორეულივით იხოცებოდა ბალხიო?

— ჰო, მაგრამ... მიწასა და მონაგარს თუ არ გეცილება, არ უნდა მოკლა კაცი.

— მერე...

— არც მინდოდა, მაგრამ ძალად გვაომებდნენ, შვილო.

— მამაჩემი?

— მამაშენი არაკაცს ეომებოდა. არაკაცი კი ყველას მტერია.

— იმ ბარონზე რატომ გეცინებოდა, პაპა?

— ტყუილად გარჯილა, შვილო. ისიც რა ვიცი... რაღა არ წერია წიგნებში. ეგეც არ იყოს, ოსმალოსთან... მენახა, ვეტყოდი მაგ შენს ბარონს...

— რას, პაპა? — თვალები უთამაშებს ბიჭს.

— ბალიშქვეშ ამოდე, არსად დაგეკარგოს-მეთქი ეგ შენი ტყუილი. მაშ, ერთმანეთი გადასანსლესო? ისე, ხუმარა კაცი კი ყოფილა ეგ შენი მაუნ...

— მიუნჰაუზენი.

— ჰო, მაგრამ ერთიც ვნახოთ და, იმ ჩვენი სულკურთხეული ზღვდლის ადგილზე ყოფილიყო...

— ეგ რომლის, პაპა.

— თევდორესი, შვილო, განა არ მითქვამს?

— თქვი რა, პაპი?

მოხუცი წალდსა და ფიცარს ძირს აწყობს და შორიდან, შორიდან ჰყვება.

ღუმელი გუგუნებს, მრგვალ ნასვრეტებს შიგნით აბურთავებული ცეცხლი ოქროსფერ ნახატებს დაათამაშებს ოთახის კედლებზე. ბერიკაცის ფეხებთან მიყუნცულ ბიჭს ერთხელაც აღარ გახსენებია წიგნი.

მერე ლოგინში ჩააწვენს პაპა. დიდხანს, დიდხანს იწვება თვალებგახელილი. ანაფორიანი კაცი და ხმალალესილი თათრები დაესიზმრება ძილშიც.

* * *

„რა იქნაო გიორგი პაპა", გაუმეორებს ბიჭუნა. წლები გაივლის მანამდე. გაზაფხული იქნება და ზედ ბორცვზე ამოსული ველური ყვავილი მოხვდება თვალში.

„ეგ არისო... დიდი პაპა..."

„მორწყვა არ უნდა, მამა?"

„გაალაღებს უფრო, მაგრამ ფესვი აქვს ისეთი, გაძლებს უმაგისოდაც..."

„რა ღონიერი ყოფილა". მორიდებით იტყვის ბიჭი.

„... ღონიერი, შვილო..."

წინდები

— მწნილი, მწნილი მიყიდე, გესმის?!

— ხომ იცი, ვერ მოვასწრებ.

— ადრე ყოველთვის ასწრებდი, ახლა შენი სამსახურის მეტი აღარაფერი გახსოს. მწნილი მიყიდე! გესმის?! პამიდვრის მწნილი, სულ ცოტა მაინც. — თვალები შეუნოტივდა და ბავშვივით გამობურცა ტუჩები.

— კარგი, კარგი! იქნებ მოვახერხო ადრე გამოხვლა, კარგი. შევივლი ბაზარში და გიყიდი. — უგერგილოდ მოუთათუნა ხელი ტალდაყრილ სახეზე.

— ალუჩასაც ხომ მიყიდი.

— გიყიდი. შედი ეხლა შინ, მაგვიანდება.

იხვივით მიმავალ ცოლს ღიმილით გააყოლა თვალი.

იმ დღეს ვეღარაფერს მოაბა თავი. ჯერ იყო და, სამსახურში დაიგვიანა. მერე, უკვე გამოსაცდელად გამზადებულ აპარატს რაღაც გაუფუჭდა. სანამ აპარატს შეაკეთებდნენ, დირექტორმა გამოიძახა და რომელიღაც ქარხნის დაკვეთის შესრულება დაავალა. ბოლოს იმდენი საქმე დაუგროვდა. რომ აღარც ცოლი გახსენებია და აღარც შეპირებული მწნილი. სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული გამოვიდა, ფეხით აუყვა ქუჩას. ბაზარს რომ მიუახლოვდა, მაშინღა მოაგონდა დანაპირები და ნაბიჯს აუჩქარა. სულზე მიუსწრო. დახლებთან აქა-იქ შემორჩენილი გლეხებიღა ვაჭრობდნენ. ბოლოსკენ გასწია — იქ, სადაც მწნილი ეგულებოდა.

ამ დროს ბაზარი სისხლნაკლულ ავადმყოფს ჰგავს. ის ფუსფუსი, ეშხსა და ლაზათს რომ მატებს, უკვე ჩამქრალია და მინელებული. დროგამოშვებით სამსახურიდან შემოვლილი, თითო-ოროლა ფეხაჩქარებული მყიდველი თუ გამოჩნდება, ისინიც ამაოდ ეძებენ გამქრალ ბოსტნეულისა და ხილის გორებს, ათვალწუნებით შეჰყურებენ დაცარიელებულ დახლებს, აქეთ ამას დაიწუნებენ, იქით იმას და ნირწამხდარნი და ხელცარიელნი ტოვებენ იქაურობას.

ერთგან წინდებს მოჰკრა თვალი. ხილაბანდიან დედაკაცს სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვაფერად ნაქსოვი დახლზე ჩამოემწკრივებინა. ქათქათა მატყლის წინდებს შორის აქა-იქ ჭრელი პაჭიჭებიც მოჩანდა. სულ განაპირას რამდენიმე წყვილი ერთი ბეწო, ლურჯ არშიაშემოვლებული, თოვლივით თეთრი წინდებიც შენიშნა.

დაღმა დაჰყვა დახლებს.

— კარგი ალუჩა, ცოტაღა დარჩა. — ეპატიჟებიან დაღლილი ხმით.

— აბა, მარწყვი, იაფად. — ხრინწიანი ხმით უხმობს სახედაშაშრული კაცი და თან დაჭყლეტილ მარწყვს ცალკე აწყობს.

„რა სასაცილო წინდები იყო“.

ბოლომდე არ იყო ჩასული, შედგა და უკან გამობრუნდა. ხილა-ბანდიანი ქალის წინ შეჩერდა. ერთხანს ყოყმანობდა.

— რა ღირს? — როგორც იქნა გადაწყვიტა და ხელით ერთი ციცქნა წინდებზე აჩვენა.

ფული გაუწოდა, წინდები შეახვია, გულისჯიბეში ჩაიდო და გასავლელისაკენ გასწია.

ავტობუსში ისე იფარავდა უბეს, თითქოს შიგ ცოცხალი არსება ჰყავდა და არ გამიჭყლიტონო.

ცოლი კარებში შეეგება.

— ხომ მოძიტანე მწხილი?

— მწნილი...

— დაგავიწყდა. რა თქმა უნდა, დაგავიწყდა. — ღიმილი სახეზე შეაშრა და თვალები აუწყლიანდა.

— კარგი, გაჩერდი ეხლა...

— დამანებე, თავი დამანებე!

— კარგი, კარგი, ხვალ აუცილებლად მოგიტან... იცი, წინდები ვიყიდე... სულ ერთიბეწო...

— რა წინდები... ვის უყიდე...

გულისჯიბიდან ფრთხილად ამოიღო პატარა ფუთა და გახსნა. ორივე წინდა ხელისგულზე ეტეოდა.

ჯერ გაოცება დაეტყო, მერე სულელურად გაეცინა და შებრუნდა-ტირილისა თუ სიცილისაგან ოდნავ უცახცახებდა მხრები.

ქუჩა ცარიელი იყო

დაცარიელებულ დერეფანში, ფანჯარასთან იდგა და სველ ქუჩას გასცქეროდა. პირველკლასელებიდან აღარავინ დარჩა — ზოგი იქვე ცხოვრობდა, დანარჩენებიც მშობლებმა წაიყვანეს. საცაა დედაც უნდა მოსულიყო.

რაღაცნაირად სასაცილოდ წვიმდა. ზოგან ჩანდა, ზოგან კი არა. ორსართულიანი სახლის შესასვლელს ან გუბეებს თუ გაუშტერებდა თვალს, წვიმა მართლა მოდიოდა, ისე კი არა. შესასვლელის მუქ ოთხკუთხედში უთვალავი ნემსის წვერი ჩამორბოდა, პატარ-პატარა წრეები ჩნდებოდა პრიალა გუბეებშიც, ჩნდებოდა და აქეთ-იქით გარბოდა. ნაცრისფერ ქუჩას ნელა ჩამოხაზავდა ხოლმე დონდლო ფიფქი, დაეტყეპებოდა ასფალტს და მაშინვე ქრებოდა, მაინც ყველაზე მე-

ტად ეს სველი ფიფქები უხაროდა. შარშანაც ეგრე დაიწყო, მერე ითოვა, ითოვა და ახალი წელიც მოვიდა.

ცივ მინას მიადო ლოყა და ქუჩის ბოლოს გახედა. დედა არ ჩანდა.

გუშინ გათბობა ჩართო მამამ. დედამ ჩაართვევინა. ისეთი ცივი აღარ იყო ლოგინი. ეს ერთი კვირაა სულ წვიმს. წუხელაც წვიმდა. გოგიას ძაღლის წკავწკავიც ისმოდა, სველი თუ იყო და სციოდა.

გიო ალბათ მოიყვანეს ბაღიდან — მამა მოიყვანდა. დაბაჯბაჯებს ახლა ოთახიდან ოთახში. იმ დღეს წიგნები ამოუყარა ჩანთიდან. იატაკზე გაშალა და თვითონაც დიდი კაციკით მიუჯდა. კითხვა მაინც იცოდეს. რა სულელი ბავშვია. სარკეში თავისი თავი რომ დაინახა, სხვა ეგონა. ვაშლი გაუწოდა. მერე ისევ გაიმეორა და სიცილი დაიწყო. შენც ეგეთი იყავიო, დედამ უთხრა, ერთხელ პამიდორი მოგეცით გასარეცხად, საპნით გაგერეცხაო.

— აქ რას უდგეხარ?!

აიხედა და რაღაცის თქმა დააპირა.

დარაჯმა ისევ გაუმეორა.

— აბა, მოუსვი სახლში!

ჩანთა აიღო და კარისაკენ წავიდა.

ქუჩა ცარიელი იყო. ზზზ! — გაიზუზუნა წითელმა „მოსკვიჩმა", ორი თუ სამი გუბე თვალის დახამხამებაში გადმოღვარა ტროტუარისკენ, დანარჩენებშიც არია წრეები და მოსახვევში მიიმალა. ფეხსაცმლის პაკაპუკით ჩაიარა ქოლგიანმა ქალმა.

ნეტავ, რატომ არ მოდის დედა?!

ისე სასაცილოდ აღარ წვიმდა. მუქ ოთხკუთხედშიც ახლა უფრო კარგად ჩანდა ნემსის წვერები. ოღონდ უფრო ცივი და წვეტიანი. შესასვლელის თავზე, ფანჯარასთან, ბიჭი იდგა. თეთრი ლეკვი ეჭირა ხელში. ბიჭი ქუჩისკენ იშვერდა თითს, თან ძაღლს ელაპარაკებოდა. მერე რაფაზე დასვა, მინაზე ორიანი მოხაზა და ვითომ ცრემლის მოსაწმენდად, თვალებისკენ წაიღო ხელისგულები.

მეტი რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, თეთრი ლეკვის პატრონს ენა გამოუყო და შემობრუნდა. ქუჩა ისევ ცარიელი იყო.

სახლში ახლა თბილა. ალბათ მარტო გოგიას მურა დარბის ქუჩაში.

რომ არ მოვიდეს?!

სკოლის მერე საბავშვო ბაღია. მერე — გადასასვლელი. ჯერ მარცხნივ უნდა გაიხედოს, მერე — მარჯვნივ. კინოს აფიშასთან ჩერდება ექვსი ნომერი...

მეორე სართულზე ფარდა ჩამოეფარებინათ. ისევ იმ ქოლგიანმა ქალმა გამოიარა. რძის ბოთლები და მწვანილი ეწყო პარკში.

ვიღაცამ ფანჯარაზე მოუბრახუნა. დერეფანში, მინებს იქით, დარაჯი იდგა. თითით ემუქრებოდა. მერე ხელითაც ანიშნა, წადიო. მარ-

ჯვენაში გადაიტანა ჩანთა და კედელ-კედელ გაუყვა სველ ასფალტს. სკოლის კუთხესთან ერთხელაც მიიხედა უკან და ნაბიჯს აუჩქარა. სიცივეზე აღარ ფიქრობდა. ვეღარც იმას ხედავდა, ასფალტზე დაცემისთანავე რომ ქრებოდნენ ვეება, დონდლო ფიფქები.

გუშინ კინოსთან პატარა ბიჭი გაუტანია მანქანას. მთვრალი ყოფილა შოფერი. რით ვეღარ ამოივსეს მუცელიო, მთელი საღამო ჯავრობდა დედა. გუშინ არც ისე ძალიან შეეცოდა ის ბავშვი...

ქუჩაში ძალიან ჩქარა დაჰქროდნენ მანქანები.

ჯერ მარცხნივ უნდა გაიხედოს, მერე... ნეტავ რა მანქანა იყო, ფიატი თუ მოსკვიჩი?!

გადასასვლელი ორმა ბიჭმა გადაირბინა, მერე ჩანთიანი ქალიც გადავიდა.

მანქანები მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ.

გუშინ, ვიდრე მეორე მხარეს გადავიდოდნენ, ხუთი ფიატი, სამი მოსკვიჩი და ერთი ვოლგა დაითვალა.

პირდაპირ კინოს აფიშა ჩანდა, იქვე იყო ტროლეიბუსის გაჩერებაც. ერთიც გაიხედა სკოლისაკენ და მაღალ კაცს მიჰყვა, გაზეთს რომ მიაფრიალებდა. შუა გადასასვლელზე კაცი გაჩერდა და გაზეთს დაუწყო თვალიერება. რამდენიმე მანქანამ ჩაუქროლათ ცხვირწინ. მერე ისევ წავიდნენ.

გაჩერებასთან მარტო ჩანთიანი ქალი იდგა.

ორმა ავტობუსმა ჩაიარა, ესენი სხვა მხარეს მიდიოდნენ. კაცს ხელები გაზეთიანად ჩაეწყო ჯიბეში და ქუჩას გასცქეროდა.

„არ მოგიყვანა მამაზეციერმა“, — ბუზღუნებდა ჩანთიანი ქალი.

ნეტავ რა მოუვიდა იმ ქალს? საავადმყოფოში წაიყვანესო. ტროლეიბუსშივე გასივებია ხელი. სისულელეაო, მამამ. შენ ეგრე იცი ყველაფერზეო, გაბრაზდა დედა, მეორე შემთხვევაც ყოფილა გუშინო, ისეთივე ნაჩხვლეტი ჰქონიაო ხელზე.

ექვსი ნომერი ჩამოდგა. კაცი ავიდა, ქალი კი იქვე დარჩა და უფრო უმატა ბუზღუნს.

ნეტავ რით ჩხვლეტენ. ის ორივე ქალი ყოფილა, იქნებ...

აი, ჩამოიელის ექვსი ნომერი და...

გიო ახლა ოთახიდან ოთახში დადის.

გუშინწინ იმდენი იწკმუტუნა, სანამ კონსტრუქტორი არ გაახსნევინა მამას. არც ექსკავატორი მოეწონა, არც — ამწე. ბოლოს ისე დაფანტა ყველაფერი, ძლივს შეაგროვა დედამ. დღეს თვითონვე აუწყობს მანქანას. ან არადა, ხუთკუნჭულას მოუყვება. ზღაპარს რომ უყვებიან, მაშინვე ჩერდება. რა სულელი ბავშვია.

კიდევ ერთმა ტროლეიბუსმა გაიარა. სკოლის შესასვლელთან არავინ გამოჩენილა. ქუჩა ისევ ისეთი სველი იყო, სახლებიც. მარტო

ერთმანეთზე დადგმულ სართულებზე არ წვიმს, არც შინ. ფანჯრიდან გოგიას სახლის სველი კრამიტები მოჩანს. წინა კვირას ასფალტზე დახაზული. მოედანი ალბათ სულ გადაიშალა, ეს ერთი კვირაა, აღარც მაკას უშვებენ გარეთ. ოთარი ძია დაიჭირესო, სახელმწიფო ქონება შეუჭამია. მალე მაინც გამოუშვან...

აფიშის ცალი მხარე ვიღაცას ჩამოეხია. ასოების წაკითხვა არც უცდია, ავტომატიან ჯარისკაცს უცქეროდა ერთხანს. ტელევიზორში ნანახი ფილმი მოაგონდა — ბოლი, ჭვარტლი, წითელი ცეცხლი, მიწიდან ამობობღებული ნანგრევები, ქერათმიანი ბიჭი, პატარა ხელები ცრემლითა და მურით აზელილ სახეზე და დიდი, გაკვირვებული თვალები. მამა ფრონტზე ჰყავდა, დედა — აქ, ნანგრევებში...

ომი რომ დაიწყოს!..

ხალხით სავსე ექვს ნომერში ხვლიკივით: აძვრა. ერთხანს პალტოებში ტრიალებდა, მერე ტროლეიბუსი გაჩერდა და ბილეთების ყუთთან აღმოჩნდა. ჩანთა ფეხებშუა ჩაიდგა, ჯიბეში ჩაიყო ხელი. ლითონის პატარა, ცივი ფირფიტაც მოიქცია თითებში, მაგრამ ხელი აღარ ამოუწევია.

ათკაპიკიანი ამ დილით მისცა დედამ, საუზმისთვის.

გამჭვირვალე ხუფში ჩხაკუნით ცვიოდნენ ხუთკაპიკიანები, ათკაპიკიანები. ყუთისკენ აღარ იხედებოდა, ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორეში — თავისი ათკაპიკიანი...

* * *

გამვლელები ღიმილით შესცქეროდნენ ჩანთიან პატარა ბიჭს, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა ქუჩაში.

ცხენები ქალაქში

წალიკად მოჰყვებოდნენ ქვაფენილს, ნესტოები დაბერვოდათ, გაკვირვებული ათვალიერებდნენ უცხო გარემოს.

კისრის დაყოლებით, ფერდებსა და გავაზე ნაცრისფრად ედოთ ვაგონიდან გამოყოლილი მტვერი. მხედრებს ძველი, გაცრეცილი ჯუბები ეცვათ.

ციოდა.

ვიტრინების წითელ, ყვითელ, მწვანე ფერებს დილის სინათლე მოეძალა, გააფერმკრთალა. უნიათოდ აპრიალდა სველი ქვების რიგი. ქუჩაში პირველი ავტომანქანები გამოჩნდნენ.

რეკლამების ციმციმს შეჩვეულებმა ისევ უნდობლად დაიწყეს აქეთ-იქით ყურება, ისევ ფრთხილად, გამოზომილად ადგამდნენ ნაბიჯს. სველ ქვაზე მაინც ცურავდა რკინააკრული ფლოქვი. ღრჭიალზე დაფრთხებოდა ცხენი, სხეული დაეძაგრებოდა, პატარა ყურებს გაშეშებდა და ნერვიულად ატოკებდა ერთ ადგილზე. ფრუტუნითა და ჭიხვინით აჰყვებოდნენ დანარჩენები.

ხელად დაიმოკლებდნენ სადავეს ბიჭები, კისერზე წაუტყაპუნებდნენ ხელს.

მანქანები თანდათან მომრავლდნენ — დიდები, პატარები, გაკრიალებული და გასარკეევებულები. გარბოდნენ და გამორბოდნენ.

შოფრებს ნამძინარევი, შესიებული სახეები ჰქონდათ. ერთს გამოხედავდნენ უჩვეულო სანახაობას, ზანტად გამოაყოლებდნენ თვალს და გზას აგრძელებდნენ.

ერთთავად მანქანებზე ეჭირათ ცხენებსაც თვალი. ოცნი იქნებოდნენ: ჩალისფერი მოდიოდა თავში. სევდიანი თვალები და ჯიშიანი ფეხები ჰქონდა, ვიწრო ნოთო ჩამოსდევდა შუბლზე. სახელიც ლამაზი ერქვა — სევდია.

ხიდთან კიდევ უფრო დაგრძელდა რკინის კოლოფების რიგი, ვეღარც სიგანეში ეტევა მანქანის მდინარე. შემკრთალი ცხენები რიკულებიან მოჯირისაკენ მიიწურებიან.

— იერუსალიმზე, ბიჭებო? — მანქანიდან ისმის გაგუდული ხმა.

— საით, საქონელს?

— ალბათ უკანვე, შუასაუკუნეებისაკენ. — ხორხოცებს ვიღაც.

ზედ ცხენის ფეხებთან დამუხრუჭდა წითელი ფიატი. სქელკისრიანი თავი გამოჩნდა მანქანიდან, აწითლებული სახითა და სიბრაზისაგან გადმოკარკლული თვალებით.

— შენიო!.. — ესღა მოასწრო. სევდიამ დაიჭიხვინა და ყალყზე შედგა, თავი მიიმალა, მანქანაც მაშინვე დაიძრა, მაგრამ ღონივრად მოქნეულმა ფეხებმა საბარგულზე მოადინა ჯახანი.

იმწამსვე იხუვლეს ცხენებმა და ადგილს მოწყდნენ.

მანქანები შეჩერდნენ, მიჩუმდა საყვირების ხმაც. ერთხანს ფლოქვების თქარათქურიღა ისმოდა ხიდზე. ვოლგებში, ფიატებში, მოსკვიჩებში შეყუჟული ხალხი ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა.

ხიდს გადაღმა დაიოკეს ბიჭებმა ცხენები.

სამი დღე დასტრიალებდა ოსტატი ფიატს. გადაღებილ-გაახლებული გამოაგორა პატრონმა მეოთხე დღეს.

სამი დღე მკურნალობდა ბეითალი ცხენის ნატკენ ფეხს. თავი გადააქნია მერე: „ვეღარ იჭენებს“. იმავ საღამოს იპოდრომიდან სატვირთო ავტომანქანა გავიდა და სამხეცესაკენ დაადგა გზას. ძარაზე თავჩაქინდრული სევდია იდგა.

ძაფები

დღევანდელ დღეს აღარაფერი ეშველება. ნატა — თვითონვე შეეკვეცა ეს სახელი — რომელიღაც ახლო ნათესავთანაა სტუმრად. დღევანდელი საქმეებიც, ავად თუ კარგად, მოთავებულია. უცხო ქალაქის საღამოები კი აღმა-დაღმა ყიალისა და თვალების უმისამართოდ ცეცების მეტს ვერაფერს მოგცემს: უსახელო ქუჩები — რა აზრი აქვს კედლებზე გაკრული ფირფიტების კითხვას? უსახელო ადამიანები — სხვა საქმეები, სხვა ფიქრები... სასტუმროში სართულის მორიგის მოჟამული სახე — დავიწყებულ ვალს თუ გიხსენებს, ორიოდ ნაცნობი ნივთი ორას ოცდაორ ნომერში და სახელდახელოდ გასწორებული ლოგინი, ეს ერთი კვირაა რომ თელავ.

ნატა სტუმრადაა და ეს დღეც უიმისოდ უნდა დაილიოს.

არა, ისეთი არაფერია. ჯერ მალული, წამიერი გამოხედვა იყო, მორცხვი თვალების გულუბრყვილო მზერა. ვიცი, სერიოზული არაფერია. უცნობი ქუჩები, უცნობი ადამიანები და ერთადერთი ნაცნობი ქალიშვილი, დროდადრო სასაცილოდ რო აფახულებს თვალებს. ეს არის და ეს.

ტროტუარზე ხმაურით მოდის ჯინსიანი გოგო-ბიჭების ჯგუფი. არ ვიცი, იქნებ მობერებული სამყაროს ჯიბრზე და გულის გასახეთქადაც უპირავთ თავი ასე გამომწვევად. იქნებ მეჩვენება კიდეც. ეს კია, ტკივილი და შური მოტივტივებდა ხოლმე მათი დანახვისას — უამრავ საწუკვარ სურვილს, ოცნებებისა და მოლოდინის წლები რომ უნდებოდა, ეს ახლადდაჩეკილი თაობა უპატიჟოდ, ურცხვად და იოლად იკმაყოფილებს.

ნატაც თვრამეტი წლისაა. მოღიავებული საზაფხულო კაბიდან თეთრი და მკვრივი მკერდი მოუჩანს. ნახევრად შიშველი კანჭებიც დაჟინებით და მალ-მალე მახსენებს ჩემს სამ ათეულსა და კიდევ რამდენიმე წელიწადს. ეს თუ მიკრავს ხელ-ფეხს. ჰო, ალბათ ასეც არის. სამი ათეული მარტო სათქმელად თუა იოლი: „ის რას იფიქრებს, მე, სხვები!..“

ქალის არასდროს მშინებია, ეს არის, თავს ცოტა განზე გავუდექი, იქიდან დავუწყე ცქერა. მოურიდებელი, სხვისად ქცეული თვალთვალი თან მაღიზიანებს, თან მართობს კიდეც. რა გასაკვირია, რომ ამ მესამე თვალს ვაბრალებ ყველაფერს. იქით კი აღარც სურვილი მიდის. აღარც ფიქრი...

მხოლოდ თვრამეტი წლისაა ნატა.

— ალბათ, გეუხერხულებათ ჩემს გვერდით სიარული... — სწორედ ასე მითხრა იმ დღეს.

შუა ქუჩაში ვიდექით. გულუბრყვილო და სასაცილო სახე ჰქონდა.

საოცრად ჩუმი გოგოა. იქნებ აქვს კიდეც სათქმელი, მაგრამ რატომღაც უფრთხის აზრების გამომზეურებას. ყვავილებზე თუ ალაპარაკდება.

კინოთეატრთან დავთქვით პირველი შეხვედრა. იმავ კაბით მოვიდა.

კინოში ნუ შევალთ, აქვე ვცხოვრობ, ჩემთან ავიდეთო. ჭირვეულობა არ დამიწყია, პური, ძეხვი და რაღაც კონსერვი ვიყიდეთ, — დილას აქეთ არც იმას ჩაედო პირში ლუკმა, — ბოთლი არაყიც გავიყოლეთ. შესასვლელთან ლოყებჩამომჭკნარი, დალეული ქალი იჯდა. უხიაგად დაგვადგა პატარა თვალები. კიბეზეც ვგრძნობდი ამ უნდო ცქერას. ყურადღებას ნუ მიაქცევო.

ჩვეულებრივი ოთახი იყო. სამი საწოლი იდგა (სასტუმროშიც ასეთ საწოლზე მეძინა), იმ საწოლების პატრონებიც შინ დაგვხვდნენ — ერთი ქერა და ერთიც შავგვრემანი ქალიშვილი. მერეღა მითხრეს — ერთ კურსზე ვსწავლობთო სამივე.

ძველი ნაცნობებივით შემხვდნენ. ერთმანეთი გამაცნეს, მერე კითხვები დამაყარეს — ვინ ვიყავი, საიდან, რატომ...

გულახდილად რომ ვთქვა, ჯერ ვინანე, ისევ კინოს ნახვა სჯობდა-მეთქი, თუმცა მალევე დამავიწყდა — ძალიან მხიარული გოგონები გამოდგნენ. მეტისმეტ უშუალობას ხშირად არამკითხეობაც ამოუდგება ხოლმე გვერდით, მაგრამ მომხიბვლელობა მაინც მეტი აქვს. მალე გავშინაურდით.

ვიცეკვოთო. რიგრიგობით ვცეკვავდი სამივესთან. ნატას რბილი, მოქნილი წელი ჰქონდა. ოდნავ თავგადაწეული ცეკვავდა და ცისფერი თვალებით მიცინოდა.

ისეთი არაფერია. ეს არის, ორი დღის შემდეგ თვითმფრინავიდან რომ გადმოვხედავ ამ უცხო ქალაქს, ეს წყნარი, ცისფერი გამოხედვა გამახსენდება. მერე კი, კარგა ხნის სინანულადაც ჩამრჩება.

სინანულადაც. ეს სიტყვა მაღიზიანებს და თავს ვახსენებ, რომ დასაქადნი ამაში არაფერია, რომ კარგა ხანია ოცდაათზე მეტისა ვარ, რომ სამარცხვინოდ სენტიმენტალურია ჩემი ქცევა, რომ საცაა გავბრაზდები. მერე კი, გასართობად მაინც, უშედეგო ალყით გაწბილებულ ჯარისკაცს შევადარებ თავს. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი გართობაა.

გუშინწინ „ჩემს“ სასტუმროსთან ჩავიარეთ. მოვიმიზეზეზე, რაღაც დამრჩა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე სართულის მორიგე გამახსენდა. მერე ნატას გაკვირვებული სახეც წარმოვიდგინე და... ალბათ ვაზვიადებ ყველაფერს, ალბათ სისულელეა სხვის მაგივრად „ჰოს“ თუ „არას“ ძახილი, ალბათ არც სართულის მორიგე ითაკილებდა გასესხებულის განაღდებას... ალბათ.

ფანჯრებში სინათლეები დანთებულა. მთელი ქუჩა რომელიღაც უცნობ სადგურზე ჩამომდგარ ორ მატარებელს ჰგავს. ეს ხალხიც თავთავიანთ ვაგონებისკენ, თავთავიანთ სინათლეებისკენ მიფარფატებს. დახუჭავ, გაახელ თვალს და აღარც სინათლეები იქნება, აღარც ვაგონების გრძელი რიგი. ერთხანს განათებული ფანჯრების თეთრი ჩრდილები ილივლივებს მეხსიერებაში, ისიც გაქრება.

დღეს მაინც არ წასულიყო ნატა.

ჯერ კიდევ არ გამოგიცვლია პასპორტიო? გუშინ იყო, რომ მითხრა, აეროფლოტის კრიალა დარბაზში ჩვენს რიგს ვუცდიდით.

ხელი თუ მოვუჭირე პასპორტს და შემატყო. ჩემთვის, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვსო. მაინც ამარიდა თვალი. მერე ამომხედა, ჩემთან წავიდეთო. ყოველთვის ასე მეუბნებოდა — ჩემთან წავიდეთო. მივდიოდით. ის გოგონებიც შინ გვხვდებოდნენ, ის ლოყებჩამომჭკნარი ქალიც.

ნეტავ რამდენისაა. სამოცის... ოთხმოცდახუთის... საუკუნის... რა მნიშვნელობა აქვს. ალბათ აღარავინ ეყოლება. პირგამეხებულიც იმიტომ თუ შესცქერის ქვეყნიერებას: ერთი — მთელ სამყაროს.

არ უნდა წასულიყო დღეს ნატა.

ქუჩა, მოსახვევი და ისევ ქუჩა. თავთავიანთი სინათლეებისკენ დაძრული ხალხი — გაღიმებული, მოღუშული, გულგრილი... სულ ეს არის უცხო ქალაქი, ძალისძალად გაბმული ძაფები რომ არა, ასეთადაც დარჩება, ესეც და სხვებიც.

როგორ არ ვიცი, სუსტი და უდღეურია ეს ძაფი, მაგრამ მაინც, მაინც ვქსოვ და ვიხლართები, ჩემივე სურვილით, ისეთი ყინით, თითქოს ამაში იყო ხსნა, თითქოს ეს გადაარჩენს კიდევ ამ ერთ დღეს, უსახელოდ და უსახურად რომ უწერია გაქრობა.

ისევ ქუჩა, მოსახვევი და... ჰო, რა თქმა უნდა, თავისთავად არაფერი ხდება, ჩემივე ფიქრმა მომიყვანა ამ შესასვლელთან. „ადი!“ — ამასაც ფიქრი მკარნახობს. იქნებ გადაიფიქრა, იქნებ...

კიბე ყოველთვის ერთი სიგრძისაა. უბრალოდ, ან ნელა ადიხარ, ან — ჩქარა. შიგნით, ოთახში აწკრიალებული ზარი ჩემს სურვილსა თუ თხოვნას ემსგავსება: ნატა შინ უნდა იყოს!

იმედიანი პაუზა. ისევ სურვილად თუ თხოვნად აწკრიალებული ზარი. მერე ლითონის ჩხაკუნი და ნაცნობი, შიშნარევი ხმა.

წარმოსახვა, ერთიმეორის მიყოლებით რომ ხატავს უცნაურ სცენებს, პასუხის გაცემას მიშლის.

ხის კარი, იქით ქალის საოცრად რბილი ხელი, შეკივლება, თამბაქოს სუნით გაჟღენთილი სიბნელე და ჩემგან გაქცეული ლანდი...

საწოლზე სიფრიფანა ზეწარში გახვეული სხეული...

ალბათ ზედმეტია ხელების ქნევა, ყვირილი.

ახლა კი დაგრძელდა კიბე. სადღაც მეასე სართულიდან ვეშვები. შემოსასვლელი ცარიელია. საოცარია, არც წეღან დამხვდა ის ლოყებ-დამჭკნარი ქალი. მაინც კარგა ხანს ვგრძნობ ბეჭებში ჩაჭედებულ ორ თვალს.

გრძელი, ცარიელი ქუჩა — უცნობ სადგურზე ჩამომდგარი ორი მატარებელი. სიბნელეს ერთიანად აუხვეტია კაცის ნასახი. დროდა-დრო თუ გაბაკუნდება სადღაც, ალბათ ჩემნაირი მგზავრი. დანარჩენები დანომრილ კედლებს შეჰფარებიან, წყვილ-წყვილად, სამ-სამად, ოთხ-ოთხად — უცნობ-ნაცნობები, ნაცნობ-უცნობები, ათასი გამონა-გონით დახლართულები...

„ჩემი“ სასტუმრო ორი, ათი, ასი კვარტალის იქითაა. მორიგე პა-ტარა მაგიდასთან თვლემს. იქვეა პრიალა სამოვარი, კოლოფში ჩაწა-ლიკებული „ცუკორის“ მართკუთხედები და გასაღები — ორას ოცდა-ორი ნომერი.

ვერ გამიხსენებია, მივალაგე თუ არა ლოგინი. ჩანთა და ორიოდ ნაცნობი ნივთი საწოლის თავთან მიწყვია... კიდევ ორი დღე ვივლი ამ უცხო ქალაქში, მერე სხვა იქნება.

ქუჩები, ძილსმიცემული სახლები — ქვაში ჩაჭედილი სიჩუმე, ჩე-მივე ნაბიჯების უჩვეულოდ გაძლიერებული ხმა.

ხვალ დილით დახლართულ რკინის მილებს დაირბენს საგანგებოდ დაფილტრული წყალი, თეთრ, პრიალა პირსაბანებში ახმაურდება, ღა-მის გაოგნებას ჩამორეცხავს და გადასუფთავებულ ასფალტზე გადმო-ჰყრის თმადავარცხნილებს, პირგაპარსულებს. სალაღობოდ გამოეფი-ნება ახლად შეკერილი კაბები, ნაირ-ნაირი ფეხსაცმელი, „პომორინი-თა“ და „მერით“ აპრიალებული კბილები. მეც ამ არსაით დაძრულ დინებას შევუერთდები ხვალ დილით და როგორღაც უკითხავად, თა-ვისთავად დაწყდება კვირის მანძილზე ძლივძლივობით გაბმული წვნიკი, უნდილი ძაფებიც.

დიდი პრიზი

'საცაა შვიდი წელი შეუსრულდება ფაკირს. მისი ხნის ულაყებს კარგა ხანია აღარ აღელვებთ გაზონებშუა მოქცეული ნაცრისფერი გზა და ტრიბუნების გუგუნი. ფაშატები კიდევ უფრო ადრე ჩამოს-ცილდნენ ასპარეზს — მომავალი თაობებისთვის ზრუნავენ ცხენსაშე-ნებში.

ფაკირი კიდევ ერთი წლით დატოვეს იპოდრომზე.

ეს ბევრს ნიშნავდა: იპოდრომიდან იპოდრომზე მგზავრობა, მატარებლის ვაგონში ლოდინი და ბორბლების განუწყვეტელი დგანდგარი. გამუდმებული წვრთნა და ერთთავად ათასობით წყვილი თვალის ყურადღების ცენტრში ყოფნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი შეეძლო ფაკირს, ჯერ კიდევ იყო საჭირო.

ახლა დგას ფაკირი, ცხენების ფრუტუნს უგდებს ყურს და იცდის.

სიგრძეც და სიგანეც ერთი აქვს სადგომს — ერთი ცხენი და კიდევ ნახევარი. კედლების გაყოლებით თუ მოხერხდება სადგომში ტრიალი. საამისო არაფერი სჭირს ფაკირს. განუკურნებელ ავ ზნედ ითვლება სადგომში უთავბოლოდ ტრიალი, ვინ გააჩერებდა ავზნიან ულაყს იპოდრომზე! ამიტომაც დგას ფაკირი ერთ ადგილზე, ცხენების ფრუტუნს უგდებს ყურს და იცდის.

ასეც გადის წლები — მოლოდინში და ოთხკედელშუა. მაგრამ მარტოობაში გატარებული ეს უთვალავი დღეები, ტყუპისცალივით რომ ჰგვანან ერთმანეთს, დაჩენჩილ ნაჭუჭივით შემოსცლია მეხსიერებას და მთელი ცხოვრება ერთ გრძელ მომქანცველ დოღად ეჩვენება ბევრისმნახველ ულაყს.

... თავლის კარმა გაიჭრიალა. მომვლელი ბიჭი გამოჩნდა მზით განათებულ კარში. აღვირი უჭირავს ცალ ხელში, მეორეს ახლად შეკერილ გალიფეზე იტყლაპუნებს და უსტვენს. უდარდელად უსტვენს. მისი სადგომისკენ მოდის პირდაპირ. რეზინის რგოლებშუა მოქცეული ლაგამის რკინები ერთმანეთს ეხება, წკარუნობს, მომვლელი ბიჭის სტვენას უერთდება და ბრძოლის სიმღერად ჩაესმის შვიდი წლის ულაყს. ბევრჯერ ჩაუხვევია შეუჩვეველი ლაშები ამ ლაგამს, სისხლიც დასდენია და მთელ კვირას ულოკნია ნაჭრილობევი. მერე კარგა ხნით ურჩობდა კვიცი, არ იკარებდა ლაგამს. მაგრამ დიდი ხნის წინათ იყო ეს, ჩვილი ჰქონდა მაშინ ლაშები და შეუჩვეველი.

ფიქრი დასჩემდა ბოლო დროს ფაკირს. სადგომის შუაში შეჩერდება, წყვილად დაასობს საგანგებოდ გამოყვანილ წინა ფეხებს, ოდნავ ჩაჰქინდრავს თავს და ასე ისვენებს, ფიქრობს თან.

ცალი ხელით ლაგამი ამოსდო ბიჭმა, პატარა ყურებზე გადაატარა აღვირი და დაამაგრა.

ასეა ყოველთვის — იშვიათად თუ ჰკითხავენ რამეს, სამაგიეროდ არც თვითონ კითხულობს, უკითხავადაც იცის, რას ნიშნავს ყოველივე ეს. უკვე წინა დღით იცოდა, როცა თითქმის მთელი წრე თავის ნებაზე მიუშვა პატარა კაცმა. მერე კარგა ხანს ატარა ნაბიჯით, ამ დილით კი ორი თუ სამი მუჭა შვრია დაუყარეს, წყალსაც არ მიაკარეს თითქმის.

თავლის ნახევრადბნელ ტალანს მიჰყვებიან. აქეთ-იქით ფაკირზე

ბევრად უმცროსი ცხენები აჭიხვინდნენ თავიანთ სადგომებში, ყალყზე დგებიან.

ასე იქცეოდა ერთ დროს თვითონაც, გარეთ იწევდა ერთთავად, ნერვიულობდა, რამდენჯერ გაოფლიანებულა დოღის დაწყებამდე, სანახევროდ გამოსცლია ძალა.

ახლა სულ სხვაა. იცის — არაფერს არგებს ნაადრევი სიფიცხე. მშვიდად, ერთი შეხედვით უხალისოდაც მიჰყვება აღვირს. ჟინიც განელებიაო, მოეჩვენება უცხო თვალს. მაგრამ მხოლოდ უცხო თვალს თუ მოეჩვენება ასე. თვითონაც და ვინც კარგად იცნობს ფაკირს, იცის, რამდენი ძალა და ენერგიაა ბრინჯაოდ ჩამოსხმულ მკერდში, რა სიმტკიცეა ფოლადივით ძარღვებში, ალმა-დალმა რომ ასდევს ჯიშიან ფეხებს.

იცის ფაკირმა, მაგრამ იქნებ მართლა გაუნელდა ჟინი, იქნებ უმტყუნოს არც თუ ისე ახალგაზრდა გულმაც?

პირველი დოღები ახსენდება ფაკირს. არავინ იცნობდა მაშინ. კარგი მომავლის კვიცად თვლიდნენ — ეს იყო და ეს. და, გარბოდა ორი წლის ულაყი, გატაცებით, ძალის დაუზოგავად. ბევრი ძალა და ენერგია დახარჯა, ვიდრე არ აიძულა გულგრილი ტრიბუნები ტაშით შეხვედროდნენ მის ყოველ გამოჩენას.

იცის ახლა შვიდი წლის ულაყმა — მის დიდებას ესალმებიან აღტაცებით. ისიც იცის, ჩუმი აღტაცებაცა და ტრიბუნების ტაშიც ძველი გამარჯვებების ანარეკლია მხოლოდ. დღეს კიდევ ერთი დოღია, აღარც კი ახსოვს რიგით მერამდენე. კიდევ ერთი დოღი...

უკან დარჩა თავლები. გატკეპნილ ბილიკს მიუყვებიან ტრიბუნებისკენ. ბილიკის ორთავ მხარეს მწვანე ბალახია, გაზაფხულის ქორფა, ნოყიერი ბალახი. არაფრად უღირს, გრძელი კისერი წაიწვართოს, დასწვდეს ნოყიერსა და გრილ ბალახს — ნერწყვიც კი აეშალა ენის ძირში — მაგრამ იცის, არ დაანებებს მომვლელი ბიჭი, აღვირის ბოლო რომ უჭირავს ცალ ხელში, ცალიც ჯიბეში უდევს და უდარდელი სტვენით მიჰყვება ფლოქვებით გატკეპნილ გზას. არც ცდილობს. ცდილობს კი არა, ისიც უკვირს — რატომ დაებადა ასეთი სურვილი, წინ ათასობით მეტრი სარბენი აქვს დიდ პრიზზე.

მწვანე ბალახი...

მოესწრება ამასაც, ამ წლეულს თუ არა, მერე მაინც. ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად კი წარმოუდგენია ეს „მერე“ შვიდი წლის ულაყს, მაგრამ ნამდვილად რომ დადგება ის დროც, დანამდვილებით იცის. ანდა, რით არ დაიმსახურა? ოცჯერ მაინც ჩაუვლია ცისფერი აბრეშუმით შემოსილს ტრიბუნების წინ, ამდენჯერვე აგუგუნებულა ორკესტრი მისი გამარჯვების აღსანიშნავად. ჰოდა, სჯერა ფაკირს, რომ ეს „მერეც“ დადგება. დროც არის. შეძლება და ძალა ერთია, მაგრამ

უწინდებურად აღარ მიუწევს საბრძოლოდ გული, აღარც ტრიბუნების აღტაცება ესალბუნება ძველებურად. ეს უსახო და უსულო დიდებაც რაღაც მოუცილებელ, უშნო ტვირთად აწევს კისერზე. მაშ, თუ ასეა, რისთვის, ვიღასთვის?

ოქროსფრად ლაპლაპებს ჩალისფერი ბეწვი. გამოზომილი, ძალდაუტანებელი ნაბიჯი ვერ ფარავს ჯიშით ნაანდერძევ სხეულის მშვენიერებას.

ტრიბუნების უკან, ღია სადგომში ელოდათ თეთრ გალიფესა და ცისფერ კამზოლში გამოწყობილი პატარა კაცი. მუხლებამდე აუწკეპია თხელი ჩექმები, მოკლე მათრახს ათამაშებს და ვიღაცას ელაპარაკება წყნარად. მეგობრულად წამოარტყა ბიჭს, ცხენი ჩამოართვა და შეკაზმა. მერე ნაბიჯით გაატარა სადგომში.

მკვეთრად, მკვეთრად და გაბმულად დაირხა გონგის ხმა. წრეზე გავიდნენ, რვა თუ ათი ცხენი ტრიალებდა სტარტზე. ცქმუტავდნენ, ფლოქვებით ტკეპნიდნენ ფხვიერ მიწას, კიდევ ერთხელ ჩაბოჭკრა ზარმა და ყველანი ერთბაშად მოსწყდნენ ადგილს.

ორმა ქურანამ და ერთმა რახსმა გადაასწრო პირველივე მოსახვევში. დისტანციის მეოთხედიც არ გაუვლიათ, ყველაფერი წინაა.

საოცარი სიმშვიდე დაუფლებია ულაყს. ძლიერი, თანაბარი ნახტომებით გარბის, აუღელვებლად მიჰყვება წინ გასულებს. მშვიდადაა ფაკირი, თითქოს ისევ თავლაში იდგეს, ფიქრი არ იცოდა დოღის დროს, ახლა კი ათასი მოგონება ასდევნებია. აბიბინებულ მინდორსა და მწვანე ბალახზე ფიქრობს შვიდი წლის ულაყი.

ტრიბუნების წინ მთავრდება დისტანციის ნახევარი. ერთი ამდენილა რჩება. უჩვეულოდ გატრუნულა ყველაფერი, არც ხმაური, არც ყიჟინა, ცხენებიც გაქვავდნენ თითქოს, მხოლოდ ნაცრისფერ ზოლებად დაკვალული მიწა ეცლება ფეხებქვეშ და შეუჩერებლად გარბის უკან.

ოდნავი სიმსუბუქე იგრძნო ლაშებში. ეს ნიშანია! გამოსავალი უნდა მისცეს ფოლადის ზამბარად შეკუმშულ სხეულის მთელ ენერგიას, თავაწყვეტილ ქროლვად აქციოს. რამდენიმე ძლიერი ნახტომი და უკან დარჩებიან გათავხედებული ცხენები.

ნიშანი ნიშნად დარჩა. ოდნავადაც არ შემცირებულა მანძილი ცხენებს შორის. არსად არაფერი შეტოკდა ულაყის სხეულში.

კისერწაგრძელებული მიჰქრიან მწკრივად გაბმული ცხენები. ერთი მოსახვევიღა რჩება ფინიშამდე.

არა, არ დაუნახავს, იგრძნო მხოლოდ — მოკლე მათრახი ამოაძრო ქამრიდან პატარა კაცმა. არ შეშინებია, გაუკვირდა მხოლოდ — არც ერთხელ არ უხმარია პატარა კაცს მათრახი, არ დასჭირვებია არას-

დროს. ნიშანიც კმაროდა ყოველთვის — სადავის ოდნავ მიშვება. მთელი დოღი ელოდა ხოლმე ფაკირი ამ ნიშანს.

მათრახი? აქამდე თუ შეეძლო...

და ბუნდოვნად იგრძნო, რასაც მოითხოვდნენ მისგან, რატომაც მოითხოვდნენ.

ძნელი იყო ამ მოკლე გადასარბენზე დანაკარგის ანაზღაურება, ძალზე ძნელი. არც ახალგაზრდა ცხენები დასთმობდნენ გამარჯვებას იოლად.

მათრახის არ შეშინებია, ან რა სათქმელი იყო, უჩვეულო შემთხვევამ ბიძგი მისცა მხოლოდ.

ასე არასდროს უფრენია ფაკირს, ასე არასდროს დაუძაბავს ყველა კუნთი და ნებისყოფა. შეუძლებელს მოითხოვდნენ მისგან და იგრძნო — ვალდებულიც იყო. არაფრისთვის და არაევისთვის, უბრალოდ, ძველი გამარჯვებების ემართა, საკუთარი თავის ემართა.

შეუძლებელი უნდა შეიძლოს, უნდა შეიძლოს! ყველა ძარღვიც რომ დაასკდეს, ყველა ღირსებას რომ გამოეთხოვოს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს! როგორ სცდებოდა, თურმე რამდენი რამ არ სცოდნია წლების გამოცდილებით დამძიმებულ ულაყს, მათრახი, დასვენება და მწვანე ბალახის წიწკნის უფლება რა მოსატანია, სიკვდილის უფლებისთვის იბრძოდა, სიკვდილს იმსახურებდა!

ტრიბუნების გუგუნში გაირბინა უკანასკნელი მეტრები და პირველმა გადაჭრა ფინიში.

ღია სადგომში რომ შეჰყავდათ, თბილი სისველე იგრძნო ლაშებზე. რეზინის რგოლები წითელ სითხეს შეეღება.

ნაჭრილობევს დაუწყო ძებნა პატარა კაცმა. მთელი ჰქონდა ულაყს ლაშები, ხუთი წლის მანძილზე ლაგამს ნაჩვევი ასე იოლად არ ჩაეხეოდა.

საზეიმო მარშს უკრავდა ორკესტრი, ტრიბუნები გამარჯვებულს ელოდნენ.

აქა-იქ შედედებული სისხლი მოსწმინდეს ფაკირს და ცისფერი აბრეშუმით შემოსეს.

ბეჭის ძირიდან, იმ ადგილიდან ცისფერი ქსოვილის წითელ-ყვითელი ფოჩები რომ ფარავდა, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ყრუ ტკივილი და ყველაფრის დასასრულის უცნაური წინათგრძნობა მოცოცავდა.

ზეაიღო თავი შვიდი წლის ულაყმა — ძალზე ძნელი დოღი, საკუთარ თავთან დოღი მოიგო ამ დღეს!

ლრუბლები

ერთს სანახევროდ მოქსოვილი სვიტრი უდევს მუხლებზე, მეორეს — წიგნი.

ახლახან ისადილეს.

აივნიდან ხელისგულივით მოჩანს ქვემო უბანი — წითელკრამიტიანი სახურავები, ბაღჩები და ტკბილაანთ წყაროსკენ გაქცეული ორღობეები.

მზე ცერადღა გამოსცქერის სიცხის საბანგადაძრობილ სოფელს და ველარც გორებიდან დაძრული ნიავისთვის დაუშლია რამე.

გრილა რიკულებიან აივანზეც.

— რაო, თავმჯდომარემ? — წიგნს რომ კითხულობდა, იმან იკითხა.

— რა ეშველებოდა, შენ რომ არ ჰყავდე ამ სოფელსო. ისე, ყველაფერი თარაზოში აქვთ გასწორებული, კლუბიღა აკლიათო სწორედ, ეგეც არ იყოსო, მინდორში არ მყოფნის ხალხი, კლუბისთვის მოაცდენსო ჭკუათმყოფელი კაცი?!

— გეტყოდა. შარშან წიგნები რომ ვთხოვე ბიბლიოთეკისთვის, უარესები თქვა.

— ეგეც გამიხსენა. ერთი ძლივს მოვიცილე, ახლა მეორე მომადგაო. ქალი არა ხარო, ქალოო? ეგრე ერთ თარგზე როგორ გამოგჭრათ ცხონებულმა მიხაკამ. კიდევ კარგი, დროზე გაგასწროთ იმ ბედნიერმა. არაო, აღარ დამედგომება სოფელშიო.

ორღობეში ყანიდან მობრუნებულმა კაცებმა ამოიარეს, გამარჯობა უთხრეს დებს. თვითონაც მიესალმნენ.

აიარეს კაცებმა და ერთხანს ჩუმად ისხდნენ დები.

— მერე? — ცოტა უხალისოდ თქვა, წიგნი რომ ეჭირა ხელში.

— მოჰყვა და მოჰყვა მერე... ინსტიტუტი კარგი იციოო. დაიღლიავებთო იმ ფერად კარდონებს და გაჯიქდებით, გაგვიშვით, ჩვენ ავაშენებთ ქვეყანასო. ეეჰ, ისევ იმ კარგი კაცის ხათრით, თორემ გიჩვენებდითო მე თქვენ კლუბს.

გრილა აივანზე.

სხედან დები, ერთი სვიტრსა ქსოვს, მეორე კითხულობს.

წვნიკა ჩხირები ძაფის ყულფებში დაძვრებიან. ყულფი ყულფს ემატება. დღეს თუ ხვალ ტანსაცმლად იქცევა ძაფის გორგალი. ეს უკვე მესამეა ამ ძაფისა: ხან კაბა იყო, ხან ქვედაკაბა, ხან ვარდისფერი, ხანაც ცისფერი. იქსოვება და იშლება.

დროდადრო წიგნის ფურცელიც გაშრაშუნდება. ლურჯი, ლამაზი ყდა აქვს წიგნს. რომელიღაც ფრანგი ავტორის რომანი უნდა იყოს, ეტყობა, საინტერესოც. საინტერესო წიგნებს კი რა გამოლევს ქვეყანაზე, თუნდაც სოფლის ბიბლიოთეკაში. ფრანგიო, ინგლისელიო, რუ-

ნიო... დრო და სურვილი იყოს ოღონდ... ახლა, კითხვაც არის და კითხვაც... ძნელად, იმის ნახევარიც თუ ექნება სოფელში ვინმეს წაკითხული.

იმდენად მცირეა დებს შორის განსხვავება, რომ ტყუპები ეგონება უცხოს. მარტო გარეგნობით როდი ჰგვანან ერთმანეთს. ერთად და ერთნაირად ცხოვრებამ ფიქრიც კი ტყუპისცალივით დაუმსგავსათ. იქნებ სხვაც იყოს, მაგრამ ერთი კია — მოსწყდება რომელიმე საქმეს, მეორეც აიღებს თავს, რაღაც ფარული ნაღველით შეხედავენ ერთმანეთს, მერე თავიანთ ფიქრებსვე თუ დაუფრთხებიან და ერთი ისევ წვნიკა ჩხირებს დაუბრუნდება, მეორე — წიგნს.

პატივით ექცევიან სოფელში მიხაკას ქალიშვილებს — მტერსაც არჩევენ, მოყვარესაც, სტუმარიც იციან და მეზობელიც. გულმართლობაცა და სიკეთეც მამისა გამოჰყვა ორივეს.

ტიტლიკანა გოგო-ბიჭებმა ჩამოირბინეს ორღობეში... აბა, მიხაკაანთ ქლიავებს როგორ აუვლიან გვერდს და, ბეღურებივით შესხდნენ ტოტებზე. რატომაც არა, ვინ-ვინ და დები არ დაიფრენენ, კარგად იციან.

გოგო-ბიჭების ყივყივზე ბაღჩისკენ გაექცევათ თვალი. აი ის ცხვირპირმოთუთხნული სოსიასია, მეორე, მწიფე ქლიავით რომ ივსებს უბეს — გოგიასი, სანდროს წვრილკანჭება გოგო გალეულ ტოტზე გასულა, ცოტაც და, ჩამოუტყდება დაზნექილი ქლიავის ტოტი.

გარინდებული გასცქერიან დები ბეღურებით დახუნძლულ ქლიავს. ერთს სანახევროდ მოქსოვილი სვიტრი უდევს მუხლებზე, მეორეს — წიგნი, საქმემოთავებული მზეც საცაა გორებს ჩაეფარება და უს დღეც სხვა მისი მსგავსივით, გუშინდლად, გუშინწინდლად იქცევა...

დები კი სხედან.

ივ ღრუბლებს ჰგვანან, შველად და იმედად რომ გამოჩნდებიან დიდ გვალვებში, ჩაივლიან, ჩაივლიან და წვეთი რა არის, წვეთს არ გაიმეტებენ მოლოდინით დაღლილი მიწისთვის.

ლურჯი აივანი

— ესღა მაკლდა დღეს, თითო ჭირს აღარ დალევენ!

სახლმმართველი ქოშინით აუყვა მესამე სართულის კიბეს.

— ვერაფერი შევაგნებინე ამ ხალხს. ახლა ედავე, უმტკიცე, მე შენ გეტყვი, თავს დაგიკრავენ, უდავიდარაბოდ დაგყვებიან. ისე, გულდაგულ კი შეუღებავთ ლურჯად, ორ კილომეტრზე აჭყეტს თვალს.

ის იყო, ეზოში გავიდა, რომ მესამე სართულიდან გადალურჯებულ-

შა აივანმა ჩამოჰხედა. კარგა ხანი იყო, სიმყუდროვე არავის დაერღვია — სარეცხიც მოიშალეს, ნაცრისფერ აივნებსაც შეეგუენ.

— მაინც რა ჯანდაბამ ამახედა, წავსულიყავი ჩემი გზით. გაუძელი ახლა ცოლის საყვედურებს — სახლისთვის ვერ იცლი, შვილებისთვის ვერ იცლი, კვირა აღარ იცი და დასვენება. სამსახური, თორემ ათასები შემოგაქვსო.

„ნეტავი რომელია?"

კითხვამ თვითონვე გააკვირვა. ბოლო საფეხური რომ აათავა, ერთხელაც დაფიქრდა. მარჯვენა მხარეზე სულ ერთოთახიანები იყო — ეს კარგად იცოდა სახლმმართველმა. მესამე სართული... არა, ნამდვილად არ ახსოვდა.

სული მოითქვა და ცერად გახედა კარს. ვერც ფირფიტაზე ამოკაწრულმა გვარმა უთხრა რამე. ახლა კი მართლა გაოცდა.

„ეტყობა, ამ შვიდი წლის მანძილზე ვერაფრით გამოიჩინა თავი".

მით უფრო უცნაურად ეჩვენა აივნის ამბავი.

კარი ასე, ოცდათხუთმეტი წლის ქალმა გაუღო.

— მობრძანდით!

ეს სახე ახსოვდა, მაგრამ...

ბინა ჩვეულებრივი გამოდგა — მარტოკაცის სამყოფი ოთახი.

დიასახლისმა სკამი შესთავაზა, თვითონაც მაგიდასთან ჩამოჯდა. ლამაზი არ ეთქმოდა, უფრო სასიამოვნო გარეგნობის იყო.

— ქალბატონო...

— ვიცი, ვიცი, რატომღაც თვალში არ მოგდით ლურჯი ფერი. გაგაწბილებთ. აივანი ჩემია და, როგორც მინდა, ისე შევღებავ.

ვიდრე კიბეზე ამოდიოდა, კარგად იცოდა, რითაც დაიწყებდა და რასაც იტყოდა, იქნებ ასეთნაირ მკვახე მასპინძლობას არა, მაგრამ რაღაც ამდაგვარს მაშინვე ელოდა. ეს არაფერი. საქმე ის იყო, ამ ქალის ხმა და სიტყვები როგორღაც ვერ ერგებოდა ერთიმეორეს. ხმა თბილი ჰქონდა, უბოროტო.

— კი მაგრამ...

სახლმმართველს უნდოდა ეთქვა, რომ აქ მოვალეობამ მოიყვანა, რომ ყველა აივნის ერთი ფერით შეღებვა წესი და კანონიც არის, რომ ნაცრისფერი უმეტესობამ აირჩია და, სხვაც არა იყოს რა, ამგვარი საქციელი უპატივცემულობაა სხვების მიმართ. აპირებდა, თქმით კი არაფერი თქვა. რაღაც უშლიდა ხელს. იქნებ მასპინძლის სახის გამომეტყველება, იქნებ უძრავი სიჩუმე, კაცს ლაპარაკის ხალისსაც რომ დაუკარგავდა.

— საკამათო არაფერია. ხომ გითხარით, აივანი ჩემია-მეთქი. ნაცრისფერი... უბრალოდ, მომწყინდა.

სახლმმართველი მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა, მისი საქციელი

თხოვნას ჰგავდა და სწორედ ამით ისარგებლეს. ახლა ძნელადღა შეიცვლებოდა რამე. მაგრამ ვერც ასე გაბრუნდება — ადრე თუ გვიან, აივანი უნდა გადაიღებოს. ბოლოს და ბოლოს, კანონი... ამ უკანასკნელმა არგუმენტმა გააბედვინა კიდეც:

— თქვენ ვერ გამიგეთ, მე სათხოვნელად არ მოვსულვარ. კეთილი ინებეთ და...

დიასახლისმა ისე გაიცინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის მანტიაში დარჩენა ნამდვილად აღარ ღირდა.

„ყველა ქალი დასწყევლა ღმერთმა", — გაიფიქრა და, მშველელისა თუ ვინმე ღვთისნიერის მოსახმობად იმედით, მიმოატარა მზერა. ოთახში სხვა არავინ იყო. ერთ კუთხეში საწოლი იდგა, პატარა მაგიდა და ტორშერი. იქვე კედელზე რომელიღაც მადონას რეპროდუქცია. აქვე — წიგნების კარადა, ტელევიზორი. ეკრანი პირდაპირ საწოლისკენ იცქირებოდა.

„ეს ქალი ყოველ საღამოს მარტო უყურებს ტელევიზორს, მარტო იძინებს და მარტო იღვიძებს, რატომღაც ასე იფიქრა და საკანს მიამგვანა ოთახი. საკანი არასდროს ენახა, მაგრამ თუ სადმე იყო, ასეთი უნდა ყოფილიყო. „საკმარისია ტელევიზორი, წიგნის კარადა და აი, ის სურათი მოაშორო".

უსიამო სიცივემ დაუარა, შეიშმუშნა. იმასაც მიხვდა, აივანზე კრინტს აღარ დასძრავდა. მერე ბავშვების რიგ-რიგ, აღრიალებული ტელევიზორი, ცოლის გაუთავებელი მონოლოგიც მოაგონდა და თითქოს შერცხვა კიდეც. ახლა უფრო ჩუმი და ცარიელი ეჩვენა ოთახი, აღარც მასპინძელი აღიზიანებდა, აღარც სიცილი. უცბად, ძალიან მოუნდა სადმე სხვაგან, ქუჩაში, თუნდაც გაჭედილ ავტობუსში ყოფილიყო. წამოდგომა დააპირა.

— ერთი წუთით, ჩაის მოგართმევთ.

ისევ ის თბილი ხმა. ხომ არ დასცინის ეს ქალი? იქნებ ამ მოულოდნელად დამტკბარი სიტყვებით ახალ თამაშს სთავაზობენ. ჯერ ვერ გარკვეულიყო. ერთი კი არის, უარის თქმას აზრი არა აქვს. გაურკვევლობამ, დიასახლისის საქციელი კიდევ უფრო რომ აბუნდოვნებდა, წინააღმდეგობის უნარი წაართვა.

ჩაი წამებად ექცა. მასპინძელი ხან რას გადმოაწვდიდა, ხან — რას. გაუღიმებდა, რაღაცას ჰკითხავდა. სახლმმართველი ყველაფერზე ყაბულს იყო — ეს უცნაური საუზმე სადამდე გასტანდა!

ქალი კი ისევ უღიმოდა, იდუმალი, ათასი რამის მთქმელი ღიმილით. ლამაზი შუბლი ჰქონდა, თვალები, თმა... „ყოველ საღამოს მარტო უყურებს ტელევიზორს, მარტო იძინებს". წამით მისდია ფიქრს. ფიქრმა კი არც სადავე იცის, არც სავალისა ეშინია. იმ თეთრ ყვრიმალებს უკოცნიდა, წელზე, თეძოებზე დაატარებდა აკანკალებულ თი-

თებს, გაშიშვლებულ მკერდზე ეკვროდა და იმასაც გრძნობდა, თანდათან როგორ ახვევდა თავბრუს ქალის სხეულის სითბო და სურნელი.

— რა გადაწყვიტეთ, გადავღებოთ? — კითხვას ისევ ის ნაცნობი სიცილი მოჰყვა — ნაძალადევი, ნერვიული.

სახლმმართველი შეიშმუშნა. „მაინც რა ჯანდაბამ ამახედა, წავსულიყავი ჩემი გზით“. ვიღაცას აგონებდა ეს ქალი. სახით ვერ მიამგვანა, არადა... დანამდვილებით ძნელიც კი იყო თქმა, მაგრამ იცოდა, ასეთი რამ ხდება — ჩაგეჭედება თავში რომელიღაც პერსონაჟი და მერე ხან ერთ, ხან მეორე კაცში უკითხავად გახსენებს თავს. უთუოდ ის პატარა ნოველა იყო: ქალი და კაცი, ყოფილი თანაკლასელები, ხვდებიან ერთმანეთს. ქალი გასათხოვარია, მამა არა ჰყავს, დედაც ოთხი წელია გარდაეცვალა. სკვერში, სკამზე ჩამოსხდნენ. რა არ გაიხსენეს — ერთ მერხზე რომ ისხდნენ, თმას რომ წიწკნიდნენ ერთმანეთს. კაცმა როგორღაც უნებურად თმაზე დაუსვა ხელი ნაზად, თბილად. ქალმა მხარზე დაადო თავი და ატირდა. მოეხვია კაცი, მერე, წავიდეთო, უთხრა, ხუთ წუთში მივალთ მანქანითო... სულ სხვა გამოდგა. დედის მერე არავინ მიალერსებოდა ქალს, ის ტირილიც იმ გახსენებისა ყოფილა. ვერაფერს მიმხვდარა კაცი. ის თუ უნდოდა ეთქვა ავტორს, ერთ თარგზე ვართ გამოჭრილი ყველანი და ერთნაირად გაუგებარნიო.

— თქვენ ალბათ გიყვართ ნაცრისფერი.

არ უყვარდა. მაგრამ რა, ასე ირჩია უმრავლესობამ. ასეც შეღებეს. ისე კი, ჭირსაც წაუღია ყველა აივანი და ყველა ფერი. კმარა უკვე!

ქალი ღიმილით ათვალიერებდა. შეცბა — დაცინვა წაიკითხა ამ ღიმილში. ახლაღა მიხვდა, სულ სხვა რაღაც ჰკითხეს.

ნაცრისფერი...

„სულ ტყუილად ირჯებით, ქალბატონო. — გაიფიქრა სახლმმართველმა და შვებაც კი იგრძნო. — არცთუ ურიგო სამსახური მაქვს, შეგობრები, ცოლი, სამი შვილი, ხმაურიანი ოჯახი... უსიცოცხლო და ნაცრისფერი მართლაც არ ეთქმის ჩემს ცხოვრებას. ასე თუ ისე, მოსაწყენ დროს მაინც ძნელად ვნახულობ. ნაცრისფერიო. მერე, სად უუბნებიან — ოთახში, სიჩუმეც რომ ვერ განძრეულა შიშით. ანდა, რა ამ ქალბატონის საქმეა!“ გაღიზიანებულმა თავმოყვარეობამ უფრო მკვახე სიტყვებს დაუწყო ძებნა. ვერაფერი იპოვა. წარმოიდგინა, უფრო კი ინატრა, რა ნიშნისმოგებით გადაუშლიდა უტყუარ მტკიცებებს ამ უცნობ ქალს.

ასანთის კოლოფში მივიწყებულ ხოჭოსავით აფხაჭუნდა ფიქრი.

... ოთახი. პიუპიტრზე გაშლილი ნოტები, ჭიაყელასავით წაგრძელებული გამები... დედა სამზარეულოდან უგდებს ყურს. ფანჯრიდან დროდადრო ბიჭების ყიჟინა შემოვარდება, მერე ცოტათი მიჩუმდება

ყველაფერი და ჭინჭყლი გოგიას ხმაღა ისმის. გამებს კი ბოლო არ უჩანს. აღარც საათის დიდი ისარი აპირებს ადგილიდან დაძვრას... მეორე დღეს სადგურზე დაიჭირა მამამ. ესეც შენი სოფელიო! ესეც შენი ბებიაო! — ხან ზურგზე, ხან კანჭებზე გაუდიოდა ქამარს ტყლაშუნი...

„შესანიშნავი სამსახური მაქვს, ოჯახი, მეგობრები!"

...მთელი თვე აწუხებდა, გული ვერ დაუდო სამუშაოს. არც მივლინება უთხოვია, არც შინ უთქვამს რამე, ისე გაემგზავრა. საძებნი და საპოვნი არაფერი ჰქონდა — როგორც წავიდა, ისეც დაბრუნდა. ცოლისა და უფროსის საყვედურებიღა შერჩა...

ფინჯნის წკარუნმა გამოარკვია. დიასახლისი ფეხზე იდგა, ნაჩრდილევი ღარებით დასეროდა სახე.

— ხვალ ისევ ნაცრისფრად შევღებავ, — რაღაც უცნაური ღიმილით თქვა და შებრუნდა.

სახლმმართველი სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ გუმანით მიხვდა — ტიროდა ქალი.

ი მ ე დ ი

თვალმილულული ზის სკამზე ხვთისო პაპა. მობოშებულ მუხლებზე დაუწყვია ხელები. კარგა ხანია, ხელიცა და მუხლიც ძალი-ძალადღა უგდებს მოხუცს ყურს, გამხმარ ტოტივითა ჰკიდია ერთიცა და მეორეც. ახლა ეს სისხლიც, რომ ვითომ რამეს ვუშველიო, არც რომ უნდ. და მაინც მიგორავს და მიიზლაზნება?! ხანდახან ბრაზიც წაეკიდება ბერიკაცს, მაგრამ გაუჯავრდი — არ გაუჯავრდი. ანდა, რა იქნება, რომც გაუჯავრდეს. არაფერი. არაფერი და იმიტომაც ზის ეგრე გალურსული. ასე უფრო უპრიანიც არის — მუხლიც ისვენებს და ხელიც.

არც თვალის გახელა უნდა ხვთისოს. რად უნდა! ბიჭი აქ არის, ამ წუთსაც რომ გაახილოს თვალი, გრძელი კანჭები არ შერჩება ხელში? მუხლებჩაღუნული უტრიალებს ალბათ გარშემო. ნელა აუწევს პაპას პირისახეს, კოხტად გაჰქაფავს, დაულბობს, მერე კოხტადვე ჩამოჰყვება სამართებლით გამხმარ ლოყებზე და ისე პირწმინდად ჩამოჰფხეკს, იტყვი, თავისი დღენი სხვა არაფერი უკეთებიაო. ახლა რეებს ლაპარაკობს?!

აპრილის მზე მომდგარა ფანჯრებთან. გარინდებული ნათელი ჩასდგომია სხეულში ხვთისოსაც. რამდენი შვილიშვილის ხელს იგრძნობს სახეზე, იმდენი უფრო თბება ჭყეტელა მზე.

ჰოდა, აბა, რად უნდა თვალის გახელა. ისევ რომ მოხუჭოს?! ეგეთ-მზეს ცოტა სხვანაირი თვალი უნდა!

მაინც გააშორიშორა მოხუცმა ქუთუთოები.

ცოტა აწოწილი კი არის, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც ეხალისება გულს. არადა, ისევ ისე ჩახრილი მუხლით დადის აქეთ-იქით. აბა, თუ ერთი მაინც გასწორდეს ეს მამაძაღლი! — ვითომდა ჯავრობს ბერიკაცი, ისე კი უხარია, ქორაანთ ჯიშზე რომ წასულა ბიჭი.

მაინც გააშორა ქუთუთოები და გულიც დაიამა. ეხლა აღარც დამშრალი ხელ-ფეხი აფიქრებს, აღარც დადუნებული სისხლი. ეეჰ, სისხლი ჰქვია, თორემ იცის ხვთისომ რა სისხლიცღაა. არადა ჰქონდა, აი მაშინ, ნიკოლოზის ჯარს რომ მისდევდა ბაღდადისაკენ. ჩვიდმეტის თებერვალი იყო. ცუდად წაუვიდათ საქმე სხვის მიწაზე. საშველიც აღარ ჩანდა და მაინც გაიწიეს. ვისთვის, რატომ — სულაც არ დაგიდევდნენ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭები. ხვთისომაც გაიწია. ბედად ცოტა ჭკუადამჯდარი მეთაური შეხვდათ. სულ ტყუილად გავწყდებით, ნებით ჩავყვეთო. მერე კარგა ორ წელიწადს ათრიეს თურქის ციხეებში, კარგა მაგრადაც მოუდრიკათ გაჭირვებამ კისრები. ვისთვისაო, რისთვისაო — აი, მაშინ ეკითხებოდა თავს ხშირ-ხშირად. მტერს, რაც ხვთისომ გადაიტანა.

ეხლა? ეხლა რა უჭირს, მოდი და აუგი დაგცდეს კაცს! ეხლა თავისთვის არის. საქმეც მოითავა და დღენიც, გასაკეთებელი აღარაფერი აქვს. შვილთან ჩამოვიდა ქალაქში და ნებივრობს. ქალაქიო! დაიხუთებიო! ტარტარებენ რა, აქაც კარგა მადლიანი მზე სცოდნია, ე ბიჭიც რა, სოფელში კი ვერ ივარგებს ვითომ? ენებივრება ხვთისოს და ნებივრობს კიდეც. სადალაქო სადღაც ახლოს ყოფილა, მაგრამ დალაქი მაინც დალაქია, ამ ბიჭის ხელები კი...

ისევ გაახელს მოხუცი თვალს, ძლივ-ძლივ გაუსწორებს ჭყეტელა მზეს და ისევ გაუხუნდება ფიქრები.

ახლა როგორ-როგორებს ლაპარაკობს ეს გუშინდელი ბალღი?! საინგილოო, ტაოო, მოსდევს და მისხალ-მისხალ კაკლავს. მერე ისეთი რიხით, თვითონ მოსწრებოდეს თითქოს. არადა, ბოლო ომი რომ ჩათავდა, დაბადებულიც არ იყო. მაინც სად მოასწრო ამდენი? ისე, ჩემი შვილის ოინები იქნება სულ!

ჯანი გავარდეს, ილაპარაკოს. ხვთისომ გაასწორა ყველა საქმე, ბარიბარშია წუთისოფელთან. ისიც ეყოფა, რაც ნახა. ისიც ეყოფა, ამდენ დავიდარაბას რომ გამოსცდა, ავად თუ კარგად, მაინც ხომ მოიტანა აქამდე ქორაანთ სისხლი. ესეც საქმეა, სხვისი თავი კი აღარა აქვს ხვთისოს. დანარჩენი თვითონ იციან, თვითონ მოუვლიან თავსაც და ქვეყანასაც.

ეგრე კი ფიქრობს ხვთისო, მაგრამ ფიქრებთან ერთად რაღაც მა-

ინც წამოუფრიალდება ხოლმე შიგნით. თუმცა... ჰეე... იცოცხლე, კარგია, მაგრამ, სადღა შეუძლია ამათი მიყოლა. აი მაშინ, მიჰყვებოდა...

მაშინ უმწყემსოდ დარჩენილ ფარასავით დაბორიალობდა ხალხი. ნერწყვს უშლიდა საშოვარზე გამოსულ მგელს. ლუკმა კარგა მოზრდილი იყო, უპატრონოც იყო და, ან მგლისა უნდა გამხდარიყო, ან მგლის ფერისა. კონსტანტინოპოლიდან აყრილი ნატყვევები ნოვოროსიისკში გადმოსხეს ღამით. ამოსუნთქვაც არ დასცალდათ, ისევ თოფიანი კაცები დაადგნენ თავზე. დენიკინის არმიაში უნდა იბრძოლოთო! ბოლშევიკებიო!

იბრძოლოთო?! დენიკინისო?! არც დენიკინი იცოდნენ, არც ბოლშევიკები. ბრძოლა კიდევ... თქვენთვის მოგვინდიაო, ბრძოლის თავი აღარა გვაქვსო. იმ ორ წელიწადში კარგად დაულაგდნენ ჭკუას. ტყუილ-უბრალოდ ტყვიის თავის შეშვერა აღარავის უნდოდა. დენიკინიო! ვინ ძაღლოხერია, აქამდე მთელი მოეტანათ ტყავი დენიკინისთვის შეეწირათ ახლა? ცოტა ხანში ბოლშევიკებმა გააქციეს გენერალი, მერე ისევ თეთრები მობრუნდნენ. თოფი აიღეთო ხელში. მართალი საქმის ბედი წყდებაო. იმ სიმინდის რესპუბლიკაში რა უნდა აკეთოთო. ბიჭი იყავი და გაგეგო მართალი, ე ოხერი სახლი კი აღარც ისე შორს იყო. ისევ ვიღაცებს გაურიგდნენ და ბათუმში ამოჰყავს თავი. აბა, იქა ტრიალებდა ამბავი. პორტში ინგლისელები დაიბღინძებოდნენ, საცა რას დაადგამდნენ თვალს, თავისად უნდოდათ ყველაფერი. იქიდანაც აიკრა ხვთისომ გუდანაბადი და სახლს მიაშურა. აღარც შინ დააყენეს. არ გიმსახურია ჯარშიო. ორი წელი გმართებსო.

მართლა ბედის ანაბარად ეგდო ქვეყანა და ეგრე ვარაუდობდა ხვთისო — ან მგლისა უნდა გამხდარიყო, ან მგლის ფერისა. ვერა, ვერც იმათ ივარგეს. პატრონობა რომ ეკითხებოდათ, ისხდნენ და თავის ორმოსა ჩიჩქნიდნენ. ვეღარც რომ ხალხმა გამოიჩინა ფხა! ან რით გამოეჩინა, თავგზა ჰქონდა არეული, თავისი გასაჭირი უჭირდა და შინისკენღა ეჭირა თვალი, მაშინ კი რა იცოდა ხვთისომ, მაგრამ ეხლა ხვდება — უცოდინრობა ღუპავდა ქვეყანას... ორჯერ ორი რომ ოთხია იმისა არა, სხვა, სხვა რამისა... ე ბიჭს რა უჭირს, თავიც იცის და ბოლოც, არ იცის და ისწავლის. კოჭებში ეტყობა, ისწავლის. მერე გინდა თავდაყირა დააყენე. აღარ აირევს გზას.

ბიჭი კი თან დალაქობს, თან ლაპარაკობს. თათარიო. მონღოლიო, არაბიო... ვინც გინდა თქვიო. ვერც ვიგუეთ და კარგადაც ვქენითო. რაც გინდა დაარქვიო, უცხო უცხოა, მტერი მტერია, ღიმილით მოსული კიდევ უფრო დიდიო. ლაპარაკობს და დალაქობს თან. თვითონვე გაქვს ნათქვამიო. თავს თუ არ მიხედა კაცმა, წვერი რა არის, წვერიც რომ არ იპარსოსო მალი-მალ, დადუნდებაო.

ჰო, აგრე ჰქონდა ხვთისოს ნათქვამი, აგრეც არის, მაგრამ ცოტა უფიქრელად ლაპარაკობს ბიჭი, მარტო სისხლის ხმას უგდებს ყურს, დროდადრო ნაადრევი სიმკაცრეც გადაუვლის თვალებზე და ესეც აფორიაქებს მოხუცს. წლებმა სიფრთხილეს შეაჩვია ბერიკაცი, ნელ-ნელა მორბილდა კიდეც. შვილები ცოცხალი ჰყავს, შვილიშვილები დაეხვია. ხუმრობა ხომ არ არის, ოცდაათი წელიწადი თოფი არ გასროლილა! ძალიანაც კარგი, ვინ ოხერს არ გაუხარდეს, მაგრამ ბიჭი მაინც სხვაა. ცარიელი ჭკუა ხვთისოსაც საკმარისი აქვს. არადა, კაცმა რომ თქვას, სხვა რისთვისღა დაჰქონდა ამდენ ხანს ქორაანთ სისხლი, რისთვისღა უფრთხილდებოდა? ხვთისოსავით ჭკუანასწავლი და დადუნებული რომ ჰქონდეს ამ ბიჭსაც, განა უფრო არ გამწარდებოდა? გამწარდებოდა და მეტსაც იზამდა. მაშინ ეგრე მშვიდად ვეღარ დაიწყობდა მუხლებზე დამშრალ-დაფიტულ ხელებს, აღარც შვილიშვილის მგლის მუხლი გაუხარებდა გულს. ეგ არის, ცოტა უფიქრელად ლაპარაკობს. მაინც არაფერს სძრახავს, არც ჰოს ამბობს, არც — არას.

ზის თვალმილულული მოხუცი, სამართებლის ფხაკუნს უგდებს ყურს და დამჭკნარი ლოყებითაც გრძნობს აპრილის ძალამოცემულ მზეს.

ისე, როგორც არი

— მამაჩემი რა კაცია?

თითისტოლა მიხაკო მიწაზე ზის და კოჭს ელაპარაკება. ცოტა იქით თაგვისფერი ყიგული დგას. ყიგულის ქვეშ თედო გაწოლილა პირაღმა და რკინას ეჯაჯგურება. მიხაკო თუთის ჩრდილში ზის, თედოც ჩრდილშია, სამაგიეროდ თაგვისფერი ყიგული იხრუკება მზეზე.

— თუ გამოვედი, გიჩვენებ, რა კაციცა ვარ! — კბილს კბილზე აჭერს და მთელი ძალით ეწევა თედო ქანჩს.

— მეფე ხარ, მამი, მეფე!

„მაშინ არა უშავს“ — ფიქრობს თედო და პერანგის სახელოთი იწმენდს გაოფლილ შუბლს.

ეზო გზის პირზეა, აქედან შაქრო ნათლიას ბაღჩა აკრავს, იქიდან წიკლოაანთ სახლი გადმოჰყუდებია თავზე. ხანდახან რაღაც გალაწუნდება, მერე ჩხაკუნი და ფრთხილი ნაბიჯის ხმაღა ისმის ზემოდან — პირმომტვრეულ კრამიტებსა ცვლის წიკლო.

— ვის წყალსა სვამს?

— წადი, შვილო, ერთი წყალი გამომიტანე!

მიხაკო უბეში ინახავს კოჭს და სახლისკენ გარბის.

„რა ცხელა, ეს უპატრონო, მაინცდამაინც დღეს არ მოუნდა? არა,

რას მოვაქენებდი იმ ოღროჩოღროებში! კიდევ კარგი, ამოვალწიე-
უნდა ვმდგარიყავ იმდღევანდელივით და ქვეყანა მეცინებინა. არა,
ნამდვილად ამიგდო იმ დედაკაცმა!"

ამასწინებზე მოყვრებთან იყო. მანქანითა ვარო, პირი არ გაუხსნა
ღვინოს. ხან აქედან მოუარა, ხან — იქიდან, ვერ აიყოლია სიმამრმა.
მე, რა, ნათხოვარი კი არა მაქვს კუჭიო, საყვედურივითა თქვა ბოლოს
და თვითონაც აიკრძალა. ბევრი იმასხრა მერე თედომ — არა და აღარ
გახსნა ვარლამამ შუბლი.

ვირზე ნაჯდომივით გამობრუნდა თვითონაც. არხს ქვემოთ, ვე-
ნახების პირზე გაეხირა ლაფიანში. ხან უკან ატრიალა ბორბლები,
ხან — წინ. გაგიგონია?!

იქამდე აზუზუნა, სანამ ხალხი არ მოაგროვა.

— ჩვენი თანდილას ბიჭი არ არის, კაცო?

გადმოვიდა... კოჭებამდე იყო ლაფი. ჯერ ცხვირიდან მოუარა მან-
ქანას, მერე ქვეშაც ჩახედა.

„ჩავაზილო წიხლი?" — ერთი კი გაიფიქრა, მაგრამ იქვე მოულბა
გული — გასარკევებული ჟიგული ცოცხალივით ითხოვდა შველას.

სწორედ მაშინ ამოიარა იმ დედაკაცმა, გალეული ვირი ება ორ-
თვალაში. შორიახლოს გაჩერდა. უყურა, უყურა და... დავუბათო, შვი-
ლო?

დაუბამდა, მაგრამ... ვირის ამოთრეული მანქანით...

— აჰა, მამი!

თედოს გამურული ხელით უჭირავს დოქი. წყალი ყბებზედაც გა-
დასდის, გულისპირშიც ჩასდის წურწურით. მაინც არ იშორებს დოქს.
ცალი თვალიც ზემოთკენ აქვს.

— რას იკრიჭები, შე მამაძაღლო!

— ძალიან ცხელა მანდ, მამი?

— შენი საქმე არ არის! — დოქს მიწაზე დგამს და ბორბლებშუა
მიიწურება.

მიხაკო თუთის ჩრდილში ჯდება, მერე უბეში აფათურებს ხელს.

ეზოს კარი ღიაა. გარედან თაგვისფერი ჟიგული და თუთის ქვეშ
დაყუნცული მიხაკო ჩანს, ხანდახან ორთვალა თუ აიჭრიალებს მტვრი-
ან შარაზე. სულ სამი მანქანაა სოფელში. ერთი თედოსია.

— შაქრო ნათლია მოვიდა, მამი!

შაქრო მანქანასთან დგას და იცდის.

— ძალა არ დაგადგეს, ბიჭო, რატო იგრე ქვემოდან მოქცევიხარ!

— ეგრეა ეს ცხოვრება, ნათლი. — ქვეშიდან ისმის თედოს ხმა.

— გიმღერო, რო გამოხვიდე?!

— რა იყო, ნათლი, რა გაბრაზებული ხარ!

— გოგოა სადგურზე ჩასაყვანი

— ეხლაღა მოვიყვანე, აბა, რა გიყო? — როგორც იქნა გამოჩნდა თედო.

— მოიყვანე რა, ქალია, მამაცხონებულო?

— არ არი თუ რა! — წიკლომ დაიძახა სახურავიდან. — დღე ერთია და ათჯერ მაინც მიუწვება ხოლმე!

თედო იცინის — სად წიკლო, სად მანქანა.

— შენი იმედი მქონდა, — ამბობს შაქრო, — ეხლა რაღა ეშველება. მიხას ამოგიგზავნი ემტეესიდან.

— იყოს, ხათლი, მე თვითონ მოვუხერხებ რამეს.

— შენ იცი, შენი საქმისა. — ამბობს შაქრო და მიდის.

კვირა დღეა და თედოს ქალი საყიდლებზეა წასული. მეზობლებიც გაკრეფილან. მარტო წიკლო დაიჩაჩხება სახურავზე და პირმომტვრეულ კრამიტებსა ყრის დაბლა.

„რა ცხელა, ეს ოხერი... ისევ გაუთოხნავი დამრჩა ქვემოთა ტახტი“. დროდადრო ბალახმოდებული ვაზიც დაეხატება გახურებულ თვალებში, უფრო გაავებული მოსწევს ქანჩს.

გზიდან შიშველი ფეხების ბარტყუნი და გნიასი ისმის. ზემოუბნელი ბიჭები საბანაოდ მიდიან არხზე. თავში გიორგა მეტყევის შოშიტა მოაფრიალებს პერანგს. თედოს სახლთან დადგნენ. გინდა არ გინდა, დადგები, როცა სამად სამი მანქანაა სოფელში.

ნელ-ნელა შეიკრიფნენ ეზოში.

თედო მტვერში ამოგანგლულ შიშველ ფეხებსა ხედავს, ჩუმი ლაპარაკიც ესმის. მიხაკოც მარაქაში გარეულა, ყოჩივით დაიბლანდება ბიჭებშუა.

კარგა ხანს უტრიალეს მანქანას. ერთმა — სოფლის გზებზე არ ვარგაო, მეორემ — თხელი სახურავი აქვს, ოთხას თორმეტი ჯობსო, შოშიტამ კიდევ არც აცხელა, არც აცივა და, მამაჩემმაო, მაგას რო დრო და ფული სჭირდება, კაცი მეორე ოჯახს შეინახავსო.

ესმის ყველაფერი თედოს და ლამის გულზე გასკდეს.

„ეხლა იმ სავერანე თითებსაც რომ არ დააყენებს რომელიღაცა?! შოშიტა იქნება, იმან იცის ხოლმე ეგრე“.

რაკუნობენ მეტყევის ბიჭის თითები და თითქოს სულსა ჰფხაჭნიან თედოს.

„ურაკუნე, შენმა მზემ, ურაკუნე, პაპაშენიც ნოტებს დაუხრჩვია თურმე!.. დავიფრინო, რა ვქნა?“

იტრიალეს ბიჭებმა, იტრიალეს და როცა სალაპარაკოც გამოლიენ, პურჭყებაცა და თედოს ფეხების ცქერაც რომ მოსწყინდათ, დროთა, მეტყევის შოშიტამ და არხისაკენ დაეშვნენ.

წიკლოანთ სახლის ჩრდილმა რახანია გადაუარა მანქანას, აღარც

კრამიტი ჩნაკუნობს სახურავზე. თითისტოლა მიხაკო ისევ კოქს ელაპარაკება:

— ვის პურსა ჭამს?

პურიჭამის დროა, ფიქრობს გამურულ-გაზეთილი თედო და გამწარებული ეჯაჯგურება რკინას.

— ბოლოს რა გამოვა?

კოქმაც, აიღო და ალჩუზე დასკუპდა.

— ვირი! ვირი! — კისკისებს ბიჭი და ალბათ, ზემოუბანშიც ისმის თედოს ლეკვის ხმა.

სარეცხი

დილიდანვე თავპირი ჩამოსტიროდა ცას. მოიღრუბლა და მოიქუშა.

ერთხანს ოთახში ტრიალებდა თებრია. ხან ვარცლზე დახვავებულ სარეცხს გახედავდა, ხან ფანჯრის ჩარჩოში მოქცეულ შუბლშეკრულ ცას და თვითონაც თანდათან იღრუბლებოდა.

ბოლოს მაინც გადაწყვიტა, ან კი რა გზა ჰქონდა მეტი. ეზოში გაიტანა ვარცლი. ვეება სპილენძის ქვაბი გამოაგორა, გამურულ ქვებზე შედგა. წვრილი წკირები და შეშა მიაგროვა იქვე.

ერთხანობა დაავიწყდა კიდეც უამინდობა, საქმემ აიყოლია.

ცხელი წყალი მოავლო ვარცლს, მერე შუამდე მოაყენა, თეთრეული ჩაალბო შიგ. ლურსმანზე დაკიდებული თოკის გორგალი ჩამოიღო. ერთი ბოლო თუთას მოაბა, გარდი-გარდმო გაიჭიმა ეზოში. სველი ხელი დაუსვა გაყოლებაზე, მტვერი გააცალა. ისევ სარეცხს მიუბრუნდა.

არ იქნა და არ გახსნა ცამ შეკრული პირი.

საცაა გიგლაანთ კოკობზიკა ხათუნაც ამოივლის ბაზრიდან. მოდგება ღობესთან და მოჰყვება ლაკლიკს. ჯერ მიხაანთ რძალს დაგესლავს, მერე, ხილაბანდის ბოლოს ააფარებს რიდითა და შიშით ნათქვამ სიტყვებს და თავმჯდომარის ცოლზე აჩურჩულდება. ბოლოს, პირიც რომ მოექაფება და ერთ ადგილზე დგომაც რომ მოსწყინდება, ვერ დაგდგომია დარი სარეცხზე, განზე თუ იწევს შენი ქმარიო, ვითომ სხვათა შორის გადმოუგდებს და კურტუმოს ქნევით მოსცილდება ღობეს.

განზე კი არა და! ნაპერწკალი გაუკრთა თებრიას თვალებში. მერე, თავისივე ნაფიქრალის შერცხვა თუ შეეშინდა და ისევ გაეშალა სახე.

კარგი დახლი დაუდგება, ხათუნას ნატარტარევს თუ უგდო ყური!

დასიცხული ძაღლივით ენაგადმოგდებული დატანტალებს ზემოთ-ქვემოთ. რა უნდა იყოს, მაგის პირმა არა თქვას!

ატალახებულ ცას გახედა თებრიამ და, რაღაცამ მაინც უკბინა.

აუჩქარებლად დაცურავენ შეშუპებული ხელები ქაფმომდგარ ვარცლში. გაჟღენთილ-გაფუებულ ქსოვილს მოიხელთებენ, გამოჰეპყავენ, გამოწურავენ და უკანვე ჩააბრუნებენ.

ოფლის წვრილი წვეთები აესხა თებრიას ყელსა და გულისპირზე. გამსხვილდება წვეთი, გაიბერება, მერე მძიმედ მოცურდება და მზედაკრულ უბეში იკარგება.

ერთი პირი უკვე ამორეცხა თებრიამ. დაგრეხილი გოგრები ერთმანეთზე დააწყო. გადაწრიტა ნარეცხი წყალი. ძირი მოავლო ვარცლს და სუფთა წყლით გაავსო. ლილა გახსნა შიგ. ვარცლშივე ჩაყარა დახვავებული გოგრები. გაშალა, აალივლივა გაკროცილ წყალში. ლურჯმა სითეთრემ გადაჰკრა თეთრეულს.

დაბუშტულ-დაბერილი ზეწარი ამოსწია თებრიამ. ჩხრიალით ჩაიღვარა წყალი, მერე, ლეშხი რომ იცის ნაწვიმარზე ფოთოლმა, ისე მოჰყვნენ ერთმანეთს წვრილი წვეთები, ტკაპატკუპით ჩაცვივდნენ ვარცლში.

უფრო მაღლა ასწია თებრიამ ხელები და გაირინდა.

თეთრად ბიბინებდა ლურჯდაკრული ზეწარი, თეთრი ანარეკლი აჰყვა ქალის შეწითლებულ სახესაც.

დამშხალულ ხელებზე გაუჩერდა თვალი, ქალიშვილობისდროინდელ ხელებს შეადარა. მერე ქმარი გაახსენდა, გიგლაანთ ხათუნაც და ისევ გამოჰკრა რაღაცამ.

უცებ...

აღარ აუხედავს. ნელ-ნელა გამოლია ვარცლის პირზე დახვავებული გოგრების გორა. მერე გაოფლილ გულისპირზე მოისვა სველი ხელი, კაბის კალთაზე შეიწმინდა. კედელზე მიაყუდა ვარცლი, სპილენძის ქვაბსაც თავისი ადგილი მოუნახა. კიბეზე ჩამოჯდა.

იჯდა თებრია, კალთაში ეწყო დაღლილი ხელები და თოკზე ასხმულ თეთრეულსა და ზედ მოთამაშე მზის ათინათებს მისჩერებოდა.

იცინოდა თებრია, თავისთვის, ჩუმად.

იფნის ძირში, ბალახზე წამოწოლილიყო მახარე, საჭოლოკე ჯოხს ჩორკნიდა. თავს აიღებდა დროდადრო, ტყეში ატეხილ ლაწუნს მიუგდებდა ყურს და ისევ განაგრძობდა ჩორკნას.

ცხელოდა. სიგრილეს შეფარებოდნენ ფრინველნი, გაუთავებელი ჟივჟივი და ჭახჭახი ისმოდა ტყიდან.

ისევ ასწია თავი მახარემ, ტყის პირს მოავლო მზერა, იფნის გულგლუჭრელა ტოტებს ააყოლა თვალი. ვიწრო კონებად იღვრებოდა ცხელი მზე ფოთლებშუა დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან, თეთრ ლაქებად ედებოდა მიწას.

„ჯერ ადრეა ბინაზე გაბრუნება. აი, მუხის წვერს რომ დასცდება... ჰო, ჯერ ადრეა“.

ჯოხი განზე გადადო და გულაღმა გაიშოტა.

„იქნება დღეს მაინც ამოვიდეს ის ბიჭი“.

ჯაგრცხილების ჩრდილები გაწვა მინდორზე, დაგრძელდა.

წამოდგა მახარე, გაიშალა, პირზე შემოიწყო ხელები და — ეჰეჰეჰეი! — შეეხმიანა მიდამოს.

— ეჰეჰეჰეი! — უკან დაუბრუნდა სხვა კილოზე აწყობილი ხმა. სანახევროდ გათლილ ჯოხს დასწვდა, იღლიაში ამოიდო და ხევს ბუყვა.

თითო-ოროლად დაიძრნენ ხევხუვებიდან წაბლა ძროხები, ქაშანებზე გადმოიარეს, მენახირეს აედევნენ ცოხნა-ცოხნით.

ირიბად ასჭრა სერი.

ზანტად მისდევდა ფერდამოვსებული მრეწელე, ნელა მიდიოდა მახარეც, მიღიღინობდა. სერის თავზე შედგა. ნიავქარი ასისინებდა მუხლებამდე შემომდგარ ბალახს. შედგნენ ძროხებიც, ისევ მოსინჯეს ბალახი.

ნელ-ნელა გროვდებოდა ნახირი.

სერს აქეთაც ღრანტეებზე ედო გზა. ნადირთ ბილიკებს დაუყვა ქედის გასწვრივ, წყარო ეგულებოდა იქვე, ფერდის ძირში. ზლაზვნით მიჰყვა ნახირი.

ხუთი თუ ექვსი წყარო ჰქონდა მონიშნული ხევებში, სხვადასხვა გემოსი იყო ყველა. ამოიჩემებდა ერთხანობას რომელიმეს, სხვას არ დააკარებდა პირს. გადაუვლიდა მერე სურვილი, ახლა მეორეს შეეწყობოდა.

დალია წყალი, ეგემრიელა. სახეზეც შეისხა, ძროხებს შეუძახა და ბინისაკენ დაადგა გზას. ზმუილით მიდიოდა ნახირი.

ბაკში შერეკა ძროხა, მიხურა კარი და სოფლისკენ მიმავალ ბილიკს გახედა. არავინ ჩანდა. შებინდულიყო ტყის პირი, ბინდი დას-

წოლოდა სერებსაც, მხოლოდ დასავლის მხარე ღუოდა ჯერ კიდევ წითლად.

„როცა მზებურთი ნაჯაფი
ჩასცდება სერებს მძიმედა,
დღევანდელს წარსულს ვაბარებ
ხვალ გათენების იმედად".

მოეწონა ლექსი. მერე ბრაზი მოუვიდა საკუთარ თავზე. „ამას მაინც დავიხსომებ!"

სანამ ფიჩხს უმატებდა ცეცხლს, გამეორება სცადა. გაუხარდა — არ დავიწყებოდა. გახუხა პური ცეცხლზე, მაწონში ჩაალბო. ორი თავი ნიორი შეაწყვიტა გალას, კარგა მოზრდილი ნაჭერი ჩამოაჭრა შებოლილ ხორცს, მაგიდაზე დააწყო. სამფეხა მიიჩოჩა და თვითონაც ჩამოჯდა. ჭამისას ერთი-ორჯერ კიდევ გაიმეორა გუნებაში. მერე მაგიდა მიალაგა, ლოგინზე წამოწვა.

„არც დღეს გამოჩნდა ის ეშმაკის ფეხი, ამოსულიყო, ხმას მაინც გამცემდა, დამელაპარაკებოდა.

„მარტო ვარ — არვინ იფიქროს,
არვინ ჩამთვალოს შლეგადა.
ეს მთაც მე მისმენს, ეს ველიც,
ბალახიც მინდორ-ველადა.
წყაროს ხმა, კლდეთა წუხილი,
ხეთა ჩივილიც ქარშია —
მსმენია, გული მტკენია,
არ დავრჩენილვარ ვალშია".

არც ეს ჩანდა ურიგო, შეენანა დასაკარგავად, უფრო დაღონდა.

უცნაური რაღაც სჭირდა მახარეს. ერთხელ ნათქვამი ლექსი თითქოს უკანვე უბრუნდებოდა, ისევ შიგნით დაიწყებდა ტრიალს, მოსვენებას არ მისცემდა. ახლა სხვა ლექსად ამოვარდებოდა. ძველები კი, კარგებიც, ცუდებიც სადღაც ქრებოდა უკვალოდ, ვერც იხსომებდა და ვერც იწერდა.

„ეს ოხერი, წერა-კითხვა მაინც მესწავლა!"

ვინ აცალა. მამა რომ კლდეზე გადაეჩეხა, ათი წლისა იყო. ნახირი ჩააბარეს — ეხლა შენ მოუარეო. მოსდევს მას აქეთ, აგერ ორმოცი წელიწადი გავიდა უკვე, მიელალება და მოელალება. ჯერ სოფლის გადალმა აძოვებდა, მერე, შეემატა, იმრავლა ნახირმა. ბინა აუშენეს მთაში. ისე გაივლიდა ზაფხული, პირს არ იზამდა ბარისკენ. არა, ბედს არ ემდუროდა, მაგრამ ეს წერა-კითხვა მაინც ესწავლა! ამოუვლის ხოლმე ის ყვავიანთ ჭინკა ბიჭი და მთელი მილეთის ამბებს უყვება, გაზეთში წავიკითხეო, წიგნებში წერიაო.

„მერე როგორ ყოყლოჩინობს! დღეს მაინც ამოსულიყო, ის რაღაც ჩამწერი ამოეტანა. არა, რაღა მაინცდამაინც მაშინ მავიწყდება

ყველაფერი, ის წუპაკი რომ შემიჩნდება ხოლმე. აგრე ჰგონია, ვატყუებ. ერთი ის ეშმაკის მანქანა ამომიტანოს და მერე ვნახოთ!"

ძროხების ზმუილი ისმოდა ბაკიდან. თანდათან შედედდა ბინდი ფიცრულ ოთახში. იწვა მახარე და ყვავიანთ ბიჭზე და დაკარგულ ლექსებზე ფიქრობდა. ნახირი გაახსენდა მერე.

„მთელი სიცოცხლე ამათ შევალიე, შვილი მე არ მრჩება და ძირი. ე ნახირსაც დღეს თუ მახარესი ჰქვია, ხვალ ივანესი დაერქმევა, ან კიდევ ვინ იცის ვისი..."

ნაბადი წაიხურა, მერე გვერდი იცვალა, ხელი ამოიდო თავქვეშ.

„შვილი მე არ მრჩება და ძირი..." — ერთხანს კიდევ ბუტბუტებდა ძილ-ღვიძილში.

შუალამისას გააღვიძა რაღაცამ. „ნეტავ რა ეშმაკი შემიძვრა, რომ არ მაძინებს?!"

მთვარის შუქი შემოდიოდა ფიცრებშუა დარჩენილი ღრეჩოდან. ჭოტი ჰკიოდა ტყეში.

„არა, ხვალ ნამდვილად ამომიტანს, არ მომატყუებს!"

თ ე ბ რ ი ა

ზის ეხლა გაჯგიმული იმ თავის უნდილ ბიძაშვილთან ერთად და ისხამს საოხრე მუცელში! ცოტა ვიშუკჭუკე ნიკასთანო, ტკბილი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, ცოტა ღვინოც მივაყოლეთო. ღვინო მაინც ჰქონდეს რიგიანი იმ უქნარას! მობრძანდება ეხლა გაბანდალებული, ქვეყნის ამშენებელივით გაიხირება კარში, რა თარაზოში მასწორებო, შენი გულნაზუქი გიგოლა ვარ, ლოგინი გამიშალე, ცოტას მივწვებიო.

ცოტა მივწვებიო! მისდებს იმ სამგლე თავს ბალიშზე და ხვრინვასაც მიაყოლებს. მერე, გინდა ზარბაზანი დაუცალე ყურთან, არც შეტოკდება. მაინც რა ჩაუძვრა იმ საოხრეში, რომ ვეღარ ამოივსო?! კიდევ გაუძლებდა კაცი, ძილი რომ მაინც იცოდეს ფარსაგი. საბერველივით აქშინდება, სტვენასა და ხრუტუნს ააყოლებს მერე. ლამის ჭერი ჩამოიღოს ძირს.

არ მოგიყვანა მამაზეციერმა!

გაჯავრებული იყო თებრია, ან კი როგორ არ ეჯავრა, სანამ ვაზს წყლის მიგდება, გათოხნა, გასხვლა, შეწამვლა ესაჭიროებოდა, თებრია არც ხმის ამომღები იყო და არც რამე ეთქმოდა. მერე კი... საქმე-

მოკლებული გიგოლა ღვინოს ეტანებოდა, გულისგამწვრილებლად იჭიმებოდა ზამთრისპირის ღამეები, გიგოლაც, თითქოს ჯიბრზე, სულ უფრო უმატებდა სმასა და ბვრინვას.

ის დღე დაიწვას, შენ რომ აგეკიდე! არავინ იყო ნეტა ღვთისნიერი, ეთქვა, ვის მიჰყვები, შე ოხეროო?! ვინ დამაწერა, შენი დღე და მოსწრება იმის ხვრინვა ისმინე და ჭოტივით ათენე ღამეებიო?!

თავშალი მოიხურა თებრიამ, მერე წვიმის ხმაურს მიუგდო ყური. ამას რაღას ჩამოსტირის თავპირი, თავისთვის ჩაილაპარაკა და გარეთ გავიდა.

საქათმიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბოსლის კარი შეაღო. თივაზე მიწოლილიყო ფერდელა, ზანტად იცოხნებოდა.

სახურავი შეუსწორა თონეს, წყალი არ ჩავიდესო. პურის დაკვრას აპირებდა სახვალიოდ. მარანს რომ ჩაუარა, ქმარი გაახსენდა და შინვე შებრუნდა.

ოთახი მოათვალიერა, მერე საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, კალთაში ჩაიწყო ხელები. ტკაცატკუცი გაუდიოდა ხმელ შეშას.

ოცი წლის წინათ, პატიაანთ ძეობაში გაიცნო გიგოლა. მთელი ღამე თავის კბილა გოგოებში ჩამჯდარ თებრიაზე ეჭირა ბიჭს თვალი. დაირცხვინა თებრიამ, თავს ვეღარ სწვედა მაღლა. მაინც უხაროდა, რომ სწორედ ის გამოარჩიეს ამდენ გოგოში. გადაეკიდა მას მერე ბიჭი. ისე არ გავიდოდა დღე, ორჯერ მაინც არ ჩაევლო მის სახლთან. იცოდა თებრიამ, მისი გულისთვის დაიგრძელა ვენახში სავალი გზა გიგოლამ, იცოდა და უხაროდა. კარგი ბიჭი იყო გიგოლა, სოფელში ამბობდნენ, ზედგამოჭრილი ცხონებული პაპამისიაო. დრო გადიოდა, ყურძენი თვალში იყო შესული, დიდ მსხალთან ჩახვეულებს რომ მოატანათ თებრიას პაპამ. სახრით იფრინა მიხო პაპამ დაფეთებული ბიჭი, მაგრამ ვეღარ მოიშორა...

თითქო გუშინ იყო, ახალჯვარდაწერილებმა თოფის ბათქაბუთქით რომ შედგეს ფეხი სახლში. პატარა ბიჭი ჩაუსვეს თებრიას კალთაში. მთელი ღამე „მრავალუამიერ“ ისმოდა სოფელში.

შეიშნოვა თებრიამ დაქალება. დატრიალდა, პატარძლის მოსვლა დაატყო ეზო-კარს. მართალია, შვილი არ მისცათ ღმერთმა, მაგრამ სამდურავი მაინც არ ეთქმოდა. მშრომელი ბიჭი გამოდგა გიგოლა, ოფლს არ უშურებდა ოჯახს. ერთი კი იყო, საოცარი ხვრინვა იცოდა. გაუჭირდა პირველ ხანებში, ეღვიძებოდა ღამით, აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო, გათენებამდე ვერ მოხუჭავდა ხოლმე თვალს. გათენდებოდა და, ქმრის გამრჯე ხელების შემყურეს ყველაფერი ავიწყდებოდა. ისე გავიდა წლები, ერთმანეთის აუგი არ დასცდენია ცოლ-ქმარს. აუგი კი არ დასცდენიათ, მაგრამ როგორღაც განმარტოვდნენ, თავ-

თავის საქმეს აკეთებდა ორივე. იშვილეთ ვინმე, გაგიჟირდებათ მარტო ცხოვრებაო, ეუბნებოდნენ მეზობლის ქალები...

წამოდგა თებრია, პირთამდე გაავსო ქვაბი წყლით, ცეცხლზე შედგა.

იქნებ ნიკასთანაც დარჩეს. კუთხეში მიყუდებული ცოცხი აიღო. ერთხანს ხელში ატრიალა, უკანვე დადო — წეღან არ გამოგავა ოთახი? ახლა საათს მიუბრუნდა. ათი ყოფილა, სძინავს მთელ სოფელს.

მძიმე-მძიმედ გადააძრო ლოგინს სიფრიფანა ატლასი. ჩამოჯდა, დასაწოლად არ მიუწევდა გული.

ეს ოხერი ღვინო მაინც არ უყვარდეს ასე. გამოათრობს ის ეშმაკის ფეხი ნიკა. ერთად არიან გაზრდილი, წელიწადში ორჯერ თუ ნახავენ ერთმანეთს. ახალ ღვინოს გაასინჯებდა, კარგი მოსავალი დასდგომია წლეულს.

ფეხი არ დაუცდესო ამ ტიალ ღამეში, ნასვამი იქნება, ემანდ სადმე არ ჩაიჩეხოსო. შეშა შეუმატა ისედაც გავარვარებულ ღუმელს და თავშალი მოისხა...

პატიაანთ მიხას ცოდვა

— მოვკლავ, ამ უპატრონოს!

ორივე ხელით ტახტს ჩასჭიდებოდა მიხა, ხორკლიანი ლოყები უხურდა სიბრაზისაგან.

— ეხლა არ გავაგდე ეს სამგლე? აბა, თუ დამანებოს თავი!

თედოანთ თხა დინჯად განაგრძობდა საქმიანობას. კიდევ ერთი ყლორტი შეაგლიჯა ხომარდულს, პირში მოიგდო და მადიანად აახრამუნა.

— ოჰ, შენი... მოვკლავ, ამ სამგლეს! ერთხელაც იქნება, მოვკლავ!

გაბრაზებულმა მუთაქას ჩასცხო მუშტი, დააბურთავა და უკანვე დაახეთქა. თვითონაც ტახტზე გაიშოტა. აივნის ჭერს მიაშტერა სიბრაზისაგან დაელმებული თვალები.

ბებერი თხის თეთრი წვერი და ყეყეჩი გამომეტყველება მაინც ვერ მოიცილა თავიდან.

— ზედგამოჭრილი მუდრეგი პატრონია!

„თუ ღმერთი შეეწია და არ მოვკალი, თედოს დავარქმევ“, გაიფიქრა და გვერდი იცვალა...

წითელ-ყვითელი ბაფთებით მორთული წვერცანცარა მედიდური

ნაბიჯით მოადგა ძეძვის ღობეს და დაუკითხავად გადმოაბოტა ეზოში. ხომარდულისათვის არც შეუხედავს, სახლის გაყოლებაზე ჩაყრილი ვაზებისკენ აიღო გეზი. შეჩერდა. მიატრიალ-მოატრიალა თავი და საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, ჯერ ერთს მოგლიჯა რქა, კარგად გამოღეჭა და გამოწოვა, ახლა მეორეს მიადგა.

ადუღდა მიხა.

— მაშ, მე პატიაანთ მიხა არ ვიყო! — ოთახში შევარდა და ძველი ორლულიანი ჩამოგლიჯა კედლიდან.

მესამე ვაზს „სხლავდა“ თედოს თხა.

აივანზე გამომდგარი თოფმოღერებული მიხა რომ შენიშნა, რაღაც ცუდი უგრძნო გულმა, ვაზს თავი ანება და საკუთარი ეზოსკენ მოუსვა ბაფთების ფრიალით.

— ვერსად წამიხვალ! — ღობეზე აბოტებულს უწია მიხას ხმამ და მსხვილმა საფანტმა.

ერთი კი შეაქანა ამაყად აყაყული რქები და ისევე დარჩა ღობეზე **გადაკიდებული.**

თოფის ხმაზე თედოს სალომე გამოვარდა სახლიდან. უკან ტიტლიკანა გოგო-ბიჭები გამოჰყვნენ.

გამარჯვებულის იერითა და აბოლებული თოფით ხელში იდგა მიხა.

— ვაიმე! — იკივლა ქალმა და ღობისაკენ გამოიქცა.

ბავშვები ღრიალით გამოჰყვნენ უკან.

გაშეშებულ რქებზე შეავლო თხას ქალმა ხელი და შეანჯღრია.

— მოუკლავს! მართლა მოუკლავს ამ უსინდისოს! ჩვენი მარჩენალი ამაყა!

გვერდზე გადაბრუნდა მოფამფალებული თხა, თავით ჩაეკიდა თედოს ეზოში.

— შენ არ გაიხარო შენს შვილებში, ჩემი ოჯახის დამაქცევარო! — ამოიხრიალა სალომემ და ღობის ძირზე ჩაიკეცა.

ბავშვები გარს შემოეხვივნენ, უფრო უმატეს ტირილს.

ღიად დარჩენილი პირიდან სისხლი სდიოდა თხას, წითლად ულებავდა თეთრ წვერს და წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ძირს.

— მკვლელი, მკვლელი, რა დაუშავა, რა შეუჭამა ისეთი. — ძლივსღა ჩურჩულებდა ქალი.

— ჩვენი ამაყა, ჩვენი საწყალი ამაყა, — ტირილით ეპასუხებოდნენ ბავშვები და გაქვავებულ სახეზე უტყაპუნებდნენ ხელებს მკვდარ თხას.

ძირს დააგდო მიხამ ორლულიანი და ხელებზე დაიხედა.

გვიანღა იყო. ამაოდ ცდილობდნენ თედოს ტიტლიკანა ბავშვები გაშეშებული ამაყას გაცოცხლებას.

ცივმა ოფლმა დაასხა პატიაანთ მიხას.

— ოოუუ! — უნდოდა ამოეგმინა, თვალი კი დააჭყიტა.

მუთაქაზე ედო თავი, ზევიდან აივნის ჭერი დაჰყურებდა.

ელდანაკრავივით წამოხტა, გაოფლილი შუბლი მოიწმინდა და ძირს გადაიხედა.

თედოს თხა ეზოში იდგა, ხომარდულისათვის ზურგი შეექცია და ახლა ბროწეულს ეჯაჯგურებოდა. არც სალომე და ატირებული ბავშვები ჩანდნენ.

— ფუ! — გადააფურთხა გვერდზე. ბრახუნით ჩაიარა კიბე, თოხი აიღო და განიერი ნაბიჯით გასწია ვენახისკენ.

— მოვკლავ ამ სამგლეს, ერთხელაც იქნება, მოვკლავ!

... ბინდა შინმოუსვლელი

კახეთისაკენ, გადახურებულ ასფალტზე მიზუზუნებდა მანქანა.

წყაროებთან თავშეყრილი ხალხი, სახეალანძული დედაკაცები, ცხვირ-პირ მოთხვრილი ტიტლიკანა გოგო-ბიჭები, გზისაკენ ზურგშექცეული ქვითკირის სახლები...

შოფერი ლაპარაკის გუნებაზე იყო. იცოცხლე, წლეულს მოსავალი დაგვიდგებაო. ცოტა გვალვებმა შეაწუხა ვაზი, ერთი კარგი წვიმა სულს მოათქმევინებსო ვენახს. მერე გზებზე მოჰყვა — ქალაქში აღარ გაისვლებაო, შენისთანა მგზავრი მიმრავლოსო ღმერთმა. გაიცინებდა და გადმოხედავდა.

კრიჭამეკრული უგდებდა ყურს მგზავრი.

ბოლოს, მობეზრდა შოფერსაც, კარგი ხვითო ყოფილხარო, გაიფიქრა და თვითონაც გაჩუმდა.

გვიანღა ინანა მგზავრმა — ეს ხმამაღალი, ხორკლიანი ქართული, ასე დაუდევრად რომ იხარჯებოდა ერთი კაცისათვის, სანატრელი გახდომოდა.

ოცდაათი წელიწადი... ყელში ჩაწებებული ნაღველისა თუ სინანულის მომწარო გემო... როგორღაც უცნაურად გასხვისებული ნაცნობი მიწა... მის აქ არყოფნაში ნაბარტყი კანჭა ბიჭები და გოგოები, მთელი თაობა...

უიმისოდ და უჩუმრად გალეულიყო ეს ამოდენა დრო...

— მოვედით.

შოფერი სანახევროდ შემობრუნდა და უფრო ხმამაღლა გაიმეორა.

ანგარიში გაუსწორა, მერე შავი სათვალე გაიკეთა და მანქანიდან გადმოვიდა.

შოფერმა ცერად გახედა მტვრიან გზაზე აჩოჩხილ კაცს, რაღაც ჩაილაპარაკა, ხმაურითა და ზათქით მიატრიალ-მოატრიალა მანქანა და ისევ გზით გააბრუნა უკან.

ხის ღობემოვლებულ ეზოში ატმის ხეები იდგა...

* * *

— ნიკა ძია სამოცდაორში... სამი წლის თავზე მარო დეიდაც დავასაფლავეთ — კალთაში ჩაეწყო დედაკაცს ხელები, ერთ წერტილს დასცქეროდა და ისე ჰყვებოდა. — ლოდინით გაწყალდნენ მოხუცები, მაინც არ ჰკარგავდნენ იმედს, რამდენი იყო, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, როდის-როდის და, გამოჩნდებოდნენ. აგე, სულიკოანთ თანდილა, ომის გათავებიდან თხუთმეტი წლის მერე არ მობრუნდა? ჩვენი გოგიასიც ხომ არც ჰო ვიცოდით, არც — არა.

ეზოში ისხდნენ, დიდი თუთის ქვეშ.

ახლა კი გაიგო — აღარ იყვნენ მოხუცები. ეს დედაკაციღა შემორჩენოდა დაცარიელებულ ეზო-კარს. მისი ღვიძლი ბიძაშვილი, სალომე. მობერებულიყო ისიც.

ანაგელი სვიმონიშვილი ვარო — ვინაობა დამალა. ერთად ვიბრძოდით მე და გოგია ვორონეჟთანო. უკან ვიხევდით, დაჭრილებიც ვერ გამოვიყვანეთ, მტრისა და ყინვის ანაბარად დარჩნენო დაღირჯნილ ველზე. მერე მეც ტყვედ ჩავვარდიო. ორმოცდახუთმა შუაგულ ევროპაში მომისწროო. მეტი არაფერი უთქვამს. საფრანგეთის დელეგაციას ჩემსავე მიწაზე სტუმრად ჩამოვყევიო, ესღა დააყოლა ჩუმად.

სხვა აღარაფერი უთქვამს.

სახლი კარგა მოძველებულიყო. რიკულებს ჟანგისფერი დადებოდა. „კიბეც არ გამოუცვლიათ მას შემდეგ". ერთი შინდიგორაღა იდგა ძველებურად. ისეთივე იყო, ფეხშიშველი რომ აირბენდა ხოლმე სულშოუთქმელად. სადღა ახსოვდა, დათვი იცისო შინდიანში. ახლა ის შატრაკვეცა სალომეც რომ აეკიდებოდა?.. ქვეშაფსია გოგოსთან როგორ ვიაროო, წაუქუსქუსებდა. სახლს რომ მიეფარებოდნენ, ერთს მაინც წაჰკრავდა, აატირებდა. მერე შეეცოდებოდა, კაბით მოწმენდდა ცხვირს და, ეს ერთხელაცო, ბევრს თუ არ იტლიკინებ გზაშიო.

„როგორ დაბერებულა".

დილაადრიან ლეღვზე აეპარებოდნენ ხოლმე ნინო ძალოს, თან

ჭამდნენ, თან ყურს უგდებდნენ. წიწილები მეხოცებაო, თავისთვის ჯავრობდა დედაკაცი, ის წყეული თრია მპარავს, ტყის პირას რომ წრიპინებს ღამ-ღამობით, ვინმემ თუ გააბრაზაო. საქათმესთან ჯამით რძის დადგმას აპირებდა, მოუბრუნდება გულიო. ნუთუ თრიაც კატასავით შეხვრიპავს რძესო, უკვირდათ ორთავეს. საბძელს მოფარებულნი უთვალთვალებდნენ მთელი დღე.

უცნაურია, თითქოს არც დაძრულიყო დრო ადგილიდან.

ეს არის, ღობის ფიცარი ჩაჭიანებულა და ჩაშავებულა, თუთაც კარგა მაღლა ასცილებია კრამიტებს. ატმები... აკი, წეღანვე დაადგა თვალი... ჩამოზნექილი ტოტებით ისე იდგენ — არც ყოფილაო ეს ოცდაათი წელიწადი! მერე იქვე ინანა, ცთუნებას რომ აჰყვა — „ამდენს რა გააძლებინებდა საცოდავ ატამს“.

— სალომეე!

დალეული მოხუცი ქალი იდგა ღობეში დატანებულ კართან.

— შემოდი, ნინო ძალო, სტუმარი მყავს, გოგიას ფრონტელი მეგობარი...

დედაბერი ფაჩუნით წამოვიდა.

— აივანზე ვიჯექ, მანქანიდან რომ გადმოდიოდი, შვილო. ჩვენ გოგიას მიგამგვანე, გადამიქანდა გული, მინ ვეღარ დავდექ. გოგიას მიგამგვანე-მეთქი, რომ გითხარი, არ მიწყინო, შვილო. იმანაც ეგრე იცოდა. სანამ ეზოში შემოვიდოდა, გარედან გადმოხედავდა ხოლმე... ეგ შავი სათვალე... თვალი ხომ არ გტკივა. — ჩაეკითხა დედაბერი.

არაო, სათვალისაკენ წაიღო ხელი ნაუცბათევად.

— ჩვენებურმა მზემ დამცადა ალბათ. თანაც, შევეჩვიე უკვე და...

— ჩვენი გოგია... ვორონეჟთან დაღუპულა, ნინო ძალო... — ძლივს ამოიტანა სალომემ.

დედაბერი ერთხანს უნდოდ შეჰყურებდა, მერე ხილაბანდის ბოლო აიფარა პირზე და ადუდუნდა:

— ბედდამწვარი... ვერ გაიხარა თავის მიწაზე. ბედდამწვარი... ბედდამწვარი... არც ამათ ჰქონიათ სასიცოცხლო თავი. ტყუილად არ ამბობდა საწყალი ნიკა, ცოცხალი იყოს, არ დადგებოდა სხვაგანო. ენა გაგიხმესო, პირში შეატეხავდა მარო, გული მიგრძნობს, ცოცხალია ბიჭიო. რა ვუყოთ, რომ არ იწერება, ჩამოვაო, როცა იქნება, არ დაგვაგდებსო მოხუცებს.

როგორღაც შორიდან ისმოდა დედაბრის ჩიფჩიფი.

საყდრის კედელზე აბობღდა იმ დღეს. ფეხი დაუცურდა. დახეული პერანგი და დასისხლიანებული კანჭები ჩამოიტანა ძირს. თბილი წყლით ჩაჰბანა დედამ დაყვლეფილი ფეხები. გამეტებით დაუსვამდა ხელს, წყალმა ჩაიტანოს ყველა ჭირი და სატკივარიო. მაშინ კი მოითმინა, მაგრამ ეგრე რად გამიმეტა დედამო, გულდათუთქული სლუ-

კუნებდა ლოგინში. ფრონტზე რომ მიდიოდა, მაშინ მოაგონა, რა გა-ტირებსო, ეგრე მზრდიდიო, განა? გაჩუმდიო, დედაკაცო, მამაც წა-მოეშველა, შენ იციო, შვილო, იქ არაფერი აიტეხო, შენღა დარჩი ქო-რაანებისა, მტერი არ გამიციონო ოღონდო.

პირზე ხელაფარებული დუდუნებდა ისევ დედაბერი:

— არ დადგებოდაო! გაკერპდებოდა ნიკა და უარესად შემოენთე-ბოდა გულზე. რას ამბობო, დედაკაცო! შინდიგორის უნახავად, თეთ-რაანთ წყაროს გარეშე რა გააძლებინებსო აქაურ კაცს ცხრა მთას იქით! გაძლებსო და, გინდა მკვდარი, გინდა შინმოუსვლელიო. ჩაჰკი-დებდა მერე თავს, იჯდა და ჩაჰყურებდა მიწას, არ ეთმობოდა შვილი. ეეეჰ, საწყალი ნიკა, საწყალი, — უფრო და უფრო ხმადაბლა ჩიფჩი-ფებდა დედაბერი. — შვილის დარდმა მოიდნო საცოდავი. ისე ამო-იძირკვოს ჩვენი დუშმანი, როგორც მაგისი გვარი ამოიძირკვა.

რაღაც გამეტებით წიწკნიდა შიგნით.

— აი, მოშიშვლებული ადგილი რომ მოჩანს ტყის თავზე, შინდი-გორას ვეძახით, იქიდან გადმომახედებდა ხოლმე, — ახლა სალომე აჰ-ყვა დედაბრის დუდუნს. — პატარა ხუხულას მომაძებნინებდა სოფელ-ში, ეგ არიო ჩვენი სახლი. მოდიო, მეტყოდა ხოლმე, რაც იქნება, იქ-ნება, დაგაგორებო აქედან. ნუ გეშინიაო, იგრე ჩახვალ, ვერაფერს გა-იგებო. განა არ ვიცოდი, მემასხრებოდა. ამიცრემლდებოდა, მაინც, თვალები.

მალიმალ წაიღებდა კალთაში ჩაწყობილ ხელებს, უჩუმრად ტი-როდა სალომე.

უფრო დაბერებული ეჩვენა სამფეხზე ჩამომჯდარი დედაკაცი, ძა-ლა დაატანა თავს, ვერაფრით მოარგო ერთმანეთს ეს შეწითლებული ქუთუთოები, ცრემლით გაზეთილი სახე, დამძიმებული დედაკაცური სხეული და ის კანჭა გოგო, ენაგაკრეფილი რომ მისდევდა ხოლმე შინ-დიანში.

როგორ ურბენია დროს... ორად ორი უნაყოფო დედაკაცი იზეთე-ბოდა ქორაანების ეზოში... რა მრუდედ ურბენია დროს...

წყაროებთან თავშეყრილი ხალხი... ტიტლიკანა გოგო-ბიჭებით სავ-სე სოფლები...

გინდა მკვდარიო!..

შეგაწუხეთო ალბათ, ძალიძალად თქვა და წამოდგა.

— დაიცა, შვილო, ჩვენი ლეღვისას გადმოგიტან, — მოკაკული წელი აითრია მოხუცმა. — ამ სიცხეში სად წახვალ, მოსაღამოვდეს, აგრილდეს ცოტა.

— მე რაღამ დამიბნია თავგზა. — ტუჩი მოიკვნიტა სალომემ. — ერთი წუთით, ეხლავე მოგართმევთ ხილს.

ნუ შეწუხდებითო, თვითონვე შეაწოდა ხელი ატამს, წითელ-ყვითელი საპობი მოგლიჯა.

— გოგიას უყვარდა ეგ საპობი, დრომ უწიათ და მოხუცების თვალწინ გახმა სათითაოდ. სადღაც იშოვნა ნიკამ იმავ ატმებისა, ძველ იდგილებზე ჩაყარა...

* * *

...ვაგონის ფანჯრებიდან უკანმოუხედავად გარბოდნენ ქართლიან ველები. ფრანგ ტურისტთა ჯგუფი სამშობლოში ბრუნდებოდა.

ხატი

ეხლაც მგონია, რომ სწორად მოვიქეცი. სხვა გზა მაინც არ მქონდა. ასე ვიფიქრე. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია. ყველაფერი თავისთავად მოხდა. რაღაცნაირ ბურანში ვიყავი, ცუდი სიზმრის შემდეგ რომ იცის, ისე.

გონს მაშინღა მოვედი, ჰაერის ნაცვლად რაღაც მძიმე და ცივი რომ ჩავისუნთქე.

წყალი. არ მეგონა, ასეთი მძიმე თუ იქნებოდა, შიშმა და ტკივილმა ფიქრით ხიდის მოაჯირთან დამაბრუნა. არ მახსოვს, ვინანე თუ არა. ეს იყო, ხელფეხის ქნევა დავიწყე, მგონი დავიყვირე კიდეც. ალბათ სასაცილოდ ვფართხალებდი. ბედად ცურვა არ ვიცოდი, არავის უსწავლებია. თუმცა რა, არც არავისთვის მითხოვნია, მასწავლეთ-მეთქი. სიცილით მოკვდებოდნენ რომც მეთხოვნა — მუნჯმა ცურვა მოინდომაო.

არ ვიცი, რატომ გიყვებით ყველაფერ ამას. თუ რამე მასწავლა მანდ გატარებულმა წლებმა, მხოლოდ ის, რომ ჩუმად უნდა ვიყო. მაშ რაღა მალაპარაკებს? მე ხომ არასდროს არაფერი მითქვამს. სიტყვა არ ამოსულა ჩემი პირიდან. ჩვენი მეზობლის პატარა ბიჭმაც, მეხუთე სართულზე რომ ცხოვრობს, აი იმ პატარა ბიჭმაც კი იცის, რომ მუნჯები არ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, მე გისმენდით, გისმენდით... კაცმა არ იცის, რა უფრო ძნელია. მე მაგის მსაჯული არა ვარ. მაგრამ დავიღალე. მოსმენით. ყოველდღე. გამუდმებით.

რა ვიცი, იქნებ ამანაც გამომაქცია ხიდისკენ. ეხლა დრო თავზე-

საყრელი მაქვს, ფიქრისთვისაც, ლაქლაქისთვისაც. იქნებ ამასაც მივ-ხვდე.

არაფერს ვნანობ. თუმცა, როგორ არა — იმ წუთებს, მზესავით რომ გაანათა ყველაფერი. ასეთი რამ მანამდე არ მენახა, არც მეგრძნო.

ახლაც შემიძლია დავიფიცო, რომ ხატი იყო. ნამდვილად ხატი იყო, თორემ...

მეორეჯერაც რომ ჩავისუნთქე. მაშინაც ის ხატი გამახსენდა და შერეული დამეხვა თავბრუ.

ღმერთს თქმის ნიჭი მოეცა. ვიტყოდი. უთუოდ ჰქვია რაღაც სა-ხელი. იმ სახელისა თუ სიტყვის გაგონებასა და თქმას ვიკმარებდი. ვიკმარებდი და იქნებ ბედნიერიც ვყოფილიყავი... ჰეე, ეგრე არ ყოფი-ლა ეს ქვეყანა.

ეხლა რა, თქვი — არ თქვი. ლაპარაკითლა თუ ვიჯერებ გულს. იმ მხატვარივით...

ერთად გავიზარდეთ, ერთად ვთამაშობდით ეზოში. ჩემს გვერდით ცხოვრობდა, მეექვსე სართულზე. რაც არ უნდა ყოფილიყო, უჩემოდ არ ჩავიდოდა ბიჭებთან. ყოველთვის თავის გუნდში მათამაშებდა. ეს არის, სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით, ის — თავისაში, მე — ჩემ-საში. მერე მე ქარხანაში დავიწყე მუშაობა, ის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. სკოლაშივე კარგად ხატავდა. რა უნდა ეთხოვათ, ვერ მოეხერხებინა. ხელდახელ მოხაზავდა ფურცელზე — სახლებს, ფეხბურთის თამაშს, თვითონ ბიჭებს. დახატავდა და დაარიგებდა. მე-რე, სტუდენტი რომ გახდა ცოტა შეიცვალა. ბიჭების ხატვას თავი გა-ანება, აღარც ნახატებს არიგებდა. ოთახი სახელოსნოდ აქცია — ტი-ლოებით, საღებავებითა და ფუნჯებით გაავსო. კედლებზეც სურათე-ბი ეკიდა, სულ თავისები. იშვიათად დადიოდა ვინმესთან, შინაც თით-ქმის არავინ აკითხავდა. ნელ-ნელა ჩამოსცილდნენ თანაკლასელები თუ ამხანაგები. უკარება გახდა. მე მესმოდა მისი. ისე უყვარდა ხატ-ვაცა და თავისი ტილოებიც, მართლაც აღარავინ სჭირდებოდა. თუ ქარხანაში არ ვიყავი, იმის სახელოსნოში ვიჯექი ერთთავად. სანამ ხა-ტავდა, მე ვათვალიერებდი. გამოფენებზე სიარული არ მიყვარდა, ის ნახატები იყო ჩემი გამოფენა. ხელოვნების გაცნობაც ჩემი მეზობლის სახელოსნოთი იწყებოდა და იქვე მთავრდებოდა. მაშინ მომწონდა ყველაფერი, რაც იქ, კედლებზე ეკიდა. ნაცნობი ქუჩები, სახლები. ცოტა შეცვლილი კი იყო. მაგრამ მაინც ნაცნობი იყო. ფიქრებით მივ-ყვებოდი ქალაქის ქუჩებს, ბაღებს. ვადარებდი. განა საკვირველია, რომ მიხაროდა? სხვა გასართობი ხომ მაინც არ მქონდა. ხატვას რომ მორჩებოდა, კარგა ხანს შორიდან ათვალიერებდა. მე იმისი სახით ვხვდებოდი, მოსწონდა თუ არა. მერე დამიჯდებოდა გვერდით, ხელს წამომარტყამდა, იცინოდა. კარგ გუნებაზე იყო. სიტყვები არ მესმო-

და, მაგრამ ვხვდებოდი — თავის ნახატებზე მელაპარაკებოდა. რა თქმა უნდა, მარტო ნახატებზე არა. ქალებზეც, პოკერზეც, ფეხბურთზეც. უფრო მეტს კი მაინც ნახატებზე. აბა, მე რა მომსმენი ვიყავი, მაგრამ... უკვე გითხარით, მეგობრები სულ ჩამოსცილდნენ-მეთქი. თურმე მარტო ეს არ ყოფილა მიზეზი. ყველაფერს იმ დღეს მივხვდი. და საერთოდ, ბევრ რამეს მივხვდი იმ დღეს.

არ ვიცი, გითხარით თუ არა, ხიდთან სირბილით რომ მივედი. ეს ხიდიც დახატული ჰქონდა, წყალიც. იქ, კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოში, არც ასეთი ღრმა იყო, არც ასეთი მღვრიე. სწორედ მოაჯირთან გამახსენდა ის ნახატი. შემიძლია დავიფიცო, რომ არასდროს მდგარა ამ ადგილზე. არასდროს, თორემ არ შეიძლება არ შეემჩნია...

ეეჰ, მერე ყველა კარგები ვართ, ჭკვიანები, ის ხატი არ ყოფილიყო, არაფერი შეიცვლებოდა. ეხლაც იქ ვიჯდებოდი, სახელოსნოში, შიშველი ქალების ცქერით გართული. კარგად ხატავდა. კარგად ხატავდა, თორემ იმ შიშველ სხეულებზე ფიქრი ძილში აღარ გამყვებოდა.

იმან, იმ ხატმა შეცვალა ყველაფერი. მზეს რომ ჰგავდა. მზესავით მართალი რომ იყო. მაშინ დამთავრდა ყველაფერი. იქნებ დაიწყო კიდეც. არ ვიცი.

მაინც არაფერს ვნანობ. ან რატომ უნდა ვინანო. მას მერე თითქოს თვალი ამეხილა. მანამდე უცნობი ხმებიც სულ ახლოს, გარკვევით გავიგონე. ახლა დადეთ სასწორზე, აქეთ — ის, რაც დავთმე, და იქით — რაც შევიძინე... თუმცა თქვენ რა გაქვთ ან დასადები, ან ასაწონი. მე კიდევ მარტო ამისი არც არაფერი ვიცი და ვიცოდე კიდეც, ვერ მოვახერხებ. ეგეც არ იყოს, ეხლა გვიანღაა. მერე საკუთარი ნაფეხურების თვალიერება იოლი საქმეა, მაგრამ მაშინაც შეიძლება შეცდე. ან ყური მოგატყუებს, ან — თვალი. კარგი, ამასაც თავი დავანებოთ, საკუთარი თუ სხვისი ნავალი რაღამ გაყო, შენნაირებს ცოტას ჩაუვლიათ თუ რა!

ეეჰ, ტყუილად ვლაქლაქებ. ჩემი ვერაფერი გამიგია, თქვენ რას გამიგებთ. ხეირიანად ყურის გდება რომ ესწავლებინა ვინმეს, კიდევ ჰო.

ან იმ მხატვარმა იცოდა? არც იმან იცოდა, თორემ...

დაბადების დღე ჰქონდა. ბოლოს ორი გოგოლა დარჩა. ორივე მთვრალი იყო. არ წახვიდეო. მერეც კარგა ხანს ცეკვავდნენ, იცინოდნენ, სვამდნენ და ისევ იცინოდნენ. აქეთ-იქიდან მომკიდეს ხელი, ორივე თავისკენ მეწეოდა. ოფლით გადაგლესილ შუბლზე თმა მისწებებოდათ, ამღვრეულ-აკრელებული თვალებში რაღაც ბოროტი ცხოველი ჩასჯდომოდათ. ეხლაც არ ვიცი. რამ გააბოროტათ ასე. თვითონაც ხვდებოდნენ, გაბოროტებულნი რომ იყვნენ. არა, მიზეზს არ და-

გიდევდნენ, ჯავრის ჯავრითვე გაჩუმება უნდოდათ. იღბალი იყო თუ რა, ბედად მე ჩავუვარდი ხელში — იქვე არ ვიყავი? გავმწარდი. თქვენ კი არ გამწარდებოდით? მხატვარი რომ არა, ორივეს იქვე გავუჭეჭყავდი თავებს, გველის წიწილივით. მკლავები გამოვგლიჯე და გარეთ გამოვვარდი.

მერე კარგა ხანს აღარ გავკარებივარ ჩემი მეზობლის სახელოსნოს. ერთ საღამოს კიბეზე შევეჩეხე. დაღლილი, სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა. უნდილად გამიღიმა. ჩემთან წამოდიო, ხელით მანიშნა. შემეცოდა. ასეთი ბევრჯერ მენახა, უფრო შინ დაბრუნებისას. ეჭვით რომ ვხვდებოდი, თითქოს დავიჯერე კიდეც — ეტყობა არ მოსწონდათ მისი ნახატები. უფრო შემეცოდა. არადა, მართლა კარგად ხატავდა, ყოველთვის ასე ვფიქრობდი, იმ საღამოსაც, კიბეზე რომ ავდიოდით ერთად.

იმ ხატმა ყველაფერი შეცვალა, ყველაფერი არია. ისე, კაცმა რომ თქვას, არავინ იცის. საამისო საზომი ჯერ არ მოუგონიათ. ყველას თავისი არშინი აქვს. ისიც საკითხავია, გვეკითხება რამე თუ არა. სიმართლე კი ნამდვილად ერთია. ჩემი — უსაგნო ლაქლაქი და წყლით გავსებული ფილტვებია.

სიკვდილიო, იტყვით და ჩემს გალურჯებულ სხეულს წარმოიდგენთ. ეგ თქვენი ნებაა. მე სხვანაირად ვფიქრობ, სხვანაირად ვყოფ ცოცხლებსა და მკვდრებს. თეთრი და წითელი ბურთულაკებისა და გულის კუნთების არაფერი გამეგება. ისიც მგონია, ყველაფერი ეს არსებითი არ უნდა იყოს.

ისევ სისულელეებს ვროშავ. ხომ წამომცდა წელან — ბედად ცურვა არ ვიცოდი-მეთქი. არადა, როცა შეგიძლია და ვალდებულიც ხარ ყოველდღე ხარჯო რაღაც მარაგი — სიტყვებზე გეუბნებით — გინდა, არ გინდა, სისულელესაც გამოვურევ. კარგია, რომ მე ეს ჯერჯერობით არ მეხება — კარგა დიდხანს მქონდა პირი ჩარაზული. ის სიტყვაც — ბედად არ ვიცოდი-მეთქი — ვხვდები, ჰაიჰარად არ წამომცდენია.

ყველაფერი, რაც იყო, თავისთავად მოხდა. ერთი კაცისთვის მხოლოდ ერთი გზაა. ერთდროულად ორზე ვერ გაივლი. განგებამ მეც ეს უხმაუროდ და უჩუმრად სავალი დამითმო. ის ხატიც, თანდათან ვრწმუნდები, ადრე თუ გვიან, სადღაც უნდა გადამდგომოდა წინ. მოულოდნელი კი იყო, მაგრამ სხვანაირადაც რომ არ შეიძლება? ადრე თუ გვიან ყველას გვეხილება თვალი. მანამდე კი... თუმცა, რა მანამდე, აკი გითხარით, თქმის ნიჭი ვერ გამოიმეტა ღმერთმა.

მიფიქრია, როგორ არ მიფიქრია, აი ახლა ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი-მეთქი.

ვიტყვი-მეთქი...

არ ვიცი, დამყვა თუ მერე ვისწავლე. იქნებ მასწავლეს კიდეც:

ენისწვერამდეღა თუ მომყვებოდა სათქმელი, რომ ყრუ ვარ, რომ მეშინია, რომ ძალიან მიყვარს ის, რასაც საკუთარ თავს ვეძახი. არადა, ყრუც ვიყავი, მშიშარაც, ჩემი არსებაც ერთობ ძვირად მყავდა შეფასებული.

ვიცი, საბუთებს მოითხოვთ, საამისოსაც კი — სად გაგონილა ასეთ რამეებს იბრალებდნენ! სად გაგონილაო, იფიქრებთ და იქნებ გაღიზიანდეთ კიდეც. უფრო დაჟინებით მოითხოვთ. მე კი არაფერი მაქვს, არც მქონია. აი, ჩემი ცხოვრება, თავიც და ბოლოც, ღმერთმა ქნას, გამოგადგეთ.

მაშინ, ბავშვობისას და მერეც, ბევრ რამეზე არ ვფიქრობდი, ბევრიც თითქოს საჩემო არ იყო და თვალს ვარიდებდი. ეტყობა, ნელ-ნელა დაგროვდა, დაგროვდა და...

ბებიას კალთა... პირველი სიხარული, წლების მანძილზე აკიანთებულ სხივად რომ შემორჩა მეხსიერებას.

ბებიას კალთა... ნავსაყუდელი, თბილი და უქარო. არაფერი იცვლებოდა იქ, მყარი, უკვდავი იყო იქ ყველაფერი.

... დიდ ოთახში, შავგადაფარებულ ტახტზე დასვენებულ პაპასთან შემიყვანა დედამ. კედლებთან მიწყობილ სკამებზე ორი თუ სამი თალხიანი ქალი იჯდა. გულხელი დაეკრიფა ბებიას, ჩუმად ტიროდა.

პაპის სიკვდილზე უფრო სხვა რამემ შემაშინა. მივხვდი, ის დღეც მოვიდოდა როცა ბებიაც, მერე დედა, მამა და მეც... როგორ ყოფილა მოწყობილი ქვეყანა...

მინდოდა მეთქვა, ყველაფერი მეთქვა. განა იმ დღეს არ დამთავრდა ჩემი უდარდელობა, განა იმ დღეს არ ჩავხედე ცხოვრების ყველაზე დიდ საიდუმლოს? განა ტყუილად არ ვიცრემლები ახლაც? ჩემზე კარგად ვინ იცის, რომ თქმისა და გაგონების უნარიც მქონდა, მაინც ვერაფერს ვიტყოდი? ეგეთებზე ხომ არ ლაპარაკობენ. სასაცილოები ვართ. უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ და სახლები ავიშენეთ, შიგ გამოვიკეტეთ, სხეულს ტანისამოსი ავაფარეთ, გულისნადებს — სიტყვები. სასაცილოდ მორცხვები და საცოდავები ვართ.

ასეც გაგრძელდა, სირცხვილს, შიშსა და უთქმელობის დარდს შუა მოექცა ყველაფერი.

ჩემები თანდათან გამეცალნენ. მხატვარი და სამუშაოღა დამრჩა. დაზგასთან იწყებოდა და კიდეც მთავრდებოდა ჩემი დღე. საათი, საათი, კიდევ საათი. ლითონის ბრჭყვიალა ბურთულები. ლაპარაკი არ იცოდნენ-მეთქი რომ გითხრათ, არც გაგიკვირდებათ. შესძლებოდათ კიდეც რაიმეს თქმა, რა იქნებოდა. ათასობით იყვნენ, წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთიმეორეს, განსხვავებულსა და ახალს რას მეტყოდნენ.

იმ ხატმა...

სიგიჟე იყოო, მეტყვით. თუ ასეთი რამის დანახვას სიგიჟე სჭირდება, მაშინ მართლაც სიგიჟე იყო. ამაზეც ყაბულსა ვარ.

ის ფანჯარასთან იდგა, განათებულ ოთახში. დამავიწყდა, დაღლილი რომ ვიყავი, დამავიწყდა, მეორე ცვლიდან მობრუნებულს მხოლოდ ძილი რომ მიტრიალებდა თავში. არ ვიცი, რამ მოიყვანა ფანჯარასთან — შიშველი იყო. განათებულ ოთახს სიფრიფანა ქსოვილი ჰყოფდა ქუჩისაგან. გავჩერდი. არ მახსოვს, იყო თუ არა ვინმე ქუჩაში, არ მიმიქცევია ყურადღება. იდგა და სადღაც იცქირებოდა. იქნებ არც არაფერს უცქერდა და ფიქრობდა. კაცმა არ იცის, რაზე. ერთი კი ვიგრძენი, თავისივე სიშიშვლე ახარებდა. ეტყობა, სულ მარტო იყო ოთახში, სხვანაირად ასეთი სილაღე წარმოუდგენელია. იმ სიშიშვლითა და სილაღით ტკბებოდა. მკლავები, წელი, მუცელი, თეძოები — ამდენი სითბო ერთად არასდროს მენახა. ხატი! დამიჯერეთ, ხატი იყო! არა, არა, ლამაზი არა, არც მშვენიერი. ხატად კი დავინახე, მაგრამ სიმართლე იყო — მარტივი, უსამოსლო. უნიღბო.

ასეთი რამ ერთხელ ხდება. თითქოს სინათლე ჩამეღვარა თავში, ყველაფერი საოცრად სადა, ხელმისაწვდომი გახდა. მოქანავე კოშკის წვერზე შერჩენილივით მივეკარ ჩემს ახალაღმოჩენილ სასწაულს. სხვა დანარჩენი კი ქვევით, შორს, ჩემგან ძალიან შორს დარჩა. მერე წამოვიდნენ წლების სიბნელიდან გამომტყვრალი ჩემი ცხოვრების სურათები, ათობით, ასობით. ქრებოდნენ, ახლები ჩნდებოდნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, უგემურები, ფერმკრთალები, ყალბები. მახსოვს, რაღაცის თქმა დავაპირე, თითქოს დავიყვირე კიდეც. ქუჩა მოვათვალიერე — ცარიელი იყო. ჩემივე ძახილიცა და ექოც მხოლოდ მე მესმოდა. ამასაც მივხვდი და კანკალმა ამიტანა. რაღაც უნდა მეთქვა. ვიღაცისთვის უნდა მეთქვა! დრო კი თავისი გზით მიდიოდა — დინჯად, გულგრილად.

სწორედ ამ დროს გამახსენდა — მხატვარი!

მახსოვს, რომ გავრბოდი. არა, დედამიწა ბრუნავდა ფეხებქვეშ. შესასვლელთან წითელ ღილაკს დავადგი თვალი — ლიფტში ლოდინს ვერ ავიტანდი, გიჟივით ავიარე ექვსი სართული.

შინ იყო. ხატავდა.

გაკვირვებული შემომაჩერდა, ალბათ, სახეზეც მეტყობოდა.

ოთახში არაფერი შეცვლილიყო — ფუნჯები, საღებავები, კედლებზე გამწკრივებული ნახატები. კიდევ ერთი ადამიანის, ჩემნაირისა თუ ჩემივე მსგავსის ნაკვალევი — მრუდე, მახინჯი.

მზე ხატი! მზე-მეთქი! — იჯდა და შემომცქეროდა.

ფუნჯი გამოვგლიჯე ხელიდან, ვერ გავბედე და იატაკზე დავაგდე. ხატი! ხატი!

ხელი მომკიდა და სკამზე დამსვა. რაღაც მითხრა, მერე კიდევ, კი-

დევ... ალაპარაკდა, როგორც იცოდა, როგორც შეჩვეული იყო, როგორც წესად გვქონდა ჩვენივე უსიტყვო თანხმობით.

მახსოვს, რომ ავდექი. გავრბოდი მერე. ისევ ტრიალებდა დედამიწა. სიჩუმის წლების მეტი რა მახსოვდა — ასეთი ამაზრზენი სიჩუმე არ მენახა. ქვეყანა დაცლილიყო, დამუნჯებულიყო. უხმოდ მოსრიალებდა ეს ამოდენა მიწა და კაცი არ იყო, კაცი, ყური მოეგდო. ადამიანებო... ადამიანებო!.. დაყრუებულ სიცარიელეში იკარგებოდა ფუჭი ძახილი...

ხიდზე ვიდექი, ცივ მოაჯირზე მეკიდა ხელი. არ გამკვირვებია, არც არაფერი მინანია, არც ეხლა ვნანობ, სხვას არც ველოდი — კარგა ღრმა იყო წყალი, გულგრილიც. როგორც მივენდე, ისეც ჩამიხვია, ხელფეხიც ტყუილად ვიქნიე. მერე ის გამახსენდა, ერთხელაც ვცადე ჩასუნთქვა და... ტკივილი აღარ მიგრძვნია.

ეს იყო და ეს.

თეთრი არაბულები

აღარავის ეკუთვნი. არც აღარაფერია შენი. კიდეშეკრეჭილი ქაღალდით ნაყიდი ორსაათიანი თავისუფლება ყველანაირ ვალსაც და თამასუქსაც პირობითს ხდის. შენთვისაც ზუსტად ასეთივე დამლა აუკრავთ.

წამიერ აღტაცებას მალევე ეკეცება ფრთები — ეს ვეებერთელა ლაპლაპა ლითონი შენს დაუხმარებლად აფრინდა და არც მერე დასჭირდები. იქ, დაბლა, ვიღაცამ უკვე გადახაზა რიცხვი 57. მგზავრი № 57 გამოცხადდა. ახლა შეგიძლია გულხელი დაიკრიფო, იფიქრო, ანდა დაიძინო კიდეც — ყველაფერს უშენოდ მოევლება.

სავარძლებში გარინდებული სხეულები. ერთად შეყრილი ასი სიცოცხლე. ცაში გამოჭრილი ორმაგი ფანჯრები. მფრინავის კაბინაზე ანთებული წარწერა — არ მოსწიოთ მანამდე და მერე კი სითბო, სიჩარული და ცრემლები, და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ დაბრუნდე...

არავის ვეკუთვნი და არც არაფერია ჩემი.

კრიალა სალონში თავმოყრილი ადამიანები ორი საათის შემდეგ გაიფანტებიან. ვერაფერს შევაჩერებ, ვერაფერს ჩავეჭიდებ ხელს — ყველაფერი ნათხოვარია: თვითმფრინავის სარკმლის ჩარჩოში ჩასმული თვალისმომჭრელი სითეთრე — უსწორმასწორო თეთრი ზეწარი,

სტიუარდესას ღიმილი, იმის შეგრძნებაც კი, საზურგეზე უდარდელად მიწოლილი ღრუბლებს ზევით რომ დანავარდობ.

უპასუხო კითხვები ცარიელი ბოთლებივით დახვავებულა ერთმანეთზე — არც გარგია და თავიდან მოცილებაც გეზარება. თვალში გეჩხირება, გახსენებს დღეებს, წლებს, შეცდომებს — არაფერს რომ არ გმატებს და არც არაფერში გამოგადგება.

შეცდომებს... რას არ მოიგონებს კაცი.

ილუმინატორის მრგვალი ჩარჩოდან ისევ შემომცინის ორი საათით ნათხოვარი უღრუბლო ცა.

* * *

— გიყვართ შოკოლადი? — სიცილით ვანიშნე დალაქავებულ ტუჩებზე.

არაო, გაკვირვებულმა შემომხედა. მერე მიხვდა და თვითონაც გაეცინა.

— პიგმენტაცია... — კიდევ რაღაც მითხრა. ბევრი ვერაფერი გავიგე, არც მიცდია. უხდებოდა და ესეც საკმარისი იყო...

ახლა ის ოდნავ წინ მიდის — რატომღაც გვერდიდან მომინდა ცქერა. წერწეტა წელი, ვიწრო მხრები, სავსე მკერდი. ჩამოშლილი თმა თითქმის მთლიანად უფარავს პირისახეს, კოხტა ცხვირი და ტუჩებიღა უჩანს — ნაპირებში ოდნავ დალაქავებული.

ნელა მივუყვებით ფუნიკულიორისკენ მიმავალ აღმართს. მოშორებით მივდევ და ვათვალიერებ. ვიცი, რასაც ვეძებ, მინდა ნაკლი ვუპოვო. გაჭიმული რომანები არასდროს მიყვარდა, ეს კი, ცოტა არ იყოს, გამიგრძელდა, ცოტა კი არა. კარგა გვარიანად — ორი თვე შესრულდა დღეს. სინდისი, რა თქმა უნდა, არ მაწუხებს, მაგრამ ხელმოსაკიდიც ვერაფერი მიპოვნია — მართლა მომწონს ეს უტვინო.

ასეც ვუთხარი ამ ერთი კვირის წინათ, სწორედ ამ ქუჩაზე. პირი ღია დარჩა, თვალები გაუდიდდა. გამეცინა და ისევ გავუმეორე.

ძალიან მიყვარს სიცილი. იქნებ იმიტომ, ათას სისულელესა და უხამსობას მოშინაურებული ძაღლივით უვნებელს რომ ხდის.

— როგორ მიყვარს ეს უტვინო. — სიცილით ვამბობ და ვიცი, ისეთი არაფერი მოხდება — ქალის სასწორზე დადებული აი ის მეორე სიტყვა ყველაფერს გადაწონის.

ძალიანაც სიამოვნებს, მაგრამ რატომღაც გაურბის ამ სიტყვას, ახლოს არ იკარებს. ერთი სიტყვით, არ სჯერა.

აი, ახლა თავს მოაბრუნებს. თვალებით გამიღიმებს და „უტვინოს“ გარეშე დამიბრუნებს ნათქვამს. იტყვის და დანაღვლიანდება. ყველაფერი სიმართლეს ჰგავს. არა, მარტო იმიტომ არა, რომ ასე უფრო

კარგია, რომ ასე მინდა, იმდენი სევდაა ამ გამოხედვაში, ამ სიტყვებშიც, რომ თუ რამე დამეჯერება, ყველაფერი სიმართლეს ჰგავს.

დამიბრუნებს ჩემივე ნათქვამს და მეც ზუსტად ისევე გავდგები განზე, არ მივიკარებ, რადგან არც მე მჯერა.

ორივეს საბუთები გვჭირდება. როგორი, კაცმა არ იცის.

— მეც, — თვალებით მეუბნება. — მეც...

ერთხანს მეჩვენება, რომ მეტისმეტად ურწმუნო. ავადმყოფურად ურწმუნო ვარ. მაგრამ თვალები მაინც საბუთი არ არის და ისევ ვფიქრობ, რომ წიგნებში აღწერილი დიდი გრძნობები მხოლოდ საკუთარი ვნებების დასაცხრომად მოუგონიათ.

ვათვალიერებ: თმა, ვიწრო მხრები, ლამაზი მკერდი. ვათვალიერებ და მერე ის მესამეც მაგონდება — უცხო კაცი, ბალღამივით რომ ჩამწვეთებია სულში. რატომღაც მგონია, ის რომ არა, ყველაფერი კარგად იქნებოდ. ხანდახან ამ სისულელის მართლა მჯერა და მაშინ იწყება ჩემი გაბოროტებაც.

„ეს ხომ შენამდე იყო?"

როგორ მინდა ეს უმარტივესი აზრი კარგად ჩავიჭედო ტვინში, ყველაფერი გავიიოლო, ყველაფრისაგან გავთავისუფლდე. ბალღამი კი ისევ წვეთავს მძიმედ, გულგრილად... არც შეწყდება არასოდეს. ფილმებმა და წიგნებმა ბევრი ვერაფერი მიშველეს. მოწამლული ვარ მამაჩემივით, პაპაჩემივით...

„ეს ხომ შენამდე იყო?"

ყველაფერი კარგად ვიცი, დამნაშავეს, ძალიანაც მოინდომო, ვერ მოძებნი და უფრო მემღვრევა ისედაც მოწამლული გონება.

„სად იყავი ამ ათი წლის წინ"... თავისი ჭკუით მამშვიდებს. იქ მაბრუნებს, იმ დროში, როცა სხვა საქმეები, სხვა საფიქრალი მქონდა, როცა მისი არსებობისა არაფერი ვიცოდი. ქალური ალღოთი აიგივებს ორივე წარსულს, ჩემსას და თავისასაც, ქალური ანგარიშიანობით ცდილობს დამარწმუნოს, რომ რაც იყო, სათვალავში ჩასაგდები არ არის. სიმართლეს კი ჰგავს, მაგრამ მაინც ერთი სული მაქვს — ძირიანად ამოვგლიჯო ყველაფერი, რაც ჩემამდე იყო.

ოდნავ წინ მიდის. მივყვები და ვფიქრობ. ალბათ, მეტისმეტი მომდის. ფიქრი აძნელებს ცხოვრებას — ეს კარგად ვიცი, მაგრამ რა.

„დრუნჩა!"

როგორღაც უნებურად შევარქვი ჩემი ბიჭის მეტსახელი, აღარ მახსოვს, როგორ და როდის.

— დრუნჩა! — ხმა ვიოლინოს მოშვებული სიმივით მიჟღრიალებს. ჩემივე ხმისა მრცხვენია... არა, ასე ცქერა უფრო აუტანელია. დანაღვლიანებულ თვალებში რომ ჩავყურებ, ხუხულასავით იშლება ავადმყოფური კირკიტით ნაგები ტრაგედია და მეჩვენება, რომ მაინც, მა-

ინც ვიპოვე ის, ამდენ ხანს რომ ვეძებდი. მხოლოდ თვალებში რომ ჩავ-ცქერი, დანარჩენი ყველაფერი მაღიზიანებს, ნაპირებში დალაქავებუ-ლი ტუჩებიც კი.

ყველაფერი მაღიზიანებს, პირველი დღიდან გამოყოლილი ყველა-წვრილმანი.

ორი კვირა გაიძახოდა, შარშანდელი წელიწადი ყველაზე ბედნიე-რი იყო ჩემთვისო. ვეღარ დავივიწყე. არ ვიცი, იქნებ ჩემს გაღიზიანე-ბასაც ცდილობდა, მაგრამ რომ არაფერი დამეშავებინა მისთვის? არა, როგორ არა. წარსულს ვუკარგავდი, მომავალსაც. ჰო, ალბათ ასეც ფიქრობდა. საცაა ოცდამეათე წელიწადი მოუკაკუნებდა, ის ვაებატო-ნი კი, კარგი იყო თუ ცუდი, გვერდით ჰყავდა, ცოლ-ქმრობას აღარა-ფერი უკლდათ. სიავისა არაფერი ეტყობა ამ უტვინოს და ჩემი გამწა-რებაც, ალბათ, ქალურმა ალღომ უკარნახა.

— დრუნჩა...

გაჩერდა, ხელი მოვხვიე. თავი მოაბრუნა და ამომხედა.

— გაები, ჩიტო?

თავს მიქნევს და მიყურებს...

— თუ იცი, როდის?

არაო, უხმოდ მეუბნება.

— აეროპორტში, როგორც კი დაგინახე. ყველაფერი მაშინ დაი-წყო. იქვე გადაწყდა კიდეც.

— მაინც როგორ? — თვალებში ცივი სხივი ჩაუდგა. რა თქმა უნ-და, არ მეთანხმება.

— ისე. თვითმფრინავისკენ წახვედი თუ არა, გამოგყევი. შენი ად-გილი დაკავებული იყო. უხერხულად აწრიალდი. ჩემი შეგთავაზე. ცი-ვი უარი მითხარი და ბოლოში, ოთხი თუ ხუთი რიგის იქით ჩამოჯე-ქი. ორჯერ ჩაგიარე, სიგარეტის მოსაწევად გავდიოდი. გკითხე კიდეც, როგორ მოეწყვეთ-მეთქი. სიკეთეს არ დაგიკარგავ, თავაზიანად მიპა-სუხე. მალე კი დაილია იმოდენა გზა, ეს არის, კისერი მეტკინა შენ-სკენ ცქერით.

— მაინც რა მოგეწონა?

— მკერდი.

ახლა კი აღარ იცის, გაბრაზდეს თუ არა. მერე ისევ ამომხედა, თბილი, უსაყვედურო თვალებით.

— მეტი არაფერი?

— როგორ არა, — სიცილით ვეუბნები...

თურმე სწორედ ის ედგა გვერდით. აცილებდა. მახსოვს, ძმა ან ბიძაშვილი იქნება-მეთქი, ვიფიქრე. გამომშვიდობებისას რაღაც უგე-მურად აკოცეს ერთმანეთს. თუმცა. თავი არ მომიკლავს ფიქრით, მა-შინვე დამავიწყდა.

თვითმფრინავში ერთხანს წიგნს კითხულობდა, მერე, ეტყობა, დაიღალა. საზურგეზე მიწოლილი თვლემდა. დროდადრო გავხედავდი.

ერთად ჩამოვედით თვითმფრინავიდან. ერთად შევედით აყაყანებულ აეროპორტშიც. ყავა დავლიოთ-მეთქი. მხოლოდ იმიტომ არ მითხრა უარი, ამ ვეებერთელა ქალაქში ჩემს მეტი ნაცნობი ალბათ არც ჰყავდა.

— გიყვართ შოკოლადი? — სიცილით ვანიშნე ტუჩებზე.

არაო, გაკვირვებულმა შემომხედა. მერე მიხვდა და თვითონაც გაეცინა.

— პიგმენტაცია...

ტუჩები ყავისფრად ჰქონდა დალაქავებული.

დიდ ქალაქებში დიდი სახლებია, დიდი და გრძელი ქუჩები. ხალხიც დიდი საქმეებით არის დაკავებული. ქალაქის ერთი თავიდან მეორეში გასვლას დიდი დრო სჭირდება. მიწისქვეშა რკინიგზა ობობას ქსელივით მოსდებია ამოდენა სივრცეს. დადიან, დაგრუხუნებენ სწრაფი მატარებლები, მიჰყავთ და მოჰყავთ, ივსებიან და იცლებიან. მიხედვ-მოხედვასაც ვერ მოასწრებ, აგითრევს ცოცხალი მდინარე, თან გაგიყოლებს, გადაგიყვანს, გადმოგიყვანს, კარგა ხანს გატარებს გასასვლელებში და მერე ისევ გრუხუნით ჩამომდგარი გრძელი შემადგენლობის რომელიმე ვაგონში შეგაგდებს. ყველა წუთი დათვლილია, ყველა გაჩერება, გადასასვლელი.

სასტუმროში მივაცილე. მოჟამული შენობაა, სქელკედლიანი, ბნელი დერეფნებითა და სევდისმომგვრელი ოთახებიო.

— სამი ღამის გათენება მომიწევს. — ამოიოხრა და ლოგინზე ჩამოჯდა.

ოთახში სხვა საწოლებიც დგას. იმათი პატრონები არ ჩანან.

ვუყურებ და მეცოდება — გარშემო მძიმე სიჩუმეა, მხრები კი ვიწრო აქვს. ოდნავ მოწურული. თვალებში შიში ჩასახლებია. ქუჩის კუთხეში მიტოვებულ, შეციებულ კნუტს ჰგავს. ლამის ხელში ავიყვანო, მივეფერო. ძალიან შეგაწუხეთო, მეუბნება, მაგრამ თვალებით ცოტა, კიდევ ცოტა ხანს დარჩენას მთხოვს, ვიდრე მისი მომავალი მეზობლები მოვლენ, ვიდრე ხმის გამცემი მაინც გამოჩნდება.

ვუყურებ და მეცოდება — მეც გამომიცდია: ნამგზავრი, დაღლილ-დაქანცული, უცხო ქალაქი, უცხო სახლი, ლოგინი. გარეთ ბინდდება. წევხარ ოთხკედელშუა მომწყვდეული და ფიქრებით შეჩვეულ, ნაცნობ ქუჩებსა და სახლებს დასტრიალებ, გაღიმებულ, საყვარელ სახეებს იგონებ. თანდათან გიმძიმდება სული. ცოტაც და. ყველა საფიცარზე დაიფიცებ, რომ ეს უკანასკნელია, რომ სისულელეა ასე უთავბოლოდ წანწალი, რომ არაფერი დაგრჩენია და არც არაფერი გესაქმება ამ გადასაკარგავში.

ვიცი, რაღაც უნდა ვთქვა, ვილაპარაკო შეუჩერებლად, დიდხანს. არადა, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, განა არ შემიძლია, მაგრამ სისულელის თქმისა მეშინია. ჭკვიანი ხალხი ცოტას ლაპარაკობსო, მეც ამ ნიღაბს ვიფარებ და მალულად ვსინჯავ დასაძლევ ზღუდეებს.

ერთი საცოდავი რადიო კნაოდა ოთახში, მუსიკა ეთქმოდა და არც ეთქმოდა. ვითომ საოხუნჯოდ, საცეკვაოდ გამოვიწვიე, ისიც ამყვა. ოხუნჯობა-ოხუნჯობაში მართლა ცეკვას დავამგვანეთ. დროდადრო სევდიანად გამიღიმებდა, მერე თავს დახრიდა და ვგრძნობდი ნიკაპსა და ლოყაზე თმის შეხებას, შეშინებული კნუტივით მონდობილი სხეულის სითბოსა და სასაცილოდ პატარა ხელების დამფრთხალ ალერსს. და ეს ყველაფერი ოდესღაც ყურმოკრულ ჰანგს ჰგავდა, მოულოდნელად რომ გადაგეყრება კაცს წლების მერე.

უზარმაზარი ქალაქი ახლა ძალზე შორს, სქელი კედლების იქით გარინდულიყო.

დალაქავებულ ტუჩებში რომ ვაკოცე, შეცბა, ხელები მოუსუსტდა, რაღაცნაირი მწარე ღიმილი ჩაუდგა თვალებში. მივხვდი, რაღაც მოხდა. სისულელე იყო ცეკვის გაგრძელება და სკამზე ჩამოვსხედით.

ის საღამო... ქალის გონება უშურველად აფერადებს ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი, წმინდა ნაწილებივით თან ატარებს მთელი ცხოვრება. თუმცა, რაღა ქალი...

ის საღამო, მერე მთელი ღამე, ქალაქის სულ სხვა სასტუმროში თვალწინ რომ მედგა, ცალკე დარჩა, განსხვავებული, გამორჩეული. ვიწექი თვალგახელილი და ვიხსენებდი — თითოეულ სიტყვას, დამფრთხალ ხელებს, შავ სვიტრსა და ლამაზ მკერდს, ასე ახლოს რომ იყო ცეკვისას. ყველაფერი კი იმ სევდიანი ღიმილით თავდებოდა. მერე აეროპორტი მომაგონდა, თვითმფრინავი და ისევ აეროპორტი. ყავა. გზაში თავის ბავშვობაზე მიამბობდა, სკოლაზე, გათხოვებაზე, იმ ხუთ წელიწადზე. სამუდამოდ, უთავბოლოდ და უმიზეზოდ რომ დაჰკარგოდა. „დიდი ხანია?“ „სამი წელიწადი“. კარგად დავიხსომე და ახალ ფილმებზე რაღაც აბდაუბდას მოვყევი. ყველაფერს მაინც ის ღიმილი ედგა ბოლოში და მაშინღა დავინახე დიდი და უცხო ქალაქით შეშინებული ქალი. იმ შიშისა თუ იყო ყველაფერი.

* * *

— მეტი არაფერი?

— როგორ არა, — სიცილით ვეუბნები...

— არ მეგონა, მეორე დღესაც თუ მოხვიდოდი.

— შუა გზაზე შეჩერება არ მიყვარს. — ისევ მეცინება და ვიცდი, სანამ სიბრაზისაგან არ აეწვება სახე. — ხომ გითხარი, თბილისის აეროპორტშივე გადაწყდა-მეთქი ყველაფერი.

— მაშინ შენთვის არ მეცალა. — მშვიდად ამბობს და ვხვდები — სამაგიეროს მიხდის, ისე, მხოლოდ ქალს რომ შეუძლია. — მაშინ... მიყვარდა.

ვგრძნობ, როგორ მოწვეთავს შხამი, როგორ მიფითრდება სახეთვითონაც ხვდება, რომ მეტისმეტი მოუვიდა, რომ ისევ ის მესამე ჩადგა ჩვენს შორის.

— ეს ხომ შენამდე იყო?

„ეს ხომ შენამდე იყო..." ვერაფრით შეიგნო, რომ იმით, ჩემამდე იყო თუ წარღვნამდე, არაფერი იცვლება, ვერ გაიგო, რომ სხვის მკლავებში მომწყვდეული მისი სხეულის წარმოდგენა გონებას მიმღვრევს, ვერც ის, რომ ათასი, იქნებ ათი ათასი წელიც ვერ მომაქცევს. ვერ გაიგო და საცაა წავწვდები კეკლუცად მოღერებულ ყელში. მერე კი იქამდე მეჭირება საცოდავად აფართხალებული, სანამ სინათლე არ ჩაღვრება გამოტვინებულ თავში.

„მიყვარდა..."

ახლა ჩემი რიგია. ვიცი, სისულელეს ვიტყვი, მაგრამ თავის შეკავებაც აღარ შემიძლია.

— გიყვარდა... ეთაყვანებოდი... არ გიყვარდა! შენი უნდილი ქმრისა და ორი წლის მარტოობის მერე მოგეჩვენა ანგელოზად, უნახავივით პირველსავე შემხვედრს ჩამოეკიდე კისერზე.

საოცარია, განაწყენების ნიშანწყალიც არ ეტყობა. ისევ ისე შემომცქერის კრიალა, მოსევდიანებული თვალებით. საყვედურიც გამორევია შიგ, ისეთივე, სასტუმროში რომ შევნიშნე მეორე დღეს.

დილით ადრე მივედი. არ დამხვდა. სართულის მორიგეს გასაღები გამოვართვი — წინადღით ერთად დაგვინახა და უარი არ უთქვამს.

ლოგინზე გავიშოტე.

ბალიში რბილია, რბილი და სასიამოვნო. წუხელ ამ თეთრ მიტკალს ქალის თმა, სახე, ტუჩები ეხებოდა... ფანჯრიდან თბილი და ცინცხალი სინათლე იღვრება, არც ისე უკმური ჩანს ოთახი.

რადიოთი რაღაც კონცერტს გადმოსცემენ. ვწევარ და ველოდები. ალბათ საათზე მეტი გავიდა. საღამოთი სპექტაკლზე ვარ წასასვლელი. სხვა საქმეებიც მაქვს, ფიქრი კი ისევ აეროპორტს, თვითმფრინავსა და გუშინდელ საღამოს დასტრიალებს. შუა გზაზე შეჩერება მართლაც არ მიყვარს. რაღაც უნდა მოვიფიქრო. შიშველი ხელები, გაღიმებული, სითბოთი სავსე თვალები სულ ახლოს, აქვეა და აუტანელ სიტკბოს თვალდახუჭული, მინებებული მივდევ. სადღაც ღრმად, სულ პატარა კუნჭულში კი უკვე მოკალათებულა უსახსრო და უაზრო ეჭვი, უფრო შიშის, ვიდრე მორიდების ან სირცხვილის: უკვე იყო ვიღაც, უკვე უყვარდა, ეთაყვანებოდა. იქნებ ახლაც ინახავს, უფრთხილდება, ელოლიავება იმ ძველ ხატს, თუნდაც ძალზე ძველს, გაფერმკრთალებულს,

ჩარჩომოცვეთილს და მაინც ხატს, ერთი და ორი დღე, იქნებ წლებიც რომ ვერ გადაშლის.

მერე, ეტყობა, ჩამეძინა — ვერ გავიგე, როგორ შემოვიდა ოთახში, როგორ ჩამოჯდა საწოლზე.

ზის და კეთილად იღიმება. ვეღარც გავნძრეულვარ და ვეღარც რამე მითქვამს. ვწევარ გაოგნებული და შევცქერი. ის ისევ იღიმება. რატომღაც დედაჩემის ღიმილს ვამგვანებ, საბანს რომ ამომიგებდა და საკოცნელად დაიხრებოდა ხოლმე ლოგინზე.

მახსენდება გუშინდელი საღამო. მახსენდება, როგორ გამომყვა ვიწრო დერეფანში, როგორ დამემშვიდობა, როგორ მეკითხებოდა, მოეწყობი კი ასე გვიან სასტუმროშიო, რამდენჯერმე გადამიხადა მადლობა და ისევ სასტუმროზე მკითხა.

ანგარიშმიუცემლად წამოვიწიე, ხელები მოვხვიე, არ გამძალიანებია. მხარზე დამადო თავი და კარგა ხანს, არც ერთსა და არც მეორეს, აღარაფერი გვითქვამს.

— არ მეგონა, თუ მოხვიდოდი.

ძალიან მინდოდა ჩვეულებრივად, სულ უბრალოდ მიეღო ჩემი მოსვლაც და ეს, კაცმა არ იცის, საიდან გამომტყვრალი სინაზეც, თავისიც, ჩემიც.

— მთელი ღამე არ მიძინია. სანამ მოვეწყვე, სანამ... გათენებას აღარაფერი უკლდა, თან ვერც თვალი მოვხუჭე და...

— თუ გინდა, დაიძინე.

არაფრის მოფიქრება აღარ იყო საჭირო.

გამეცინა. იმ ალალი, მადლიერი სიცილით; სხვისი სიკეთე რომ აჩენს და, ჰო-მეთქი, — თვალებით ვაგრძნობინე.

ოთახიდან გავიდა თუ არა, ტანსაცმელი იქვე, სკამზე მივყარე და საბანქვეშ შევძვერი.

გაუბედავი ნაბიჯით შემოვიდა. რაღაცნაირად დაძაბული თუ გაუცხოვებული. მოპირდაპირე საწოლზე ჩამოჯდა.

რაღაცის თქმა დააპირა, ეტყობა, უხერხულმა სიჩუმემ გააღიზიანა. დავასწარი, ჯიბეში სიგარეტი მიდევს, მომაწოდე-მეთქი.

სიგარეტს რომ მაძლევდა, მკლავი დავუჭირე. დამყვა. თავი ბალიშზე დავადებინე. ლამაზი ყელი, დალაქავებული ტუჩები, თეთრ მიტკალზე დაფანტული თმა. შალის თხელ სვიტრში დამწყვდეული თბილი მკერდი...

იწვა — უსიტყვო, მორჩილი და უცხო. თვალები ღია ჰქონდა — არც გულგრილობა, არც ზიზღი — რაღაცას მსაყვედურობდა ჩუმად. ბალიშში ჩავყავი სახე, ისევ მოტივტივდა დედაჩემის ღიმილი — საბანს რომ ამომიგებდა და საკოცნელად დაიხრებოდა ხოლმე ლოგინზე.

ვეღარ გავბედე. შემეშინდა, უფრო იმისა, რომ უკვალოდ ჩაივლი-

და ეს წუთებიც, ეს დღეც, გულში კი სხვისით შექმნილი ის ძველი ხატი დარჩებოდა.

— გადი ცოტა ხნით.

ჩავიცვი. იატაკზე დავარდნილი სიგარეტი ავიღე. ჭიანჭველა აცოცებულიყო მაგიდაზე, სასტუმროს შინაგანაწესზე ტრიალებდა. თხუთმეტამდე სტრიქონი იყო. გადაიარა და მაგიდის კიდისკენ გაცოცდა. წყლით სავსე ჭიქაში გამძვრალი თვალისმომჭრელი სხივი ნიშნისმოგებით ხტოდა მაგიდის ზედაპირზე.

ჩუმად მობრუნდა, ჩუმადვე ჩამოჯდა აულაგებელ ლოგინზე. სიგარეტი მთხოვა. დამნაშავესავით მარიდებდა თვალს.

როდის ბრუნდები-მეთქი, ვკითხე. ზეგო. მერე ტელეფონის ნომერი მივეცი.

— სამ-ოთხ დღეში მეც დავბრუნდები, დამირეკე.

„დაგირეკავ" — დამპირდა თვალებით.

* * *

ცაში გამოჭრილი ორმაგი ფანჯრები. სავარძლებში გარინდებული სხეულები — ასი სიცოცხლე. მფრინავის კაბინაზე ანთებული წარწერა „არ მოსწიოთ" — და სტიუარდესას ოდნავ მოღლილი ხმა:

— ოცი წუთის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვება. გთხოვთ, შეიკრათ ღვედები.

დამთავრდა. ისევ ღვედი, შენივე სხეულის სიმძიმის შეგრძნება და ვეებერთელა კითხვის ნიშანი — შეცდი თუ არა.

როგორ არ იცი, ეს ყველაფერი სისულელეა — შეცდომებიც, ერთმანეთზე ცარიელი ბოთლებივით დახვავებული კითხვებიც, ყველანაირი ღვედიც — თვითმფრინავში, მანქანაში, ყველგან, ყოველთვის რომ დაათრევ თან, გიჭერს, გთანგავს, და მაინც შენივე ნებით იკრავ, რადგან წესია, რადგან ზუსტად ასე იქცევა ესა და სხვა ასიც.

ილუმინატორის მრგვალი ჩარჩოდან ჯერ კიდევ შემომცინის ორი საათით ნათხოვარი უღრუბლო ცა.

* * *

გრძელი დერეფანი. ოთახები, აქ, ამ დერეფანში განყოფილებებს რომ ეძახიან. მართკუთხა ფირფიტებქვეშ ამოკრული კოხტა წარწერები — ინფორმაციის, მრეწველობის, კულტურის... თუ ბოლოდან გამოჰყვებით, ზუსტად იგივე, ოღონდ შებრუნებით.

აქ იბადება ასოებითა და ხაზებით აჭრელებული ფარატინა ქაღალდი, ცხოვრება თუ ცხოვრების ასლი რომ ჰქვია... გუშინ, დღეს, ხვალ...

უცხო კაცი მორიდებით გაივლის დერეფანს, რაღაცნაირი მოწიწებით შეათვალიერებს წარწერებს.

შენი ნაბიჯი სულ სხვანაირია, როგორც შინ, ისე გრძნობ თავს. ოდნავ გიღიმის სახე, ხელში ახლად გადაბეჭდილი „მასალა“ გიჭირავს. დერეფნის თავში ან ბოლოში შეგაჩერებს მორიდებული მზერა და კიდევ უფრო მორიდებული ხმა. უცნობი შენს ერთ-ერთ თანამშრომელს კითხულობს. „მარცხნივ, მესამე ოთახი“. პასუხი ზუსტია, გამართული. კარგა ხანია შეეჩვიე ასე ლაპარაკსა და წერას. თუმცაღა გეჩქარება, ხმა მაინც მშვიდი გაქვს, დაჯერებული. მერე დაუდევრად აღებ შენი განყოფილების კარს, მაშინვე გავიწყდება უცნობიცა და მისი სტუმრობის მიზეზიც. და მაინც, სადღაც გულის კუნჭულში პატარა ხინჯად დაგრჩება, რომ ამჯერად შენ, ირაკლი მიქელაძე არ გიკითხეს.

საკუთარი სკამი, საკუთარი მაგიდა, ტელეფონი. იქვე სარედაქციო ფოსტა — ათი თუ თხუთმეტი წერილი. რაღაცას გეკითხებიან, რაღაც აინტერესებთ, დახმარებას გთხოვენ. ათვალიერებ და რაღაცით კმაყოფილი ხარ, თითქმის ბედნიერიც.

ამ ოთახში შენს გარდა კიდევ ორი კაცია, შენი თანამშრომლები. ერთს, შენს პირდაპირ რომ ზის და ფანჯარაში იყურება, კარგა ხანია გაუარა საგაზეთო ციებ-ცხელებამ. ბოლო წლებში „ვახტანგ სალუქვაძე“ იშვიათად თუ გამოჩნდება რომელიმე წერილის ქვეშ. მეორე მთლად ახალია და რომ არც მიუმატონ და არც დააკლონ, ყველა „მართვეს“ ეძახის.

დღეს სხვა საქმეებიც გაქვს. მთავარია, ვისზე, რაზე შეჩერდება შენი მზერა. აი, ის! საათნახევრის საუბარი. წვრილმანების ჩაწერას წუთები სჭირდება. მერე რამდენიმე ფურცელი, ორიოდ საათი სიტყვებით თამაში და ხვალ დილით ჯიხურებში დაიგზავნება ათიათასობით „ვარსკვლავი“, № 3437, 26 ივლისი, 1979 წელი... მესამე გვერდზე მსხვილი შრიფტით აწყობილი სათაური თვალს მოიტაცებს. ასი თუ ორასი სტრიქონი შენი გვარითა და ჰონორარით აღინიშნება.

ტელეფონის წკრიალი ფიქრს გაწყვეტინებს.

— რედაქტორთან.

მდივანია. უფლის კალთას შეფარებული ანგელოზივით ელურტულებს, სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ჰანგზე, მაგრამ მაინც ელურტულებს. იმის ცოდნას კი, როგორ და რას იუწყება, საიდან უბერავს ქარი, დიდი მნიშვნელობა აქვს. რედაქციაში ჩუმი ბრძოლაა. ერთი მცდარი ნაბიჯი თვეობითა და წლობით ნაკოწიწებ მდგომარეობას თვალისდახამხამებაში დაგაკარგვინებს, სიფრთხილე და, ყველაფრის თუ არა, „ცოტა რაიმეს“ ცოდნა მაინც არის საჭირო.

შალვა ბროლიძე, მრეწველობის განყოფილების გამგე, ერთადერ-

თი კაცია, უშეცდომოდ რომ შიფრავს უფლის ჩიტის ლიკლიკს. ეს რედაქციაში მოსვლისთანავე შევნიშნე. მერე, საჭირო იყო და მეც მივირთვი გველისაგან დამზადებული კერძი. ახლა მშვენიერი სმენა მაქვს, მშვენივრად ვუგებ შინდისფერი პომადითა და ნაირნაირი საღებავებით შებუმბლულ უფლის მგოსანს.

ყურმილი დადებულიც არ მაქვს, ვხვდები: რედაქტორს ვჭირდები. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, რომ მე მანდობენ საქმეს, რომ ანგელოზი კეკლუცი ღიმილით შემხვდება და თვითონვე გამიღებს ტყავგადაკრულ კარს.

რედაქციაში ცვლილებებია მოსალოდნელი. რედაქტორის მოადგილეს სამოცმა მიუკაკუნა და ყველაფრით იგრძნობა, რომ დამსახურებულ დასვენებას შესთავაზებენ. შალვა ბროლიძის გარდა, სხვა მეტოქეს ვერ ვხედავ. ზოგი მეტისმეტად დიდხანს გაიყინა ერთ ადგილზე, ზოგიც მთლად შეუბუმბლავია. იმათ ჯერ კიდევ მოუწევთ ცდა.

თუმცა, ახლა ფიქრის დრო არ არის, უფალი მელოდება.

ლიკლიკა ჩიტი დღეს მშვენიერ გუნებაზეა — სადილზე თუ დაპატიჟა რედაქტორმა. შესვლისთანავე რაღაც ქათინაურს ვეუბნები. კაცს ჯიბე მუდამ სავსე უნდა ჰქონდეს ასეთებით — იოლადაც ელევი და არც არაფერს გავალდებულებს. მიღიმის და ტყავგადაკრული კარისაკენ მიგოგმანობს. სიამოვნებით გავეთამაშები, მაგრამ საქმის გართულება არ ღირს — ბროლიძე უთუოდ იყნოსავს.

რედაქტორი შეფიქრიანებულია. ეტყობა, მართლა ვჭირდები. სიგარეტს მთავაზობს, თვითონვე მიკიდებს.

— ახლახან დაურეკეს ბროლიძეს, — ამას რომ ამბობს, რაღაც უსიამოდ ეღიმება. — ოპერის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება დიდ ქალაქებში. ორ სპექტაკლს ნახავ, იქაურ რეცენზიებსაც გადაათვალიერებ და ჩამოხვალ.

უფალსაც კარგი სმენა აქვს. არა, უნაკლო არ ეთქმის, მაგრამ ძლიერ ხმებს საკმაო გულისყურით ეკიდება.

ბროლიძემ ყველაფერი იცის — ვინ დარეკა, რატომ. შეიყუჟება თავის ნაჭუჭში და გაყუჩდება — როცა რამე ხდება, ცოტა განზე და მყუდროდ ჯდომას არაფერი სჯობს.

მე თითქმის ყველაფერი ვიცი.

გასტროლებზე თეატრს კორესპონდენტი არასდროს გაჰყოლია. ახლა ვიღაცას დასჭირდა რეცენზია. ვიხსენებ ბოლო წლების რეცენზიებს. ყველა ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, ყველა დადებითია, უსახური. ასე მოიხაზა და დადგინდა. ეს ჩარჩო ახლა ნებისმიერ სპექტაკლს, გამოფენასა თუ კონცერტს ერგება. მხოლოდ გვარების ჩაწერაა საჭირო.

ვიღაცას დასჭირდა რეცენზია. როგორც ჩანს, უარყოფითი. სხვა-

ნაირად, არც ტელეფონი დაიწკრიალებდა, არც რედაქტორი შეფიქრიანდებოდა და არც მე დამიძახებდნენ. გესლიანი რეცენზიაა საჭირო — ეს ჩემი უშუალო ამოცანაა, ავტორიტეტის მოხმობაც არის საჭირო — იქაური რეცენზიების გადათვალიერებაც იმიტომ მთხოვეს.

ყველაფერი ნათელია. მაგრამ რედაქტორი რაღაც ვერ არის გუნებაზე, თუმცა, არც მე მომწონს ეს ახალი თამაში. ორივემ კარგად ვიცით თეატრის ავან-ჩავანი, ყველა სისუსტე. სიმართლის თქმა, თუ ამას თხოულობენ კიდეც, სასიამოვნოც არის, მაგრამ სიმართლეც არის და სიმართლეც. ამიტომაც ვერ არის გუნებაზე, ეტყობა. სინდისი აწუხებს ჩემს რედაქტორს. თუმცა, რა მესაქმება. მე ერთი უბრალო შემსრულებელი ვარ და ბევრი არაფერი მომეკითხება — დღეს თუ ხვალ მოადგილის სკამი უნდა გათავისუფლდეს.

* * *

ოცდაათი წელიწადია სიხარულს ვეძებ. ხან — სად, ხან — სად. დროდადრო რაღაც ნაფლეთებს ვაგროვებ, მეჩვენება, რომ ვმოძრაობ. წარმოსახვას კი სინამდვილედ აღვიქვამ.

მივლინება რაღაცას ცვლის — ახალი ქალაქები, ახალი სახეები. ცოტათი ვცოცხლდები, ცოტათი ვიცვლები, თითქოს ვგრძნობ კიდეც, როგორ დაგორავენ სიცოცხლის ბურთულაკები მთელ სხეულში. შორეულ ეჭვს, რომ იმავე, ოღონდ უფრო სწრაფ დინებაში მოვხვდი, ყურს აღარ ვუგდებ და სირბილით მივუყვები გზას — რედაქციიდან აეროპორტისკენ, აეროპორტიდან აეროპორტისკენ, იქაც უფიქრელი და გაუთავებელი სირბილის დღეები, ისევ აეროპორტი, აეროპორტი და რედაქცია... ამ სიჩქარეში ისიც მავიწყდება, რომ მაინც ძებნაა საჭირო, სიხარულის, სულ ცოტაოდენის მაინც.

ვეძებ. როგორ არ ვეძებ, იქაც, აქაც, ვეძებ და ველოდები. კარგა ხანია, თითქმის ოცდაათი წელიწადი. ხან რას ჩავჭიდებ ხელს, ხან — რას. ვერაფერი მიმაგრებს, ვერც ვერაფერს ვიმაგრებ — მემსხვრევა, მადნება, ვერცხლისწყალივით მიძვრება თითებშუა. დროდადრო მეჩვენება, რომ მეტისმეტი მინდა, მეტისმეტს მოვითხოვ და თავს ძალას ვატან, ეს ქვეყანა ისე მივიღო, როგორიც არის. არაფერი მშველის, მაინც ვიცდი და ველოდები.

შინ, ოჯახშიც ელოდებიან ჩემს დაწინაურებას, სხვას და სხვას.

კიბის თავში პატარა ბიჭი გაჯგიმულა, ხელი წითელბორბლებიან ველოსიპედზე უდევს და მიბღვერს. ეს ჩემი გიოა. დიდი, თაფლისფერი თვალები აქვს. დიდი, ჭკვიანი შუბლი, ოდნავ დაბურცული ტუჩები. დრუნჩა! მართლაც დრუნჩაა. ახლა პაპაც ასე ეძახის, ბებიაც.

აი, ასე კოპებშეკრული, გაბრაზებული რომ მიყურებს, ოცდახუთი

წლის წინანდელი ფოტოსურათი მახსენდება. დედაჩემი მალიმალ ამოიღებს ალბომიდან იმ სურათს, გიოს რომელიმე ახალ ფოტოს გვერდით დაუდებს, ზედგამოჭრილი მამამისია, იტყვის, შემომხედავს და რაღაც უხარია. მამაჩემი შორიდან გამოხედავს, წარბი შეუტოკდება, ძლივსშესამჩნევად ჩაეღიმება, თქმით კი არაფერს ამბობს. ჩემი ცოლი ვითომ ვერაფერს ამჩნევს, მიზეზიანად აპრეხილი ცხვირითღა ვხვდები. — ეს ყველაფერი მისთვის სცენაა, საგანგებოდ გათამაშებული. ისიც ვიცი, რატომ. საავადმყოფოდან რომ გამოვიყვანეთ, ჩვარსა და ატლასში გახვეულ მყვირალა კაცუნას გრძელი, გაჩხინკული ფეხები ჰქონდა, რაღაცნაირად უსწორმასწორო, ღინღლიანი თავი, კარგა მოზრდილი შუბლიც ემჩნეოდა, მაგრამ კაცი ვერ იტყოდა, ვის ან რას ჰგავდა. მარტო თვალები ჰქონდა საოცრად ლამაზი და ნაცნობი, დედის თვალები.

— რა იყო, დრუნჩა, რა გაბრაზებული მიყურებ.

კოპები ერთბაშად გაეშალა და ოდნავ მოუწყლიანდა თვალები. მერე ველოსიპედთან ჩაცუცქდა, ჩამოწყვეტილი ჯაჭვი დამანახა. „დედიკომ... მამას უთხარიო...“ ამომხედა. მიხვდა, რომ ასე უცბათ არაფერი ეშველებოდა ველოსიპედს, ხელი წაჰკრა, ააყირავა და ღრიალით გაიქცა შინისკენ.

მამაჩემი ბაღში ფუსფუსებს. ხანდახან დედაჩემი მეტყვის, არაფერი მოგივა, რომ გახედო, ხელი წაუკრა რამეზეო. მოუცლელობას ვიმიზეზებ, არადა, ვიცი, სამოცდაათს მიტანებულ კაცს იმ ერთადერთ საქმეზეც რომ მივეხმარო, გულს ვატკენ — სამსახურისთვის დავბერდი, აღარც აქ მენდობიანო. თქმით განა რამეს მეტყვის, მაგრამ... ერთი სიტყვით, ახლა გვიანაა. ოცდაათი წელიწადი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დავყურებდი გლეხკაცურ საქმიანობას, — მაშინვე მიმიხვდება.

დრო ნელა გადის. როგორც იქნა, მიწყნარდა გიო — ძილს ეომება თავის პატარა საწოლში. მიჩუმდა ოთახები. ჩემს ცოლს ცალკე გადაუწყვია დაუთოებული პერანგები, წინდები. სამზარეულოში, მაგიდასთან ვსხედვართ. ონკანი გაფუჭებულია და გულისგამაწვრილებლად შიშინებს.

— სად მიდიხარ?

თვითმფრინავის ბილეთი წინ დავუდე. ცერად დახედა.

უნდა, რაღაცა მითხრას, გამაგებინოს, მისაყვედუროს, რომ თითქმის არა ვარ სახლში, რაღაც კაპიკებისთვის რედაქციაში ვაღამებ და ვათენებ, რომ ისიც ადამიანია, აღარც კინოა მისთვის, აღარც თეატრი და კონცერტი, რომ ცოლ-შვილსა და სახლს მიხედვა სჭირდება, კედლები ჩამოცვდა, პიანინო ასაწყობია, წამდაუწუმ ფუჭდება ონკანი, ბავშვს ზოოპარკში წაყვანა უნდა, ცირკში... რომ ყელში ამოუვიდა ჩე-

ბი მივლინებები, უთავბოლოდ წანწალი, ფულის ფლანგვა და კახპები.

უნდა, რომ მითხრას, მაგრამ არაფერს მეუბნება, რადგან ყველაფერი ათასჯერ აქვს ნათქვამი. მე კი ვერც დრო გამომიძებნია და ვერც მივლინებაზე ვიტყვი უარს — სამსახური! ასეთი სამსახური მაქვს და რა ვქნა...

— დიდი ხნით მიდიხარ?

— სამი-ოთხი დღით. სპექტაკლებს უნდა დავესწრო.

— როდის იყო, გასტროლებზე დაჰყვებოდი თეატრს.

არასდროს. მაგრამ ახლა მივყვები. რატომ, რისთვის, ჩემი საქმეა. ცოტა უხეშად კი მომდის, მაგრამ მხოლოდ ასე თუ ავირიდებ უსიამო საუბარს. ყველაფრის მიზეზი შიშია. ღირსების გაუფასურების შიში. ექვი წლის ერთად ცხოვრებამ ნელ-ნელა გაახუნა პირველი შეხვედრებიდან გამოყოლილი მკაფიო ფერები. ახლა ცოლის თვალში ის მომხიბვლელი ყმაწვილი აღარა ვარ. მაგრამ ჩემს დღევანდელ სახეს ჯერ კიდევ შემორჩა ვაუკაცობისა და პატიოსნების ათინათი. ჯერ კიდევ ასე ფიქრობს ჩემი ცოლი და მეც ყოველნაირად ვცდილობ ამ მდგომარეობის გამყარებას.

ჩემი საქმეა-მეთქი, შიში კი მიკრავს კრიჭას — ვაითუ ჩემს საქციელში ისეთმა რამემ წამოჰყოს თავი, შემორჩენილი საღებავიც ჩამომეფშვნას.

რა თქმა უნდა, სხვა გზაცა მაქვს. უნდა მოვინდომო და გავაგებინო, რატომ მივიწევ რედაქტორის მოადგილის სკამისაკენ. ნამდვილად მივახვედრებ, ოღონდ... აუცილებლად მომიწევს გახსენება. ამისიც, იმისიც. იქნებ იმ ხუთი წლის წინანდელი საღამოსიც, წინადაუხედავად რომ ჩავულაპე და დღესაც ვერ მომინელებია. ისევ გაჩუმებასა და თავის ისე დაჭერას ვარჩევ, თითქოს წასვლა თუ არწასვლა მხოლოდ ჩემი და სხვა არავისი საქმეა. ასე უფრო უპრიანიც არის — როცა არაფერს, ამბობ, არც არაფერი შეგეშლება.

„როდის იყო, გასტროლებზე დაყვებოდი თეატრს".

პასუხის მაგივრად ახლად აღებულ ნახევარი თვის ხელფასს უკლებლივ ვაწყობ მაგიდაზე. ეს არის პასუხიცა და ყველანაირი ვალის გასტუმრებაც. მერე მძიმედ ვდგები სკამიდან და ცოლის საყვედურით სავსე მზერას თვალს ვარიდებ.

— ლოგინი გაშალე, ლია, რაღაც თავი მტკივა. ხვალ ადრე მივფრინავ.

როგორ ვცდილობ ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს. მაინც წამომცდება ხოლმე. აი, ახლა მომიბრუნდება და:

— ყოველი მივლინების წინ თავი გტკივა.

მეტს არაფერს იტყვის. თავმოყვარეობა არ ათქმევინებს. უხმოდ გაშლის ლოგინს, უხმოდვე ჩაწვება და გარინდული თვალებით მიაც-

ქერდება ჭერს. ოდნავ მაწუხებს სინდისი, მაგრამ ხვალ მართლა ადრე ვარ ასადგომი, თავიც თითქოს სხვისი დაუკერებიათო — არ ვიცი, მტკივა თუ რაღაცნაირი უილაჯობა მაწუხებს. ყველაფრისადმი გულგრილობის, მარტოობის, სიცარიელის...

ტანსაცმელს ფრთხილად ვაწყობ სკამზე — ჯიბეში მისამართებით გატენილი ნაცრისფერი წიგნაკი მიდევს. ნივთიერი მტკიცებანი ტკივილის მეტს ვერაფერს მოგვიტანს, ვერც ერთს, ვერც მეორეს.

დრუნჩას სძინავს. მკლავები თავს ზემოთ გადაუყრია, ტუჩები კიდევ უფრო დაბურცვია, შუბლი შარავანდედივით ადგას ცისფერი კაპილარებით დახაზულ ქუთუთოებსა და ციცქნა სახეს. დედამისივით თეთრი, თეთრი და ნაზი კანი აქვს.

სინათლეს ვაქრობ და ჩემს ბალიშს ხელის ცეცებით ვეძებ. ლია გარინდებული წევს. ახლა სიბნელეს ჩასჭიდებია მზერით და იმ სიბნელეში სინანულივით მწვდება ორი არსების სათუთი სუნთქვა, არ ვიცი რატომ, ჩემად რომ უქცევია ბედს.

თანდათან მიმძიმდება ქუთუთოები, თანდათან ვნებდები სიბნელესა და უმოძრაობას. საცაა ძილიც მოვა — უფიქრელობის, უდარდელობისა და არყოფნის რამდენიმე საათი. მერე კი... ჯერ არაფერი ვიცი და არც შეიძლება ვიცოდე. ვიღაც თუ რაღაც კი უკვე ანგარიშობს, უკვე მიმზადებს — დილას, აეროპორტსა და უცნობ ქალს.

არაფერი ექნება განსაკუთრებული, კუთხეებში დალაქავებული ტუჩების გარდა.

* * *

— სამ-ოთხ დღეში მეც დავბრუნდები, დამირეკე.

„დაგირეკავ", მპირდება თვალებით.

ძველებური სასტუმრო დიდი ქალაქის ხმაურში იკარგება. მიწისქვეშა მატარებლები, გრუხუნი, მარმარილოთი მოპირკეთებული გასასვლელები, ხალხის მდინარე და ისევ გრუხუნით ჩამომდგარი გრძელი შემადგენლობის ჩახჩახა ვაგონები. ცოტაც და ამ ვეებერთელა მდინარის ერთ უსახურ წვეთად იქცევი. შიშისაგან დაპატარავებული ფიქრები და გრძნობები გონების მივიწყებულ კუნჭულებში შეყუჟულან. მათ ადგილას უხმაუროდ და ზუსტად მომუშავე გამომთელელი მანქანა დასკუპებულა და უშეცდომოდ გკარნახობს: სპექტაკლი რვაზე იწყება. მანამდე დასის ხელმძღვანელის ნახვაა საჭირო. სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე პატარა ინტერვიუ. ხვალ დილით — პრესა.

სამი დღე სამი საათივით გარბის. ორ სპექტაკლს ვნახულობ. ფურცლები ჩანაწერებით ივსება — ინტერვიუ, შთაბეჭდილება, ავტორი-

ტეტთა შეფასება. სულ რამდენიმე სიტყვით შეიძლება მოიჭრას: სოლისტები კარგია, არც ერთი თეატრი არ იტყვის უარს; გუნდი უფერულია, ორკესტრს პროვინციულობის ელფერი დაჰკრავს — ეტყობა, ცოტას მუშაობენ. თავში და ბოლოში კი სიტყვები, საკმაოდ თბილი, ალერსიანი: „სამხრეთული მზით გამთბარი ხმები", „მოძმე რესპუბლიკის ხელოვნება, ხალხთა შორის მეგობრობისა და მტკიცე კავშირის დესპანად რომ გვსტუმრებია".

„სპექტაკლებს ნახავ, იქაურ რეცენზიებსაც გადაათვალიერებ და ჩამოხვალ".

ვიღაცას სჭირდება რეცენზია. უარყოფითი. ეს იოლი საქმეა — თეატრს სატრაბახო მართლაც არაფერი აქვს. თანაც მხოლოდ სიმართლის თქმაა საჭირო...

ისე კი, რა ჩემი საქმეა, თავის ატკივებად არ ღირს. რეცენზია უნდა დაიწეროს — უფლის სიტყვა კანონია და ამ სიტყვის გამრუდება რედაქტორის მოადგილის სავარძლისკენ გზის გამრუდებას ნიშნავს.

სამი საათიანით გარბის სამი დღე. ხანდახან დროსაც ვპოულობ, მახსენდება რედაქცია, ჩემი ბიჭი, ცოლის გამწყრალი სახე და დაუმთავრებელი .სასიყვარულო ამბავი. მერე ტელეფონს მივუჯდები, ნაცრისფერ წიგნაკს ვფურცლავ და ვრეკავ. მეექვსე თუ მეშვიდე ციფრზე გადავიფიქრებ და ახლა სხვა ნომერს ვეძებ, „ალო, გისმენ"; ნაცნობი, მეტისმეტად ნაცნობი ხმაა და ისევ ვკიდებ ყურმილს.

ჩანაწერები ჩანთაში მიწყვია, მაგიდაზე ვშლი, ვათვალიერებ. თვითმფრინავის ბილეთი ჯიბეში მიდევს. ფურცლებს უკანვე ვაწყობ და უკვე აღარ ვიცი, რა გავაკეთო.

ისევ ვხსნი ჩანთას. ნაჭრის ჭინკას ვიღებ და კარგა ხანს ვატრიალებ ხელში. გუშინ ვიყიდე.

„სამ-ოთხ დღეში მეც დავბრუნდები, დამირეკე".

იქნებ ესეც წამის სიმართლეა, მაგრამ მაინც მაცდურ დაპირებასავით ჩამჩურჩულებს: „დაგირეკავ..."

ვინ იცის, რამდენჯერ გინახავს ეს ყველაფერი. და მაინც შვებას იგრძნობ, როგორც კი თვითმფრინავის სარკმლიდან აეროპორტის შენობის ნაცნობი ლანდი გამოჩნდება. იქით. დასავლეთით, გორებსა და თხელ ნისლში გამოკრული შენი ქალაქია.

თანამშრომლების სახეები, რედაქციის დერეფანში ნიღბების გროვად რომ აღიქვამ, ამ ოთხიოდ დღეში მოგნატრებია კიდეც. გზაშივე ნანობ, საათი რა არის, საათი ვერ მოიცალე, ცოლისა და შვილისთვის რამე გეყიდა. მემანქანესა და მდივანსაც გაახარებდი შინდისფერსაღებავიანი ბრჭყვიალა ბოთლით, — თბილისელ ქალიშვილებს ხელჩანთები მუდამ სავსე რომ აქვთ.

კიბეზე დინჯად ავდივარ. ცოტა მეჩქარება, მაგრამ მაინც ასე ჯობს.

მეტისმეტ საქმიან იერსა და ფაციფუცში უთუოდ გამოეონავს ღინღლიანი ჟურნალისტი.

ლიკლიკა ჩიტს, როგორც ყოველთვის, მომხიბლავი ღიმილი დასთამაშებს.

ტყავგადაკრული კარი დაუკითხავად შემიძლია შევაღო — შეღავათი, მივლინებიდან დაბრუნებული კაცი რომ სარგებლობს.

— როგორც იქნა! — უფალს ჩვეულებრივი მოკვდავის კმაყოფილება ეგლისება სახეზე.

რედაქტორის ასეთ კეთილგანწყობას ბევრი ვერ დაიკვეხნის. ნამდვილად რაღაც უსიამო ფიქრს ჩამოვაშორე. ცდილობს, არ შეიმჩნიოს, მაგრამ აშკარად ეტყობა, მალამოსავით მოეცხო ჩემი დანახვა.

— ყველაფერი რიგზეა?

მშვენივრად ვიცი. როგორი გამომეტყველებაც მაქვს, ოდნავ დაღლილი და გაღიზიანებული, და მაინც. მაინც კი არა, სწორედ ჩემი გამომეტყველებით ხვდება, რომ ყველაფერი რიგზეა. მერე წამით უნაოჭდება შუბლი, სხვა რა გზა გვაქვსო, თითქოს მეუბნება და მშვიდი და მზრუნველი ხმით აგრძელებს:

— დაღლილი იქნები, ხვალ კვირაა, ზეგ დილისთვის მოამთავრე, ერთად გადავიკითხოთ.

დერეფანში ბროლიძე მხვდება, როგორც ყოველთვის, დარბაისლური იერი აქვს.

— ოო! — მრავალმნიშვნელოვნად ამბობს. — რა ამბებია?

— ყველაფერი კარგად არის.

გაჩუმება არ ივარგებს, თორემ კაცმა არ იცის, რას ნიშნავს ეს „ოო“.

მშვენივრად მახსოვს რედაქციაში მისვლის პირველი დღე. ბროლიძის განყოფილებაში გამანაწილეს. მაგიდაზე ქაღალდის გორები იდგა; ჩემი მომავალი უფროსი მერეღა დავინახე.

კაცს ყოველთვის რაღაცას ვამგვანებ ხოლმე — ფრინველს, ცხოველს, საგანს. მგონი პირველი შემთხვევა იყო, თავში არაფერი მომივიდა. თმიდან ფეხებამდე ჩვეულებრივი იყო, იმდენად ჩვეულებრივი, რომ მთლიანად რაღაც დაწყებულისა და დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ბლაგვცხვირიანი წითელი ფანქარი ეჭირა, რაღაცას ასწორებდა (ახლაც წითელ ფანქარს ხმარობს). კარგა ხნის მერე მივხვდი — მასალები პასუხისმგებელი მდივნისა და რედაქტორის ხელში გადიოდა, წითელი ფანქრით კი მხოლოდ ბროლიძე მუშაობდა რედაქციაში. ასე ამტკიცებდა აზრს, რომ ერთგულად, თავდადებით ემსახურებოდა გაზეთს.

თავი ასწია და მაშინაც იმ „ოო“-თი შემომეგება.

ბევრჯერ ვცადე გამეგო, ბევრჯერ მივდიე ფიქრს და ბოლოში მაინც ხელცარიელი გავედი. თუმცა, აქლემისა და ვირის ანდაზისა არ იყოს, მეც კარგა ჭრელი ტყავი მაქვს შემოხვეული — მაინცდამაინც არც მე მიყვარს ფიქრების გამომზეურება. რომ არავინ დავაეჭვო, ტყავს ორთავ პირიდან ვხმარობ. მაგალითად, კოლეგების თანდასწრებით შემიძლია ვთქვა, რომ შემთხვევით გავხდი ჟურნალისტი და, საერთოდ, კაცი დროს არ უნდა კარგავდეს ორგვერდიანი ფარატინა ქაღალდის ასაჭრელებლად. რაღა თქმა უნდა, ავისმსურველთა რიგები შესამჩნევად თხელდება, რადგან სათვალავში აღარ მაგდებენ. ანდა, რედაქტორის მოადგილეს სხვების გასაგონად ვეუბნები — სიკვდილს ხომ არ აპირებ მაგ სკამზე, გული გადამელია-მეთქი. ამგვარი პირდაპირობა ჩვენს დაწესებულებაში დანერგილი არ არის და ამიტომაც ერევათ თავგზა, აღარ იციან, ვხუმრობ თუ მართალს ვამბობ. ტყავის ამობრუნება თითო-ოროლა მტრის შესანარჩუნებლად და თუნდაც იმისთვის მჭირდება, რომ გარშემომყოფნი ჩემი დაწინაურების შესაძლებლობაზე დროდადრო დავაფიქრო.

ზუსტად ასე, თამაშ-თამაშით ვწამლავ ბროლიძესაც, თავისი „ოო"-თი დერეფანში რომ გადამდგომია და ძალიან დინჯად მაფრთხილებს:

— სამშაბათს, ოთხ საათზე სარედაქციო კრებაა, არ დაგავიწყდეს.

შალვა ბროლიძის ნიღაბს (ისე შეეჩვია და შეითვისა, რომ ნიღაბი აღარც ეთქმის) ყველაზე კარგად კრება ერგება. ეს არის მისი ნიჭის ძირითადი ასპარეზი — კარგა ხნით ადრე იწყებს სამზადისს, თვითონვე აკრავს განცხადებას, თვითონვე ქმნის საქმიან ვითარებას, კანონის იარლიყიანი ჩარჩოთი რომ ზღუდავს რედაქტორსაც კი, და მერე კრების ოქმსაც შვილივით დასტრიალებს — უნაკლოდ გაწყობილ-გადაბეჭდილი რვაგვერდიანი „ვინ რა თქვა"-ს ასლი მეორე დღეს სამმართველოში, კინტრაიას ლაპლაპა მაგიდაზე უნდა იდოს. ასეთია შუაკაცის როლი, იქით სარედაქციო ამბების „უკეთ გაცნობისთვის" ესაჭიროებათ, აქეთ — ხელმძღვანელი ორგანიზაციის განწყობილების გასარკვევად.

— რა დამავიწყებს. სიტყვა მზად გაქვს? გადააბეჭდინე, შაბათის ნომერში მივცეთ.

ვეუბნები და ვიცინი. იძულებულია თვითონაც „გაიცინოს", რადგან სხვანაირად ეს ხუმრობა მისი შემოქმედების მცირე რეცენზიად იქცევა. ამ უგემური მცდელობით შეურაცხყოფასაც იცილებს და ნიღაბსაც ხელუხლებელს ტოვებს.

როგორ არ ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ყველაფერს ერთიანად გადამიხდის.

ფირფიტებქვეშ ამოკრული წარწერები... „კულტურის განყოფილება".

ოთახში არავინ არის. „მართვე“ მასალაზე იქნება, ვახტანგი კი ალბათ სულ წავიდა ხელიდან. ყველაფერი ადგილზეა. საკუთარი სკამი, მაგიდა, ტელეფონი. ფანჯარას ვაღებ. საღამოს სიგრილეს ქუჩის ხმაურიც მოჰყვება. რაფაზე ჩამომჯდარი ვათვალიერებ ოთახს. მერე გარინდებული დავცქერი ტელეფონის ზონარს და ქუჩის ხმაურში რაღაც განსაკუთრებულ ხმებს ვეძებ.

ორი საათის შემდეგ ტელეფონი დარეკავს. ავიღებ ყურმილს და მაშინვე ვიცნობ. „დაგირეკეთ, როგორც შეგპირდით“. „გელოდებოდით“. „როგორ იმგზავრეთ?“ „კარგად. თქვენ?“ მერე მეტრო „რუსთაველთან“ შევხვდებით. ოდნავ შეცვლილი მეჩვენება და მაშინვე გავიფიქრებ, რომ ნაცნობი ქუჩების ერიდება. უხმოდ გავივლით პროსპექტს. უხმოდვე გავექცევით ასობით ცნობისმოყვარე გამოხედვას და კიროვის აღმართს შევუყვებით ფუნიკულიორისკენ. ფიქრადაც არ მომივა, რომ სულ მალე ეს გზა...

— მხოლოდ იმიტომ დაგირეკეთ, რომ შეგპირდით...

ძველი არაკია. გულუბრყვილოდ ცდილობს თავის მოტყუებას. ეძნელება პირველი ნაბიჯის გადადგმა, გამართლება სჭირდება, ხარჩული, ისეთი, საძრახისი რომ არაფერი ეცხოს. კარგა ხნის მერეღა, როცა ყველაფერს დრო გადაუვლის, როცა შესანიღბავი აღარაფერი იქნება. მაშინღა მისცემს თავს იმის თქმის უფლებას, რომ ეს დღეები შენზე ფიქრობდა. ჯერჯერობით კი ქალური ბუნება გულდაგულ მალავს ყველაფერს და უტაქტობა იქნება, ამ უცოდველ ტყუილს თავისი სახელი მოვუძებნო.

„მხოლოდ იმიტომ...“ ახლა ცოტა ხნის დუმილია საჭირო — უნდა შემეტყოს, რომ მეწყინა. თან მალულად ვათვალიერებ. ახლავე მინდა გავზომო ამ ქალბატონისთვის გასაწირი დრო.

რაღაც აწუხებს. ეტყობა, ეს დღეები საკმაოდ უფიქრია, გონება კი, საქმეში ჩაერევა თუ არა, ყველაფერს აფუჭებს. ბადე ხელახლაა მოსაქსოვი და თან რაც შეიძლება ჩქარა — ქალს ათასი მუხრუჭი აქვს, თუ ფიქრის საშუალება მიეცი, ყველა ერთად ამოქმედდება.

რაღაც აწუხებს!

მოსაგონებელი ბევრი არაფერი მაქვს და მისხალ-მისხალ მოვყვები თავიდან. აეროპორტი, ავტობუსი, სასტუმრო... ისევ აეროპორტს ვუბრუნდები, იმ უცნობ კაცსაც, ძმა თუ ბიძაშვილი რომ მეგონა. უცნაურია, სიტყვა არ დაუძრავს. გზაში ქმარზე მიამბობდა, იმ ხუთ წელიწადზე, უთავბოლოდ რომ დაჰკარგოდა „დიდი ხანია?“ „სამი წელიწადი“. თითქოს მინათდება გონება და იმ სამ წელიწადს, სამს თუ არა, ორს ან ერთს მაინც, ის უცნობი კაცი ავსებს. ყველა გრძნობა ერთბაშად ჩუმდება, ვგრძნობ, როგორ მძალავს თავისკენ ერთადერთი — მონადირის ჟინი.

ერთი ნამდვილად ვიცი — რაღაცით დავაინტერესე, მაშინვე. პირველ დღესვე. გარეგნობა? არა, უფრო სიცილი, სულის სიცილი, ღიმილს რომ ვეძახით. ჰო, ალბათ ეს უნდა იყოს. ახლა, ჩემს ოცი-ოცდახუთი წლის წინანდელ ფოტოებს რომ ვათვალიერებ, იმ ყვინჩილა ბიჭისა ყველაზე უფრო ეს ღიმილი მომწონს. ეტყობა, რაღაც კიდევ შეშომრჩა.

სხვა რა. ჯერჯერობით ამას ვყაბულდები. მეტისმეტად „ჭკვიანურ“ საუბარს ვერიდები და უკვე მეორედ თუ მესამედ ვახსენებ, რომ ლამაზი თმა აქვს, უცნაური თვალები, მაშინ თაფლისფერი რომ ჰქონდა, ახლა კი რაღაცნაირი სიმწვანე გადაჰკრავს.

აქაც ზომიერებას ვიცავ. ბევრის თქმა თითქმის არაფრის თქმას ნიშნავს და უმეჩეჩო სავალს მივდევ. ცხენებზე, ფეხბურთზე, თხილამურებზე ველაპარაკები. თვითონაც მიყვება — როგორ უკერავდა კაბებს თოჯინებს, როგორ აკმევდა, აძინებდა. როგორ დამავიწყდა! ეხლაღა მახსენდება — თოთხმეტი წლის ბიჭი მყავსო, სიცილ-სიცილით რომ მითხრა.

— ჩემი ძმისშვილია. მშობლები... მანქანები, მცხეთასთან... ძმა იქვე მოკვდა, რძალი — საავადმყოფოში. სამი წლის იყო მაშინ.

აღარაფერი მიკითხავს.

ფუნიკულიორის ქვედა სადგური ტურისტებით იყო სავსე. ქუჩაშიც სამი თუ ოთხი ავტობუსი იდგა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჯგუფად მოსიარულე ხალხის დანახვა არ მსიამოვნებს.

შევხედე. მიხვდა და გაიღიმა.

— ექვსი წელიწადია აქ არ ვყოფილვარ.

ვერც მე ვიხსენებ, როდის ვიყავი უკანასკნელად.

შუა გზაზე ტრამვაი გაჩერდა. ერთბაშად აიშალა ვაგონი. ისევ შევხედე და ერთდროულად გაგვეცინა.

უკან რომ ვბრუნდებოდით, პანთეონში შევიაროთ-მეთქი. თავი გაიქნია.

სირბილით ჩავთავეთ ბნელი ქუჩები. ხელჩაკიდებული მივარბენინებდი. თავი უკან გადაეგდო, თმა გასწეწოდა. ჯერ ხმამაღლა, გულიანად იცინოდა, მერე აკივლდებოდა, შიში გაერეოდა ხმაში... გავჩერდებოდით, მძიმედ სუნთქავდა. გამშრალი ტუჩები უცინოდა. იმ გამშრალ ტუჩებსა და თეთრ კბილებზე ვკოცნიდი. სუნთქვა შეეკერებოდა, ბარდებში გახლართული ფრინველივით აიქნევდა ხელებს და ისევ იცინოდა.

რუსთაველის პროსპექტთან ყელზე მოხვეული ხელი მოიცილა.

— ახლა ისე მოვიქცეთ, როგორც სხვები იქცევიან. — ამომხედა და იმ დღეს უკანასკნელად გამიღიმა.

სახლამდე მივაცილე. რომ ვემშვიდობებოდი, სახე მოეღრუბლა. მერე ძალიან ხმადაბლა მკითხა:

— ასე არავისთან გირბენია?

არა-მეთქი.

— კარგი მორბენლები ყოფილხართ ჟურნალისტები. — რაღაცნაირად გამომაჯავრა და. სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ბნელ შესასვლელში გაქრა.

მეორე დღესაც იმ ქუჩებში დავდიოდით. რამდენი ცნობისმოყვარე თვალი ყოფილა ქალაქში. თუმცა, ეს დაჟინებული თვალთვალი რაღაცნაირად მართობს კიდეც. ჩავუვლით სახლის დირეზე ჩამომსხდარ ქალებს, ცოტა გავცდებით და უცბათ შეთქმულებივით შემოვბრუნდებით. ყველას ჩვენკენ აქვს სახე მოქცეული, დანაშაულზე წასწრებულივით იშმუშნებიან, ერთდროულად გვეცინება — არ ვიცი, გვიხარია თუ გვართობს ეს თამაში. რუსთაველის პროსპექტზე ნიღბებით გავდივართ. აღლუმს თავისი კანონები აქვს, ჩვენც ამ კანონებს ვემორჩილებით. ხელი, ცოტა ხნის წინათ მის თბილ ყელზე რომ მქონდა შემოხვეული, თაბაშირში ჩასმულივით მიჭირავს და ერთი სული მაქვს, მალე გათავდეს გზა. მერე შინ ვაცილებ.

სადღაც გადაკარგულში ცხოვრობს. უსახური უბანია, წუხანდელი წვიმის კვალი ქალაქში აღარსადაა, აქ კი ისევ დატბორილია ქუჩები. მივიხედ-მოვიხედე — სიბნელეში ორ თუ სამ დაგვიანებულ მგზავრს მოვკარი თვალი. დანდობილა ხელში ავიყვანე და მძიმედ წავედი პატარა გუბეებს შორის — ნაცადი ხერხია.

— გეყოფა... დამსვი... გეტკინება... — ხელები კისერზე ჰქონდა შემოხვეული, თვალებში ფარნების შუქი უბრწყინავდა.

მერე ერთხანს ჩუმად ვიარეთ.

— პატარა „რევოლუციის“ მოხდენა მომიწევს. — თითქოს რაღაც ტვირთი მოიხსნაო, — ისე თქვა.

მივხვდი, რა „რევოლუციაზეც“ მეუბნებოდა. გულზე მომეშვა. მერე ისიც მითხრა, რა აწუხებდა ეს დღეები, ვინც აცილებდა აეროპორტში, მითხრა, რომ ახლა ის მივლინებაშია, ზეგ ჩამოვა და ყველაფერს ეტყვის. მითხრა და ცრემლით აევსო თვალები.

* * *

— არ გიყვარდა! შენი უნდილი ქმრისა და ორი წლის მარტოობის მერე პირველსავე შემხვედრს ჩამოეკიდე კისერზე...

სიტყვებთან ერთად ბალღამიც ამოვანთხიე და ვგრძნობ, როგორ მიყუჩდება გულ-მუცელი.

ნელა მიეუყვებით გაშინაურებულ გზას.

განაწყენების ნიშანწყალიც არ ეტყობა, მოსეედიანებული თვალებით შემომცქერის. მერე ჩუმად ამბობს:

— ქალი ერთი სეზონისთვის.

გონება მინათდება. ველარ გამიგია, რას ვერჩი, რას ვაბრალებ, რას მოვითხოვ. არ ვიცი, სადამდე მისდევს ფიქრს, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ წლების შემდეგ — ნოქებდამჩნეულს, უქმროსა და უშვილძიროს, გული მეკუმშება. ეს თუ მშველის. სულ ცოტა ხანში მხიარულ გუნებაზე ვდგები — აღარც ტკივილია, აღარც — ექვი. თამასუქივით მოცემული ეს სამაგიერო ყველაფერს ასწორებს და სისხლდამშვიდებული თანდათან ვთავისუფლდები ტყვეობისაგან.

— დრუნჩა!

— რა იყო?

— დღეს ორი თვე შესრულდა.

გაკვირვებული მიყურებს. მერე ხვდება და ისეთი სინაზე და მორჩილი ღიმილი ედება სახეზე, ერთი სული მაქვს, ეს თვალები, ეს თბილი, საოცრად თბილი სხეული ერთ პატარა გუნდად შევკრა და იმით ვისუნთქო.

„ორი თვე შესრულდა...“

იმ დღეს ორივეს დაგვაგვიანდა. მე სარედაქციო კრებაა გადავყევი, ის ჩემზე გვიან მოვიდა, ერთიანად გამშრალი, გაცრეცილი.

* * *

წინა დღეს კი ორშაბათი იყო, რედაქტორი დილიდან მელოდებოდა, მივლინებიდან ჩამოტანილი მასალა ერთად უნდა გადაგვეკითხა.

გამომეღვიძა თუ არა, ყველაფერი გამახსენდა — ჩანაწერები ხელუხლებელი მეწყო ჩანთაში. ვერაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ შიში არ მიგრძვნია, გამიკვირდა — გაუფრთხილებლობით, კაცმა არ იცის, ვისთვის დაგებული ხაფანგის პირზე დამედგა ფეხი.

შევცდი, თანაც ასე სულელურად.

გზაში ერთთავად შესაძლებელ გართულებებზე ვფიქრობდი და კიდევ ერთხელ გავკვირდი — გონება გულგრილად, ერთობ გულგრილად ანგარიშობდა. გვარიანად შევშფოთდი. რედაქციის შენობასთანლა ვიგრძენი, როგორ გამომფხაჭნა შიგნიდან სინანულმა. მერე, კიბეზე საკუთარ ტყავზე ფიქრიც დავიწყე. ცოტა მომეშვა. სიფრთხილეა საჭირო. თავს შევახსენე და ტყავგადაკრული კარი უკვე ძველებურად შემოსილმა შევაღე.

რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა. მისმენდა და თავს ძალას ატანდა, ისეთი არაფერი დასცდენოდა — ძალიან სჭირდებოდა რეცენზია, ჩანაწერებით სავსე ფურცლები კი ჩემს ჩანთაში ეწყო.

რაღაც-რაღაცები მოვიმიზეზე, სირთულეებსაც მოვედე და ორ დღეში ჩაგაბარეთ-მეთქი, დავპირდი.

ის დღე უსაშველოდ დაგრძელდა. ერთხანს სარედაქციო ფოსტა ვათვალიერე — საინტერესო არაფერი იყო.

ოთახში სიჩუმეა. ვახტანგი ფანჯარას გასცქერის, დროდადრო საათსაც დახედავს ხოლმე. „მართვეს“ ცხვირი ქაღალდებში აქვს ჩაყოფილი — თავში ნამდვილად საკუთარი, მოწინავე აზრები უტრიალებს. არა უშავს რა, ეჩურჩულოს მუზებს, მერე ყველა სადავო სტრიქონი ჩემს, პასუხისმგებელი მდივნისა და რედაქტორის კალამს შეეწირება. ასეთია ტრადიცია. ხანდახან მეცოდება კიდეც — ერთხელაც იქნება, მოსწყინდება ჭიხვინი და კოხტად აწკეპილ ჯიშიან ყურებსაც სამუდამოდ ჩამოჰყრის.

ისევ ბროლიძე მახსენდება.

ალბათ უკვე იყნოსა. სოროს თხრაც დაიწყო, ვიცი, პირდაპირ ჩემი ოთახისკენ მოდის, ამოჰყოფს კიდეც თავს — სად და როდის, კაცმა არ იცის.

უჰაერო კოლოფში გამომწყვდეულივით ავწრიალდი.

დერეფანი ცარიელია. მზერა მალულად გარბის ფირფიტებქვეშ ამოკრულ წარწერებზე — მრეწველობის განყოფილება.

კარის ბრჭყვიალა სახელური, რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი და წიგნებში თავჩარგული შალვა ბროლიძე. პერანგის ყველა ღილი ადგილზე აქვს, თმა — გულმოდგინედ დავარცხნილი. მაგიდის ქვეშ შემალულ ფეხებს ვერ ვხედავ, მაგრამ ისედაც ვიცი — ფეხსაცმელი თოფის ლულასავით უბზინავს. ღმერთმა დაიფაროს და სადმე ქუჩაში შარვალი გაერღვას, იმაზე უბედური კაცი არ იქნება.

— ცხელა! — დამეთანხმა და ისეთი გამომეტყველება გადაიკრა. უშეცდომოდ წაიკითხავდი: „არც არაფერი მინდა, ნურც ნურაფერს მთხოვ“. — თქვენი წერილი... — მერე ისეთი რამეები ვთქვი, არც რომ ვფიქრობდი და ალბათ არც იყო იმ წერილში. ვიდრე სათქმელს ბოლომდე ვიტყოდი, მივხვდი, მეორე შეცდომა ძალად გამოვჩხრიკე. ახლა, მშვიდობით! იჯდა და მისმენდა გულგრილი, უკარება. ერთ წამს რაღაც ღიმილისმაგვარმაც გადაუარა. გადაუარა და იმდენად ბრიყვული მეჩვენა ჩემი საქციელი, რომ გამეცინა.

არა და აღარ გათავდა დღე.

რაიონებიდან გამოგზავნილი რამდენიმე პატარა ცნობა ჩავასწორე და მემანქანეებთან შევედი. ფურცლებს რომ ვაწყობდი, მაგიდაზე პრემიების სიას მოვკარი თვალი. ბროლიძის გვარი, როგორც ყოველთვის, თავში ეწერა.

პრემიას კარგი მუშაობისთვის იძლევიან და შალვა ბროლიძე რომ სამ თვეში ერთხელ კარგა მოზრდილ თანხას იღებდა ჯიბეში, თითქოს-

და ბუნებრივიც იყო — ავად თუ კარგად ყველაზე მეტს წერდა. გაზეთს რა, არაფერი, მაგრამ რედაქციაში ხმაგაკმენდილნი იყვნენ — ერიდებოდნენ. მე კი მშვენივრად ვიცოდი, მოადგილის სავარძლისთვის ბრძოლაში პრემია მაინცდამაინც ვერაფერში წამადგებოდა — ფული, ასე ინაგრებ თუ ისე, სულ ერთია, მაინც აღიზიანებს ადამიანებს.

„ორი თვე შესრულდა...“

იმ დღეს ორივეს დაგვაგვიანდა. ერთიანად გამშრალი, გაცრეცილი მოვიდა, მე სარედაქციო კრებას გადავუევი.

* *

კაბინეტის შუაგულამდე ჩამოგრძელებული ვეებერთელა პრიალა მაგიდა. ცალ ფრთაზე სამი ტელეფონი — ორი თეთრი, ერთიც შავი. მეორეზე — გაზეთების შეკვრა და ფურცლები. თავში ორმოცდახუთი წლის კაცი — მელოტი, კოხტა თავი, რომაული ცხვირი, შორიშორ დამსხდარი ალერსიანი თვალები და თითქოს ღიმილისთვის მომზადებული პირის საკმაოდ გრძელი და სწორი ჭრილი, ჩვს პირველ სარფიან გარიგებას რომ მახსენებს.

შეწუხებული და მოღლილი ხმა:

— ჩვენი დღევანდელი კრება...

კედლების გასწვრივ ჩარიგებული სკამები, რედაქციის თანამშრომელთა გაქვავებული სხეულები.

ექვსი წლის წინათაც ასე იდგა ეს მაგიდა, ის სამი ტელეფონიც, მაშინაც ცხელოდა, მოღებული ფანჯრებიდან ქუჩის ხმაური შემოდიოდა. მაშინაც შეწუხებული იყო ტელეფონებსა და ქაღალდებს შორის მოქცეული კაცი, მაშინაც ის ლაპარაკობდა, მერე სხვებიც აჰყვნენ და ვფიქრობდი — ასეთი საუბარი რედაქციის მუშაობაში ბევრ რამეს შეცვლიდა. მეც მედო წილი იმ მომავალ საქმეებში და გაყურსული ველოდებოდი — აი ახლა იტყვიან-მეთქი ჩემს წერილზე. რატომღაც მეგონა, შემაქებდნენ, ძალიან მინდოდა, მოსწონებოდათ ჩემი პირველი ნამუშევარი. „დღევანდელ მოთხოვნებს ერთადერთი განყოფილება აკმაყოფილებს“, რედაქტორმა ჩვენი განყოფილება ახსენა. მერე ჩემზე თქვა, კოლეგიამ მოიწონა ახალი თანამშრომლის წერილიო. შალვა ბროლიძე, ჩვენი განყოფილების გამგე, გვერდით მეჯდა. მაშინ ამ კაცისთვის ყველაფერს გავაკეთებდი.

ახლაც გვერდით მიზის ბროლიძე. ექვსმა წელიწადმა ვერაფერი დააკლო, ისეთივე სუფთაა, ისეთივე დარბაისელი — ადამიანები ძნელად იცვლებიან.

ჩვენი სარედაქციო კრება პატარა სპექტაკლია — მსახიობებით, ნიღბებით, სცენითა და მაყურებლებით. საკმაოდ მიმზიდველიც, თუ, რა თქმა უნდა, მაყურებლის როლს თამაშობ. ზიხარ, ისმენ და თავისით ხარისხდება: კმაყოფილები და უკმაყოფილოები, მსხვილები და წვრილები. მიმზიდველია იმითაც, რომ ორსაათიანი თავყრილობა საძუშაო საათებში ეწყობა.

ჩვეულებრივი კრებაა დღესაც, ცოტას გავერთობით და მერე საქმეებს მივხედავთ: რედაქტორი სამმართველოში შეივლის — თავის სათედაქტორო აქციებს შეამოწმებს, მოადგილე საპენსიოდ ირთვება — გაზაფხულზე სარდაფი მოაწყო, ქვევრები ჩაყარა, საწნახელიც მიუდგა, ფერადი ტელევიზორი მიაცუხცუხა შინ, ახლა ბოლო დროს დაწერილ ნარკვევებს აგროვებს, კიდევ ერთი წიგნი უნდა გამოსცეს. სტილისტმა ქალიშვილი გაათხოვა, ბებიობისთვის ემზადება. მემანქანე გოგონები კრების შემდეგ გაბზარულ სარკეს დაიდგამენ, გადაიღებიან და ისე წაგოგმანდებიან პაემანზე. ერთი ბროლიძეღა დარჩება რედაქციაში — კრების ოქმი ხვალ დილამდე უნდა მოაწესრიგოს.

— იმედია, დღევანდელი კრება ხელს შეუწყობს ჩვენს მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას. ძალიან გთხოვთ, თითოეული გამოსვლა მოკლე, კონკრეტული, ერთი სიტყვით, საქმიანი იყოს.

რედაქტორმა დაამთავრა თუ არა, ტელეფონმაც დაიწკრიალა. „სარედაქციო კრება გვაქვს, მოგვიანებით დარეკეთ“.

კრებაზე ჯერ წვრილები ლაპარაკობენ. ასეა ჩვენთან. ალბათ ასე იყო ჩემამდეც. ის, ვის სიტყვასაც წონა აქვს, ბოლოსთვის ინახავს სათქმელს.

ერთხანს ვერავინ ბედავს და ისევ შალვა ბროლიძე ერევა საქმეში.

— აქ ყველა ერთი ოჯახის წევრები ვართ, გარე-გარე და ჩუმ-ჩუმად ბუზღუნი არაფერში გამოგვადგება. ჩვენი სატკივარი ჩვენვე უნდა ვთქვათ, ხმამაღლა, ყველას გასაგონად. მაგალითად, მემანქანეები, კორექტორები ახლა გასუსულები სხედან ორიოდე წუთით შემოვლილი სტუმრებივით. გვითხრან, რა უჭირთ, რა ულხინთ. აქ ერთმანეთის საყურებლად ხომ არ შევკრებილვართ.

ძნელია ამ შინაურულად გადაგდებულ ანკესს არ წამოეგო. ხმაშიც და სახეზეც სარედაქციო საქმეებზე, თანამშრომლებზე ზრუნვა იგრძნობა.

ჯერ მემანქანეებმა დაიჯერეს — ერთი მანქანა კარგა ხანია ჩამოსაწერია, ზოგი ხელნაწერი გამადიდებელი შუშით თუ წაიკითხებაო. მერე კორექტორებმაც — ოთახში ნათურაა გამოსაცვლელი, დედნებში უამრავი შეცდომაა. ფეხის ხმას რიგითი კორესპონდენტებიც აჰყვნენ, ჩემი ახალი თანამშრომელიც იდებს თავს — ჟანრობრივი მრავალფეროვნება აკლია გაზეთს. მასალების მეტი წილი მშრალია, საბუღალ-

ტრო ანგარიშებს ჰგავს, დედნები შეცდომებითაა სავსე, სტამბაში სწორებას დრო მიაქვს, გაზეთი იგვიანებს, ფრთხილადაც იყო, ათიდან ორი შეცდომა მაინც იპარება, მკითხველსაც ვალიზიანებთ ავტორიტეტსაც ვკარგავთ.

დრო ტაატით გადის. ვახტანგ სალუქვაძე უკვე საათს დასცქერის, რედაქტორის მოადგილე მთქნარებას ძლივს იკავებს, მემანქანეებს გაფუჭებული მანქანაც დავიწყებიათ, გაურკვეველი დედნებიც — პაემანზე თუ ფიქრობენ. მეც მეტრო „რუსთაველთან“ ვარ მისასვლელი...

გუშინ ცირკში ვიყავით. თუ რამე არ მიყვარს, მუსკომედიის თეატრი და ცირკია. პაპაჩემს დავყავდი ხოლმე წელიწადში ორჯერ — რვა ნოემბერს და ორ მაისს. წავიდეთ-მეთქი, რომ ვუთხარი, გაეცინა — ოცი წელიწადია არ ვყოფილვარო.

ცხენებმა გამაბედინეს. ვეებერთელა აფიშაზე არაბულები ეხატა. მოდრეკილი კისრებითა და დიდი, ბრიალა თვალებით.

ბილეთები ძლივს ვიშოვეთ. ცირკი ბავშვებითა და სამხედროების ცოლებით იყო სავსე. ერთხანს მართლა გავერთეთ — სასაცილო იყო, ვიცინოდით, არ იყო — მაინც ვიცინოდით. მერე ცხენების წარმოდგენა დაიწყო.

გაჩახჩახებულ არენაზე სათითაოდ გამოგოგმანდნენ ფაფარდაწნული თეთრი არაბულები. ბრჭვიალაკოსტიუმიანი კაციც გამოჰყვათ. ოთხად მოკეცილი მათრახი ეჭირა.

გაიტკაცუნა მათრახმა — ხუთივე ცხენი ყალყზე შედგა გაწვრთნილი ფინია ძაღლებივით მოხრილი წინა ფეხებით. ტაში. ორკესტრი. არენაზე ათამაშებული ფერადი სინათლეები.

სამი თოკი გაჭიმეს. ისევ გაიტკაცუნა მათრახმა და სკუპ-სკუპით გადაეცლნენ თეთრი არაბულები.

წავიდეთო, მითხრა და პირველი თვითონ ადგა. მეც ავდექი. გასასვლელამდე მოგვყვებოდა ტაში და ორკესტრის ზრიალი...

ნახევარ საათში მეტრო „რუსთაველთან“ უნდა ვიყო.

— თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის — მასალის გარეშე გაზეთი არ დაიბეჭდება...

ეს უკვე ბროლიძე ლაპარაკობს — დინჯად, გულისტკივილით. ლაპარაკობს მასალების სიმცირეზე, მარაგის უქონლობაზე, იმაზეც, რომ ეს ყველაფერი ციდან არ ცვივა. კარგადაც ლაპარაკობს და, ცალი თვალითაც რომ შემოაჭყიტო უცხო კაცი, ნამდვილად გაუჩნდება მოკრძალება და პატივისცემა. რა თქმა უნდა, ბროლიძის მიმართ.

— როცა სოცშეჯიბრების დებულებას ვაყალიბებდით...

ესეც იმ არაკისაა. ახლა სოცშეჯიბრების მნიშვნელობაზე იტყვის, მერე მისხალ-მისხალ ჩამოთვლის, კვარტალში ვინ რამდენი წერილი დაამუშავა, რამდენი გვერდი დაბეჭდა. ბოლოს მემანქანეებსა და კო-

რექტორებსაც გადასწვდება. თხუთმეტ წუთს მაინც გასტანს სარედაქ-ციო საქმეებისთვის წვა.

— ჩვენზე, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. და რადგან ასეა, ბევრიც მოგვეთხოვება...

ეს იდეოლოგიური ფარი ახლა ძალზე იაფი ღირს, ხანდახან მარ-ტო სურვილიც საკმარისია. ერთი კი არის, ყველანაირ საქონელს მაინც მოხმარება სჭირდება. შალვა ბროლიძე მშვენივრად ხმარობს ფარს.

— დისციპლინაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუ-აროთ საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობას, პროფესიულ და, თუ გნებავთ, პირად პასუხისმგებლობას. პარტია დიდ ამოცანებს გვისა-ხავს. ამ ამოცანების გადასაჭრელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სა-კითხი შემსრულებლობაა. ვითომდა მოწესრიგებული გვაქვს ყველა-ფერი ამ მხრივ? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არა. მაგალითისათვის შორს არ წავალ. სულ ახლახან სამმართველომ ჩვენი კულტურის ერ-თი მეტად მნიშვნელოვანი უბნის, ოპერის თეატრის შემოწმება დაგვა-ვალა. როგორც ამხანაგებმა გვითხრეს, იქ ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, ერთი სიტყვით, საოპერო თეატრის ხელმძღვანელობა საქ-მეს თავს ვერ აბამს. საჭირო იყო კრიტიკული მასალა, თანაც გადაუ-დებლად, რაც შეიძლება, სწრაფად, რადგან, მოგეხსენებათ, ჩიხში მომწყვდეულ საქმეს დროზე უნდა ხელის წაკვრა, მერე შეიძლება გვიან იყოს. ეს რთული, პასუხსაგები საქმე რედაქციამ ჩვენს ახალ-გაზრდა, ნიჭიერ ჟურნალისტს ანდო. საოცარია, მაგრამ ფაქტია, ჩვე-ნი კოლეგა მეოთხე დღეა, რაც მივლინებიდან დაბრუნდა, რეცენზია კი არსად ჩანს.

— არც გამოჩნდება!

სიჩუმეში ერთხანს მხოლოდ ეს ორი სიტყვა მიდგას ყურში. მერე რედაქტორის გაოცებულ სახეს ვხედავ, მოადგილის სიცოცხლეჩამდ-გარ თვალებსა და რაღაც საინტერესოს მოლოდინში გაქვავებულ თა-ნამშრომელთა სხეულებს. ბროლიძე ისევ ფეხზე დგას, ტკბილი, გუ-ლისამრევად ტკბილი ღიმილი დასთამაშებს.

რაღაც მოხდა. რაღაც მოხდა და ვიდრე ავდგები, ვიდრე ამ ორ სიტყვას გავიმეორებ, ვგრძნობ, როგორ მეწევა — ცალკე სიბრაზე და ცალკე სინანული, რომ ისევ შევცდი. თან საკუთარი სიბეცეც მახრ-ჩობს — ველოდი, როგორ არ ველოდი, მაგრამ ასე ერთბაშად არა. ისევ მოლოდინით გარინდებული თანამშრომელთა სახეები, გაოცებუ-ლი რედაქტორი, გახარებული ანკესიანი კაცი და სატყუარზე სასაცი-ლოდ აფართხალებული ირაკლი მიქელაძე. ამ ორიოდ წამში ათასი ხმა და მოგონება თავსდება: მივლინებები, ფანჯრებიდან შემოსული ქუჩის ხმაური, დღევანდელი პაემანი, ცოლ-შვილი, ოცდაათ წელი-

წადს ნაძებნი სიხარული და ცირკის თოკებზე ფინიებივით მოხტუნავე არაბულები...

— არც გამოჩნდება!

მერე ვლაპარაკობ — თითქო შორეულ ხმას ვუსმენ, დაძაბულსა და ნერვიულს. ჰყვება და ჰყვება ხმა: სარედაქციო სოცშეჯიბრებაზე. უხვად წერის შეჯიბრად რომ ქცეულა; პრემიებზე, კაცმა რომ არ იცის, რისთვის რიგდება; გუშინდელ ასსტრიქონიან მოწინავეზე, სიტყვების თამაშით რომ ახვევს თავბრუს მკითხველს.

ვლაპარაკობ — თითქო ფირზე ჩაწერილი ნაცნობი ხმა მესმის, მავთულებსა და დიოდებში გამოვლილი, მშრალი, მყიფე და მაინც სასიამოვნო — რა ხელად ითაფლება ხოლმე ენა საავკაცო სიტყვაზე. გზადაგზა ვიღაც თუ რაღაც კიდევ მახსენებს, რომ შეცდომას შეცდომას ვამატებ, მაგრამ ფიქრისთვის ველარ ვიცლი — ტკბილი სალბუნი მთელ სხეულში გამჯდომია.

— არც გამოჩნდება! — ხმამაღლა ვამბობ და ჩუმი აღტაცებით შევცქერი მოყელყელავე პატივმოყვარეობას — სიმართლის მანტიამოსხმული ვდგავარ ერთი — ოცდაათის წინაშე!

იმასაც ვამჩნევ — თითქმის ყველანი მაყურებელთა დარბაზში გადამსხდარან, სამნიღა შევრჩით სცენას — გაფითრებული რედაქტორი, შალვა ბროლიძე და მე — ჭრელი ტანისამოსით, ჩაჩიანი ქუდითა და ტრაგიკული მონოლოგით.

* * *

ორივეს დაგვაგვიანდა. ის ჩემზე გვიან მოვიდა, ერთიანად გამშრალი, გაცრეცილი.

მახსენდება, რომ დღეს სამშაბათია — ის ვაჟბატონი ალბათ დაბრუნდა მივლინებიდან. ერთი სული მაქვს, გავიგო, როგორ შეხვდა, რა უთხრა. ენას კბილს ვაჭერ და ჩუმად მივდევ გვერდით. ვიცდი. ადრე თუ გვიან თვითონვე ჩამოკაკლავს. ბოლოს და ბოლოს, მიხვედრაც შეიძლება; ზედ აწერია: საათის წინ წარსულს ჩააბარა თავისი უფლისწული — მთელი წლის ნაკოწიწები იმედები, შეჩვეული ადგილები, შეჩვეული სიტყვები.

უკეთეს გასართობს ვერც ინატრებ. ჩიტი თოფის მისაწვდენზე დამისკუპდა და ესეც საკმარისია კარგ გუნებაზე დავდგე. რაღაცის თქმაა საჭირო — წესი თავისას ითხოვს. ვაქეზებ კიდეც თავს. არაფერი, სახედარივით გაბოტილა სათქმელი.

ფუსფუსებს პროსპექტი, მიახლოვდებიან და მცილდებიან ქალები, კაცები, ვიტრინები, მერე ყველაფერი ერთ დიდ კაბინეტს ემსგავ-

სება. სკამები, ფრთიანი მაგიდა, ჭრელი ტანისამოსი, სულელის ჩაჩი და ფირზე ჩაწერილი ხმა, მშრალი, მყიფე და მაინც სასიამოვნო. გამოწვევას ჰგავს ათასი თვალის წინ პროსპექტზე სეირნობაც, ერთიც და მეორეც რაღაც ბრიყვული სიამაყით მავსებს და ნიშნისმოგებით გავცქერი ანგარიშმიუცემლად გადაყლაპულ ხუთი წლის წინანდელ ამბავს, ახლაც ყელზე რომ მადგას.

— დაიღალე?

მოვსულვართ. მოედანზე პატარა ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. პირველი სართულის ფანჯრიდან ქალის წყვილი თვალი მზომავს, შესასვლელთან მოკლეკაბიანი გოგო ტელეფონის ყურმილს მისწებებია. თან ჩვენკენ იცქირება.

— არა. ყველაფერი უთხარი?

„ჰო“, მეუბნება თვალებით და ისევ ეცრიცება სახე.

— ავიდეთ, მარტო ვარ შინ. ჩვენები სოხუმში წავიდნენ გუშინ.

* * *

— ორი თვე შესრულდა დღეს. — თითქო ჩემთვის ვამბობ და იმ, ორი თვის წინანდელი დღის ყველა წვრილმანი გაკროცილი კაკლებივით მოგორავს მეხსიერებიდან.

— მთელი გზა ხმა არ ამოგიღია, რაღაცაზე ფიქრობდი.

— ჩვენზე. შენზე და ჩემზე. იმ დღეს როგორღაც მარტო დავრჩით. ეს მინდოდა მეთქვა, შენც ხომ ვიღაცას თუ რაღაცას აუჯანყდი. თქმით კი არაფერი გითხარი. თითქოს შორეულ, უცხო ქალაქში მოვხვდი. შიშველივით მივიპარებოდი ვიტრინებსა და ადამიანებს შორის, უნიღბო, უსამოსლო. მხოლოდ შენ შეგეძლო ამ სიშიშვლის დაფარვა და მომეჩვენა — ახლობელი ქალი მომყვებოდა გვერდით. მანამდე რაღაც თოფებზე და ჩიტებზე ვფიქრობდი, გამობმულივით მივდევდი დაკანონებული წესის საფეხურებს. მერე კი, როცა მითხარი, ამოდი, მარტო ვარო, მივხვდი, რომ იმ ერთი ნაბიჯის გადადგმაც საჭირო იყო. ორივეს გვჭირდებოდა.

ისევ ის სინაზე და მორჩილი ღიმილი. როგორ მინდა, ეს თვალები, ეს თბილი, ძალიან თბილი სხეული ერთ პატარა გუნდად ვაქციო...

პატარა თითები „ჩვენი სკამისკენ“ მეწევა. გვერდით ჩრდილიანი ბილიკია, გარშემო — ნაძვები, ჩვენს უკან, ანძაზე — ორმოცვატიანი რეპროდუქტორი და სინანულისა თუ სევდის ძახილი: „მანი, მანი, მანი...“ კარუსელთან მოწყობილ ხის ჯიხურში ორი თვეა ამ ფირფიტას უკრავენ.

გვეცინება. კაცმა არ იცის, რას მღერიან, არც მაინტერესებს და

ვფიქრობ, რომ ამქვეყნად სულ ერთი ბეწო საიდუმლოთი შემოსილი ყველანაირი სიმღერა მომხიბლავია.

გშიაო, მკითხე, კარი რომ მიხურე და მარტო დავრჩით. მკითხე და ის ძველებური სასტუმრო გამახსენდა. თავი დაგიქნიე. სანამ სამზარეულოში ტრიალებდი, შენს პატარა ოთახს ვათვალიერებდი. გამიხარდა, ის შავი საფრთხობელა ტახტის თავზე რომ ჩამოგეკიდა.

— ხელი დავიწვი ტაფაზე, ვერც ის გკითხე, გინდოდა შემწვარი კარტოფილი თუ არა.

— ფანჯარა მტკვარს გადაჰყურებდა. იქითა ნაპირზე გზა იდო — ვიწრო და სწორი. მომართული სათამაშოებივით დაჰქროდნენ მანქანები. თანდათან დამავიწყდა რედაქციაცა და კრებაც. მერე შემოხვედი, შემწვარი კარტოფილის სუნი და სიმყუდროვე შემოიტანე. კიდევ კარგა ხანს იტრიალე ოთახსა და სამზარეულოს შუა, რაღაც-რაღაცები მოგქონდა.

— ისეთი თავგამოდებით სანსლავდი...

— როგორც თადარიგიანმა დიასახლისმა, ყველაზე გემრიელი კერძი მაინც ბოლოსთვის შემოინახე...

სახე ეტკიცება და შაშვივით აღებს პირს. მერე ალანძულ თვალებს მარიდებს, თავს მხარზე მადებს და რაღაც გაუგებარს დუდუნებს.

მაშინაც ასე მარიდებდა თვალს. ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანა, მობრუნდა. ტახტზე დაგდებული წიგნი კარადაში შედო, მერე ხან რა გადადგა, ხან — რა, ერთხანს კიდევ ათვალიერა ოთახი და რომ ვეღარაფერი იპოვა, ჩამოჯდა.

ვისხედით და ერთმანეთს შევცქეროდით. ისევ ის ძველებური სასტუმრო, ის ერთი საღამო და ის დილა მახსენდებოდა. ჰგავდა და არც ჰგავდა. შევცქეროდი, ხმას არ ვიღებდი.

წამით შემომაბობღდა ეჭვი — უსახსრო და უაზრო. უკვე იყო ვიღაც, იქნებ უყვარდა კიდეც, იქნებ ახლაც უფრთხილდება, ელოლიავება იმ ძველ ხატს.

წამით შემობორიალდა ეჭვი პატარა ოთახში, ერთი გამწიწკნა და უკანვე გაიძურწა. თავი ავუწიე, ახლოდან, სულ ახლოდან დავაცქერდი. აღარ აურიდებია მზერა — მოლოდინი, შიში და სითბო ედგა თვალებში.

ფრთხილად შემოვაცალე თხელი სვიტერი. ცხელი სითეთრე ალივით მომედო. სახეზე შევხედე, ერთიანად გაშიშვლებოდა თვალები.

მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტლა ვგრძნობდი — თმის სურნელს. გამშრალ ტუჩებსა და ქალის გრძნეული ხელების სითბოს. რაღაც უჩვეულო სიხარულიც მოვიდა, ისეთი უჩვეულო, და მართალი, რომ გული ამომიჯდა.

ფანჯარას მიწებებული ბინდი, გამვლელთა მოგუდული ხმა. საბუ-

რავების შრიალი და კიდევ, უცნაური ჩურჩული, მარტო სიბნელეში რომ გაიგონებს კაცი.

„მანი, მანი მანი...“

— იმ ღამეს პირველად ვიფიქრე, რომ დამთავრდა...

— მაინც? — მეკითხება და ალერსით მიჭერს პატარა თითებს.

— იმ დღეს ჩემნაირ ეგოისტს კაცი ვერ იპოვიდა ქვეყანაზე.

— ეგოისტს?

— ჰო, — ვეუბნები და ვიდრე მიხვდება, ვიდრე რაღაც უსიამოს მოლოდინში გარინდებული სხეული ისევ მოულბება, თვალწინ აჩქარებული კადრებივით გამირბის — ერთდღიანი თუ კვირიანი თავგადასავლები. რამდენი იყო. ალბათ არც ბევრი, არც ცოტა. იმდენი, რამდენიც მოვასწარი — ყოველთვის ვცდილობდი დამეგრძელებინა ეს სია. ქალის მადლიერი თვალები სიამაყით მავსებდა. ეს იყო და ეს. საღად მუშაობდა ტვინი, საღად აღვიქვამდი ყველა წვრილმანს და ვერასდროს, გაოგნების უნაპირო სივრცეშიც კი ვერ ვახერხებდი მეთვალყურის, როგორღაც მესამე კაცის ტყავიდან დაძრომას. უშურველად ვფლანგავდი თავს, სანაცვლოდ არაფერს ვთხოულობდი. არ მჭირდებოდა.

იმ ღამეს ყველაფერი შეტრიალდა. ურჩხული ჩამიჯდა, უშველებელი, გაუმაძღარი. ერთბაშად დაიფანტა ფარატინა სიტყვები — სიყვარული, პატიება, სხვისი ბედნიერებისთვის საკუთარის დავიწყება. ვიცინოდი და ვტიროდი.

დილით ჩენზე ადრე გაღვიძებოდა. მოკუნტული იჯდა, ხელები ჩამოტეხილივთ ეწყო მუხლებზე. წუხანდელივით ლამაზი აღარ იყო, მაგრამ უმწეო, თითქო სიცოცხლეჩამქრალ სხეულში, უძილო თვალებსა და მუქზოლებდამჩნეულ უპეებში ისეთი ქალური სინაზე და სევდა დავინახე, რომ სუნთქვა შემეკრა.

მიცქერდა. უფრო მეტი მაინც სინანული იყო ამ გამოხედვაში და ვიგრძენი — რაღაც გადამიბრუნდა მკერდში.

მგონი გავუღიმე, წამოვიწიე. უცებ მომხვია ხელი, გულზე მიმიკრა და ატირდა, დედაჩემივით, ბანაკში რომ მგზავნიდა ხოლმე ზაფხულის არდადეგებზე.

დამშვიდობებას ჰგავდა ეს უცნაური ალერსი. სველ თვალებში ვკოცნიდი, აწეწილ თმას ვულაგებდი, ნუ წვალობ-მეთქი, ვეუბნებოდი — ქარგად ვიცოდი, რომ ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო, უშედეგო, არაფრისმომცემი და მაინც ლამაზი.

მერეც არაერთხელ სცადა. ქალური ალღო თუ აფრთხილებდა, ფეხს თუ ათრევინებდა და ისიც განწირულივით მებრძოდა, მეურჩებოდა, ტყუილუბრალოდ. თვითონაც ხვდებოდა, ყველაფერი გადაწყვე-

ტილი იყო. არც ასარჩევი, არც უკანმისაბრუნებელი გზა აღარა ჰქონდა.

„ვიცი, რითაც დამთავრდება, სანამ გვიან არ არისო...“

მშვიდი, უმოძრაო და ვარდისფერი იყო ჩემს გარშემო ყველაფერი და ამგვარი ვარაუდი თუ წინასწარმეტყველება სასაცილოდაც არ მყოფნიდა.

მთელი ორი თვე ვარწმუნებდი, ვუსაბუთებდი, რომ გაუგონარსა და განსაკუთრებულს არაფერს სჩადიოდა. მაინც გაკერპდებოდა, ნაჭუჭში გამოიკეტებოდა, თავსაც იწვალებდა და მეც მაწვალებდა. ხანდახან ისეთი რამეც დასცდებოდა, არც რომ ფიქრობდა და მერე ნანობდა კიდეც.

ვბოროტდებოდი, უგუნური და უსაფუძვლო წინააღმდეგობა მახელებდა, უცნაური ჟინი შემიპყრობდა ხოლმე. ერთიღა მინდოდა. მეტოქედ ქცეული ამ უსუსური არსებისთვის ყველაფერი დამევიწყებინა, ტვინის კუნჭულებში ჩარჩენილი მოგონებები აწმყოთი ამომექოლა, გამეთელა. გარინდებულს რომ დავინახავდი, ვცოფდებოდი — სხვა, ჩემთვის არარსებულ და უცნობ დროს თუ დასტრიალებს-მეთქი ფიქრებით. ვცოფდებოდი და სამაგიეროს, საშინელ შურისძიებას ვიგუბებდი. ერთხელ წამოსცდა, არც ერთს არ მივუტოვებივარო, არც მე მივუტოვებივარ-მეთქი, არავის, იქედნეს ღიმილით დავუბრუნე.

დრო გადიოდა და თანდათან მივხვდი, რომ ტყუილად ვასკდებოდი გულს. წარსული აღარ სტანჯავდა. ერთადერთ საფიქრელად ხვალინდელი დღე გახდომოდა. მეც საბოლოოდ ვირწმუნე — ძალად ვერ ატარებ ქალს შენს ჭკუაზე და, რადგან ასე მოიქცა, ასეც ერჩივნა ალბათ.

— მანი, მანი, მანი...

ამ ორ თვეში, ვინ იცის, მერამდენედ გვიმღერის რეპროდუქტორი. ფიქრი ახლა ხუთსართულიანი შენობისკენ გამირბის, რკინაბეტონის თანამედროვე ნაგებობისკენ, როგორღაც განზე რომ დამრჩა.

იმ შენობაში ათზე მეტი რედაქციაა, ათზე მეტი რედაქტორი და ათჯერ ათზე მეტი კორესპონდენტი. სანამ კიბეზე ადიხარ, არ შეიძლება, რამდენიმე არ შეგხვდეს. ერთი თავს დაგიკრავს, ერთი ხელს ჩამოგართმევს, ერთი კი აუცილებლად გეტყვის:

— ჩვენი სტატია მიდის ნომერში. თქვენი აზრი მაინტერესებდა. ხომ არ...

— აუცილებლად წავიკითხავ.

ჯერ კიბეზე ადიხარ და ფიქრობ, რომ შეიძლება წაიკითხო.

კიდევ ორი საფეხური: „ვაი თუ არ მომეწონოს“.

უკანასკნელიც: „რა თქმა უნდა, არ წავიკითხავ“.

ამ სართულზე სხვა რედაქციაა, სხვა რედაქტორი. შესამჩნევად ვუჩ-

ქარებ ნაბიჯს და... როგორა ვთქვა... ნაბიჯს ვუჩქარებ და ოდნავ, სულ ოდნავ მითრთის მუხლები. მთლად ისე არა, ჭიშკარს რომ შეაღებ, ფრთხილად შეყოფ თავს და ერთი წუთითაც არ გავიწყდება ლითონის ფირფიტა: „ეზოში ავი ძაღლია". მთლად ასე არა, მიახლოებით, რადგან გახსენდება — ლითონის ფირფიტიან ეზოში ხალხიც ცხოვრობს. თუნდაც მესამე კარი ხელმარჯვნივ — ინფორმაციის განყოფილება, ანდა მეხუთე — მრეწველობის. ეს წვრილმანი კი იმიტომ იცი, რომ რვა წლის წინათ აქ, სწორედ ამ სართულზე დაიწყე ის, რაც ჭკვიანი ხალხის აზრით, არ უნდა დაგეწყო.

ეს იყო რვა წლის წინათ, ისე, როგორც წესი და რიგია. როგორც იწყებენ. იმ დღიდან გაზეთ „ახალი გზის" შტატგარეშე კორესპონდენტი გავხდი.

კაცმა არ იცის, შემთხვევამ მკრა ხელი თუ ასეც უნდა მომხდარიყო. იმ დღეს, და მერე ერთხანსაც მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, „დინამოს" ყველა მატჩს ვესწრებოდი, მშვენივრად ვცეკვავდი, ბუკინისტური მაღაზიის მტვრიან თაროებზე ამაოდ ვეძებდი კაფკასა და კამიუს. სიკვდილზე ლაპარაკი არ მაღელვებდა. სხვათა შორის, არც მომავალი: ბედის სარკეში მკაფიოდ ჩანდა დიპლომი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვა და სხვა — პარტია ჭადრაკი, დახვეწილი ანეკდოტები, ახალ ფილმებზე საუბარი, პრემიერებზე დასასწრები ბილეთებისთვის ნაცნობების შეწუხება, შუალედებში სამეცნიერო თემაზე ჯახირი და ცოტა ხანში დოქტორის თუ არა, კანდიდატის ხარისხი მაინც.

სამიოდ თვეში გაკრიალებულ სარკეს მივაფურთხე და როცა შეფიქრიანებულმა პერანგის სახელოთი ისევ ჩამოვწმინდე, სულ სხვა გზა გამოჩნდა — ბევრად მაცდური და საინტერესო.

იმ დღეს კი, ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი რომ ვიყავი, შემთხვევამ ჩემ ნაცნობ ფოტორეპორტიორთან მიმიყვანა, სადღაც სურათი გადაეღო ჩემთვის და, თუ გამოიცალი, დაგიბეჭდავო.

ლაბორატორიაში იყო.

ფირი მოძებნა და ცოტა ხნის შემდეგ აბაზანიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოყარა გალუმპული ქაღალდები.

— აანთე სინათლე.

სანამ ფოტოებს აშრობდა, სკამზე მიგდებული წინა დღის „ვარსკვლავი" ავიღე, დავჯექი და გავშალე. სათაურების თვალიერებაში ვიყავი, მოვიდა, გაზეთი გამომართვა, გადაკეცა და დამიბრუნა.

— როგორია? — საკუთარ თავს თუ ეკითხებოდა, რადგან ერთხანს თვითონაც უცქირა და პასუხს არც დალოდებია, ფირებს მიუბრუნდა.

თავი დავაქნიე — ფოტო მართლა მომეწონა, უფრო კი ალბათ ცხენების გამო. მერე რეპორტაჟიც ჩავიკითხე.

— ჰა, როგორია?

ისევ თავის თავს თუ ეკითხებოდა. ერთი წუთით არ მიფიქრია, რომ აღტაცებული იყო ნახელავით, ვალიკო თვაურის ფოტოებს თითქმის ყველა გაზეთი ბეჭდავდა და საკმაოდ ხშირადაც.

— ფოტო მართლა კარგია, ეს კი... ცხენებზე ეგრე წერა... — ხელმოწერას დავხედე: „შ. გრანელი". — შ. გრანელი. — ხმამაღლა გავიმეორე. — ვინ არის, „ვარსკვლავში" მუშაობს?

— არავინ.

— არავინ?

— მრეწველობის განყოფილების გამგის შალვა ბროლიძის ფსევდონიმია. რა, არ მოგწონს?

— არა. უკეთესად შეიძლება.

— უკეთესად ყოველთვის შეიძლება. შენ თუ...

— შემიძლია. — ვთქვი და გავიფიქრე, რომ მართლა უკეთესად შემეძლო. სკოლაში ხუთი გვერდი რომ იყო დასაწერი, ერთს ძლივს ვახერხებდი. მერე, სტუდენტი რომ გავხდი და ინტეგრალებზე უნდა მეჭყლიტა ტვინი, მწერლობის მანია შემიჩნდა. მალევე განვიკურნე, მაგრამ შ. გრანელზე უკეთ და ისიც ცხენებზე, დარწმუნებული ვიყავი, მართლა შემეძლო.

გამომხედა. გამზომა.

— როგორც ვიცი, მანეჟი არსად აპირებს გაქცევას. მოიტანე და ვნახოთ.

დანარჩენი თავმოყვარეობამ გამაკეთებინა.

მესამე დღეს მივუტანე, დაჯდა და კითხვა დაიწყო. ცოტა ვღელავდი, მაგრამ ვიცოდი, მოეწონებოდა. დაამთავრა. ფურცლები ერთმანეთზე დააწყო, მერე გაშლილი მარჯვენა ბეჭედივით დაადო ზედ და ამომხედა.

— ხალხი? ადამიანი? აქ ცხენების მეტი არაფერია. ისტორიასაც არავინ გთხოვს. შენ იქ მიმიყვანე, მანეჟზე. დამანახვე, მომასმენინე...

მახსოვს, რომ გავწითლდი, რაღაც უკმაყოფილოდ ჩავიბურტყუნე, თანდათან ბრაზიც მომერია და წამომცდა:

— შეიძლება, მაგრამ იმას ხომ სჯობს!

გაეცინა. ვიფიქრე, რომ თითქმის „ჰოს" ნიშნავდა ეს სიცილი და დავწყნარდი.

— იმასთან რა გინდა. რაც გითხარი, გააკეთე და არ დაიკარგო.

ორი დღის შემდეგ ისევ მივედი.

დამიცადეო. რომ მობრუნდა, ფურცლები აღარ ეჭირა.

— „ახალი გზა“ ათვალიერე. ამ დღეებში იქნება.

მეოთხე დღეს მართლა დაიბეჭდა. რამდენიმე ცალი ვიყიდე. მერე კაფეში ვიჯექი, წინ ჩაი და ბუტერბროდებით სავსე თეფში მეწყო. გვერდით მაგიდასთან ხნიერი ქალი აძალებდა ბავშვს: „ჭამე, შე დასამიწებელო, რომ შემომათრიე, ჭამე ახლა“. ნეილონის ფარდებს იქით ხალხი მიდი-მოდიოდა, ჭადრები ქალიშვილებივით ეკეკლუცებოდნენ ქარს და ეს ყველაფერი — ანჩხლი დედაკაციც, ნეილონს იქით მოძრავი ადამიანებიც, ჭადრებიცა და მზითა და მოფარფატე ჩრდილებით სავსე ქუჩაც შრიალა გაზეთის მართკუთხედში მოქცეულიყო: მსხვილშრიფტიანი სათაური, ცხენის ბრიალა თვალებთან დახრილი მომღიმარი გოგო და „ი. მიქელაძე“.

გაზეთი ფრთხილად გავკეცე, ერთი ყლუპი დუბელა ჩაი მოვსვი, ატირებულ ბავშვს დავეჯღანე და გარეთ გამოვედი.

გარეთაც გაზაფხული იდგა. დაქროდნენ მანქანები, შუა ქუჩაში უდარდელად მოაბიჯებდა მილიციელი, მღეროდა რეპროდუქტორი და ისეთი ლამაზი იყო ახმაურებული პროსპექტიც, ხალხიცა და მთელი ეს ქვეყანაც, რომ მეც მომინდა სიმღერა.

ლაბორატორიის კარი დაკეტილი დამხვდა. ის იყო მოვბრუნდი და ვალიკო თვაურიც ცხვირწინ ამეტუზა.

— აა! ქართული პერიოდიკის ამომავალი ვარსკვლავი! ნახე? რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — თითქო იღლიაში ამოჩრილ გაზეთებს გადმოულაპარაკა და ხელი მომკიდა. — ეხლა წავიდეთ, გველოდებიან.

გაკვირვებულმა შევხედე.

— სამი სართულით დაბლა. კარგი ხალხი. ინფორმაციის განყოფილებაში. ოთარ გოგლიძე.

ასე გადავდგი პირველი ნაბიჯი „ახალი გზის“ ზღურბლზე.

დიდი და ნათელი ოთახის სიღრმეში, გაცრეცილზედაპირიან, ძველებურ მაგიდასთან ორმოცდაათს მიტანებული კაცი იჯდა. ადგა, მაგიდას გამოსცდა და ხელს რომ გვართმევდა, გაიღიმა. მოუხელთებელ, კრიალა რითმას ჰგავდა ეს ღიმილი — არც რომ გნებდება და არც თავს განებებს. უკვე რაღაცას მეკითხებოდა, საქმიანი, მკაცრი, გულგრილი ღიმილი კი დარჩა.

— რამდენი დღე გინდა?

დავალება ძნელი არ მეჩვენა, მაგრამ რა ვიცი, რა არ ხდება, და, ხუთი დღე ვითხოვე. სანამ ვეუბნებოდი, ისიც გავიფიქრე, ბევრი არ ეჩვენოს-მეთქი.

ისევ გაიღიმა და დავმშვიდდი. იქნებ უცნაურიც იყოს, მაგრამ არც მაშინ, ორიოდე წუთის გაცნობილი რომ მყავდა, არც მერე, რვა წლის მანძილზე, ერთხელაც არ გავუკაწრივარ ეჭვს. და თუ შეიძლება, რომ უფიქრელად მიენდო რამეს, ამ ღიმილს ვენდობოდი. იყო თუ არ იყო.

მაშინაც, ფანჯრიდან უხილავ წერტილს მიჩერებული ხელჩაქნეული კაციგით მძიმედ, საარვისოდ რომ ფიქრობდა ხმამაღლა:

— ჩვენ ნუ გვიყურებ. ამ ოცდაათი გაბღენძილი კაციდან ნახევარი ვითომ მუშაობს, ნახევარსაც მხოლოდ ჰგონია, რომ მუშაობს.

მაშინაც, სარედაქციო კრების შემდეგ, რაღაცით გაღიზიანებულს ოდნავ რომ უტოკავდა მარცხენა უპეც და ხმაც, ჩვეულებრივ მშვიდი და თბილი, ეკალდაყრილი ბურთივით ამოჰქონდა გამშრალი ყელიდან:

— თუ გგონია, რომ სიმართლეს ამბობ, კიდევ დაფიქრდი, მერე კი აუცილებლად თქვი. ნურავის დაუხრი თავს, ნურაფერს დათმობ. შენ ეხლა იწყებ და ზოგიერთებს ყური არ უგდო — გაზეთში წერა წყლის ნაყვაო. საქმის გაკეთება ყველგან შეიძლება. მაგრამ ადამიანებზე უნდა წერო და ეს არ დაგავიწყდეს.

ვუსმენდი და მჯეროდა. ვენდობოდი. თავს რომ ენდობი, ისე. არც დარიგება იყო ამ ხმაში, არც რჩევა, არც ჭკუის სწავლება. უცნაური რამ ხდებოდა. ვუსმენდი და ჩემივე ხმა მესმოდა, ჩემი აზრები, მე თვითონ ვიყავი ოთარ გოგლიძე.

მეორე დავალებას მესამე მოჰყვა. შემაქეს. „ახალ გზაში“ სულ უფრო გახშირდა ჩემი წერილები. თითქოსდა ამან გადაწყვიტა. ლექციები განზე გადავდე და მერე აღარც საგაზაფხულო სესიები გამხსენებია. არადა, ვიცი: ამდენი ხნის ნაპრიალებ სარკეს რომ ვაფურთხებდი, უბნის ბიჭებთან მეგონა თავი.

მერე დღეები ისევ დაემსგავსნენ ერთიმეორეს. საამქროები, მშენებლობა, რეპორტაჟები, წერილები, სარედაქციო ციებ-ცხელება, უძილო ღამეები და სასიგნალო ნომრების ნაზი სურნელი, ყველა უჯრედში რომ გამჯდომია.

„ფიქრიანი უნდა იყო“. გულისთქმასავით ჩამესმოდა ოთარ გოგლიძის ნათქვამი, მაგრამ საკუთარ ხმასაც ყოველთვის როდი უსმენ.

ფიქრის დრო არ მქონდა. ვწერდი. ჩემივე ნაწერით ვტკბებოდი. დედა დიპლომს მთხოვდა, მამა — ჭკუაზე მოსვლას, ბებია — ცოლს, რედაქტორი კი — ახალ-ახალ რეპორტაჟებს.

უარის თქმა დროზე ვერ ვისწავლე და მალე ყველას ფანდურზე დავიწყე ცეკვა. ჯერ ბებიას დავყევი. მერე დედაჩემსაც — მაინც გაზეთს ვიყავი გადაყოლილი და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადავწყვიტე დანაკლისის ანაზღაურება.

ერთხანს მართლაც მიმაგრებდა, რა ვიცი, ღმერთმა უწყის საიდან გამობმული თოკი, მერე უეცრად ქარმა დაბერა და ბოლომოწყვეტილი ფრანივით დავბზრიალდი.

აგვისტო ახლოვდებოდა. ჭკვიანი ხალხის აზრით, ჩემი საგაზეთო მოღვაწეობა უპირატესობას მომცემდა. მეც მორიდებით შევაღე რე-

დაქტორის კაბინეტის კარი. ოთახში ბრიოლინის მოტკბო სუნი იდგა.

სწორედ იქიდან დაბერა. რედაქტორმა უარი მითხრა შტატგარეშე კორესპონდენტობის ცნობაზე („ბრძანებით არ ხართ გაფორმებული"), ჩემი აზრით, ორი წლის კეთილსინდისიერი შრომით დამსახურებული რომ მქონდა.

უნივერსიტეტში მაინც შევყავი თავი, „ახალი გზის" სავალიც ნელ-ნელა დავივიწყე.

ჟურნალისტიკაში ამ მისვლა-გაქცევამ საგრძნობლად დაბინდა ბებიაჩემის ნამზითვი სარკე. ახლა აქ დიპლომიღა ჩანდა, მაგრამ ერთ დღეს (ცხოვრებაში კარგი დღეები არც ისე ცოტაა) მელოტი, კოხტა თავი, რომაული ცხვირი და ჩემსკენ მოპყრობილი ალერსიანი თვალებიც დავინახე. მთელი ეს ავლადიდება ლევან ალანიას, „ახალი გზის" ყოფილი პასუხისმგებელი მდივნის, ეს ერთი წელიწადი კი გაზეთ „ვარსკვლავის" რედაქტორის კუთვნილება იყო. იმ „ვარსკვლავისა", ორი წლის წინათ ვალიკო თვაურის ჩაბნელებულ ლაბორატორიაში ჩემი გაჟურნალისტების საბაბად რომ იქცა. ხანდახან რა უცნაურად გაიხუმრებს ხოლმე ბედი.

სარკე არ იტყუებოდა. გამოსახულებამ მოხდენილად გაისწორა ჰალსტუხი, პირის ჭრილი ოდნავ გაწელა და რომ ვიფიქრე, ღიმილი მოსწყდება-მეთქი, ტუჩები ისე მოღრიცა, საბავშვო ბაღი და მანანის ფაფა მომაგონდა. მერე ხელის ნაჩვევი მოძრაობით ერთბაშად შეკრიჭა საზეიმო დუმილი და:

— იშვიათად ჩანხარ, მუშაობა ხომ არ დაიწყე?

— კარიერისთვის ვემზადები უნივერსიტეტში.

— იქნებ ჩვენი გაზეთისთვის დაგეწერა რამე.

— რაღაც გადავეჩვიე. გულს ვეღარ ვუდებ.

— ადგილი რომ გამოჩნდეს?

ისე იკითხა, თითქოს ზურგს უკან სათამაშო ჰქონდა დამალული — ლექსი თქვი და მოგცემო.

ლექსი არ მითქვამს. მოკლედ მოვჭერი, თანახმა ვარ-მეთქი.

— ას ოცი მანეთით დავიწყოთ. დანარჩენი შენზე იქნება დამოკიდებული.

იმ დღეს კიდევ ერთხელ დავიქნიე თავი. თუმცა, გარიგება ამჯერად სარფიანი იყო.

სარკემ ყველაფერი მართალი თქვა. რამდენიმე თვეში უფროსი კორესპონდენტი გავხდი, ერთი წლის შემდეგ კი კულტურის განყოფილება ჩამაბარეს — ყოფილი გამგე სხვა რედაქციაში გადავიდა.

„მანი, მანი, მანი...“

— რა სულელები ვართ ქალები.

— რაზე ამბობ, დრუნჩა?

— ზურაბის იმედი რომ მქონდა. ისე მიქე, ასეთიაო, ისეთიაო, ვიფიქრე, რამე ჭკვიანურს გირჩევდა.

— არ იცოდი ძაღლი ძაღლის ტყავს რომ არ დაჯენს?

— იმიტომაც ვამბობ, სულელები ვართ-მეთქი. ისე, რომ უსმინო, იმაზე გულგრილი კაცი ქვეყნად არც არის. ერთი შეხედვით სულ სხვადასხვანაირები ხართ, მაგრამ რაღაცით ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს. ორივე...

— პირველი კლასიდან ერთ მერხზე ვისხედით...

— ორივე... — ერთხანს თითქოს რაღაცას ეძებს, მაგრამ სანამ იპოვის და იტყვის, ის დღე მაგონდება, ამ ქალბატონის სურვილს რომ დავყევი — შენს მეგობარს უნდა მოველაპარაკო. მგონი ასეც ოქვა: „უნდა მოველაპარაკო“.

* * *

— მცხეთაში. — თითქოს სხვათა შორის დააგდო ზურაბმა და ვეება ბეჭებით ისე მოაწვა სკამს, ჭრიალი დააწყებინა. შოფერმა ცერად გამოხედა, ჩვენკენაც გამოაპარა მზერა და მანქანა დაძრა.

არც ერთი არ ვიღებთ ხმას. ისევ შოფერმა სცადა — კალიასავით მომრავლდა მანქანაო. არ ავყევით და ისიც გაჩუმდა.

ზურაბი გაშეშებული ზის. შევყურებ დათვის კისერს, არშინიან ბეჭებს, გზას რომ გადაჰფარებია და ეს ჯიუტი დუმილი მეც მიკრავს კრიჭას.

გუშინწინ, როგორც კი ჩემი ქალბატონის თხოვნა გადავეცი, სახე მოეღრიცა. ჯერ უნდოდ შემომხედა, მერე შემომიბღვირა — მალე ბებიაქალობას მომთხოვო. თანდათან დალბა, კარგიო, ამოღერღა და კუნაპეტივით თვალებში სითბო აუციმციმდა. სხვას არც ველოდი, მაგრამ მაინც მომეშვა გულზე.

შოფერმა რადიოსკენ წაიღო ხელი, კარგა ხანს აწვალა. მანქანა მურაბასავით ტკბილმა ხმამ გაავსო.

— გამორთე, თუ ღმერთი გწამს.

შოფერმა მიამიტად გამოიხედა. რათა, კაცო, სახეზე ეწერა სათქმელი. აღარც არაფერი თქვა და მაშინვე გამორთო.

ვერც ეს ქალბატონია გუნებაზე. ნეტა რა ჯანდაბამ მოაფიქრებინა. კინაღამ არ ვუთხარი შოფერს, გააჩერე-მეთქი.

მერე რაღაც უცბად გავმხიარულდი, სტვენაც კი დავიწყე.

ზურაბმა ერთი კი მოატრიალა საჩრდილობელივით წარბები, რაღაც ბიჭური, ეშმაკური სიცილი შეგვატოვა და მიბრუნდა.

რესტორანთან გავაჩერებინეთ მანქანა.

ნისლივით დამდგარი ბოლი, დაგუბებული ხმაური და ოციოდე წყვილი ცნობისმოყვარე თვალი მოგვეგება შესვლისთანავე.

მანქანაში ყოფნა ჯობდა-მეთქი, გავიფიქრე და მყუდრო ადგილს დავუწყე ძებნა.

შესასვლელთან ვიღაც განმარტოებულა. წინ ძირამდე დაყვანილი ბოთლი, თეფში მწნილი და რაღაც კერძი უდგას. მოკლესახელოიანი, ნასვრეტებიანი პერანგი გაწვნიკულ კისერსა და გამხდარ ხელებზე ჩამოკიდებულივით აცვია. იმ გაძვალული იდაყვებით მაგიდას დაყრდნობია და მოჭუტული თვალებით იცქირება დარბაზის ბოლოს გაშლილი სუფრისაკენ. გვერდით რომ გავუარეთ, ამოგვხედა, წამოიწია კიდეც და ხელით თავისუფალ მაგიდაზე გვანიშნა.

დავსხედით. ოფიციანტის მოლოდინში ერთმანეთს შევცქერით. კარგა ხანს გრძელდება ეს უხერხული სიჩუმე. როგორც იქნა, მოგვხედეს კიდეც.

— ეხლა მე მაცალეთ! — გუნება გამოუკეთდა ზურაბს.

ოფიციანტმა ყველაფერი ჩაინიშნა და გაბრუნდა.

— მაპატიეთ, — დანდობილა ალაპარაკდა ჩვენი მარტოხელა მეზობელი. — მაპატიეთ, ქალბატონო, — ახლა თავიც დახარა და განაგრძო, — აი, ის კახპა... — ხელი ოფიციანტისკენ გაიშვირა, — აი, ის კახპა ორი საათია იმათ დაჰფოფინებს. თუ ნებას მომცემთ, გეტყვით, რატომაც. — ერთიანად გადმოწვა მაგიდაზე და სველი ტუჩებით აჩურჩულდა: გამორჩენას ელის იმათგან... — საჩვენებელი და ცერი ერთმანეთს გაუსვა, შეთქმულივით მოგვიჭუტა თვალი და ხმამაღლა, მუქარით ჩამარცვლა — უსამართლობაა ქვეყნად, უსამართლობა!

— აგაშენა ღმერთმა. — ისე გულიანად შეაგება ზურაბმა, რომ სიცილი წაგვსკდა.

მოკლესახელოიანი უკვე ცარიელ ჭიქას ჩაჰყურებდა.

— ეხლა თამადა უნდა ავირჩიოთ. — თქვა ზურაბმა. როცა ოფიციანტმა სუფრა გაგვიწყო და ღიმილით გვითხრა, კიდევ ხომ არაფერს ინებებთო.

— არჩეულია. ზურაბს გაუმარჯოს.

— რადგან ეგრე გინდათ, ეგრე იყოს. ისე, შენი ამბავი რომ ვიცი, არც თამადაა საჭირო და ნება რომ მოგცენ, ღვინის სინსილასაც გააქრობდი ქვეყნად. დაასხი, დაასხი, მერიქიფედ თუ გამოგიყენებს კაცი.

ნახევარ საათში სულ გამხიარულდა. მერე ოფიციანტსაც მოუხმო.

— კიდევ სამი. ერთიც, აი ამას. — გვერდით მაგიდაზე ანიშნა.

ოფიციანტი მალევე მობრუნდა.

— ინებეთ. — მოკლესახელოიანსაც მიუტრიალდა, რაღაც ჩაილაპარაკა და ბოთლი ზედ ცხვირთან დაუდგა. ჩვენი მეზობელი ბურანიდან გამოერკვა. ჯერ ოფიციანტს ახედა, მერე ჩვენ და სახეზე შვება მოეფინა.

— ჩვენს შვილებს გაუმარჯოს. შენს გიოს, ჩემს გოგოებს, თქვენს...

— ზაზას. — შევაშველე ზურაბს და ერთი გამოცანაც იქვე დავამატე. — თოთხმეტი წლის ბიჭი ჰყავს.

ჯერ იმას შეხედა, მერე მე, კიდევ შეგვათვალიერა და რაღაც უნდოდ გაიღიმა.

— მოიცათ, მოიცათ, ჯერ დრუნჩაო, ეხლა თოთხმეტი წლის ბიჭიო. იცით რა...

— ვკითხოთ დრუნჩას. — ვთქვი და გავხედე. ღვინისა თუ სიცხისაგან იმასაც შეწითლებოდა ღაწვის თავები.

— ეგრეა.

—მოიცათ, მოიცათ. — ჯერ კიდევ ხუმრობა — სიცილით ლაპარაკობდა ზურაბი, მაგრამ გაბრაზებასაც ბევრი აღარაფერი უკლდა. — კარგი, იყოს თოთხმეტისა, მაგრამ... მაპატიეთ... თქვენ თვითონ, ქალბატონო... დრუნჩა...

— ჩემი ძმისშვილია. — თქვა და ერთხანს ჩუმად ვისხედით. — სამი წლიდან ჩემთან არის... მშობლები...

— ჰო... — ზურაბს ენა დაება. — არ ვიცოდი. ეს ცხოვრება მარყუჟია... ეშმაკს წაუღია ყველაფერი... თქვენ... თქვენ არ მეთანხმებით... სხვანაირად ფიქრობთ... ადამიანი რაღაც გგონიათ... ჰი, ჰი, ჰი... ფუ! — გადააფურთხა გვერდზე, ხელისგული ტუჩებზე გაისვა და ბოთლს წაეტანა.

უკვე კარგად შემიღიტინა თავში. ზურაბსაც თანდათან აეშალა საღერღელი. დრუნჩაც დამშვიდდა. შემომხედავს, მომეფერება ღვინოჩამდგარი თვალებით და ისეთი მათრობელაა ეს გამოხედვა, რომ ერუანტელი მივლის.

— რა კარგები ხართ. — ზურაბს ისევ ჭიქა ეჭირა ხელში. — მართლა კარგები ხართ. — უცებ ძალიან დაუნაღვლიანდა თვალები. თვითონაც იგრძნო და ღვინიანი ჭიქა აიფარა სახეზე. — გაგიმარჯოთ. — ნელ-ნელა სვამდა. მერე დადგა და რაღაცნაირად გაღიზიანებულმა განაგრძო:

— ოც ადგილზე მაინც ვმუშაობდი. ზოგან სიბრიყვეს გავექეცი. ზოგან — უსაქმურობას, უფრო ბევრი კი იმიტომ მივატოვე, კუდის ქიცინი რომ არ ვიცი. ავტყდებოდი, ავხირდებოდი და წავიდოდი, მერე დავიღალე, მომბეზრდა ამდენი წანწალი და დავდექი. ხანდახან

ჩემი თავი მეზიზღება. — გაჩუმდა. იჯდა და დანამცეცებულ ყველს აგროვებდა ჩანგლით. — აი, ამას, — ჩვენი მარტოხელა მეზობლისკენ გაიქნია თავი, — ალბათ, ამასაც უნდოდა ცხოვრება. უნდოდა. ეხლა ერთი ბოთლისთვის იატაკს დაჰკრავს თავს... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

მერე მე მომიბრუნდა.

— რაღაც მიჩუმდი, კარგა ხანია, აღარაფერი დაგიწერია. ერთი ხუთჯერ მაინც დაგირეკე. მასალაზეაო, რედაქტორთან არისო...

— განყოფილება მაბარია. კულტურის.

— კარგი სკამი გიშოვია. ყელამდე გექნება საქმე.

რაღაც მწარედ გამეცინა.

— შეს, გეტყობა, ვერა გაქვს საქმე კარგად...

მერე, მეკითხებოდა და მეკითხებოდა. უგემურად ვპასუხობდი, თითო-ოროლა სიტყვით.

— მართლა ვერა გაქვს საქმე კარგად. — თითქო მიყვავებსო, ისე მეუბნება, ბებიაჩემივით — შუბლზე რომ დამადებდა ხელს, სიცხე აქვს ბიჭსო.

ერთხანს ჩუმად ვსხედვართ.

— შენც ამდგარიყავი და დაგეწერა. — იმავ ხმით ამბობს.

— რა დამეწერა! ვიღაც ვირიშვილს დირექტორის მოხსნა უნდა, მეც რუპორი ამეღო ხელში და საქვეყნოდ მეძახა, მოხსენით, მოხსენით-მეთქი?! კინტრაიაა თუ ჩემი ფეხები, რაღაც არ ასიამოვნეს, ავდგე და იმ ალალ კაცს ვეცე? დაგეწერა! რა დამეწერა, მოთხოვნებს ვერ პასუხობს-მეთქი თეატრი?.. მართალია, არ ვარგა ჩვენი თეატრი, შიგ არ შეისვლება და არც დადის ხალხი. მერე რა, გგონია, დირექტორი უშველის საქმეს? უშველის, არა?!

— რა გაყვირებს, არ დავყრუებულვარ ჯერ.

— კარგი, ხმადაბლა გეტყვი. ცუდად არის თეატრის საქმე. ორკესტრის ხალხი ორ-ორ, სამ-სამ ადგილზე მუშაობს. დილით სიმფონიურ ორკესტრში, შუადღისას — სამუსიკო სასწავლებელში, საღამოთი კი, ძილის წინ, თეატრში უკრავენ. მეტს ვერც მოსთხოვ — შემცვლელი არ არის, ისეთი, იქ რომ დაგიღამოს და გაგითენოს. მოსთხოვ და წავა. გუნდიც ეგრეა. რა დამეწერა, დირექტორია დამნაშავე, ტყავი გააძრეთ-მეთქი?

— აბა, ვერაფერი გავიგე.

— კინტრაიამ მშვენივრად იცის ყველაფერი, მაგრამ, ეტყობა, რაღაც გაუხსენა. შეიძლება იმის უნიჭო დისშვილს უთხრეს უარი პრემიერაზე და იმიტომ გაიწია განაწყენებულმა. ერთი განახა მაინც. ლაბორატორიაში შემოღეტებულ ბუღასა ჰგავს, რქაგაქლიბულს... დავიღალე. გარშემო მარტო სიტყვები მესმის, სიტყვები, სიტყვები... სიტყვები აქვთ აფარებული ყველაფერზე. გაფხაკუნდები, რაღაცის თქმა

მოგინდება და ამ სიტყვებითვე დაგაბრჩობენ, უიდეობას მოგაკერებენ... მეც იმათ დავემსგავსე, ისეთივე გავხდი, ვერც კი გავიგე, როგორ. მარტო დარჩენის მეშინია. ფიქრი აღარ მინდა. გავრბივარ, რას არ ვაკეთებ... სად გაიქცევი... ეს საწყალი ლოთი ღვინით იბრუებს თავს. მე ღვინისაც მეშინია. დავიღალე, მომბეზრდა, გული მერევა... ეხლა მორჩა, აღარ შემიძლია... არ დავწერ. არ დავწერ!

— გააბი ახლა, არ დავწერ, არ დავწერ! მა რას იზამ!

— არ ვიცი. ამ დღეებში მთაში ვაპირებ წასვლას. მერე მოვიფიქრებ, რომ ჩამოვალ... ზურაბ, რაღაც მინდოდა მეკითხ:

— **რა გინდა?**

— რამდენი ოჯახი დარჩა შატილში?

— **რამდენიმე. ზუსტად არ ვიცი.**

— **მუცოში?**

— **იქაც ეგრე.**

— **ზურაბ... გზები რომ იკეტება, რას აკეთებენ?**

— **სულელურ კითხვებს ვერ ვიტან. მასწავლებლობა ბავშვობიდანვე შემჯავრდა. რა უნდა გააკეთონ, ეიპიტაურს სვამენ. თუ ასე გაინტერესებდა, წამოსულიყავი მაშინ.**

— **ზურაბ.**

— **ჰო.**

— **გახსოვს, ერთი ამბავი იყო გაზეთებში, მთა დაცარიელდა, სოფლები ნასოფლარებად იქცაო. ჩვენც დავბეჭდეთ ორი წერილი.**

— **რა გინდა, მაგითი თქვა.**

— **ისეთი არაფერი.**

— **ეგ ჩვენი საქმე არ არის. ტყუილად აიტკივებ თავს. რაც უნდა გაიჭაჭო, დრო მაინც თავისას იზამს, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს. — ისევ ყველის ნამცეცებს აწვალებს და თითქოს თავისთავს ელაპარაკება, — ერთ ჭკვიანს უთქვამს, უმიზეზოდ თმა არ ვარდება ძირსო. გაივსება მთა — თავისი მიზეზი ექნება, დაცარიელდება — მაშინაც. ჯერჯერობით ცარიელდება და ჩემი აზრიც ეგ არის.**

* * *

— ორივე... ძალიან კარგები ხართ.

რეპროდუქტორი ისევ ხმაურობს და ამ ხმაურში ისე შეუმჩნევლად ვიძირები, თითქოს არც ეს მოკირწყლული ბილიკი იყოს, არც ნაძვები და არც ხვალინდელი დღე, მთაში ხეტიალსა და კარავში გათენებულ ღამეებს რომ მპირდება. ისე ვიძირები, რომ გვერდით ხმის გამცემიც აღარ მეგულება...

ორი წელიწადივით წაგრძელებულ ექვითა და სიხარულით სავსე ამ ორ თვეში, როგორღაც გვერდზე დამრჩა რედაქციაც და სახლიც.

ცოლი რაღაცას ხვდებოდა. ანდა, რა მიხვედრა უნდოდა — ქალისთვის ეგეთები ორჯერ ორივით არის. სხვა მაფიქრებდა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ იგრძნო კი, რომ ეს უბრალო განზე სიარული არ იყო — ცხარე სცენებსა და აყალმაყალს რომ ველოდი, სულ გაჩუმდა. ფრთხილად, შორიდან თუ მომივლიდა — ბავშვს შენი ნახვა მოენატრაო, მოდიხარ — სძინავს, დილით — მძინარეს გხედავსო. ამნაირ სიჩუმეს ყვირილი და ხელების ქნევა ბევრად მერჩივნა და ექვსი წლის მანძილზე ახლაღა დავიჯერე — ორთა ურთიერთობაში ქალის ჭკუა უფრო შორსა და უფრო კარგადაც იყურებოდა. ტვირთგამობმულ ტივტივასავით ვქანაობდი ერთ ადგილზე — ექვსი წელიწადი მართლა არ არის ხუმრობა, მართლა მაწვალებდა სინდისი. ეს იყო და ეს. რაღაცნაირად გავშრი, გავირინდე, დროს მივენდე. იმასაც ვგრძნობდი, შიშისა იყო ეს უმოძრაობა — ერთ ხმამაღალ სიტყვას შეიძლება თავდაყირა დაეყენებინა ყველაფერი. ბავშვობიდანვე მაფრთხობდა მოქმედება.

ერთი ბიჭი გვყავდა ეზოში. ეგეთები ყველა ეზოშია — არ გვიყვარდა. ერთი-ორჯერ წავეკინკლავეთ. უფროსებმა დაგვტუქსეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. სიზმარში, კარგად ვიცი, სათითაოდ ყველას ნაცემი ჰყავდა. ეზოში კი, ერთად რომ ვგროვდებოდით, არაფერი. მეც ბევრჯერ დამესიზმრა: თავპირს ვუჩეჩქვავდი, იქამდე, ვიდრე სისხლში მოსვრილი ფორთხვით არ გაეცლებოდა იქაურობას. მეორე დღეს კი ჩემივე სიზმრისა მრცხვენოდა.

ამ სამი ათეული წელიწადიდან ვერაფერს გავიხსენებ, ერთი უბრალო „ჰოთი“ ან „არათი“ რომ მომეჭრა. ფიქრით ვფიქრობდი, ბევრსაც, მაგრამ იქით კი აღარ მივდიოდი — ყველაფერზე ფიქრი ცოტასაც ნიშნავს და ზედმეტიც არის, მოქმედებას ალბათ აზროვნების სწორხაზოვნება სჭირდება.

ზუსტად ასე წავუყრუე სამსახურის ამბებსაც. ვითომ არც ყოფილიყოს ის კრება, ვითომ არც არაფერი მეთქვას. ჩემთვის ვიყავი და თითქო მქრქალი მინებით გატიხრული ოთახიდან ვადევნებდი თვალს სარედაქციო ფუსფუსს — ჩემი საფიქრალიც მყოფნიდა. სამაგიეროდ, ვერც ისინი მამჩნევდნენ. ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა, გაზეთი იბეჭდებოდა, ოპერის თეატრიც დაბრუნდა გასტროლებიდან. პირი თუ შეკრა ყველამ — კაციშვილს აღარ უხსენებია ის რეცენზია.

მერე ხშირად მახსენდებოდა ხოლმე ეს უცნაური დუმილი და მიკვირდა: არაფერს შევუშფოთებივარ, არც სურვილი გამჩენია, მიზეზი მეძებნა.

— რაზე ფიქრობ?

— არაფერზე. ხვალ თუ ავტობუსს ვერ მიეუსწარი, ბარისაბოში მომიწევს ღამისთევა.

გარშემო ნაძვებია, წინ — დაჩრდილული, ნესტიანი ბილიკი. რეპროდუქტორიც გაჩუმებულა.

„ცხოვრება აღმართია, პირდაპირ ვერ აირბენ, სვენებ-სვენებით და ცოტა გან-განზეც უნდა იარო" — აქაც ძურწასავით ამკვრია რედაქტორის მამაშვილური სიტყვა.

ორნი ვსხედვართ ვეებერთელა კაბინეტში.

— არც კი ვიცი, როგორ, ან რა გითხრა, — შეწუხებული მეუბნება, მაგრამ თვალს მაინც მარიდებს. — ბავშვივით იქცევი. დღეს-ხვალ პენსიაზე მიდის ჩემი მოადგილე. შენზე უკეთესი კანდიდატურა არ მეგულება. შეთანხმებულიც მქონდა. ეხლა... კინტრაიამ უკვე ორჯერ შემახსენა, ისე, სხვათა შორის. შენ ხომ იფუჭებ და იფუჭებ საქმეს, მეც ბაწარს მაბამ ყელზე. მაინც მოვიცადე, იქნებ გამოფხიზლდეს-მეთქი. ყვავლაფერი ხდება. ახალგაზრდობაში მეც მქონია ხუშტურები. ახლა შატილი აიჩემე. ამდენს საკუთარ შვილს არ მოვუთმენდი. კეთილი, წადი, ამაზეც თანახმა ვარ, მაგრამ, ხომ იცი, ჯერ თავო და თავოო... ჯანდაბას, ერთ-ორ კვირასაც დავიცდი... ვერ გამიგია, რა დაგემართა. იქნებ რამე გიჭირს, მითხარი, დაგეხმარები.

მეცინება. გამლღვალი პირისახე ერთბაშად მკაცრი და შეუვალი უხდება.

— ეხლა თავისუფალი ხარ. მივლინება გააფორმე, ჩამოხვალ და მერე გავაგრძელოთ.

კარისკენ რომ წავედი, მოიცაო, შემაჩერა.

— მაშ, შატილი, არა? — თქვა და ჩაფიქრდა. მერე კიდევ ერთხელ შემახსენა, რომ რომანტიკაა შატილი, რომ, თუ არ დამეზარება, მშვენიერი მასალა შემიძლია ჩამოვიტანო. დილითვე მოფიქრებული სათქმელი ნელ-ნელა, გამოზოგვით ამოჰქონდა.

— ასე აჯობებს, — დაამატა ბოლოს. — გულსაც გადააყოლებ და საქმესაც გააკეთებ.

უსასყიდლოდ მაინც ვერ შეელია ხელგაშლილად შემოთავაზებულ ორ-სამ დღეს.

გარინდებული, ბინდს ჩახვეულები დგანან ნაძვები. მერე ფიქრი იმ ნაძვებს იქითაც მიდის და მოულოდნელად გამოცხადებული სურათი გორგალივით მადგება ყელზე.

ოთახში სინათლე ანთია. ღამის სიჩუმე საათის ხმაურიან წიკწიკს გაუვსია. ორივეს სძინავს. ლიას გადაშლილი დარჩენია წიგნი. ფურცლები აშლილა, ცალი ყდა ლოგინიდან გადმოკიდებულა. გვერდით, რიკულებიან საწოლში ცისფერ საბანში შემალული ციცქნა სხეულია. საბნის ქვეშიდან გამოყოფილი შიშველი ფეხი ღამის სიგრილეს ის-

რუტავს. ჩემს ცოლს ოდნავ უთრთის ქუთუთოები. მეჩვენება, რომ საცაა თავს წაართმევს ძილს და პირველი, რაც თვალში მოხვდება, გიოს შიშველი ფეხი იქნება.

მოულოდნელად გამოცხადებულ სურათს თვალს ვარიდებ, ვცდილობ მოვიცილო და იმასღა ვახერხებ, რომ ახლა გუშინწინდელ საღამოს ვუბრუნდები ფიქრებით.

თორმეტი იქნებოდა, შინ რომ მივედი. სამზარეულოს მოღებული კარიდან სინათლე გამოდიოდა.

საფერფლე სიგარეტის ნამწვავებით არის სავსე, მაგიდაზე თითქმის დაცლილი „ახაშენი" დგას.

ზის და აბოლებს. ტუჩის ნაპირებში ღვინო პატარა ულვაშებად დამჩნევია. ნაძალადევი გულგრილობა, გამომწვევად აპრეხილი ცხვირი, ოდნავ ამღვრეული თვალები. ისეთი გულუბრყვილო და მომხიბლავია ეს სურათი, რომ ორი თვის ჩუმი ბრძოლით გაძაგრული სიკერპე უცბად მილღვება.

— დაგრჩა კიდევ?

წამით გამომხედავს, თითქოს მამოწმებს, დაცინვა ხომ არ იმალება ამ სიტყვებს იქით, მერე უხმოდ დგება და კარადიდან მეორე ბოთლს იღებს.

— დიდი ხანია „ახაშენზე" გადახვედი?

— მომიტანეს.

ვინ მოიტანა, რატომ, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არ არის. უსუსურ, ბავშვურ სიჯიუტეს ანგარიშიანობის ნიშანიც არ ეტყობა და ნელ-ნელა, თავისთავად, სადღაც ძალიან შორიდან ბრუნდება ექვსი წლის წინანდელი სითბო, სინდისის ხმას შერეული სინაზე და სიახლოვე, ასე რომ მაშინებს გულახდილობითა და ათასი სიმართლით. მერე რიგრიგობით ვიხსენებთ: გაცნობას, პირველ პაემანს, ქუჩებში ხეტიალს, წაკინკლავებას, სულელურ და სასაცილო ამბებს, გულისტკენასა და ცრემლებსაც კი.

ერთს ახლაც ვმალავ: იმ დღეს ხელი უნდა მოგვეწერა. დილიდან კეტდარტყმული ქათამივით დავბორიალობდი ოთახებში. მერე დავჯექი და კარგა ხანს ვიფიქრე. დინჯად, გულდაგულ ვუკირკიტებდი თავს. ასეც გავზომე, ისეც და უცბად მივხვდი, რომ სულ ტყუილუბრალოდ ვყოფდი კისერს უღელში. ამის გაფიქრება და წამოხტომა ერთი იყო. უნდა გავიქცე! ჩემოდანში ჩავყარე ყველაფერი, რისი წაღებაც აუცილებლად მეჩვენა და დროებით საწოლს ქვეშ შევმალე. გავმხიარულდი, ტვინში სინათლე ჩამეღვარა — თავისუფალი ვიყავი, ყველასა და ყველაფრისაგან თავისუფალი. ლაჩრულ გაქცევას ჰგავდა ჩემი საქციელი, მაგრამ გამბედაობაც რომ იყო საჭირო, მშვენივრად ეხვდებოდი და უფრო გავმხნევდი.

ბედმა პირველი სერიოზული გამოცდა შემომთავაზა და ირონიულად მომაჩერდა. სამარცხვინოდ ჩავფლავდი.

შუადღისას სკოლის მეგობარი მოვიდა. ასე უცბად რა იყოო, მერე, რომელ საათზე აწერთ ხელსო და წავიდა. ისევ დავიწყე ფიქრი. წარმოვიდგინე, როგორ შეიკრიბებოდნენ ქორწინების სახლთან ჩემი სკოლის მეგობარი, ნათესავები, ნაცნობები, და საქორწინო კაბაში გამოწყობილი მომავალი მეუღლე...

მე ყველაფერი ვიცი.

სუნთქვა შემეკრა. ალბათ მატყობს კიდეც, რადგან მაშინვე ტეხს:

— ყველაფერს ვხვდები. შენი საქციელით, დუმილით. ასეთი არ-ასდროს ყოფილხარ. ჯერ ვიფიქრე, გადაუვლის-მეთქი და ვიცდიდი. ახლა აზრი აღარა აქვს, ტყუილად ვაწვალებთ ერთმანეთს. შენ უკვე აღარ მოიბრუნებ გულს, არც მე ვარ ის ქალი, ოღონდ ქმრიანის სახელი მერქვას და ყველაფერი მოვითმინო. თქვი, შენც დაწყნარდები და მეც, ბავშვისთვისაც აჯობებს.

ველოდი ამ საუბარს. ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ ეს წუთები დადგებოდა. ახლა ორიოდ უბრალო სიტყვაა საჭირო, სულ ერთი ბეწო გამბედაობა. ბოლოს და ბოლოს, ზუსტად ასეთი სცენა, ყველაფერს რომ თავის ადგილს მოუძებნიდა, ყველა კითხვის ნიშანს რომ გადაშლიდა, ოცდაათჯერ მაინც მქონდა წარმოდგენილი. ველოდი, მაგრამ საოცარია, ერთადერთი მარტივი წინადადების ნაცვლად ყელიდან მშრალი, არაფრისმთქმელი სიცილი მოშრიალებს, მერე თვალს ვარიდებ ცოლის ნაღვლიან მზერას, უსაგნო იმედს, სასოწარკვეთასა და აუტანელ გაურკვევლობას რომ აუვსია.

* * *

— დრუნჩა...

— ჰო.

— მითხარი რამე...

— რა გინდა. — სიცილით მეუბნება, მერე თითქოს რაღაცას ხვდებაო, შეშფოთებული მიყურებს. — რაზე ფიქრობ?

— არაფერზე. რა სიჩუმეა.

უცებ საშინელი სევდა მომაწვა. სადღაც შორიდან, ძალიან შორიდან დავყურებ ნაძვების ჩრდილს შეფარებულ ამ ორ უსუსურ არსებას. დავყურებ დაჟინებით. უცხო, გულგრილი თვალებით და უაზრობის და უსასოობის მეტს ვერაფერს ვხედავ. ოცდაათი წელიწადი... კიდევ ოცდაათი... ერთს დაახამხამებს თვალს უსაშველო დრო და... სულ

ეს არის. გულისკოვზთან ჭიასავით იწლაწნება შიში, თან იბერება, იბერება...

— რა დაგემართა?

ტირილი მაინც შემეძლოს. რა იქნება, რომ გავბედო და ავტირდე? ახლა ველური, რაღაც საზიზღარი სიცილიც მოიხორხლება ყელში. ხა! ხა! ხა! ან ცოლი რად მინდა, ან შვილი, ან გაზეთში ჩხაპნა... ან რას ვაკეთებ, სად მივდივარ, რა დამრჩენია შატილში... მოუთმენელი ტკივილივით მივლის ერთი, ერთადერთი სურვილი: როგორმე მოვიშორო, მოვიგლიჯო ოცდახუთი წელიწადი და ბებიას კალთას შევაფარო თავი.

პატარა ხელი მომკვრია სახეზე.

— დრუნჩა...

— ჰო.

— დრუნჩა...

რაღაც მინდა ვუთხრა, გავანდო. რაღაცის მოცილება მინდა, მაჯლაჯუნასავით დამწოლია რაღაც უსაშველო ტვირთი, ვერც ხელი გამინძრევია, ვერც ვერაფერი მითქვამს. გალექებული სულიც მინდობია ამ გულისამრევ უსასოობას და თანაგრძნობის მოლოდინში სასოწარკვეთილი ვიმეორებ:

„დრუნჩა!“

სახეზე ისევ ვგრძნობ პატარა თითებს. მერე ამ თითებში მიეონავს ჩემი უსიტყვო თხოვნა და თანდათან ისიც ივსება სევდითა და შიშით.

— მეშინია.

— რისი? — ვეკითხები და უპასუხოდაც ვიცი — იმ ერთადერთი სიმართლის სათქმელად, გულდაგულ რომ ვუმალავთ ერთმანეთს, გამბედაობა არ გვეყოფა.

— არ ვიცი, მეშინია.

— ნუ ფიქრობ, ნურაფერს ნუ ფიქრობ.

— ათი წლისა რომ გავხდი, აკვარიუმი მიყიდა მამამ. მერე ოქროსფერი ლამაზი თევზებიც. — ერთხანს ჩუმდება, მერე თვალებს მარიდებს და ნაძვებით დაჩრდილული ბილიკისკენ იცქირება. — ძალიან ლამაზები იყვნენ. საათობით ვიჯექი და ვუცქერდი. დაცურავდნენ, დაცურავდნენ. მერე ერთს გაიქნევდნენ ფარფლებს, ამოიწეოდნენ, ამოხტებოდნენ წყლიდან, ოქროსფრად გაილივლივებდნენ ჰაერში და წყალშივე ჩაბრუნდებოდნენ. ერთხელ ბებიასთან წავედით ორი დღით. თევზები-მეთქი? მამას ვუთხარი. საჭმელი ჩაუყარე. არაფერი უჭირთო. შინ რომ დავბრუნდით, ორი, ყველაზე ლამაზები რომ იყვნენ და ყველაზე მაღლა რომ ხტებოდნენ, იატაკზე ეგდო.

რა სიჩუმეა. რეპროდუქტორი მაინც ჩართონ.

თანაგრძნობა. როგორი გულმავიწყი ვარ — ოცდახუთი წელიწადია

ყველი გაუვიდა ამ თამასუქებს, მე კი მაინც ვითხოვ ჯიუტი, ჭირვეული ბავშვივით.

— თვალები ღია ჰქონდათ?

გაკვირვებული მიყურებს. ახლა ისევ მომარიდებს მზერას და ჩუმად იტყვის — ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, ისევ ჩვენი ნებითო...

გამხდარ მხრებს ხელებში ვიქცევ, მერე ვუჭერ თითებს, ისე ვუჭერ, რომ თვალები ცრემლით ევსება. ეს უხმო ტკივილი მამშვიდებს და ისევ მიმჩვარდება ყველაფერი.

რა საცოდავად შემომცქერის. როგორ ცდილობს ჩემს თვალებში მაინც წაიკითხოს თუნდაც სულ მცირე იმედი. როგორ მელოდება — თმას ავუჩეჩავ და სიცილით ვეტყვი: „ეს ყველაფერი სისულელეა". ლამის ამომცდეს კიდეც აქა-იქ მოფხეკილი ორიოდ სიტყვა, უსაშველოდ გაბერილ-გამშრალი ენაც იქნებ როგორმე მომიტრიალდეს. მე კი ფიქრიც აღარ მინდა. ან როგორ ვუთხრა — წყლიდან ამოგდებული თევზივითა ვარ.

მართლა სისულელეა ამაზე ფიქრი და ლაპარაკი. ყველაფერი მაინც თავისი გზით წავა. რაღა საჭიროა უაზრო ნაბიჯი.

ასე ვაკოკოლავებ ჩემი ფილოსოფიის კოშკს და თითქოს ვმშვიდდები: ისიც იქამდე, ვიდრე სიტყვა „უაზრო" ზეთიან ლაქასავით არ ეცხება პატივმოყვარეობის ქათქათა პერანგს!

რაღაც უნდა მოვიფიქრო, რაღაც უნდა ვთქვა, სულმოუთქმელად გადავრბივარ წიგნებიდან ნაცნობებზე, ბოლოდროინდელი ჭორებიდან მხატვრებზე, ძაღლების გამოფენიდან სპექტაკლებზე. გულთამხილავივით თვითონვე მოდის საშველად.

— ნეტა რა ქნეს ჩვენმა ბიჭებმა?

მაინც რა საოცრად არის მოწყობილი ქალის ჭკუა. ერთთავად სულში გიჭვრიტინებს — ყველაფერი იცის. მოინდომებს — მალამოღ წაგეცხება, მოინდომებს — უარესად შეგიკეთებს.

— მოიგეს, ალბათ, შენ რა, კიდევ ხომ არ გინდა ფეხბურთზე წასვლა?

— თუ წამიყვან...

შეიძლება მართლა წავიყვანო. იმ დღეს ვერ მოიგეს ჩვენებმა და გულგასიებული რომ არ წამოვედი სტადიონიდან, ამ პატარა ქალბატონს უნდა ვუმადლოდე. ხან აკანკალებულ მუხლზე დამადებდა ხელს. ხან სიგარეტს მომიკიდებდა, ხანაც ისეთ სისულელეს წამჩურჩულებდა, შეშფოთებული ვიყურებოდი აქეთ-იქით. იმის მაგივრად, უარესად ავღრენილიყავი, ბოლმა გამინახევრდა. ცოტა შემრცხვა კიდეც — ამოდენა გულშემატკივრებში გულშემატკივარი მარტო მე მყავდა.

შესვენებაზე ვაშლები ამოიღო ჩანთიდან.

დიდი ქალაქის სასტუმრო გამახსენდა — „თუ გინდა, დაიძინეო“.

— დრუნჩა, — სითბო მიგუბდება ხმაში. — წამოგეყვანა ზაზაც.

— არა, ჯერ არა. გუშინ ვუთხარი შენზე. ძლივს გავბედე. შინ რომ მაცილებ, მაინც გხედავს და ჯობს თვითონვე ვუთხრა-მეთქი. ვერც შევამჩნიე, როგორ გაიზარდა. წინა კვირას ვიღაც გოგოს სურათი ვუჩვენე რვეულში. თითქო გუშინ იყო, რომ ვაბანავებდი...

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

— არ ვიცი. შემოდგომაზე თხუთმეტის ხდება. ასეთ ასაკში...

— პირობას გაძლევ, მოვეწონები, — ორივეს გვეცინება. — ჭადრაკს თამაშობს?

— თამაშობს, ჩემს ქმარს სულ უგებდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვერ იტანდა. შენზე რომ ვეუბნებოდი, თვალი არ მომიცილებია. ისეთი ვერაფერი შევატყვე. შეიძლება მალავს კიდეც. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ვუთხარი, ჟურნალისტია-მეთქი. დაინტერესდა. რაზე წერსო. იქნებ თავსაც ვიიმედებ, მაგრამ მეც მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება. დღეს მეკითხება, ვისთან ერთად მიდიხარ ფეხბურთზეო. მომეჩვენა, რომ დაწყნარდა. მერე ბიჭებთან ჩავიდა ეზოში. ჩემი საცოდავი ძმის ასლია. ისეთი კეთილია, შეგეცოდება. ერთ-ერთი მაინც გადარჩენოდა... რაც ჭკუაში ვარდება, უფრო განიცდის. პირველად შარშანწინ იყო. ჟურჟელს ვრეცხავდი, ის ტელევიზორს უცქერდა. საბავშვო კონცერტს გაღმოსცემდნენ. ბოლოს ისიც იმღერეს — „დე, მუდამ იყოს მზე...“

სამზარეულოში მესმოდა წკრიალა ხმები. უცებ რაღაც ბრახუნი გავიგონე. მერე გვერდით ჩამირბინა, თვალები ამღვრეული ჰქონდა. ზაზა, ზაზა-მეთქი! ყურადღება არ მომაქცია. ოთახში შევედი. პირდაღმა იწვა საწოლზე და ტიროდა. დედაჩემი და მამაჩემი ზედ არიან ვადაყოლილი. პურზე და რძეზე არ გზავნიან. ის კი უფრო ღიზიანდება, ეჩვენება, რომ ეცოდებათ და იმიტომ ევლებიან თავს. იმათი გაკეთებული კერძი არ მოსწონს, სუფრას გაუშლის დედაჩემი და, მე თვითონ მოვახერხებო. ისინიც ბავშვებივით არიან, აჰყვებიან ამაზე და წაკინკლავდებიან. დედას გული ამოუჯდება, თავის ოთახში გავა და ტირის. მერე, იცოცხლე, შეფუცხუნდება, წყალს მოუტანს თვითონვე ასმევს წამალს, ეფერება. მთელი საღამო ნირწამხდარი დაბორიალობს ოთახებში, თვალს ვერ გვისწორებს. რა ვქნა, არ ვიცი, თუ შინა ვარ, ანგელოზია. სათამაშოდ ძალით ვაგდებ ხოლმე. გაკვეთილებსაც ისწავლის წიგნსაც წაიკითხავს, მერე ჩამომიჯდება და ვსაუბრობთ. თორმეტი წელიწადი ცოტა არ არის. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა, დღე და ღამ საწოლთან ვუჯექი, ცალ ხელში თერმომეტრი მეჭირა, მეორეთი ვაჭმევდი, ვაცმევდი. ერთი ეგ არის, დედას არ მეძახის...

* * *

— წავიდეთ.

ნესტიანი ბილიკები სულ ჩამუქებულა. საცაა ფარნებიც აინთება. უსამართლოდ დასჯილი ძაღლივით მომდევს. ბრიყვული სიამაყე მიგუბდება მკერდში — რა ცოტა უნდა კაცს...

ასე მართლა არ შეიძლება გაგრძელდეს, რაღაცის გაკეთებაა საჭირო. დღეს... ხვალ... არა, შატილიდან დავბრუნდები და მერე... ეს „მერე" ერთი კვირის მერეა, მანამდე... ახლა აღარ ვიფიქრებ, შემიძლია აღარ ვიფიქრო.. მერე, მერე...

— როგორ გრილა აქ. — ვამბობ და ვცდილობ არ შევხედო. საყვედური მაშინებს.

ფუნიკულიორის ქვემო სადგურს ტურისტებით სავსე ავტობუსები მოსდგომია.

— გავიქცეთ.

ხელჩაკიდებული მივარბენინებ ნაცნობ დაღმართზე. „კარგი, გაჩერდი, აღარ შემიძლია!" მოულოდნელად ვჩერდები და, სანამ სულს მოითქვამს, სანამ ჯერ კიდევ იცინის, იმ გაცინებულ ტუჩებსა და თვალებში ვკოცნი. „კარგი, გეყოფა, ნუ დამახრჩე!"

ისევ გავრბივართ. ბზრიალ-ბზრიალით მოაქვს პატარა ხელჩანთა, ქარივით გასწეწია თმა. „გაჩერდი, გეყოფა, გაჩერდი, რაღაც უნდა გითხრა!"

— დრუნჩა...

ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს. უცბად მოკრიალდა ყველაფერი — აღარც ეჭვები იყო, აღარც უსარგებლო შინაგანი ბრძოლა და ყველაფერი, ყველაფერი, რაც აქამდე თელგამივით გვწამლავდა ორთავეს, სისულელედ მომეჩვენა.

შინ მივაცილე... მერე მეხუთე სართულის ფანჯარაში სინათლე აინთო, ქალის ლანდიც გამოჩნდა. იმ სინათლესა და იმ ლანდს ჩუმი იმედით ვუცინი და მეჩვენება, რომ ჩამოშლილ თმასაც ვხედავ, დალაქავებულ ტუჩებსაც და თვალებს სულ უბრალო, ადამიანურ სიხარულს რომ მპირდება.

* * *

თხუთმეტი წუთიც და თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვება. „არ მოსწიოთ!" „შეიკარით ღვედები!" — ციმციმებს მფრინავის კაბინაზე დანთებული წარწერა.

თხუთმეტი წუთიც და ვადა გაუვა ორსაათიან თავისუფლებას. კრიალა სალონში შეგროვებული ადამიანები თხუთმეტი წუთის შემ-

დეგ გაიფანტებიან. ვერაფერს შეაჩერებ, ვერაფერს ჩასჭიდებ ხელს — ყველაფერი ნათხოვარია, იმის შეგრძნებაც კი, საზურგეზე უდარდელად მიწოლილი ღრუბლებს ზევით რომ დანავარდობ.

ორმაგი ფანჯრები. იქით... ნელა მოიწევს ზევით რძისფერი ღრუბლების თეთრი ზეწარი.

ილუმინატორის მრგვალ ჩარჩოში საცაა დაიკარგება ორი საათით ნათხოვარი უღრუბლო ცა.

„შეიკარით ღვედები!“

აქაც, მანქანაშიც, ყველგან, ყოველთვის — შენივე ნებით, რაღგან წესია.

გველივით შემოგჭდობია გულმუცელზე, გიჭერს, გთანგავს, დაძირულივით ცდილობ მოტივტივებას. გველი კი გეხვევა, ლამის დაიყვირო, გეხვევა და ვეღარც წაუხვალ ვერსად.

ორმაგი ფანჯრები რძისფრად ინისლება. თითქო სიბნელეში მიცურავ, ხელის ცეცებით, შიშით და, ისიც არ იცი, რა გელოდება თუნდაც კიდევ ერთი ნაბიჯის შემდეგ.

* * *

მაღაზიაში სიგარეტი ვიყიდე და ქუჩაში გამოვედი. სანამ თითები ლურჯ კოლოფს ფცქვნიან. მოპირდაპირე მხარეს რკინაბეტონისა და შუშისგან ნაკეთებ ხუთსართულიან შენობას — საბეჭდი მანქანებით, ქაღალდებით, ახალი ამბებითა და საგაზეთო მაკეტებით სავსე მართკუთხა კოლოფს ვათვალიერებ. თითქოს ყურისძირთან მესმის ფაციფუცსა და საღებავის სუნს დანატრებული ჭიის ფხაჭუნი, ჭირვეული ბავშვივით რომ მეწევა ფერადი სათამაშოებით სავსე ვიტრინისაკენ.

რკინის მოაჯირი, თხუთმეტი მეტრი ასფალტი, ისევ მოაჯირი და მთლიანი შუშის ორფრთიანი კარი.

სიგარეტს ვუკიდებ, მარჯვენა ხელს ცივ მოაჯირს ვუჭერ და...

რატომღაც გადავიფიქრე. არ გადავხტი. ადრე ყოველთვის ვხტებოდი. ნეონით განათებული მიწისქვეშა გასასვლელი ვარჩიე. „ეს სიბერის ნიშანია, ტყუილად დაანებე ვარჯიშს თავი. ჯერ გასასვლელებსა და ლიფტებს შეეჩვევი, მერე — ოდნავ შეთქვეფილ მუცელს. ნელ-ნელა შეეჩვევი და უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ...“ მივყვები კირით შეთხიპნილ ტალანს და ახლა სულ სხვა ხმა მეუბნება: „მშვენივრად გამოიყურები, ხუთი დღე მთაში იხეტიალე, ტყუილად იკატუნებ თავს“.

ხმა უდაბნოს ქვიშაში იკარგება, ჩემი ნაბიჯი კი ნეონით გათხიპნილ ტალანში ხმაურობს.

რაღაც უსიამო მენიშნება უადგილოდ აკვიატებულ ფიქრში და თავიდან რომ მოვიცილო, თითქმის სირბილით ავდივარ კიბეზე.

რედაქციაში „მართვეს“ მეტი არავინ არის.

— როგორ მოიარე შატილი?

— კარგად. ასე ადრე რამ მოგიყვანა?

მაგიდაზე გაშლილ ფურცლებს მიჩვენებს და ისე იღიმება, მარტო ოცდაორი წლისანი რომ იღიმებიან.

— დღეს უნდა ჩავაბარო.

— ვახტანგი მორჩა თხზულებას?

თვე-ნახევრის წინ პენსიონერ მასწავლებელზე ჩანახატის დაწერა ვთხოვე. სამშაბათს ბოლო ვადა აიღო — ჩამოხვალ და დაგახვედრებო. დღეს ორშაბათია.

— თითქმის, — მეუბნება და ცდილობს არ შემხედოს.

„თითქმის“. ხელიც არ გაუნძრევია. იქნებ არც არასდროს დაადგეს საშველი.

„ერთი ქომაგიც გამოუჩნდა“, ვფიქრობ და უჯრებს ჩავყურებ, ვითომ არც გამეგონოს არაფერი. თვითონაც არ ვიცი, რას ვეძებ.

დერეფანში ფეხის ხმა ისმის. ვიღაც მოვიდა. მერე კიდევ. ახლა ტელეფონიც წკრიალებს. „გისმენთ“. „ჩამოხვედი?“ „უფლის ჩიტის“ ლიკლიკი თითქო ქალაქის მეორე ბოლოდან ისმის. „ჩამოვედი. ახლავე გინახულებ“. „რედაქტორი ჯერ არ მოსულა, ნუ შეიწუხებ თავს“. ყურმილს ვკიდებ და კარისკენ მივდივარ.

— თუ რედაქტორმა მიკითხა, თეატრში ვარ. იმ შენმა კოლეგამ კი თავს მიხედოს, ასორმოცდაათი მანეთი ქუჩაში არ ყრია-თქო.

ეს ორი თვეა რედაქტორი ცერად გვიყურებს, იმ კრების შემდეგ. უფლის უგუნებობას პირველი, უეჭველია, ვახტანგ სალუქვაძე შეეწირება.

გამგედ რომ დამნიშნეს, სამნი ვიყავით განყოფილებაში. მერე ერთი ბროლიძემ ჩაიგდო ხელში („საქმე ბევრია, ვერ ვუთავდები“) და ორნიღა დავრჩით. ვახტანგს მაშინ რედაქციაში მუშაობის თხუთმეტი წელი უსრულდებოდა. როგორღაც თავისთვის იყო. გვიან მოდიოდა, ადრე მიდიოდა და თუ რამეს წერდა, იმდენად უმნიშვნელოს, რომ იფიქრებდი — უფროსი კორესპონდენტობაც ბევრია ამ კაცისთვისო.

— ცაში ფრენას არ ვაპირებ. ცოლ-შვილის შესანახად ის რაღაც კაპიკები, ჰონორარით რომ ვახერხებ, ასე თუ ისე, მყოფნის. არც საკარძელი მინდა, არც სახელი, იდეებიც კარგა ხანია აღარ მაწუხებს. თუ შემინახა ახალმა რედაქტორმა ხომ კარგი, არადა, მოვძებნი რამეს, შიმშილით არ მოვკვდები.

ცხვარში დაბერებული ქოფაკივით — ესა ვარ, რაცა ვარ. მომითმენთ, მომითმენთ, არადა, თავს ზემოთ ძალა აღარ არისო.

მოვიდოდა, ასკილოგრამიან სხეულს ხვნეშით დადებდა სკამზე, იღლიაში ამოჩრილ გაზეთებს დასტად წინ დაიწყობდა, ჭრაჭუნა ქალალდებს მოძებნიდა ჯიბეში, ორ-სამ აბს გამოაცლიდა და პირში ჩაიყრიდა. მერე გავიდოდა, იტრიალებდა რედაქციაში, რაღაცასაც წაფხაჭნიდა, საათს დახედავდა, ისევ ამოიჩრიდა გაზეთებს, გოგოს ფეხსაცმელი უნდა ვუყიდო, ბიჭი ცურვაზე მყავს წასაყვანიო, დაიხურავდა ქუდს და წავიდოდა.

სარედაქციო საქმეზე მკვდარი იყო. მიზეზს მიზეზზე გააჩენდა, თითქოს დაგპირდებოდა კიდეც, მოიხედავდი და სადღაა ვახტანგ სალუქვაძე! სხვაში, იცოცხლე, გადაგყვებოდა, ყველგან ჰყავდა ნაცნობი, ქალაქის ყველა ხვრელი იცოდა, უშოვნელს გიშოვიდა.

თვე სრულდებოდა რაც ერთად ვმუშაობდით. თერთმეტზე მოვიდა. ექიმთან ვიყავიო. ქაღალდების დასტიდან ჩვენი გაზეთის კვირის ნომერი გამოაძრო. ფანჯრის რაფაზე დასკუპებულ ჩიტებს ვუყურებდი და ვფიქრობდი.

— ჰა! — ერთი კი დაიყვირა, წამოხტა და გაზეთიანად გავარდა დერეფანში. რომ მობრუნდა, თონეში შებრაწული გოჭივით ჰქონდა სახე. ტუჩები უთრთოდა.

— ნახე! ნახე! არ იშლის თავისას, ვირიშვილი! — თანდათან უწითლდებოდა სახე. — დაბალი ღობე მნახა! სახედარია ვახტანგ სალუქვაძე, არა?! — გაზეთი დაჭმუჭნა და კალათაში ისროლა.

გაოცებული შევცქეროდი, ვერაფერი გამეგო.

ილანძღა, იფურთხა, იტრიალა. ისევ ეცა კალათს, გაზეთი ამოიღო, გაშალა და ჩაწითლებული თვალებით დახედა, თითქო გახვრეტას უპირებსო.

— ძაღლიშვილი!

მერე როგორც იქნა, მოითქვა სული, დაჯდა და ახლა მე მომაცქერდა.

— რა მოხდა?

— უჰ! — ბანჯგვლიანი ხელები მაგიდას მოავლო, ცოტაც და, ააბრუნებდა.

— გამაგებინე, რა მოხდა.

— მაგას ჰგონია!.. უნიჭო ვირიშვილი!..

შაბათ საღამოს ტელეტაიპით ჩვენი განყოფილების მასალა მოსულიყო. მე არ ვიყავი, თვითონაც თვითმფრინავის ბილეთისთვის საშოვნელად იყო წასული — რედაქტორის მოადგილე ბალტიისპირეთში აპი-

რებდა შვებულების გატარებას. უპატრონო მასალა ბროლიძეს ეთარგმნა.

— რა გაჩხუბებს, ვიღაცას ხომ უნდა გაეკეთებინა.

ისევ წამოუარა სიწითლემ. მერე, რაღაცნაირი ბოღმითა და სიამით, უხსენებელს რომ გასრეს, ისე ამოუყლიტა.

— მაგას?.. ვიღაცას, ჰო, მაგრამ... მაგას?.. მაგას არა... ერთი სტრიქონიც... ხელი მოითბო... ჩვენს მასალაზე. არ შევარჩენ!.. უ, მაგის...

ფული არ ალაპარაკებდა. ორი მანეთისთვის კაცს ეგრე არ გამოლანძღავ. სხვა რაღაც იყო ძველი.

აღარაფერი მიკითხავს.

მეორე დღეს ათიოდე წლის წინანდელ გაზეთების შეკვრას ვათვალიერებდი. რამდენიმე მოზრდილი სტატია შემხვდა სალუქვაძის ხელმოწერით. მომეწონა. ფრაზა დახვეწილი იყო, აზრი — სადა, ორიგინალურიც კი.

სალუქვაძის სტატიები და რეცენზიები შემდეგი წლის შეკვრაშიც იყო. მერე კი უცბათ წყდებოდა.

ორი თვე გავიდა. იმ დღეს პრემიებს არიგებდნენ. ამრეზილი შემოვიდა ოთახში, რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. ყურადღება არ მიმიქცევია — რაიონიდან გამოგზავნილ წერილს ვასწორებდი. რომ მოვრჩი — თხუთმეტ წუთს მაინც მოვუნდი — ისევ წინ და უკან დადიოდა და ბუტბუტებდა. ყურის ბიბილოები გვარიანად ჰქონდა შეწითლებული.

— რაღაც ვერა ხარ გუნებაზე.

— პრემიებს გადახედე. — მოკლედ მოჭრა. მაშინვე სახეზე მოეღო ალმური.

გადახედვა არ იყო საჭირო, დილითვე გადავავლე თვალი.

— ეს ჩვენი ახალი რედაქტორიც კაი ვინმეა. მაგის ადგილზე... — აღარ დაამთავრა.

— ვახტანგ, შენი რვა წლის წინანდელი სტატიები წაიკითხე.

— ჰოო. — სახე გაეშალა, გაეცინასავით. მერე დატუქსული ბავშვივით დახარა თავი, იატაკს გააყოლა მზერა, ფანჯარასაც გააცილა და გაირინდა. უხდებოდა სიცილი. — ბავშვობაში ყველაფერი ვარდისფერია. — თავი მოაბრუნა და უკვე გულგრილად თქვა: — გაზეთში დიდხანს ვერ იმუშავებ. არ უნდა იმუშაო. თანდათან ცვდები, ხალისი გეკარგება.

— შენ ერთბაშად გადაგიწყვეტია.

— ერთბაშად?.. ამ სვავს მაინც ვერასღროს გააძღებ, რამდენიც უნდა აყარო, პირს არ დახურავს — კიდევ, კიდევო. ამ კიდევ-კიდევში ფეხიც გადაგიბრუნდება და...

რა აუცილებელია?

— რა ვიცი, ალბათ, — გაჩუმდა. ერთხანს თითქო ყოყმანობდა. — შეიძლება გახსოვდეს, „განდეგილი“ დადგეს თეატრში, რვა წლის წინათ.

არ მახსოვდა. მაშინ საწარმო პრაქტიკა იყო მოდაში, პირველკურსელები დილით ქარხანაში ვიყავით, საღამოთი — ლექციებზე.

— ვნახე სპექტაკლი. ორჯერ ვნახე. ახლა ამ პოემის გააზრების უკვე რამდენიმე ვერსია არსებობს. ოციანი წლებისა ცოტა სწორხაზოვანია. მერე და მერე უფრო რთული და საინტერესო. თუმცა, რას გიხსნი... ერთი სიტყვით, თეატრის „განდეგილი“ ისე ჰგავდა ილიას პოემას, როგორც მე... — უცბად ვერაფერი მოიფიქრა. — რაღაც ანტირელიგიური პიესა შეეთითხნათ. ეგრეც დავწერე. ილიას ასე დასაკნინებლად ასი წელიწადი სულაც არ იყო საჭირო-მეთქი. დამეცნენ. ავტორს კალამი უსწრებს გონებასო. საბჭოთა პრესის დანიშნულება შემახსენეს.

— შენ ალბათ ყურები ჩამოყარე.

— არ ჩამოვყრიდი, ჩვენებს მაინც რომ დაეჭირათ მხარი. თითოეულ წერილში სისხლს ვაქცევდი, ღამეებს ვათენებდი. ჩემი გული აქ იყო, ამ რედაქციაში. ვთქვათ და შევცდი კიდეც, ვთქვათ... თორე მართალი ვიყავი... როგორც აი, ეს არის ხუთი! — მარჯვენა მტევანი მაგიდაზე გაფარჩხა. — მართალი ვიყავი... პრემიერის შემდეგ სკამებიდა ესწრებოდნენ სპექტაკლს, მერე კი სულ მოხსნეს... სასტიკი საყვედური გამომიცხადეს, უკანასკნელი გაფრთხილებით... თბილი სიტყვაც კი არავის დასცდენია. მერე გავიგე — სცენარის ავტორი ვიღაც დიდი კაცის სკოლის მეგობარი ყოფილა... ბროლიძე, სწორედ ბროლიძე ლაპარაკობდა ყველაზე მეტს...

„უფალი“ ცერად გვიყურებს და ვშიშობ, რომ პირველი სალუქვაძე გადაჰყვება ამ უგუნებობას. თუმცა, ხუთ დღეში კაცმა არ იცის, რა მოხდა.

ქვევითა სართულზე სტამბაა. მერე ისევ კიბე. ამ წყეულ გზაზე არ შეიძლება, ვინმე არ შეგხვდეს.

თმა გვერდზე აქვს გადავარცხნილი. უპრიალებს, ისევ ბრიოლინს თუ ხმარობს. შორიდანვე მიღიმის. მერე ხელსაც მართმევს. რა თქმა უნდა, აღარ ახსოვს ის პატარა შემთხვევა, რედაქტორები გულმავიწყები არიან.

— ერთ-ორ კვირაში ადგილი მექნება, ხომ არ გადმოხვალ?

ადგილსაც მთავაზობს. შტატიანს. შევყურებ გაგლესილ თავს, მოციმციმე ღილებზე დასკუპებულ უდღეურ შუბლს და კინაღამ ვეუბნები, ბრძანებით არ ვარ გაფორმებული-მეთქი. მეცინება. კისერიც უტეხია, როგორც უნდა, ისე გაიგოს.

ქუჩაში ერთიც გავხედე რკინის მოაჯირებს და პროსპექტს გავუყევი.

თეატრში დირექტორს ვნახულობ, მერე რედაქციაშივე ვბრუნდები. თეატრიდან — თეატრში.

ფერეფანში ბროლიძე მხვდება. ჩასაფრებულივით.

— ოო! „ბუნტოვშჩიკი“ ჩამოსულა. რა ამბებია?

ისევ იკბინება ვირთხა. ახლა უკვე აშკარად.

— ყველაფერი რიგზეა.

— რაო, შატილმა.

— ძველი ცოდვები გამიხსენა, თან შემაგონა: არა კაც ჰკლა, არ იმრუშო, არ იპაროო და ასე შემდეგ.

ახლა გაღიმებას შეეცდება და მაცხოვარივით მომიშვერს მარჯვენა ლოყას. მორჩილად, უდრტვინველად. სიამოვნებით შემოვკრავდი. მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრია. ფიქრი კი იმასაც მკარნახობს, რომ ამ ცალპირა მორჩილებისთვის შალვა ბროლიძე უფრო ადრე იყო გოლგოთაზე ასაყვანი.

მერე ტყავგადაკრული კარის მიღმა „უფლის“ შეგონებებს ვისმენ.

თურმე, მეყოფა, რაც გავერთე, თურმე ჩემს ცელქობას ყველა ყაელი გაუვიდა. კინტრაიას მოთმინების ფიალა აევსო და სანამ მიმხვდარა, რომ იგდებენ...

ის თავისას ამბობს, მე — ჩემსას:

ტყუილად არ ვყოფილვარ დღეს თეატრში, ტყუილად არ დავარწმუნე თავი, რომ მართალი ვარ. ეს სიტყვა ბანგივით მაბრუებს და რაც არ უნდა მოხდეს, ამ ტკბილი ბურანიდან თავს აღარ გამოვყოფ. რეცენზია, რა თქმა უნდა, არ დაიწერება. ჩემი ხელით არ დაიწერება.

რედაქტორის საქციელში ისეთს მაინც ვერაფერს ვხედავ, ძალზე შემაწუხოს, ან გამაღიზიანოს. ვუსმენ, ოთარ გოგლიძე მახსენდება და კარგად ვიცი, ამ წუთს, აქ, ვეებერთელა მაგიდასთან მიმჯდარს ოთარ გოგლიძე მალაპარაკებს ოთარ გოგლიძე მირჩევს სათქმელს. სულ სხვას მეუბნება ეს კაცი, მაგრამ სიძულვილის ნასახი რომ არსად მიჩნდება, ძალაუნებურად ვფიქრობ: მაგიდის თავში მოლაპარაკე ნაცრისფერი პიჯაკი და სადა ჰალსტუხი ისე უხინჯოდ არეკლილა ჩემს სულში, თითქო ჩემი ორეული იყოს. იქნება ასეც არის, იქნებ არც არაფერი შეიცვალოს, მე რომ იქ, მაგიდის თავში ვიჯდე, ის კიდევ აქ, ჩემს ადგილზე.

მერე მაინც ვეძებ განსხვავებას და იმითღა მთავრდება ძებნა, რომ შშვიდად ვეუბნები თავს: დღეს გოგლიძე ვარ, ეს არის და ეს.

— ჯერ შატილი ჩამაბარე, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

აჭიანურებს, არ ჩქარობს. არ ვიცი, რატომ მითმენს, ან რისი იმედი აქვს.

ზუსტად ორი კვირის შემდეგ თვითმფრინავის ილუმინატორთან მიმჯდარს გამახსენდება დღევანდელი მკითხაობა. მფრინავის კაბინაზე დანთებულ წარწერასაც დავადგამ თვალს — „შეიკარით ღვედები!“ გამახსენდება და ჩემს მიამიტობაზე გამეცინება — მწარე, ნამდვილი სიცილით.

* *

ფანჯარა მტკვარს გადაჰყურებს. იქითა ნაპირზე გზაა — ვ: წრო და სწორი. მომართული სათამაშოებივით დარბიან მანქანები. ოთახშიც ყველაფერი ძველებურად დგას.

ნახევარი საათია, აი ასე გაჩუმებული ვსხედვართ — მე ფანჯარაში ვიცქირები, ის ფეხმორთხმული ზის ტახტზე. თავს მოვაბრუნებ, ისიც მოაცილებს მზერას კედელზე დაკიდებულ თვალებგადმოკარკლულ ნაჭრის ეშმაკს, ერთი წამით შევხედავთ ერთმანეთს და რაღაცით შეშინებულები ისევ სხვადასხვა მხარეს გავრბივართ — მე ფანჯრისკენ, ის კედელზე დაკიდებულ საფრთხობელასაკენ. ხანდახან ზაზა თუ შემოიხედავს, იმასაც რაღაც არეული თვალები აქვს. გუშინ სკოლაში არ ყოფილა. დავსეირნობდიო. ისე ცოტა მაქვს საფიქრალი, ახლა ეს ეჭვიც ამეკვიატა. ჯერ გაჩუმებას ვარჩევ. მაგრამ ეს სიჩუმეც ნელ-ნელა აუტანელი ხდება.

ეს სამი დღეა, ერთი და იგივე მეორდება. თითქოს თოკზე გამობმული დავყავართ ვიღაცას.

ხუთ საათზე ერთდროულად გამოვცხადდებით ამოჩემებულ ადგილას. არ ვიცი, გასამხნევებლად თუ გავუღიმებთ ერთმანეთს.

— რა ამბებია სამსახურში? — მკითხავს და ბროლიძე გამახსენდება. ნეტავ სად მოჩიჩქნა ეს სიტყვა.

რა უნდა ვუთხრა. ყველაფერი ნათქვამი მაქვს. ახალი კი არაფერი მომხდარა. რაღაც მზადდება, რაღაც უთუოდ მოხდება, მაგრამ რა და როგორ, თვითონაც არ ვიცი.

— შენთან?

— ჭორაობენ. ეხლა ჩემი რიგია.

მეჩვენება, რომ ხალხითაა გაჭედილი ქუჩა; მეჩვენება, რომ ჩვენი ცქერით ერთობიან.

— სად წავიდეთ?

— რა ვიცი.

მართლაცდა, სად უნდა წავიდეთ? ყველა ფილმი ნანახი გვაქვს.

თეატრში ახალი არაფერია. არც ჩემს, არც იმის ნაცნობებთან არ მიგვესვლება — ყოველ მესამე სიტყვას კუდს ვაბამთ, არის თუ არ არის, გვეჩვენება რომ ჩვენს გასაგონადაა ნათქვამი. გვაფრთხილებენ, ნიშნს გვიგებენ, ყველას ყველაფერი რიგზე აქვს, გარეგნულად, თვალის ასახვევად მაინც.

სად უნდა წავიდეთ? ისევ იქ, პატარა ოთახში. მაგრამ იქაც ჩუმი მუქარაა ჩასაფრებული, იქაც სიჩუმეა, იქნებ უფრო ბევრის მთქმელიც.

გუშინ გადავწყვიტე. პატარა ბაღი მიმასწავლეს. აუცილებლად იშოვიო.

ბაღი თუ ეზო სავსე იყო ხალხით, ნაწილიც ქუჩაში იდგა. ცხელოდა. ხან ერთ ჯგუფს ავეტუზე, ხან — მეორეს. მივდიოდი, გაჩუმდებოდნენ, გავეცლებოდი — ისევ გააგრძელებდნენ ხმადაბლა ლაპარაკს. როგორც იქნა, გავიგე სად აქირავებდნენ ბინებს. ახლა იქ დავიწყე ტრიალი. ბოლოს გავბედე.

ხნიერი ქალი იყო. ერთოთახიან ბინას ვეძებ-მეთქი, ქალბატონო. ამომხედა, ამათვალიერა, მერე გარშემო მიმოიხედა და: ვისთვის გინდათო, რამდენი ხართო, ვინა ხართო, სად მუშაობთო. სიცხისაგან თუ უხერხულობისგან ოფლმა დამასხა. სხვანაირად რომ არ შეიძლებოდა, კი ვიცოდი. მაგრამ ამ შიშველმა ცნობისმოყვარეობამ გამაღიზიანა. მაინც ვუპასუხე, ზოგი მართალი, ზოგიც — ტყუილი. ისევ ამომხედა, ცალი თვალი მოჭუტა, თითქო თარაზოში მასწორებსო და თავი გააქნია.

ერთი-ორჯერ კიდევ ვცადე, ზოგი ოროთახიანს აქირავებდა, ზოგი — ერთ ოთახს — სამოთახიანში.

ნაცნობს მოვკარი თვალი. სამი თუ ოთხი წელიწადი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მდგმურად. დამალვა ვერ მოვასწარი.

— შენ რა, სახლიდან ხომ არ გამოგაგდეს? — მეუბნება და იცინის.

მეგობრისთვის ბინას ვეძებ-მეთქი.

მერე მომბეზრდა ეს უაზრო ბორიალი, მართალ-ტყუილი და კედელთან ნაბიჯის სიგანე ჩრდილს შეფარებული ვათვალიერებდი ჭიანჭველის ბუდესავით არეულ თავშესაყარს.

ვინა ხარ, რამდენი ხართ, სად მუშაობთ...

ერთხელ მილიციელმაც ამოიარა, ქუჩაში გამოფენილი ხალხი ბაღში შერეკა...

ისევ აქ მოვდივართ, ამ პატარა ოთახში. ვსხედვართ და ერთმანეთსღა ვარიდებთ თვალს.

— დილით პირი არ დააკარა საჭმელს, ისე წავიდა სკოლაში.

ზაზაზე მეუბნება. არ ვიცი, მე მსაყვედურობს თუ თავის თავს.

— ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია. ზაზას არ შესცივ-დეს, ზაზას არ მოშივდეს, ზაზას არ ეწყინოს. ახლა ფიქრობს, რომ მთლიანად ვეკუთვნი საკუთრება ვარ, რომ პირადი ცხოვრება არა მაქვს. არაფრის უფლება არა მაქვს.

ისევ არაფერს ვეუბნები, ან რა ვუთხრა, როგორ. სათქმელი რო-გორ არ მაქვს, ყველაფერს მშვენივრად ვხედავ, ყველაფერს ვხვდები, მაგრამ ისიც არ ვიცი, ვის რა სჭირდება, რომელს რა გვჭირდება უფ-რო რა გვჭირდება. თავი ჩხრიალა მარცვლებით გატენილი ჭინჭივითა მაქვს. ერთმანეთში არეულა სურვილი, მოვალეობა, სიმართლე, სი-ყალბე, ტყუილი. დროდადრო მეჩვენება რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია, მერე სიტყვებიც ცალ-ცალკე ასოებად იშლება და ამ ქა-ოსში მართალიცა და ტყუილიც შავ ცაზე დაფანტულ ვარსკვლავებს ემსგავსება — ბრჭყვიალით ბრჭყვიალებს, თვითონ კი, ღმერთმა თუ უწყის, როდის ჩაიფერფლა. დგახარ, შესცქერი ამ მაცდურ ნათებას და უსასოობით აღრენილი იმასღა ფიქრობ: ვინ გატყუებს? რატომ გატყუებს?

სათქმელი შიგნითვე რჩება, იქვე ტრიალებს და იგრიხება უხმო მონოლოგი: „შენ ალბათ მოგიწევს მსხვერპლის გაღება. არჩევანის წინაშე დადგები, ასარჩევი კი არაფერი გექნება. მოვალეობა აგარჩე-ვინებს“.

აღრენილიც ვარ, მთელ ქვეყანაზე გულმოსულიც, მაგრამ ამ ბრტყე-ლი სიტყვებით ასხმულ მონოლოგში ჩემი მწუხარე პირისახეც ჩნდება და ეს ჩვენება კეთილი საქმისთვის თავდადებულ რომელიღაც რაინდს მაგონებს.

— რა დაგემართა?

— არაფერი. კიდევ ერთი მეტოქე გამიჩნდა. არ მწყალობს ბედი.

თითქოს შეტოკდა კედელზე დაკიდებული საფრთხობელა, შავი სი-ფათი გაებადრა და თვალი მომიჭუტა.

* * *

კორიდორი გაფართოებული სხდომა. 250 კაცი — დარბაზში, თორ-მეტი — მორკალულ მაგიდასთან, სცენასავით შემაღლებული ადგილი-

იმიტომ, რომ რაც კი შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს და ახლა საათობით სხედან ამ და ამის მსგავს მაგიდებთან, სამუზეუმო ნივთებივით ეჩვენებიან ხალხს. ასეთია ტრადიცია. ჩვენი რედაქტორიც სცენაზეა, სულ განაპირას.

წინ კოხტად გადაბეჭდილი დღის წესრიგი მიდევს. „ლიტერატურის როლი ამასა და ამაში", მომხსენებელი ესა და ეს; „ქართული თეატრის სახვალიო ამოცანები", მომხსენებელი ესა და ეს...

სულ შვიდი საკითხია, უკანასკნელი მე მეხება: „ვარსკვლავში" დასტამბული წერილის „შატილი — ლეგენდა და სინამდვილის" შესახებ.

სხდომა ათ საათზე დაიწყო, ახლა ორია. ამ ოთხ საათში ათჯერ მაინც მივუბრუნდი ჩემს წერილს. კოლეგიაზე გასატანი იქ არაფერი იყო. კინტრაია აკრძალულ ილეთზე გადავიდა. რედაქტორი? მახსენდება ჩვენი გუშინდელი საუბარი. წასასვლელად ვემზადებოდი, რედაქტორი გიბარებსო, მომახარა ლიკლიკა ჩიტმა. პირველი შემთხვევა იყო, სავარძელში არ დამხვდა. ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი გა'-ცქეროდა ქუჩას.

— დაჯექი. — თავი არც მოუბრუნებია, ისე მითხრა, და წამოდგა. ეერთხანს აქეთ-იქით დადიოდა. მერზე ჩემს გვერდით გაჩერდა, სკამი გამოსწია და თვითონაც ჩამოჯდა.

— სამმართველოდან მოვდივარ. მთელი საათი ველაპარაკე კინტრაიას. ძლივს დავიყოლიე. საყვედურს გამოგიცხადებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ხვალ ათ საათზე ვართ დაბარებული. თუ რამეს იტყვი, მშვიდად თქვი. თავიც დაიცავი, მაგრამ ძირითადად ვიზიარებ-თქო კრიტიკას. ძლივს დავითანხმე და ნურც მე და ნურც იმას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაყენებ. ვირზე არ შეჯდე.

„ძლივს დავითანხმეო".

ერთმაც და მეორემაც მშვენივრად იცის, რომ სასაყვედურო იმ წერილში არაფერი იყო.

კინტრაია, ეტყობა, მართლა ველარ ითმენს — კარგა ხანს უფრიალეს ცხვირწინ წითელი ნაჭერი. გაგულისდა და წამოვიდა კიდეც დასაძგერებლად. ჩემი რედაქტორი ოლეს-ოლეს კი გაიძახის, მაგრამ წითელი ნაჭერი ხომ მე მიჭირავს.

როგორც იქნა, მეშვიდე საკითხის რიგიც დადგა. მიკროფონს ამოფარებულმა კაცმა (რა თქმა უნდა, სამმართველოს თანამშრომელია, რა თქმა უნდა, არ მიცნობს) ძალზე ზოგადად დაიწყო. მერე წამით შეისვენა, ჩაახველა და უფრო ხმამაღლა ალაპარაკდა:

— „ვარსკვლავის" 18 სექტემბრის ნომერში დასტამბულმა წერილმა „შატილი — ლეგენდა და სინამდვილე" მკითხველთა სამართლი-

ანი გულისწყრომა გამოიწვია. ეს ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი ჟურნალისტი ი. მიქელაძე...

რა თქმა უნდა, შთაბეჭდილების მოსახდენად მკითხველის მოშველიებაა საჭირო. მკითხველი ხომ ათასი აზრია, საზოგადოებრივი აზრია. საზოგადოებრივ აზრს კი ანგარიში უნდა გაეწიოს. მომხსენებელს ღინჯი, საქმიანი იერი აქვს და კაციც უეჭველად იფიქრებს, რომ ყველაფერ ამას სამმართველოში მოსული ათასობით აღშფოთებული სტრიქონი ამაგრებს.

— წერილის წაკითხვის შემდეგ, სიმართლე გითხრათ, გავვოცდი. გამაოცა არა იმდენად პრობლემის უცნაური კუთხით ჭვრეტამ, არამედ იმ სიცივემ, სტრიქონებიდან რომ მოდის, გულგრილობამ, ახალგაზრდა ჟურნალისტს რომ გასჯდომია. ბოლო ხანებში რა არ კეთდება იმისთვის, რომ მთა შევინარჩუნოთ, დავასახლოთ მიტოვებული სოფლები, სიცოცხლე დავუბრუნოთ დაფერფლილ კერებს. ეს ხომ ეროვნული საქმეა. ავტორი კი ცინიკურად ამბობს: საკაიკაცო საქმეს ვერ მონახავო. სკოლა არ არის და ინსტიტუტიო. ამ გადასაკარგავში კაცმა ქვეყნის სასიკეთო რა უნდა აკეთოსო. ყველა ჩვენგანისთვის, ყველა ქართველისთვის შატილი ეროვნული სიამაყეა, შატილის კოშკები — ათასი ჭირისა და განსაცდელის მნახველი. შატილი ქართველი ხალხის სისხლით დაწერილი ისტორიაა, ი. მიქელაძე კი მხოლოდ ჟანგიანი კედლების ნაპრალების სევდას ხედავს.

ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ ეს ყველაფერი სიყალბეა. უაზრობაა იმის მტკიცებაც, რომ ირაკლი მიქელაძეს ამ ენაგაკრეფილ ორატორზე ნაკლებად არ უყვარს არც შატილი და არც ხევსურეთი. უაზრობაა ყველა ამ ბრალდების ყურისგდებაც კი, მაგრამ... მაგრამ საქმეც ის არის, რომ უაზრობით ნაქსოვი ბადე მაინც მაღიზიანებს და იმის ნაცვლად მშვიდად გავერიდო, თანდათან, ყოველი ახალი წინადადებისა თუ სიტყვის შემდეგ ობობას ქსელში მოხვედრილი მწერივით ვიხლართები, თანდათან მითრევს ჩემს თვალწინ გათამაშებული ფარსი და სურვილი მიჩნდება, მაგიდიდან დარბაზში გაღმოვუძახო თორმეტივე მსაჯულს, მიკროფონის მიღმა მდგომ ყბედს კი მუშტით დავუზილო ცხვირ-პირი.

„საყვედურს გამოგიცხადებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. თუ რამეს იტყვი, მშვიდად თქვი, ნურც მე და ნურც იმას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაყენებ". სცენარი დაწერილია და ახლა ბევრიც ვიქნიო ხელი, აღარაფერი შეიცვლება. მერე წენგოდან თავდაღწეული კაკალივით იკროცება ფიქრი: გაქათქათებული პერანგებით, ჰალსტუხებითა და რბილი სავარძლებით გაწყობილ დარბაზში

ჩემს სურვილებს ასრულება არ უწერია და უილაჯობის შეგრძნებისაგან ოფლიღა მასხამს.

— თვითონ ავტორი რას იტყვის?

ამას უკვე მე მეკითხებიან.

კინტრაიას მიკროფონშიც კი თბილი, ხავერდოვანი ხმა აქვს.

„თუ რამეს იტყვი, მშვიდად თქვი. ძირითადად ვიზიარებ კრიტიკას-თქო“.

მშვიდად. მაინც რა უნდა ვთქვა მშვიდად? ეს კომედია კინტრაიას თავისი საქმეების მოსაგვარებლად სჭირდება-მეთქი? იქნებ აღვოკატად დავუდგე ჩემივე წერილს, მთაში შექმნილ რეალურ ვითარებაზე ვესაუბრო დარბაზსა და მორკალულ მაგიდასთან მსხდომთ? დამიჯერონ კიდეც, ხმის ამომღები გამოჩნდება ვინმე? ხომ წაუყრუებენ და წაუყრუებენ, აქეთ დამეცემიან ცილისწამებისთვის. წერილის დაცვასაც რა აზრი აქვს, ყველაფერი საკმაოდ გასაგებად მეწერა, როგორც უნდოდა, ისე გაიგო და ახლა ათჯერაც გავიმეორო, იმავეს იტყვის. ესეც არ იყოს, რა იდიოტობაა ორჯერ ორის მტკიცება?

რა უნდა ვთქვა, არაფერი, არაფერი. ირაკლი მიქელაძეე, გაიღიმე, თუ გინდა, გაიცინე კიდეც და ყველაფერი სწორია-თქო.

ფეხზე ავმდგარვარ. ორას ორმოცდაათ სახეს ცნობისწადილით ავსილი ერთი ვეებერთელა თვალი ჩაუდგამს და შემომცქერის. მერე ეს მზერა აქანავებულ იატაკზე მიმავალს მიმაცილებს და მაშინღა მოვდივარ გონს, ცხვირწინ მიკროფონის ლანდს რომ ვარჩევ. თვალიც აქვეა, სულწასული გამოჰყოლია დაგრაგნილ მავთულს და ახლა მიკროფონის ლითონის ბადურიდან მათვალიერებს.

საათნახევრის შემდეგ, რედაქციაში, მაგიდასთან მიმჯდარს მისხალ-მისხალ გამახსენდება: დარბაზის თავშეკავებული სიცილი, რედაქტორის შეშფოთებული სახე და კინტრაიას შემპარავი ხმა: „თქვენ გინდათ თქვათ, რომ არ ეთანხმებით კოლეგიის აზრს“, „რა თქმა უნდა; არ ვეთანხმები“. „კარგით, დაბრძანდით“. ისევ აქანავებული იატაკი და დარბაზი, ერთადერთი, უსაშველოდ გადიდებული თვალით რომ შემომცქერის. ისევ კინტრაიას ხმა: „ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ. საშუალება მივეცით მიქელაძეს ახლა მაინც შეეგნო შეცდომა. იმედი გვქონდა, რომ გაითვალისწინებდა ყოველივე ამას და მომავალში გაკვეთილად გამოადგებოდა. როგორც ჩანს, ჩვენმა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. მიქელაძე არ ეთანხმება არც ათასობით მკითხველისა და არც აქ მყოფთა აზრს. მეტიც, საბჭოთა ჟურნალისტისათვის შეუფერებელი საქციელით თითოეული ჩვენგანი აიმხედრა. წინადადება შემომაქვს, ასეთი უადგილო ჯიუტობისთვის, კოლეგიის აზრის სასაცილოდ აგდებისთვის მიქელაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობი-

დან. ყველა თანახმაა?“ სხვათა შორის მოათვალიერა პრეზიდიუმი. „ვინ არის წინააღმდეგი?“

კინტრაიას მზერა უკვე დარბაზისთვის ჰქონდა მიპყრობილი და იქნებ იმიტომაც ვერ შენიშნა მაგიდის ბოლოში აწეული ხელი.

— მე ვარ წინააღმდეგი!

არ ვიცი, რამ გააბედვინა ჩემს რედაქტორს, ან რატომ გამოიდო თავი. •ქნებ მართლა არ ეთმობოდა ჩემი თავი, იქნებ სინდისმაც შეაწუხა, ან იქნებ ესეც გათვალისწინებული, დაგეგმილი დეტალი იყო — სცენარი ხომ კარგა ხანს იწერებოდა.

კინტრაიამ ერთი კი შეაქანა თავი — თითქო რქებში გაბლანდულ თივის ბულულს იშორებსო და მოკლედ მოჭრა: „კოლეგიის სხდომა დამთავრებულია, თქვენ თავისუფალი ხართ, ამხანაგებო, კოლეგიის წევრები კი ერთხანს დავრჩებით და ყველაფერს ავუხსნით „ვარსკვლავის“ რედაქტორს“.

მისხალ-მისხალ გავიხსენებ ყველაფერს, რედაქტორის სახელზე დაწერილ მოკლე განცხადებას მაგიდიდან ავიღებ, ორად მოვკეცავ და ლიკლიკა ჩიტის დაუკითხავად შევაღებ ტყავგადაკრულ კარს.

— სამმართველოშია, ჯერ არ მოსულა.

— ვიცი.

კაბინეტში არავინ დამხვდება. ფურცელს ისევ გავშლი და ცარიელი სკამის წინ, პრიალა მაგიდაზე დავდებ.

ᲡᲣᲚ სხვანაირი მეჩვენება ოთახი. ჩამოვჯდები. ჯერ ვეებერთელა მაგიდაზე გაშლილ გაზეთებსა და ფურცლებს შევათვალიერებ, მერე, ნელ-ნელა, დინჯად გამოვყვები: კუთხეში მიდგმულ წიგნის კარადას, კედლის საათსა და ცარიელ სკამებს...

„ჩვენი დღევანდელი კრება...“

— ჰი, ჰი, — ამომიღიტინებს ყელში. — ხა-ხა-ხა!

მგონი, ხმამაღლა გამომივა, რადგან კარი გაიღება, მდივნის გაკვირვებული სახე გამოჩნდება და ისევ მიიმალება.

„კრებას დახურულად ვაცხადებ. გთხოვთ დაიშალოთ, ბატონებო“.

უკვე წამომდგარი სკამს წამოვკრავ ფეხს და წავაქცევ.

„ყოჩაღ, მიქელაძევ, ყოჩაღ!“ დამედევნება კარისკენ წასულს.

* * *

ქუჩა ისეთივეა, როგორიც ყოველთვის: საჩუქრების მაღაზია ღიაა. ღიაა მოცუცქნული კაფეც. თავზევით აბრა გამოშვერილა — „წინდები“. ბუკინისტურ მაღაზიაში რამდენიმე კაცი დაბორიალობს, რამდენიმესაც თაროებში ჩაუყვია ცხვირი. ვიწრო ტროტუარზე კი მოდიან,

გიახლოვდებიან და გშორდებიან — ჩანთიანები, პორტფელიანები, ლამაზები და უშნოები, ზოგი — ნელა, ზოგი — ჩქარა.

გუშინაც ასეთი იყო ეს ქუჩა, გუშინწინაც და მაინც, რატომღაც დღეს ამჩნევ, რომ საჩუქრების მაღაზიაში მომუშავე შეუხედავ გოგონას, აქამდე თაროებიდან ნივრების მომწოდებელი რომ გეგონა, სევდიანი თვალები ჰქონია, კაფეში, ცხელი კაკაოსა და ღვეზელისთვის რომ შერბიხარ ხოლმე, აქა-იქ გაწყალებული და გვარიანად დალაბავებული ფარდა ჰკიდია, წიგნის თაროსთან ასვეტილ შლაპიან კაცს კი მაინცდამაინც ახლა ფიქრობ — რას ეძებს, ყდაგაცვეთილ ჟურნალებს, სათავგადასავლო რომანს? წინდები, დილით რომ ჩაიცვი, ხომ შეიძლება ამ ფარდულშია ნაყიდი, მაშინაც ეს ქალი იდგა დახლთან?

ორიდე ნაბიჯის იქით ტროტუარზე დაგდებულ სიგარეტის ცარიელ კოლოფს ამჩნევ, იქვე დგას ურნაც, მაგრამ იმ კაცს იქნებ ცოლი გაექცა და იმიტომაც ვერ დაინახა ვერც ურნა და ვერც ქუჩის თავში გაკრული ლოზუნგი: „გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი სანიმუშო წესრიგისა და...“

მოდიან ლამაზები, მახინჯები, დაღვრემილები, უდარდელები, და ამ უცხო ადამიანებში, მაინცდამაინც დღეს რომ ეძებ წუხილისა და სიხარულის, ჩაფიქრებისა და უფიქრელობის ათასგვარ მიზეზს, მხოლოდ შენთვის და სწორედ ახლა, სასურველი ადამიანი გინდა დაინახო. მაინცდამაინც დღეს...

თანდათან გახსენდება: ჯერ კიდევ ლიბრგადაკრული, გაურკვეველი, მაგრამ მაინც ნაცნობი — მოძრაობა, ხმა, გამოხედვა. მერე ოდნავ იძაბება მეხსიერება და ეს ყველაფერი დაფანჩულ წარბებქვეშ შემალულ საოცრად თბილად მოციმციმე თვალებში გროვდება.

ჯიბეში ორკაპიკიანს პოულობ და ტელეფონის ჯიხურთან ჩერდები. რამდენიმე წამის შემდეგ ავტომატი გაიჩხაკუნებს და ბოხი ხმის გაგონებისთანავე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ვიღაც ღვთიანი ერმა გათოშილი ფეხები თბილ წყალში ჩაგაყოფინა.

ახლა ის ჩემს წინ დგას. ვეება ბეჭებით გადაღობებია თამბაქოს ბოლით, ორთქლითა და მთვრალი ხმებით გაგუდულ სარდაფს და გეშრიელად ილუკმება.

— რას აპირებ?

— განცხადება მაგიდაზე დავტოვე, არ მობრძანებულა ჯერ.

პირისაკენ წაღებული ხინკალი თეფშზე დადო, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა.

— განცხადება?

— ჰო.

— რა, ჰო.

— გადავალ სადმე.

— შენს ადგილზე სწორედ ახლა არსად არ წავიდოდი. მოხსნით ვერ მოგხსნის, უფლება არა აქვს. შენ შენი ხომ დაწერე. დაბეჭდვა თუ არდაბეჭდვა კი იმისი საქმე იყო. ჯერ თვითონ მოიხსნას თავი... მაინც მგონია, რომ არც მოგხსნიან და არც უნდათ შენი მოხსნა. თანაც, სამსახურს კი იშოვი. მაგრამ როდის და როგორს, კაცმა არ იცის. არსად არ წახვალ!

— უნდა წავიდე, იქ ვეღარ ვიმუშავებ.

— შენს ქერქში დაეტიე. დაწერე, რასაც გეუბნებიან და მიუგდე. ოცდაათის ხომ ხარ...

— მარტო ეგ რომ იყოს...

— კიდევ რა.

— მამლაყინწობა.

— მამლაყინწობა?

— ჰო.

— ვერ გავიგე.

— რა ვერ გაიგე? რეცენზიის დაწერა მართლა არ მინდოდა, მაგრამ ჯერ კრებაზე და მერე კოლეგიაზეც რომ ავტყდი, მარტო სიმართლის სიყვარულით არ მომსვლია, ისიც იყო.

— ვინ ის.

— ვინ კი არა, რა...

— შენ და სასმელი?..

ვერ გამიგია, მართლა მთვრალი ვგონივარ თუ დამცინის. მერე ხუთი წლის დაგროვებული სათქმელი მაინც მძალავს და ნაღველასავით მეღვენთება ენაზე:

— ახალი მოყვანილი მყავდა ცოლი. კარგა შეღამებული იყო, შინ ვბრუნდებოდით. ავტობუსის გაჩერებაზე დავტოვე, მანქანას დავუწყე ძებნა. ორნი მიუახლოვდნენ, რაღაც უთხრეს. ცოტა ფხუკიანია ლია და, ეტყობა, ხურდა დაუბრუნა. მეც მაშინ მივედი. ნასვამები იყვნენ. თავისუფალი ხარ-მეთქი, უფრო ახლოს რომ იდგა, იმას ვუთხარი. არ ვიცი, ვინ ვეგონე, მაგრამ ერთი კი იყო — არ მოეწონა. ხელი წამოიღო, ცხვირწინ ამიტარა, აი, ასე უნდა დაგკრას კაცმა, შე ლაწირაკოო... არ გავნძრეულვარ. „არ ღირს ხელის გასვრა“, ჩაილაპარაკა მეორემ, ხელი მოჰკიდა და გაგვაცალა. ხელები, როგორც მეწყო, ისე დამრჩა ჯიბეებში.

— შენც ამოგეღო. — ახლა კათხა უჭირავს ორივე ხელით, მოჭუტული თვალებით მიცქერის და მგონი ისევ დამცინის. იქნებ გავჩუმდე, მაგრამ მოტკბო გემოც დაჰკრავს პირში გაგლესილ სიმწარეს.

— სკოლაში, შესვენებაზე „გახვალ?", „გავალ", „სველი თითი წაუსვი" და ამისთანებით რომ ვიწყებდით ჩხუბს, მაშინაც არასდროს დამირტყამს პირველს. ვერ ვახერხებდი. იმ საღამოს კი, მინდოდა, მართლა მინდოდა... ორნი იყვნენ, კაი მუტრუკები იყვნენ და ალბათ იმიტომ ჩავყლაპე... მარტო რომ ვყოფილიყავი, იქნებ შემემალა სადმე კუნჭულში, დამევიწყებინა. მოწმე მედგა გვერდით, ერთი წლის მოყვანილი ცოლი... მოკლედ, ჩავყლაპე. ხუთი წელიწადი გავიდა და ვერ მომინელებია, ალბათ ვერც მოვინელებ. აი, აქ, გულ-მუცელში მიზის, ჭიასავით. გაინძრევა და გულს მირევს... მას შემდეგ ბევრჯერ წავასწარი თავს — იმაზე მეტს ვხტუნაობ ვიდრე საჭიროა, ის ჭია მახტუნავებს, უნდა რაღაც დამამტკიცებინოს...

ზურაბი კათხას აწვალებს, თვალები თანდათან კეთილი, კეთილი და სევდიანი უხდება.

— ეგ მეტისმეტია...

კიდევ რაღაცას მეტყვის, ჩემს დამშვიდებას შეეცდება. დასამშვიდებელი კი არაფერი მჭირს, თვითონაც ვხვდები, რომ მეტისმეტი მომდის, ვხვდები, რომ ის, რაც კრებაზე მოხდა და კოლეგიაზე გაგრძელდა დამსახურებულად მაქვს გადადებული: თითქოს სიმართლისათვის არავითარი თავის გამოდება არ არსებობს, თითქოს ყველაფერი მოგონილია, ხუთი წლის წინათ ჯიბეს შემორჩენილი მუშტების გარდა.

— ეგ მეტისმეტია. რაღაცებს იგონებ, იბრალებ. ხომ ვიცი, რა ჩიტიცა ხარ. მაგრამ არც რომ იმ შენი ქამელეონი რედაქტორისა და კინტრაიასთვის ღირს თავის წვალება?.. მოიცა, თითოსაც მოვიტან...

სანამ მობრუნდება, აყაყანებულ სარდაფს ვათვალიერებ — თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ აწოწილ მაგიდებს, კათხებს, ხინკლიან თეფშებს, რაღაცის გამო აფორიაქებულ, შეწუხებულ ხალხს.

როგორც იქნა, გამოჩნდა. საოცარი სიარული იცის. თავი ოდნავ გვერდზე და დაბლა აქვს დახრილი — თითქო მთელი ქვეყნისა მართებს, ბეჭებიც რაღაცნაირი მორიდებით, მძიმე ქანაობით მოაქვს. ამისიც კი ერიდება, ვეებერთელა ბეჭებისა, კამეჩის ღონე და სიტლანქე რომ აუთრევია და ზანტად მოარწევს აწოწილ მაგიდებშუა.

კათხებს სრიალა და გრილ მარმარილოზე აწყობს. მერე თავაუღებლად მეკითხება:

— დრუნჩა როგორა გყავს? — თავაუღებლად მეკითხება.

— მყავს.

— არ გაგიარა?

ესეც იმ ფანდურზე უკრავს — „არ გაგიარა?" არ გამიარა და არც ვაპირებ.

— არ ვიცი, არა მგონია.

— ირაკლი...

— ჰო.

— დაანებე თავი. ტყუილად აწვალებთ ერთმანეთს. ეს ქვეყანა სამაგისოდ არ არის მოწყობილი. თეთრი ყყაევებივითა ხართ...

— მერე...

— უტარო კოვზივით კი ვეჩხირები, მაგრამ... ქალის მეტი რა არის, შეიყვარე და გადაიყვარე... დამიჯერე, არ არის ქვეყანა სამაგისოდ მოწყობილი, სისულელეა ეგ ყველაფერი. შენ რომ გინდა, ისე კერც მოახერხებ და არც არის საჭირო.

ახლა მართლა აღარაფერი გინდა, არც ეს გაბოლილი სარდაფი, არც ლუდი. საჭმლის მძიმე სუნიც გულს გირევს. არადა, ქუჩაც ისეთივე დაგხვდება, გუშინ რომ იყო, გუშინწინ. ერთმანეთში აირევიან ლამაზები, უშნოები, დაღვრემილები, უდარდელები და თბილად მოციმციმე თვალებში მოგროვებული შენი უდღეური სურვილიც ისევ ათას მოძრაობად, ხმად, გამოხედვად დაიფანტება.

* * *

ტროლეიბუსიდან ჩამოსვლისთანავე თვალი მეხუთე სართულისკენ გამირბის. ფანჯარა განათებულია. სადარბაზოს ბნელ შესასვლელში ორნი ჩურჩულებენ. დამინახეს თუ არა, გაჩუმდნენ. სანამ ლიფტი დგანდგარით ჩამოდის, შესასვლელთან ატუზული წყვილისკენ ვაპარებ თვალს. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი იქნებიან. ლიფტი ჯერ ისევ შუა გზაზეა, წვალებით მოჭრიალებს, ასი წლის ბებერივით. აქამდე სამჯერ ავირბენდი კიბეს.

როგორც იქნა. ახლა ზევით მიხრიგინებს ბებრუხანა.

ზარის ღილაკს თითს ვაჭერ და მაშინვე უსიამო ფიქრიც იბლანდება — შინ რომ არ იყოს?

ღია კარში ზაზა დგას.

— გამარჯობა. ანა შინ არის?

ვერც სულ უპასუხობას ახერხებს, სახე განზე მიაქვს და, შინ არისო, თავის დახრით მაგრძნობინებს.

პატარა ოთახი. ტახტზე ფეხმორთხმული ზის და რაღაც უცნაურად მათვალიერებს. ის დღე მაგონდება, სამზარეულოდან რომ შემოვიდა და თან შემწვარი კარტოფილის სუნი შემოიტანა. როდის იყო?

თვალს არ მაცილებს. ამასაც მთვრალი თუ ვგონივარ. ნეტა ისეთი რა დავლიე.

უცებ ატირდა. ჯერ წამწამები ააფახულა, თვალები აუწყლიანდა, მერე სახე სასაცილოდ მოეღრიცა და ატირდა.

ქალის ცრემლები ალბობს კაცსო. ვუყურებ და არც სინდისი მაწუხებს, ვერც მოლბობისა ვატყობ რამეს თავს. ტვინის რომელიღაც უჯრედში პატარა სიხარულიც კი ფართხალებს.

— რა გატირებს? — გვერდით ვუჯდები და ცრემლით დასველებულ სახეს მაღლა ვუწევ. — მოხდა რამე?

— ა... რა...

— დრუნჩა, გტკივა რამე?

ტირილი არ შეუწყვეტია, ისე დააქნია თავი.

— რა გტკივა?

გამხდარი ხელის მტევანი რაღაცნაირად საცოდავად მიიდო ძუძუზე.

ცოტა ხნის შემდეგ, სველ სახეს რომ შეიმშრალებს და დამშვიდდება, ამ პატარა სხეულში მოკალათებული, ობობასმაგვარი ურჩხულის წარმოდგენა რომ ამამღვრევს, და ერთ წერტილს მიშტერებული სათქმელს დავუწყებ ძებნას, პოლიკლინიკიდან ჭიანი კბილით ხელში მობრუნებული ბიჭივით იტყვის:

— დღეს ექიმთან ვიყავი.

— მერე?

— პასუხი სამ დღეში იქნება, შეიძლება მასტიტი აღმომაჩნდეს.

— მასტიტი?

— ჰო. სარძევე ჯირკვლების ანთება.

— საშიშია?

— არა.

— აბა, რა გატირებს?

— არაფერი. — თქვა და ისევ ატირდა, პატარა ბიჭივით, სათამაშო რომ გაუტყდება. მერე სლუკუნ-სლუკუნით ამოაყოლა:

— ასე თავის ნებაზე მიშვება არ შეიძლება, კიბო განვითარდება.

ისევ წამოიჩაჩხა ობობასმაგვარი ურჩხული, ბეწვიანი თათებითა და გულისამრევი სხეულით.

— ბავშვი უნდა გავაჩინო. ექიმმა მირჩია. — აღარ ტიროდა. ერთიანად გამშრალი იჯდა და იცდიდა.

— ბავშვი? გააჩინე მერე, ვინ გიშლის?

— არასოდეს! — წამოიყვირა და ისე შემომხედა, ცოტაც და ფრჩხილებით ჩამომკაწრავდა სახეს.

სჯობდა გავჩუმებულიყავი. არ უნდა მეთქვა. იმდღევანდელი საუბრის შემდეგ აღარ უნდა მეთქვა. რაღაც საბავშვო ფილმი ვნახეთ. ქუჩაში გამოვედით თუ არა, მეც მინდა ბავშვიო.

— ბიჭი, დრუნჩა?

— გოგო.

— ეგეც შეიძლება.

ამომხედა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— არ შეიძლება.

— ვითომ რატომ, ვერ მოვახერხებ?

— მოახერხებ, დამშვიდდი, მოახერხებ.

— ჩემგან არ გინდა?

ისევ ისე ნაღვლიანად ეღიმება.

— არ შეიძლება. — გაჩუმდა. მერე, თითქოს თავისთვის ალაპარაკდა: — შინ რა ვთქვა, სად წავიყვანო? ხომ უნდა მამა, გვარი... ამაზე ნუღარასოდეს მეტყვი, კარგი?

იმ საღამოს, სანამ კინოდან შინ მივაცილებდი, რამდენჯერმე ვცადე წარმომედგინა, როგორი ბავშვი გვეყოლებოდა. გოგო ვერაფრით ჩავისვი წარმოსახვაში.

— აბა, რას იზამ... გათხოვდები?

გაკერპებული შემომცქერის. ხმას არ იღებს. ობობა სადღაც იკარგება და ისევ ის უსახსრო ეშვი მოცოცავს, ლაპლაპა თვალებითა და რბილი, საზიზღარი თათებით.

— გავთხოვდები.

— ოჰო! ხომ არ გაგირიგო ვინმე? თუმცა, ისე ლაპარაკობ, მოძებნილიც გეყოლება.

— როგორმე მოვძებნი.

— ასე ხელდახელ საიდან გამოიწერ?

— ისევ იმასთან დავბრუნდები.

უსახსრო სხეული შეიკუმშა, დაიძაბა, მერე უცბად გაიშალა და რბილი თათები ძარღვებში ჩამარჭო, სისხლს მძიმე-მძიმედ შეერია თათებიდან გამოჟონილი თალგამი.

— ვისთან?!

მეტისმეტად თუ ამერია სახე — თვალი ამარიდა და თხოვნასავით ამოილაპარაკა:

— შენთვის სულ ერთი არ არის?

ახლა ვხედები, ყველაფერს ვხედები, მაგრამ ენის წვერზე მომდგარი სათქმელი, ტკივილთან ერთად რაღაც უცნაურ სიამოვნებასაც რომ მპირდება, თავისას ითხოვს:

— შენ უკვე ყველაფერი აგიწონ-დაგიწონია, გადაგიწყვეტია კიდეც. გეტყობა, კარგა ხანს ფიქრობდი. საკმაოდ გაერთე და მოგბეზრდა თამაში. ახლა ბავშვი გინდა, ქმარი გინდა. პირდაპირ ვერ გითქვამს და კიბო თუ რაღაც ჩემი ფეხები მოიგონე-

თუ არ შემაჩერა, კიდევ ბევრ სისულელეს ვიტყვი. არადა, მართალია — ჩიხში მომწყვდეულებივითა ვართ და აღარც უკან მოსაბრუნებელი გზა ჩანს.

ერთხანს ვიცდი, იქნებ რაიმე თქვას, იქნებ...

არ შემაჩერა. არ შემაჩერა და ეშმაკსაც წაუღია ესეც და ყველა ქალიც...

— ყოველთვის მართალი იყავი, მაგრამ მე თვალხუჭუნა თოჯინა არა ვარ, როცა მოგინდეს, მაშინ გადამდო გვერდზე. თუ გაინტერესებს, არც ის არის სულ ერთი, ვის ჩაუგორდები ლოგინში.

— ირაკლი...

— ვითომ რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მკლავებგაშლილი დაგხვდება.

— არა ვარ დარწმუნებული. შეიძლება დამხვდეს.

— არ გაპატიებს! ეგეთების პატიება არ შეიძლება. თუ ყველაფერი დაივიწყა და ფეხქვეშ გაგეგო, ვირი ყოფილა. თქვი, რომ მოიგონე ყველაფერი.

ერთი კი ამომხედა და ისევ ატირდა.

* * *

— საით? — მეკითხება შოფერი.

— საბურთალოზე.

სანამ მრიცხველის სახელურს ატრიალებს, საათს დავცქერი. თორმეტის ნახევარია. ალბათ სძინავთ უკვე.

მანქანა სანაპიროს მიუყვება. მტკვარი ფარნების ლაპლაპა შუქს აუჭრელებია. იქითა ნაპირზე ვეებერთელა შავი ჩრდილია, ჩრდილს ზევით — მეტეხი. ამაყად მოცურავს ლამპიონებით განათებულ ღამეში.

ახლაღა ვამჩნევ, რომ ძალიან ნელა მივდივართ.

— რამე ხომ არ გაგიფუჭდა?

შოფერი მომჩვარულ ქუთუთოებს ერთიმეორეს აშორიშორებს და მობოდიშებასავით ამბობს:

— ძალიან დავიღალე. — წელში გასწორდა, თავი შეაქანა და ნაძოვრალევს რომ გააღვიძებენ, ისე დააცქერდა გზას. — ლამის ჩხირები შევიყენო თვალებში.

თუ არ ველაპარაკე, ჩაეძინება. არადა, არც მე მაქვს ლაპარაკის თავი.

— ალბათ დილიდან მუშაობთ.

— არა, მაგრამ მთელი ღამე არ მიძინია. ვილაც ოხერს გადაეკიდა

ჩემი ბიჭი. სახლიდან გაიქცა. სამორიგეოებსა და იმის ძმაკაცებში სირბილს მოვუნდი. რაც ნათესავები გვყავს, ყველასთან დავრეკე. არ ვიცითო. შინ მოსვლა არ უნდა? ინსტიტუტში მოვაწყვე, ბინა ვუყიდე, ჩაცმა არ აკლია და დახურვა... ხედავ, რას მიშვრება?

ერთხანს ვუსმენ, მერე მოტორის ყრუ ხმაურში არეული დაბალი, ბუბუნა ხმაღა მესმის და თანდათან მეც ჩემსას ვუბრუნდები.

ისევ შოფრის ხმა მახსენებს, რომ ტაქსში ვზივარ და შინ მივდივარ.

— პირდაპირ წადით... ეხლა — მარცხნივ... აი, აქ გამიჩერეთ. თუ ღმერთი გწამს, ფრთხილად იარე, რამდენი გიჟი დადის; არ დაეჯახები, თვითონ დაგეჯახება.

კიბეზე უხმაუროდ ავდივარ. კუთხეში, ზედ კედლის ძირთან სამთვლიანი ველოსიპედი მეჩხირება თვალში. ეტყობა, ვერაფერი მოუხერხა მამაჩემმა, ისევ ისე აგდია ჩამოწყვეტილი ჯაჭვით.

ეს დღეც დასრულდა. ახლა კარს შევაღებ, უჩუმრად შევალ სამზარეულოში, უჩუმრად შევჭამ მაგიდაზე დატოვებულ ვახშამს. მერე ფეხაკრეფით გავივლი, ერთ, მეორე ოთახს.

გიოს თავის პატარა საწოლში სძინავს. საბანი გადაუხდია. შუბლზე ნამივით აყრია წვრილი წვეთები. თხელ კანქვეშ, ქუთუთოებსა და საფეთქლებზე ცისფრად მოუჩანს ნაზი კაპილარები.

ტანსაცმელს სკამზე ვაწყობ. საწოლთან მისული ლიას მზერას ვაწყდები. შიშველი მკლავები საბანზე უწყვია, რაღაცნაირად უსასოოდ წევს და ჩუმად, საოცრად ჩუმად და სევდიანად მიყურებს, გიოს თვალებით.

* * *

მკვდარი სიჩუმე. გადახრუკული ტრამალი. ორთვალაში ვარ შებმული და მძიმედ მივუყვები ჰორიზონტს იქით დაკარგულ გზას. საით მივდივარ, ვინ შემაბა — არაფერი მახსოვს. ზედ თვალებთან დაკიდებული მზე ცეცხლივით მედება გაოფლილ სახეზე. სალტე მკერდზე მიჭერს, სუნთქვა მეკვრება, პირი ნაგვალავ მიწასავით მაქვს გამშრალი. აქეთ-იქიდან ორი შუბიანი კაცი მომდევს. ძალისძალად ვაბრუნებ გახევებულ კისერს — ორთვალაზე ვეებერთელა კასრი დგას, პირთამდე წყლით არის გალიცლიცებული. ბრჭყვიალა ზედაპირი ქანაობს, ირწევა, კასრის ნაპირებს ეჯახება და შხეფები წვრილი მარგალიტივით იფანტება გახურებულ ჰაერში. „წყალი“, ვჩურჩულებ და თვითონვე ვგრძნობ, რომ შუბოსნებს არაფერი ესმით. „წყალი, ღმერთი არა გწამთ?“ გამშრალ ტუჩებს დარუმბებული ენით ვილოკავ. „მონა ვარ“, „ტყვედ თუ ჩავვარდი“. როდის, რანაირად, არაფერი მახსოვს.

საიდან მოვდივარ, სად მიმაქვს ეს კასრი, რამდენ ხანს უნდა ვათრიო. „წყალი“, ვჩურჩულებ და ისევ კასრისკენ ვაბრუნებ თავს. ეტყობა, გავჩერდი, რადგან ერთი, მარცხნიდან რომ მომდევს, ცოფიანი ძაღლივით მიღრენს. შუბიანი ისევ მიყვირის, მერე მიახლოვდება და მოწნულ მათარას ცხვირწინ მითამაშებს. ჯანდაბას იქით ჰქონია გზა, მე აქედან ფეხის მომცველი აღარა ვარ. ამაზე უარესს რაღას მიზამენ. ფიქრი მალამოსავით მედება — ფეხსაც აღარ მოვიცვლი. ჩავიმუხლე, მერე ჩავჯექი და პირდაღმა გავიშალე მიწაზე. „ადექი“! ზევიდან დამდგომია და ჩამძახის. რაც უნდა, ის ქნას, ცემით რომ ამომაძროს სული, ამდგომი აღარ ვარ. „ადექი, რომ გეუბნები!..“

— ადექი, სამსახურში დაგაგვიანდება.

პირდაღმა ვწევარ. გამშრალი პირით რის ვაი-ვაგლახით ვისრუტავ ჰაერს. ერთიანად ოფლში ვცურავ. გვერდზე ვბრუნდები და ყველაფერი მახსენდება.

დაძინება ვერაფრით მოვახერხე. კეფა მიხურდა. თითქოს სიპი ლოდი მედო თავქვეშ. გაუთავებლად გუგუნებდა რაღაც. მერე შეგროვდა გუგუნი, დამძიმდა და თავისსავე სიმძიმეს რომ ვეღარ გაუძლო, შხუილით გადაიღვარა სხვა ადგილას. მთელი სხეული ამექავა, თითქოს ათასი ჭიანჭველა მომესია. ავდექი, შიშველი ფეხები ფოსტლებში გავყავი და აივანზე გავედი. კარგა ხანს ვიდექი. ჭიანჭველები ჩაწყნარდნენ. სამზარეულოში შევბრუნდი, კარადიდან არაყი გადმოვიღე, ჩაის ჭიქა გავავსე და სულმოუთქმელად დავლიე. გუგუნი ტკბილმა თავბრუსხვევამ შეცვალა. ისევ დავწექი. ერთხანს ვერთობოდი კიდეც — თვალებს დავხუჭავდი და საწოლიანად თავდაყირა მივექანებოდი უფსკრულში. გავახელდი და დავხუჭავდი.

— რომელი საათია?

— ათი.

ათი ყოფილა. ცოტა ხანს კიდევ შეიძლება ნებივრობა, დღეს შეიძლება. ვიცვამ, პირს ვიპარსავ და აუჩქარებლად ვსაუზმობ. დროდადრო მაინც ვუყურებ საათს. თან იმის გარკვევასაც ვცდილობ, ჩვევა მახედებს საათისკენ თუ მართლა მეჩქარება.

„დღეს ალბათ მალე მოვალ“, კაცმა არ იცის, რატომ ვპირდები ცოლს.

ეს უცნაური სიდინჯე ქუჩაშიც მომდევს. ქუჩაშიც ვცდილობ გავერკვე, მეჩქარება თუ არა. მერე თავისუფალ ტაქსს ვადგამ თვალს, ხელს ვუწევ და შოფრის გვერდით ვჯდები.

ლიფტში ფიქრად მომდის, რომ ამ პატარა მოძრავი ოთახის გამომგონებელი უთუოდ ჭკვიანი და კეთილი კაცი იქნებოდა.

ოთახის კარი ღიაა. „მართვე“ მაგიდასთან ზის, ფურცელზე გულ-

ძოდგინედ ასრიალებს ავტოკალამს. მერე, ისე მათვალიერებს, სკოლის ბიჭები რომ შესცქერიან ჩემპიონებს.

— ვახტანგი... — დანარჩენის თქმა ვერც კი მოვასწარი.

— განცხადება დაწერა და წავიდა. არაფერი უთქვამს. რედაქტორთან დევს... ჰო, გელოდება როგორც კი მოვა, შემოვიდესო.

მდივანს თვალები უბრჭყვიალებს — ჩემი გუშინდელი გმირობით თუ არის აღტაცებული. კოხტა ტუჩები რაღაცის სათქმელად მოუმზადებია, მაგრამ სანამ დაიჟღურტულებს, სანამ ადგება და თვითონვე გამიღებს კარს, რედაქტორის კაბინეტში ვარ.

იქ ორნი არიან, ერთი სავარძელში ზის შეჭმუხნული შუბლით და ოდნავ მოღრეცილი პირით. მეორე ფეხზე დგას. ღრმად ჩამჯდარ პატარა თვალებსა და გაზეთის შეკვრას ჩაჭიდებულ თითებზე მოუთმენლობა აცეკვებულა. მერე, ამ პატარა თვალებიდან ძლივსშესამჩნევი ღიმილი გამოტყვრა. შალვა ბროლიძე იღიმებოდა.

— დაჯექი.

სანამ ვჯდები და ვიცდი, ბროლიძე თავის ნიღბიანად უხმაუროდ გადის ოთახიდან.

— განცხადების დაწერას ვინ დაგიშლის, მაგრამ ხომ შეგეძლო, ჩემთვის მოგეცადა. ამ ქალბატონს ქვეყნისთვის მოუდვია უკვე.

— დასამალი არაფერია.

— არ ვიცი. იმ შენმა სალუქვაძემაც მომირბენინა. ბოლოკივით ჰქონდა სახე, რაღაც ჩაიდუდუნა, დამიგდო და წავიდა. მეც ავდგები და მოვუწერ ხელს. — უჯრა გამოაღო, ორი ფურცელი ამოიღო და ერთიმეორის გვერდით დააწყო. — აიღე ეს ორივე განცხადება და საქმეს მიხედე.

— სალუქვაძისა მომეცით, მე უნდა წავიდე.

— საით აპირებ?

— თუნდაც „ახალ გზაში". იმედია, იქ მაინც ვერ მომწვდება კინტრაია.

— სისულელეს თავი დაანებე და საქმეს მიხედე. არსადაც არ წახვალ. ველაპარაკე იმ შენი „ახალი გზის" რედაქტორს. გაზრდილ კაცს მართმეივ, ეგ რანაირი კოლეგიალობაა-მეთქი. თუ არ ვცდები, ერთხელ ცნობის მოცემისა შეეშინდა. ალბათ ეხლაც უარით გამოგისტუმრებს. ეგეც არ იყოს, არც იქ გაგიშვებენ იალაღზე. იქაც ეყოლებათ თავიანთი კინტრაია. ჰო, გუშინ კოლეგიის შემდეგ დავრჩით. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ამდენი ჩემს საქმეზე არ მიწვალია. ისიც კი ვუთხარი, მაშინ ჯერ მე უნდა მომხსნათ-მეთქი. სხვათა შორის, არც ისეთი სვავია, შენ რომ გგონია.

იმის თქმას თუ აპირებდა ჩემი რედაქტორი, სხვებზე უარესი არ

არისო. ავდექი, მაგიდიდან ფურცლები ავიღე, მოვკეცე, ჯიბეში ჩავიდე და გამოვბრუნდი.

იმ რეცენზიაზე ნაწყენი ვარო, კართან დამაწია შემონახული სათქმელი.

* * *

ილუმინატორის მრგვალ ჩარჩოს ერთბაშად შემოეცალა რძისფერი ფარდა. ორიოდე წუთიც და თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვება.

ღრუბლების თეთრი ზეწარი ახლა ზევიდან წამომფარვია. ისიც დაიწრიტა — ორი საათით ნათხოვარი უღრუბლო ცა.

ფრთაზე ლარივით სწორი, მკრთალი ხაზები ამოძრავდა, ქვევით — რუხი დედამიწა, შეხვედრის ყალბ სიხარულს რომ მპირდება.

ორიოდე წუთიც და ყრუდ შეირყევა ლითონის ვეებერთელა სხეული, შხუილითა და დგანდგარით გაირბენს ბეტონის ათასმეტრიან ზოლს და დადგება. ხელახლა წამოტივტივდება სცენა, ბურთივით რომ გამჩრია ყელში და უჩინარ ცრემლებს მაყლაპინებს.

შესასვლელთან გავჩერდით.

— ამოხვალ?

თავი გავაქნიე.

— დრუნჩა, გახსოვს, თევზებზე რომ მიყვებოდი?

კიდევ რაღაც უნდა ვთქვა, გავაკეთო, ასე დგომა აუტანელია.

— გიყვარს შოკოლადი?

ტუჩები აუკანკალდა. თითქოს ახლაღა მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა, ახლაღა დარწმუნდა, რომ გადავწყვიტე. გაუბედავად გადმოდგა ნაბიჯი, მაკოცა, გამიღიმა, მერე უცბათ შებრუნდა და კიბეს აუყვა.

პირველი სართულის ფანჯარაში ცნობისწადილით ავსებული სახე გამოჩნდა და მაშინვე მიიმალა.

დედამიწა აიწია, აყირავდა და ილუმინატორის ჩარჩოს აეფარა. ისევ დაიზნიქა, დაქანდა, რუხი ფარდაგივით გაიშალა თვითმფრინავის ქვეშ.

სუნთქვა მეკვრება, წყალში დაძირულივით ვცდილობ ამოტივტივებას...

— კინტრაიამ მადლობა შემოგითვალა რეცენზიისთვის.

რედაქტორს კმაყოფილი სახე აქვს. არც მე მაქვს უკმაყოფილების საბაბი — პრემიების სიაში ჩემი გვარი პირველი წერია, პიჯაკის

ჯიბეში კი ერთკვირიანი მივლინება მიდევს — დასვენებისა და ძალების მოკრებისთვის, რომელიმე ქალაქში. ზუსტად ასე მითხრა, რომელიმე ქალაქშიო.

განყოფილებაში მარტო ღლაპია. რაღაცას თხიპნის ფურცელზე. წამით თავს მაღლა სწევს და ისე მიყურებს. ერთი სული მაქვს, მაგიდაზე დავუჩეჩქვო ცხვირ-პირი.

„ჩვენი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტშია. ქალაქში წვიმს, ტემპერატურა ოცდაერთი გრადუსია. ცენტრამდე...“

სტიუარდესას ღიმილი, სველი კიბე, ასფალტი და აეროპორტის ხმაურიანი შენობა.

არ ვიცი, რამ შემომიყვანა — შენობის წინ ორი ავტობუსი ელოდება მგზავრებს. არ ვიცი და არც მაინტერესებს.

წითელი სავარძლები. ჩემოდნები. ჩანთები. დარბაზის კუთხეში დადგმულ ტელევიზორის ეკრანს მიჩერებული გულგრილი, ლოდინით დაღლილი ადამიანები.

აივანი, ტრიალი მინდორი და ნაცრისფერი საფრენი ზოლი.

თავისუფალ ადგილს ვპოულობ, მერე ერთხანს უაზროდ შევცქერი აციმციმებულ ეკრანს. მერე დამძიმებულ ქუთუთოებს ვეძიძგილავები და ისღა მამშვიდებს, რომ გარშემო ადამიანები არიან.

ჩამძინებია. ფანჯრებიდან აღარც ტრიალი მინდორი ჩანს, აღარც ბეტონის ნაცრისფერი ზოლი. კედლის საათი ცხრას უჩვენებს.

სანამ შოფერი ვიღაცას ესაუბრება, ავტობუსში, სულ ბოლო სკამზე ვჯდები და შენობის წინ ფერადი კოლოფებივით ჩამწკრივებულ მანქანებს ვათვალიერებ. ასფალტი გამშრალა. ალბათ კარგა ხანია გადაიღო წვიმამ.

შოფერი იმ მეორეს ბეჭებზე უტყაპუნებს ხელს და საჭეს უჯდება.

რამდენჯერ გამივლია ეს გზა. სადღაც აქ მოკლეკაბიანი მომღიმარე გოგონა უნდა იყოს — „ისარგებლეთ აეროფლოტის თვითმფრინავებით“.

სანაპირო. ანგარიშმიუცემლად ვდგები და შოფერს ვეუბნები, აქ ჩამოვალ-მეთქი.

ქალაქშიც გადაუღია წვიმას.

ნელა მივუყვები გრილ ღამეს. სადღაც, სულ ახლოს, მეხუთე სართულზე, პატარა ოთახში... ფეხმორთხმული ზის ტახტზე... უნდა დავიტიროთ ეს ტკივილი. ვიცი, თავისას იზამს დრო, ყველაფერი გაფერმკრთალდება, მოშუშდება.

ორმოცი წუთიც და შინ ვიქნები, სიბნელეში კედლის ძირთან მიგდებულ ველოსიპედს წამოვკრავ ფეხს. გამახსენდება, როგორ ჩამოვუტანე, როგორ დავუდგი საწოლთან, როგორ გაუდიდდა დილით თვა-

ლები — ჯერ დედას შეხედა, მერე — მე, ისევ ველოსიპედს და ნაცნობი, საოცრად ნაცნობი სიცილი აენთო სახეზე.

ჩემი აღარაფერია ამ სიცილში, აღარაფერი და იმასაც ვხვდები, რომ ამ ჩემს ტკივილად გაჩენილ ბიჭს ველარასოდეს მივცემ იმას, მესამედი საუკუნის მანძილზე უშედეგოდ რომ ვაკოწიწებდი ოცნებების, შეცდომებისა და მოვლენების გროვისაგან, ველარასოდეს მივცემ იმ სიკეთეს, რწმენა რომ ჰქვია.

მივდივარ.

შეკცქერი საკუთარ თავს და გარკვევით ვხედავ მომავალს, ჩემი ცხოვრების წესის ლოგიკური შედეგი რომ იქნება, შევცქერი ანას — რაღაც იდუმალ კანონს შეგუებულსა და დამორჩილებულს, ცოლის სახეს — უძილო ღამეებით გაცრეცილს. ამ ერთ „შეცდომასაც“ სულგრძელად მაპატიებს.

მაპატიებს. ძველებურ კარადაში ახლაც გვიდგას ფაიფურის ძველებური ფინჯანი, ვიღაცის მოუქნელმა ხელმა ბზარი რომ დაამჩნია.

მოკრიალებული ცა. იქიდან, იმ სიშორიდან გამოვცქერი მოცისფრო ბურთს, უსწორმასწორო ოთხკუთხედებს, წვრილი ხაზებით გადაბმულ ქალაქებს. ვპოულობ. ნაცნობი ქუჩები, სახლები. მერე ათას სხვა წერტილს შორის ერთი უსახო წერტილი იპყრობს ყურადღებას. ფრთხილად, უნდილად, უმისამართოდ მიიზლაზნება, საოცრად ნაცნობია ეს სიარულიც, ეს სიფრთხილეც, ეს უმისამართობაც. ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით დავცქერი დაპატარავებულ ორეულს და ისე გულიანად მეცინება, რომ მეჩვენება — ჩემთან ერთად მოშავოცაზე მობნეული ვარსკვლავებიც იცინიან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

დ ო ღ ი
ნ ი კ ა 6
როგორც ქვიშის საგუბრიდან 8
თავთავა 11
ნ ი ჟ ი 14
გაიგე, ბიკოს! 16
ორად ორი ბროწეული 20
ფ ე ს ვ ე ბ ი 21
წინდები 27
ქუჩა ცარიელი იყო 28
ცხენები ქალაქში 31
ძაფები 33
დიდი პრიზი 36
ლრუბლები 41
ლუარჯი აივანი 42
ი მ ე დ ი 46
ისე, როგორც არი 49
სარეცხი 52
მახარე 54
თებრია 56
პატიაანთ მიხას ცოდვა 58
...გინდა შინმოუსვლელი 60
ხ ა ტ ი 64
თეთრი არაბულები 70

რედაქტორი მ. ჯაფარიძე
მხატვარი ლ. ეპიშევა
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: თ. ფირცხალავა, რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. — 3046

ჩაბარდა წარმოებას 11.09.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.04.88 წ. უე 06741. ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საწიგნე-საჟურნალე. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 8,24. პირობითი საღებავგატარება 8.84. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 322.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42, თბილისი 1988

БЕРИАШВИЛИ ИРАКЛИЙ ГЕОРГИЕВИЧ

БЕЛЫЕ ЛОШАДИ

Рассказы

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42
Тбилиси, 1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.